მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10

პოეზია და პრეზა

ი. ლიხაშვილი
ზ. ლეონიძე
ვ. გარიუული
ვ. რუხაძე
ა. ჯაჯანაშვილი
ზ. დოლიაშვილი
ვ. გააზოლვი

ნარკვევი

დ. ხულიაშვილი

კრიტიკა

ქ. ფილაძე
ა. ფეიშვილი

მეცნიერულთა ტრიბუნა

ვიხ. ჯავახიშვილი

ბიბლიოგრაფია

ბ. ნატრაშვილი

კულტურის მატიანე

ს. ფლინტი

832

1 9 3 3

პროლეტარეულო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ საპოლიტიკო ჟურნალი

10

წელიწადი მეათე

სახელგამი 1933 ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

გ. ყურულაშვილი, ს. ეული, ივ. ვაშაყმაძე, შ. რადიანი, დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ/მგ. მდივანი).

პ/მგ. რედაქტორი: გიორგი ყურულაშვილი.

ცეკავშირის სტამბა
პუშკინის ქუჩა № 3.
შეკვ. № 1206. ტირ. 3000
მთავლიტი №-ა 1253.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1—65

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

კ ა ლ ო ნ ა

რამდენი ხანია, რამდენი ხანია აღარ მენახა ჩემი სოფელი.

ზაფხული წავიდა, ქვეყანა შემოდგომის შუაგულში მოექცა და მე ეხლა ვნახე ჩემი სოფელი.

დიდებულო, მშვენიერო ჩემო ბავშობავ! განუმეორებელო, ტკბილო და მწარე მოგონებებო!

მაინც კარგია, მაინც ძვირფასია ყოველივე ეს!

მე ვხედავ, მე ათასკეც გრძნობათა აღგზნებით შევსცქერი იმავე თეთრ, სპეტაკ ცის სილურჯეში შესულ მწვერვალებს. მე ხომ აქედან, ამავე მიწიდან პირველად შევავლე თვალი, პირველად შევიგრძნე ეს სიდიადე, ეს დაუსრულებელი უსაზღვრო მშვენიერება!

მე მაშინ ბავში ვიყავ, ბავში უვიცი, დილის ნამში დასველებულ ტიტველ ფეხებით.

ძვირფასო! ოკეანეს სიღრმედ ქცეულო დედის სიყვარულო! რამდენმა სევდამ, რამდენმა მწუხარებამ გრიგალებად გაირბინა შენს გამხდარ ძარღვებში, შენი უმანკო სისხლის რამდენი წვეთი დარჩენილა მახლობელ ტყეებში ეკლისა და ბარდის მახვილ წვეტებზე, და მე ისევ შენთან ვარ ეხლა, დიდი ხნის, დიდი ხნის დაშორების შემდეგ, ჩემო დედა ჩემი მწუხარებისა და სიხარულის უსაზღვრო სივრცევ...

მე ისევ შენთან ვარ ეხლა და შენს დამჭკნარ, წყლიან თვალებში თავდავიწყებით ვიხედები, როგორც გამჭვირვალე, უძირო ოკეანეში.

მე ისევ აქ ვარ ეხლა და ყურს უგდებ თუ როგორ სუნთქავს მთელი სოფელი.

აქ კი, ჩემს ახლო, პატარა და მოლით შემოსილ ეზოში. ნიავის ნელ შებერვაზე როგორ ირხევა ცაცხვისა და ალვის ხის რტოები, როგორ დაუსრულებელ ტალღებად იფანტება ფოთლების შრიალი, და მე ვგრძნობ შემოდგომას, ყვითელ,—სიგრილე შერეულ შემოდგომას.

აი, მწვერვალებიდან დაშვებულ, სხივებით მორწყულ ბალახებში, ნაბიჯი მოვიცვალე, და მე შევსცქერი ჩემს წინ, როგორ უიმედოდ ეშვება ცაცხვის ყვითელი ფოთლები, როგორის უიმედო თვალებით მიცქერიან და როგორ უხმოდ, როგორ უსიტყვოდ ასრულებენ ისინი ბუნების ბრძანებას.

ამ გარდუვალ კანონის წინაშე მთელის სისასტიკით ვსდგევარ მეც ეხლა, ხელს ვკიდებ და თითქოს მთელის მკერდით ვეხები მე ამ სინამდვილეს, რომ მისი კარები შევაღო, რომ ამ სინამდვილის გულში სხვა სიღრმეც აღმოვაჩინო..

და მე ამ წუთში ასე მგონია: მთელი ეს ბუნება და ჩვენი ცხოვრება არის სუნთქვის განმეორება, არის ტალღებად მოვარდნილ გრძნობათა ამაღლება და ძირს დაშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადო, დამსხვრეულ ბროლის ელვარებად ქცეულო ცხოვრების სინამდვილევ: შენი გზა მაინც წარმტაცია, შენი გზა მაინც ძვირფასია და მიმზიდველი!

* * *

მე გუშინ ჩამოველ აქ. ნუთუ აქ დავიბადე მე. ამ პატარა, ცალმხარზე წაფერდებულ, ფიცრულ სახლში. პატარა ჭიშკარი, პატარა ფარჩხით შეღებილი ეზო.

დღეს გამოსასვლელი დღეა. მუშა საქონელი ჯერ კიდევ ქარტაში ისვენებს და მე შევნიშნე კამეჩის დიდრონი თვალები.

— ნუ თუ ის არის, ნუ თუ ეს ჩვენი—ჭკვიანი უჩა კამეჩია! დიახ, ის არის, ეს უეჭველია ის არის!

— უჩა, უჩა!—აღფრთოვანებით მივაძახე მე ჩემს საყვარელ უჩაიას...

მივდივარ მასთან. ვგრძნობ მანაც მიცნო და თავის განუსაზღვრელი ერთგულება ერთ გაკვირვებულ ყოყინით დაადასტურა.

კიდევ უფრო უახლოვდები, შუბლზე ხელს გადავავლებ და უსიტყვოდ ვესაუბრები:

— ჩემო ძვირფასო, ჩემო უერდგულესო ცხოველო, თორმეტი წელი წავიდა მას შემდეგ რაც მე დაგშორდი. ამ დროის მანძილზე ალბად თორმეტი ძარღვი მაინც კი გაწყდებოდა შენს მძლე სხეულში. უკვე მოხუცდი? სჩანს შენი მხიარული თამაში უკვე დაგვიწყნია და ახლა ზეზე წამოდგომაც კი გიძნელდება. რა გაეწყობა! ეს ჩემი ბრალი არ არის. შენ სულ სხვა მოდგმისა და ჯიშის ხარ ვიდრე ჩვენ, ადამიანები. შენ ახლა ცრემლის ზოლი ჩამოგდის თვალიდან. ბევრს შრომობ? ძალიან ბევრს? ო, რომ იცოდე, ჩემო კარგო თუ რა ხდება შენს გარშემო და რამდენ ამბების გრიგალებმა ჩაიარა შენს ახლოს ჩვენი დაშორების შემდეგ!... შენ გიკვირს ახლად, რომ კოლექტივში მეზობელ კამეჩებთან ერთად მუშაობ, ხოლო უწინ კი მხოლოდ შენს მეგობარ ბუსკაიასთან გამუშავებდით. რა მოხდა? რა გამოიცვალა? მინდა ჩაგაგონო, რომ შენი შრომა ახლა უფრო ღირსეულია, ახლა უფრო მაღალ მიზნებს ემსახურები მაგრამ რა... მშვიდობით ჩემო უჩაიავ, მშვიდობით!

ასე დავასრულე საუბარი უჩა კამეჩთან, ეზოსკენ შემოვბრუნდი და ხალისით დავათვალიერე ყველა ის ადგილები, ყველა კუნჭულები, სადაც მეზობელ ბავშებთან არა ერთხელ მქონია „შეტაკება" რაიმე გაუგებრობის გამო კენჭობიას და სხვა თამაშის დროს. სადაც დიდი ოლოფო წვიმაში არა ერთხელ შემიგუბებია ნიაღვარი და შემდგარ ტბაში წელამდე შევსულვარ...

და ისევ იგივე, პატარა, თავჩამალულ კუსავით ჩამჯდარი სახლი, ის თითქოს ახლა ელოდება ჩემს აქედან წასვლას, ჩემი ხათრი აქვს ან ეშინია, რომ შემდეგ თავი გამოაჩინოს, ფეხი აიდგას და სადმე წავიდეს.

როგორ ტკბილად, როგორის სიმშვიდით და რაღაც სხვა ერუანტელის შეგრძნებით მეძინა მე წუხელი ამ პატარა, ულრმეს დუმილით დახურულ სახლში!

თითქოს მე ვგრძნობდი გარდაცვლილ მამის სუნთქვის სიახლოვეს, ეხედავდი მის, ფიქრებით შებოჭილ, დიდრონ, შავ თვალებს, მის მაღალ, სალი კლდესავით ჩამოთლილ შუბლს... და ყოველივე ეს რაღაც იმედიან, მხსნელ სინათლით აშუქებდა ჩემს გულს და ადიოდა ჩემი სული უდიდეს სიმაღლეზე.

მაგრამ სინამდვილე?...

ო, ისევ მძაფრო სინამდვილევ! მამა არ არის. იგი ხომ აქ აღარ არის! მშვიდობით სიხარულო, რომლის ძლიერი შუქი ასე გარკვევით მინათებდა ჩაბნელებულ ცხოვრების ულრან ტყეებიდან გასასვლელ გზას!

დილით კი, როგორც ბავშობისას, ჩემს სმენას მოხვდა დედის ყველაფრად ღირებული, შეუდარებლად ტკბილი სიტყვები:

— როგორ ხარ შვილო, ხომ კარგად გამოიძინე, შენ ჩემთვის იგივე ბავში ხარ, იგივე ბიჭი რაც იყავ ამ ხუთმეტი წლის წინად.

— კი დედაჩემო... კი...—უპასუხე მე და გულში ასე გავივლე: „ო, რა ძვირფასია ყოველივე ეს, რა ძვირფასია...“

ისევ შევჩერდი ეზოში. გავხედე ზევით და შევნიშნე პატარა გორაკიდან ჩამომავალი რამდენიმე კაცი.

ვინ იქნებიან, ან საიდან მოდიან ისინი?

ამ დროს ჩემს სმენას მოხვდა სოფელში ავარდნილი, რაღაც არაჩვეულებრივი ჩოჩქოლის ხმები...

— რაღაც ამბავია. რაღაც არაჩვეულებრივი ამბავია! — შეშფოთებით წამოიძახა სახლიდან თმებდაშლილად გამოვარდნილმა დედაჩემმა და უკვე წავიდა.

— სად, სად!?—ზურგში გავადევნე მე ეს დაგვიანებულად წარმოთქმული შეკითხვები, რაც დედაჩემს აღარ გაუგონია, ის უკვე მიეფარა.

მე ავდივარ, პატარა ფიცრულ სახლის აივანზე, სარკმელის სვეტზე ვეყრდნობი და ჩავსცქერი ცოტათი ქვემოდ, ჯარ ხეებში ჩამჯდარ ფიცრულ სახლებს.

იქ ხმაურია, ძაღლები ყეფას უმატებენ და თითქოს ვგრძნობ გაშმაგებულ ადამიანთა ნაბიჯების მოახლოვებას.

რა მოხდა, რა ამბავია?..

არაფერია, ჩქარა ჩემამდეც მოაღწევს ალბად ამ ხმაურის ნამდვილი მიზეზი, როგორც ხმელეთზე გადმოვარდნილ ზღვის შმაგი ზვირთები და მე გაკვირვებულ ხედვას თან გავაყოლე ერთ წერტილისკენ წასული ფიქრები.

* * *

ორი საათის შემდეგ სახე გაფითრებული და აჩქარებულის ნაბიჯით, თითქოს ვიღაც უკანიდან სასიკვდილოდ მოსდევსო—დაბრუნდა დედა... მან თან მოიტანა მეტის-მეტად სამწუხარო ამბავი:

— მოკვდება, უსათუოდ მოკვდება!—შეშფოთებით ამბობდა ის და ოთახში შემოსული უაზროდ ტრიალებდა.

— ვინ, რას ამბობ, დედა!?—გაკვირვებით და თანაც აღშფოთებით მივაძახე და დედის გამხდარ და გაფითრებულ სახეს მივაჩერდი.

— კადონა შვილო, ჩვენი კადონა!—შემზარავის ხმითვე მიპასუხა დედა-ჩემმა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო—ამ ღამეს ველარ გადაიტანს, დილამდე ველარ მიაღწევს. კადონა, უბედური კადონა!

ამ სიტყვების შემდეგ დედაჩემი ძძიმედ ჩამოჯდა, ბახრებულ ქუბლზე ხელი დაიდო, საწოლ ლოგინის თავზე იდაყვი ჩამოდო და მოკლედ გადმომცა ყოველივე რაც მას გაეგო მომხდარი ამბის შესახებ.

მე მაინც ვერ გავერკვიე, ძირი ვერ მოუნახე მომხდარ ამბავს, რომელზედაც შესაძლოა ამოზრდილიყო უკვე მიღებული ნაყოფი, უაღრესი მოუსვენრობით ოთახში სიარულს აუჩქარე და ტანში რაღაც სხვა ენერგიის დაგროვება ვიგრძენი.

შენც შვილო, შენც ხომ ნახავ მას და ჩემზე უკეთ შენ თვით გაერკვევი.

დააბოლავა დედაჩემმა და გარეთ გავიდა,

სამოიდე საათის შემდეგ სადილობა მოვათავეთ. მე აივანზე გამოვედი, ჩვეულებრივად სარკმელზედ ჩამოვჯექი და ხედვა გადავატარე ფიცრულ სახლის საკმაოდ მოძველებულ კედლებზე, სადაც რამდენიმე ადგილას შევნიშნე ბავშობის დროინდელი ნაირი წარწერა: ზოგი ჩემი, ზოგი ჩემი ძმების, ბიძაშვილების და სხვა ნათესავების.

ეჰ, როგორ,—აქამდე ჩემთვის მივიწყებულ სურათების შუაგულში შევყევარ ეხლა მე ამ წარწერებს!

ამ მრავალ წარწერათა შორის შევნიშნე ჩემიც, მსხვილი, ბავშის ხელით დაწერილი ასოები „წუხელ მე უცქერდი ცეცხლს, რომელიც ყაზახებმა ლუკაიას სახლს წაუკიდა. ცოტა მოშორებით კიოევ ცეცხლი. ალბად იქაც ყაზახები იყო. ანთებულ სოფლის სინათლე ზღვამდე წვდებოდა, მამაჩემი კი დღეს დილით წაიყვანეს. მე ბავში ვარ, მაგრამ ეს არ დამავიწყდება“...

დიახ, დიახ! მე ეს არ დამვიწყია და არც დამავიწყდება არასოდეს. რა უნდოდა ყაზახებს, რისთვის უჩენდენ ისინი ცეცხლს მეზობლის სახლებს? ეს ჩემთვის მაშინ გაუგებრობის ბურუსით იყო დაფარული. ვიცოდი მხოლოდ, რომ ყაზახები ჩვენი მტრებია და ჩვენ იმათი.

ვინ იცოდა მაშინ თუ რა უდიდესი შინაარსი იმარხებოდა ასეთ მტრობაში.

* * *

მზე დასავლეთისაკენ წვებოდა. დახრილი სხივები აღმოსავლეთის თოვლიან მთებს ბროლივით აელვარებდა...

დღეს დილით აჩქროლებულ სოფლის ცხოვრება ახლა ჩვეულებრივ სახეს იღებდა. ადამიანთა ცალკეული შეძახილი, ზოგჯერ რაღაც საქმიანი მსჯელობის ბოხი ხმის მოახლოება. ზოგჯერ ღრენა და ინტერეს მოკლებული ყეფა ძაღლებისა, რომლებიც ამით თითქოს ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ქვეყნის წინაშე.

და მე უკვე მოვემზადე, ვიჩქარი ვნახო დაჭრილი კადონა და ყოველივე დაწვრილებით გავიგო. მე წავედი და უკნიდან დამეწია ჩემს მიერვე მიხურულ ჭიშკრის ჭრიალი. აჩქარებულის ნაბიჯით ავმაღლდი ერთ პატარა გორაკზე, აქედან თვალი შევავლე დასავლეთით ფართედ დაწოლილ ზღვის კიდეებს, რომელზე-

დაც ზევიდან დაშვებულ სხივების ელვარება სჩქეფდა. ხედვა ისევ ჩქარა მოვ-
ბლიჯე ამ წარმტაც სურათებს და გზა განვაგრძე.

აი, პატარა ხიდი და ქვეშ გაწოლილი ანკარა მდინარე, რომელსაც ახლა
ჰარმონიულ ჩხრიალით თან მიაქვს აუარება ახალი ამბები შავი ზღვისაკენ.
ზღვაც დინჯად მიიღებს ალბად ამ ახალ ამბავს და ეს მონოტონური საუბარი
შეწყდება მაშინ, როდესაც ერთად დაგროვილი პატარა ამბები ზღვის დაუძ-
ლეველ გრგვინვად გადმოიღვრება.

უკვე მივაღწიე. სახლის წინ, დერეფანში სამიოდე კაცი შეკუჩებულა. ისინი
უიმედო მზერით დაჰყურებენ მიწას, საიდანაც თითქოს გამოსავალს ეძებენო...

ის გარედ ძლივს გამოიყვანეს:

ახალგაზრდა ქალი.

სახე შელეწილი. ალვის ხესავით აშოლტილი.

მის თვალებზე ცრემლი გამშრალა. სახე ქანდაკებასავით გაშეშებია. ტუ-
ჩები მთლად ჩალურჯებია, ქვედა ბაგე, სიმწარისაგან ოდნავ ძირს დაწეული,
დამზრალ ყვავილის ფოთოლივით შ ე ჭ მ უ ხ ვ ნ ი ა.

ის ხმას არ იღებს, თვალს ძლივსღა ახელს. ეზოში უგრძნობლად გამოიყვანეს.

მე სიჩქარით შევდივარ დერეფანში, შავგვრემანი, საშუალო ტანის ახალ-
გაზრდა მიმიძღვის წინ და იმ ოთახში შევყევარ, სადაც მოთავსებულია ტახტზე,
პირაღმა გაწოლილი კადონა.

თმა ხუჭუჭა, თაფლის თვალებით და წაბლის ფერ გრძელ [თმებით. სულ
25—26 წლის ჭაბუკი.

მან ჩემს შესვლაზე თავის გაუნძრევლად, თვალის ორივე კაკალი ჩემსკენ
მოაბრუნა. კარგად ჩამაკვირდა და თვალები კიდევ მეტად გაუფართოვდა.

— ეგ თქვენა ხართ?! ო, რა მოხარული ვარ! — არაჩვეულებრივის სიცხო-
ველით წარმოსთქვა მან და სახე გაუნათლდა.

— მე ვარ ამხანაგო. კადონა, მე ვარ! — მოკლედვე ვუპასუხე და ტახტს
მიუახლოვდი.

— რამდენი ხანია აღარ შეგხვედრივარ, როგორ მიხარია! — განაგრძო მან,
შემდეგ მომვლელ ქალს გადახედა და ასე მიმართა—ლენა, შეიძლება ცოტა ხნით
დაგვტოვოთ?

კადონას სასთუმალთან ახლოს ჩამომჯდარი ახალგაზრდა ქალი მაშინვე
წამოდგა, ოდნავ ჩაფიქრდა და შემდეგ კადონას თხოვნაზე თანხმობა განაცხადა.

— კარგი, — ახლა შეიძლება. აქ ვერავინ შემოვა — სთქვა მან და გარედ
გავიდა.

ამის შემდეგ კადონამ შუბლზე დადებული ტილო გაისწორა, ისევ რაღაც
მწუხარება-შერეულ ღიმილით შემათვალიერა და საბნიდან ზევით ამოღებულ
ხელით სკამზე მიმითითა.

— დაჯექით. თქვენი ნახვა ჩემი ნატვრაა, მეგობარო.

მე ჩამოვჯექი. კადონას შესისხლხანებულ თვალებს მივაჩერდი და ვსთხოვე
მოკლედ მაინც გადმოეცა ჩემთვის, თუ რა მოუვიდა მას და როგორ არის ახლა.

კადონამ ჩემს შეკითხვაზედ ისევ მწარედ გაიღიმა, შემდეგ აშლილ ტკივი-
ლებისაგან ბაგეზე იკბინა და ბოლოს სრულიად დამშვიდებით დაიწყო:

— თქვენ ალბათ გახსოვთ ჩვენი შეხვედრა ქალაქში, როცა მე კომკავშირის ყრილობაზე ჩამოვედი. მას შემდეგ ხშირად ვკითხულობდი თქვენს ნაწერებს. კარგია მწერლობა. ის რაღად ღირს საკუთარი ცხოვრების გზა, რომ ასწერო.

მას პირი უშრება, ბაგეები აამოძრავა.

— წყალი მინდა, მაგრამ სულ ერთია, ზღვაც, რომ იყოს, მაინც არ მეყოფოდა. თქვენ მთხოვთ გიამბოთ, არა? კარგი, ახლა ჩემს შესახებ ვერაფერს გეტყვი. ეჰ, არაუშავს... რაც შეეხება თუ რა მოხდა, ამას კი გიამბობთ. ეს ჩემი სურვილია. ჩვენი ცხოვრება ძალიან წააგავს ერთმანეთს. მე მინდა მოგიყვეთ ერთ ამბავს, ნამდვილ ამბავს, რომ აქედან ჩემიც გაიგოთ. თქვენ მწერალი ხართ და შეიძლება გამოგადგეთ. ვინ იცის. ეგებ ესეთიც დასჭირდეს მწერლობას: აი, მეც ვიწყებ:

მან პირველად უბედურ ვარსკვლავზედ გაახილა თვალები. ის გაიზარდა ნახევრად ტიტველი, ძონძებში გახვეულ სხეულით. ქვეყანა იცნო, მაგრამ გარდაცვლილ დედის სახეც კი არ ახსოვდა. მამა? ის რომ წაიყვანეს შვილს არ გაეგო, შვილს, რომელსაც შემდეგ ზედმეტ სახელად „ობოლა“ დაარქვეს. დილა გათენდა და მარტოდ დარჩენილი ბავში ეზოში დადიოდა გაფართოებულ თვალების ამარა:

ის წამოიზარდა, გახდა მოჯამაგირე. მამა ციმბირის სუსხმა აღარ გამოუშვა. შვილი კი პატარა „ობოლა“ თავის წარმოდგენაში დიდხანს ხატავდა მამის სურათს, მის წარბებს, მის თვალებს, სახის ნაოჭებს, მაგრამ უშედეგოთ. ამ წარმოდგენების შუქიც კი ჩაქრა და დარჩა გული როგორც ნაწვავი.

გავიდა დრო. ცხოვრება გამოიცვალა და ობოლაც ჩქარა ესტუმრა ქალაქს. აქ ქარხნის მუშა წიგნებიდან და ცოცხალ საქმეებიდან წამოსულ შუქს გამოედევნა და ბევრი რამ ახალი ისწავლა. გავიდა კიდევ წლები და ობოლა ისევ დაუბრუნეს იმავე სოფელს, რომ აქ სხვაგვარი ცხოვრება დაეწყო.

აქ კი იწყება ნამდვილი ამბავი.

* * *

გაზაფხულმა შემოაღო კარები, როცა ობოლა სოფელში ჩავიდა.

კაცს უნდა ჰქონდეს გული, ქონდეს რწმენა, სხვა კი არც ისე ძნელი შესაძენია. ობოლას არ გააჩნდა დიდი ცოდნა და გამოცდილება, ის უბრალო საფეთქელ შეთხელებული 26 წლის ახალგაზრდა ყმაწვილი იყო. რა სასაცილოა, რა სასაცილოა: ის კი მასწავლებლად მოევლინა თავის სოფელს, იმ სოფელს სადაც ამ ექვსიოდე წლის წინად ყველა მისი მასწავლებელი იყო. მაგრამ რა არის აქ გასაკვირი? მე ასე მგონია, მთავარია ვინა ხარ შენ, რა წრეს ეკუთვნი, გარდა ამისა გაგაჩნია თუ არა შენ ადამიანისათვის ყველაფერზე სავალდებულო რამ: რწმენა და მისი, ადამიანურ ღირსებისათვის შესაფერი, დაცვის უნარი.

ობოლას არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი.

მტერი ფარულად, მაგრამ გააფთრებით იბრძოდა. კოლექტივი მაინც მოეწყო. ხალხს უხაროდა კარგი მოსავალი და მათი მხიარული ჟრიამულის ხმები ავსებდა სოფელს.

მოსავალი აიღეს.

გაკრეჭილი მინდვრები დარცხვენილად უმზერდა ცას. ხალხმაც ოდნავ შეისვენა, სული მოიბრუნა და საკუთარ შრომის ნაყოფით კმაყოფილი, იმედიანის თვალით შეხედა მომავალს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტა, ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ყოფილა ძვირფასო მეგობარო. მთავარი კი წინ არის, წინ.

* * *

ჩაძინებულ ობოლას ყურში ლურსმანივით ჩაეჭედა ხალხის ჩოჩქოლი, ის ზეზე წამოიჭრა. ჭრაქით ხელში გავარდა გარეთ და კინაღამ დაეცა საკუთარ აჩრდილს.

ცეცხლი! ცეცხლი!!

სად იყო, სად, ან საიდან?!

— ო, მწუხარებად და რისხვად ქცეულო სიხარულო, სოფლის სიხარულო! — გაიფიქრა ობოლამ. მან გიჟივით გაირბინა მთელი სოფელი და ბოლოს ამაოდ დასცქეროდა ფერფლად ქცეულ ხალხის სიმდიდრეს.

სიწყნარე. ირგვლივ სრული სიწყნარე, ხოლო ხან გამოშვებით ირხეოდა ფოთლებ შეტრუსული ალვის ხეები... ხალხმა დაჰკარგა მთელი წლის მოსავალი და ყველაფერი რაც მათ გულს ახარებდა დასავლეთით წაიღო შუაღამის გრილმა ნიავმა.

ვინ ჩაიდინა, ვინ ჩაიდინა ეს სიველურე?!

თითქოს ჰაერით გრძნობდა ობოლა სოროებში ქვეწარმავალივით ჩამძვრალი ხალხის გესლიან ხარხარს.

— საზიზღარნო, დრო მოჭმულნო ადამიანნო!

და ეს ხარხარი მის ყურს თითქოს ფეხის ყოველ მოცვლაზე უახლოვდებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. გულჩათხრობილი, იმედ გამწყდარი და აღშფოთებული ხალხი კბილით ეძებდა ხელს, რომელმაც ცეცხლი მიიტანა, რომ ეს ხელი ნაკუწებად ექცია და გული მოეფხანა, ხელი, რომელმაც ცეცხლი მოიტანა და ფერფლი დასტოვა...

ობოლაც ხალხთან იყო.

* * *

კრებები, კრებები და ისევ კრებები...

რამდენიმე დღემ მწვავე ჟრუანტელად ჩაუარა მთელ სოფელს. სიბნელემ დახურა მთის ჰორიზონტი და ზღვის მახლობელ შრიალმაც ღამე მოიტანა.

სწრაფად შეიკრიბნენ კომკავშირლები. კამათმა შუაღამემდე გასტანა. აქ იყო ობოლაც, რომელიც ამტკიცებდა, რომ მტერი შორს არ არის, რომ იგი „შინაურია“

— რა გვიხსნის ჩვენ? — ამბობდა ის და თვით უპასუხებდა: ჩამოვიშოროთ, გავაძევოთ, გავანაპიროთ და მათი მომხრეებიც კოლექტივიდან გავაძეოთ. სხვა გზა არ არის, სხვა გამოსავალი არ არის ამხანაგებო! დე, იცხოვრონ მათ ჩვენგან მოშორებით. აქ კი ჩვენი საქმე ჩვენ თვით გავაკეთოდ.

ამ დროს ობოლამ ფანჯარასთან შენიშნა თავი, რომელიც ისევ სწრაფად ძირს დაიწია და სიბნელეში დაიკარგა.

— ვინ იქნებოდა?— თავის თავს შეეკითხა ობოლა, მაგრამ პასუხიც ჩქარა მონახა და თავი დაიმშვიდა.

ვინ იცის, რამდენი კაცი იტყუებს თავს ასეთი პასუხით! ობოლამ შემდეგ გაიგო, რომ ერთი უბრალო ფაქტიდან ათასი სინამდვილე შეიძლება იხილო და კიდევაც განიცადო. რა იცოდა ობოლამ მაშინ თუ გარედან ზვერავდენ და მის სიტყვას ჩუმად ისმენდენ.

მხოლოდ რამდენიმე წუთი გავიდა. კამათი დასასრულს მიუახლოვდა და ვიღაცამ გარედან კარები, თითქოს შიგნით შემოამტვრია. ეს იყო იმავე სოფლის ახალგაზრდები: გიგო და სოკოლა. მათ შორის პირველი—კოლექტივის წევრი და უპარტიო, საშუალო შეძლების გლეხი, მეორეც ასეთი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ერთხელ კომკავშირის წევრიც კი ყოფილიყო...

— ეგ არი, ეგ არი ამხანაგებო! დასცხეთ, დასცხეთ მაგ მოღალატეს!— ყვიროდა გიგო და ობოლაზე მიუთითებდა.

— მე თვითონ დავინახე, შენ არ იყავი!?. ახ, შენ ცულლუტო, შენ ფარისეველო შენა ა!..—დაუმატა სოკოლამ.

კრება აიმრიზა, გაკვირვებისა და თავშეკავებულ რისხვის გრიგალი მოგრუნდა ოთახში. წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. ობოლა ბრაზისაგან პირველად გაშეშდა, შემდეგ ამხანაგებს გადახედა და მან შენიშნა ახლად მოსულთადმი მრისხანედ მიშვერილი ათეული ხედვის ისარი.

— არ გჯერათ?—ბოლოს ისევ იკითხა გიგომ—მაშ კარგი! თქვენ თვითონ დარწმუნდებით! მე თვითონ მითხრა თუ რატომ სჭირდებოდა მოსავლის დაწვა. ყმაწვილო ხომ არ შეგეშიხდა? მაშ მომისმინეთ ამხანაგებო! მაგ ყმაწვილმა მეც კი გამიხმო და მითხრა, რომ დამეწვა მოსავალი.

— შენ! — მრისხანედ მიაყვირეს გიგოს ყოველის მხრიდან და ძლიერ შეძახილის ხმებმა კინაღამ ჭერზე შეაგდო ის.

— დიახ, იმ მოსაზრებით რომ ეს სარდიონის მომხრეებისათვის დაებრალებიათ და ამით მისცემოდა საბაბი მათი ჩვენს სოფლიდან გადასახლებისა. ხომ მართალია, ა? ხომ აგრე იყო? სჯობს გამოტყდე, სჯობს თორემ!.. და გიგო მუქარაზედაც კი გადავიდა.

— აგეთი ზომებით ფიქრობდით ყმაწვილო მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებას არა?. — ირონიულად დაუმატა სოკოლამ და მის ბაგეზე გესლიანი ღიმილი სხეულზედ ხანჯლით მიყენებულ ჭრილობასავით აღიბეჭდა.

ამის შემდეგ ისინი უკანვე გაბრუნდენ და სიბნელეში ჩაიკარგენ.

ოთახში ისევ დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ ახლა ამ დუმილის მრისხანება ობოლას მიუბრუნდა: „ნუ თუ, ნუ თუ“? — ასეთი გაკვირვება მოსჩანდა იმათ მრისხანე დუმილში და ჯერ კიდევ პასუხი არ იყო. არ იყო არა...

შემდეგ დაიწყო ცხარე შეკამათება. იჭვების კორიანტელი კოხივით ეცემოდა ობოლას. ის მაინც იბრძოდა, სულით არ ეცემოდა და თითქოს ყოველ თავის სიტყვას თითო წვეთ სისხლს აყოლებდა გულიდან.

ბოლოს ისევ დაცხრა ობოლას თვალწინ აგორებული მორევის გმინვა. ოთახში ანაზდად შემოტანილი შხამის მოქმედება კრების სხეულმა თითქმის სავსებით მოინელა და ობოლა მოქანცული დაშორდა ამხანაგებს.

* * *

ღამის პირველი საათი იყო და ის მომხდარ, არა სასიამოვნო ამბების ფიქრებზე გამოდევნებით გაეშურა თავის ბინისაკენ.

„ჩემს მოთხოვნას თითქოს პირდაპირ უპასუხეს. როგორ მოხდა, ან საიდან გაიგეს ეს მათ?“

ფიქრობდა ობოლა და ის უკვე მიუახლოვდა ტყეს, სადაც გადიოდა მისი ბინისაკენ მიმავალი გზა. იმ წუთში ობოლას ფიქრებივით შავად ღელავდა ეს ტყე და ისინი შეერთდენ.

ტყეში აქა-იქ ჩამოტეხილ მთვარის მკრთალ შუქზე აჩქარებით მიაბიჯებდა ათასგვარ ფიქრებით დატვირთულ და თავდახრილ ობოლას აჩრდილი: „ალბათ ფანჯრიდან, რომ დავინახე ისინი იყვნენ. ა, უსათუოდ ისინი იყვნენ და მე მისმენდენ. შესაძლოა გაიგეს ისიც, რომ მე პარტიაშიც ასე დავსვი საკითხი და დადგენილებაც გამოვიტანეთ.

ბოლოს ასე დაადასტურა ობოლამ და ნაბიჯებს კიდევ მეტად აუჩქარა.

უკვე შუაგული ტყეა.

...და სამიოდე აჩრდილი უეცრად წამოიშალა ობოლას წინაშე.

ობოლა შეკრთა. მას უნდოდა ხმა ამოეღო, დადუმებულ ტყის მიმზიდველობაში ჩამარხული და ახლა უკვე გაშიშვლებული საშინელება დაეფრთხო, მაგრამ, მაგრამ... ეჰ, მეგობარო, რაღა დროს არის, რაღა დროს არის!..

ძლივს წარმოსთქვა კადონამ, ხმა მიუსუსტდა, სახე კიდევ მეტად გაუფითრდა, აღძრულ ტკივილებს თითქოს ამით აჩერებსო და ბაგეზე ისევ მაგრათ იკბინა.

მე ურჩიე მას შეეწყვიტა ამბავი ხოლო დანარჩენი შემდეგისათვის განეგრძო, მაგრამ ამაზე მან უარი განაცხადა და მთხოვა: თუ მე არ მომბეზრებია მასთან დარჩენა და მის მიერ მოყოლილი ამბის მოსმენა, ცოტა კიდევ მომეთმინა და ბოლომდე გამეგო, თუ რა მოუვიდა ერთ ახალგაზრდას, რომელსაც სურდა ქვეყნისათვის რაიმე, მცირეოდენი სარგებელი მაინც მოეტანა, მეც დავეთანხმე...

* * *

— ასე! — კვლავ განაგრძო კადონამ და მარცხენა ხელით სასტუმალი გაისწორა — უკვე გვიან იყო, მას რაღაც მჩვარი ჩაუტენეს პირში, ორივე ხელები გაუკრეს და მიწაზე დააგდეს.

— აბა, ცხენები! — დაიძახა ერთმა მათგანმა და სიბნელეში თითქოს ჭიდან ამოძვრა ვილაც, რომელსაც თან მოყავდა ორი შეკაზმული ცხენი და ნაბიჯებს ისე მოადგამდა და ისე მოიწევდა, თითქოს მას ეს ცხენები კი არ მოჰყავს არამედ მოათრევსო.

— ეს ხომ გიგო არ არის? გიგო, გიგო! ეგ არის! უსათუოდ ის არის! — თავში გაუელვა ობოლას და უეცრად თვალწინ წარმოუდგა მთელი ხლართები, რომელშიაც მაგრად გაბმული და მტრის ფეხქვეშ დავარდნილი ახლა ის აგრე უმწეოდ ფართხალებდა.

— „ეჰ, მოღალატევ, დაბალი სულის ადამიანო! რამდენ გრორად მიჰყიდე მტერს ეგ მყრალი სული და კაცობა!?“—ისევ გულმოკლულად გაიფიქრა ობოლამ, როცა მას მხრებში ხელი წამოავლეს, მაღლა ასწიეს და ცხენზე პირქვე მაგრად დააკრეს.

— ახლა კი უნდა წავიდე, მეტი აღარ შემიძლია,—მშვიდობით! კეთილი გზა და ვამარჯვება სარდიონ!—განგებ დამახინჯებული ხმით ჩაიბუტბუტა გიგომ ჩაბალახ-ახვეული, დახრილი თავი სქელ სიბნელეში ჩამალა და სადღაც დაიკარგა!

სარდიონი შეჯდა თავის ცხენზე. მეორეც, მორგვივით მრგვალი, უცნობი წინ დაუჯდა ცხენზე პირქვე დაკრულ ობოლას და ცხენები დაიძრენ.

სარდიონის, ხოლო ზოგჯერ უცნობის მიერ მაგრათ მოქნეული მათრახი ზურგზე, თავზე და ფეხებზე ხვდებოდა ობოლას. შეკუმშული ბოლმა და სიმწარე ყელში უჭერდა მას, სულს უხუთავდა, მაგრამ სად იყო გზა და გამოსავალი? მხოლოდ ერთად ერთი გზა, ერთად ერთი გამოსავალი იყო სიკვდილი. რაც შეიძლება მალე სიკვდილი თორემ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე, რამდენხანს!

ალბად იმიტომ ჩავიდა მზე, იმიტომ დაბნელდა დედამიწაზე, რომ ობოლას ასეთი წამების წუთი დამდგარიყო. „დე, ასე იყოს, დე იყოს ასე! არაფერია! ამასაც გაუძლებს, ამასაც კანონად მიიღებს ობოლა და მოახლოებულ სიკვდილის წუთებს ვაჟკაცურად შეხვდება“.

გულში ფიქრობდა ის და ყველაფერს იტანდა.

ცხენები ტყეზე ამოფარებით მთისაკენ თქარუნით გააქროლეს. ოფლში შეცურული ცხენებიც კი გრძნობდა რაღაც უჩვეულოს: სახიფათო გზას ფშვენით იკვლევდენ, პატარა ღარდებზე და კორდებზე შემკრთალი ხტებოდენ. ერთ ადგილას კინაღამ მოხდა ოდნავი შეფერხება: უეცრად, მდინარის პირად, ფერდობზე, შავი დათვივით ჩამომჯდარ წისქვილის კარი გაიღო და პატარა ჭრაქის მიბნედილის შუქმა ცალი თვალით გარედ გამოიხედა.

— ეი, რომელი ხარ?!—მოისმა იქიდანვე და კარებში გამოსულ შუქს თეთრწვერა მოხუცის თავიც გამოჰყვა.

— ხმა არ ამოიღო! იარე—მოკლედ უბრძანა სარდიონმა თავის მეგობარს და ორთავემ ცხენები გააჩქარეს...

ჩაძინებულ სოფლებს უკვე გაშორდენ.

მთაში მდინარის პირად მიმავალი, ვიწრო ბილიკით წავიდენ და სარდიონმა დამშვიდებით მიმართა უცნობს:

— სახიფაოო გზა გავიარეთ. ახლა ჩვენი სამფლობელო იწყება.

— ფიქრი არ არის.—მოკლედ მიუგო უცნობმა და ცხენს გადაჰკრა,

— მე მაინც ვშიშობ ჩემო დიონჯა, გათენებამ მთაში არ მომისწროს. შენთვის სულერთია.—შენ ხომ მაინც აყრილი კაცი ხარ, მაგრამ მე... დიახ, თუ თქვენ სოფელში სიგლახე გამოიჩინეთ აქ მაინც წაგვადექით.

— ჩემთვის სულ ერთია.—მიუგო დიონჯამ—ჰაერში აგდებული ქუდი დედამიწაზე ჯერაც არ ჩამოვარდნილა, მაშ მე კიდევ თავისუფალი ვარ და მაქვს უფლება ვიარო ასე თავზე ხელაღებულად. ზღვა ხმელეთად მივიჩნიო და ხმე-

ლეთი ზღვად. დამარცხებამ გამარჯვებამ ღე მიმიყვანა და მთელს ქვეყანაზე ჩემისთანა თავისუფალი კაცი არ არის.

— მართალი ხარ, შენც მართალი ხარ ჩემო დიონჯავ!—ბოლოს მძიმე ამოხვნეშით დაუდასტურა სარდიონმა და ხმა გაჰკმიდა.

ალმართში მიმავალმა ცხენებმა ხვნეშასა და ფრუტუნს უმატეს. ვარსკვლავებმა დაჰკარგეს ფერი, თითქო უფრო შორს წავიდენ და სივრცის სიშორეში თავი ჩამალეს.

მთის ტყე. მთის ცივი ნიავი და აქა-იქ ღრმა ხეობებში ჩაყრილი თოვლი.

მათ ცხენები შეაგდეს მთიდან მქუხარებით მოვარდნილ, მთვარის მკრთალ შუქზე განათებულ მდინარეში, რომელშიაც ახლა ჩასცქეროდა პირქვე დაკრული ობოლა და ხედავდა თუ როგორ ეხეთქებოდა და ისევ შორდებოდა ერთმანეთს ორი ნაბდიან ცხენოსანის შავი აჩრდილი.

ალმართი მოთავდა.

ვაკეზე გავიდნენ და ოფლით გაჟღენთილ ცხენებმა, მაღალი მთის მწვერვალიდან იმედიანად გადახედეს ქვევით, მძიმედ ჩაძინებულ და ათას გვარ სიზმრებშა გახვეულ სოფლებს...

* * *

ისინი ერთ პატარა კარავს მიუახლოვდენ და შვებით ამოისუნთქეს.

დაბინდულ კარვიდან, წელში წახრილი, რაღაც შეშზარავი ირონიული გამომეტყველებით გამოჩნდა ვილაც, რომლის დიდი თავი, შავი, ჯაგარივით მოშვებული წვერით, ზევიდან დაჰყურებდა ანთებულ კვარის შუქზე და ნელი ნაბიჯით შეთხელებულ სიბნელეს ფრთხილად მოარღვევდა. მან ცალი თვალით გაზომა ცხენზე პირქვე დაკრული ობოლა და ულვაშებში გესლიანად ჩაიღიმა.

— ხომ კარგი ზვარაკი მოგიყვანეთ მარპე?—სალამის მაგივრად მიაწოდა სარდიონმა.

— მივიღებ. აგრე სჯობია—გადაკრულად უპასუხა მარპემ და ვეებერთელა ახმახი წელში გასწორდა.

ხელებ შეკრული ობოლა ხურჯინივით ჩამოაგდეს ცხენიდან. პირიდან მჩვარი ამოულეს, ხელ-ფეხი შეუხსნეს და ღონემიხდილი კარავში შეათრიეს. წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. ძირს განრთხმულ ობოლას ირგვლივ რამდენიმე მრისხანედ მომართული თვალი შემოიკრიბა. სარდიონმა უბიდან ამოიღო რაღაც ქაღალდი. მარპემ ანთებული კვარი ზედ დაანათა და სარდიონმა როგორც სახარება დაიწყო ამ ქაღალდზე გარკვეულად დაწერილი სტრიქონების ამოკითხვა:

„მე შევცდი ამხანაგებო. მოსავლის დაწვით მე მინდოდა ხალხის ამხედრება სარდიონების წინააღმდეგ. თითქოს ეს ბოროტება მათი ჩადენილი ყოფილიყო. ამით მინდოდა მათი გაძევება და მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება. ეს არ გამოვიდა ზოგიერთი უკვე მიმიხვდა კიდეც. ჩემზე იჭვი მოიტანეს ალბად სიმართლე არ დაიფარება და მე გშორდებით. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი მოღალატე...“ და შენი სახელი...—დაურთო სარდიონმა და ობოლას მრისხანედ გადახედა.

— ხომ მიხვდი რა ყოფილა საჭირო? დიახ. შენ ამ წერილს საკუთარი ხელით დასწერ, ხელსაც მოაწერ და შემდეგ თავისუფალი იქნები. შეგიძლიან წახვიდე სადაც გენებოს. დიახ, შეგიძლია, მაგრამ ჩვენ სოფელს ალარ გაეკარო თორემ...

და სარდიონი მუქარაზე გადავიდა.

— არ დასწერ? ხომ ხედავ ჭერს!—ისევ განაგრძო მან, ცალი თითი ჭერისაკენ აიშვირა და სახე კიდევ მეტად შეიღრუბლა.—იქ ჩამოგკიდებთ და თხასავით, ჩამოგხდით. წარმოუდგენელი წვალებით გაგაქრობთ. ულირსო, ნამოჯამაგირალო აა!... თავის სიტყვა ერთი გამხეცებული ყვირილით და გათლილ მორის იატაკზე ცალი ფეხის მაგარი დარტყმით დაასრულა მან. ამის შემდეგ ხელში ჩაკეცილი წერილი გაშალა, კარგათ გაასწორა და ძირს განრთხმულ ობოლას თავთან დაუდო,

ობოლამ ახლა გაიგო ყველაფერი და უეცრად სუსხიან ქარიშხალივით გულში გაივლო:

„მივხვდი, გავიგე, უბრალო სიკვდილს იქაც ხომ მოახერხებდენ. რაღა დროს არის. ჩვენი მტრები ორმაგ საქმეს აკეთებენ. მშვიდობით ყველაფერო რასაც კი ჰქონია რაიმე ფასი ჩემი ცხოვრების მცირე მანძილზე“.

ის ზიზღით მიაჩერდა მის თავთან გაშლილ ბარათს, მეტი ვეღარ აიტანა, გასისხლიანებული ზევით ავარდა, დადგა ფეხზე და შეუდგა შეტევას, რომლის შედეგი წინასწარ განწირული იყო.

— „მხეცებო, ნადირებო! არასოდეს, არასოდეს!“ —ყვიროდა ის და მის წინაშე კედელივით ამართულ სამ ვაჟკაცისაკენ მიიწევდა—თქვენ გინდათ! აი თქვენი წერილი! ასე! მიიღეთ! შეინახეთ! გამოიყენეთ!.. და ობოლამ ნაკუწებად ქცეული ბარათი კბილებში შეაყარა ნაძალადევად ახარხარებულ სარდიონს.

სარდიონი უკვე შეშფოთდა, თვალები უფრო წამოკარჩხლა და ობოლას თავზე დაეცა რაღაც მძიმე, თითქო ზევიდან ვეება ლოდი ჩამოვარდაო. ის უგრძნობლად დაეცა ძირს...

* * *

აქ კადონამაც სრულიად დაჰკარგა ფერი, მისი მილეული თვალების ხედვაც იძლეოდა რაღაც, მრავალგვარ ტკივილების ნიშანს და ჩალურჯებული ბაგეები უტოკავდა. მე მინდოდა მისთვის მიმეცა იგივე რჩევა, რაც მივეცი მას რამდენიმე წუთის უკან, მაგრამ ვიცოდი რა მისი მტკიცე გადაწყვეტილება, ამიტომ კვლავ თავი შევიკავე და მით კიდევ მეტად აღარ ავაფორიაქე ისედაც აფორიაქებული კადონას სული... მან ისევ ძალა მოიკრიბა, სახეზე ფერიც მოუვიდა და კვლავინდებურად განაგრძო:

— სად ვარ?—თავის თავს შეეკითხა გონს მოსული ობოლა და მას თვალწინ წარმოუდგა მთელი საშინელება, რომლის შუაგულში ახლა ის იყო მოთავსებული და რაიმე გამოსავლის ოდნავი შუქი, ამ შუქის ნამცეციც არსად სჩანდა.

და გარედან მოისმა ისევე სარდიონის ხმა:

— აწვალეთ! არც წყალი, არც პური, ხოლო ბარათი, ბარათია საჭირო. სხვანაირად ჩვენი საქმე დაღუპულია. შემდეგ კი თქვენც იცით. არა და მაინც იცით... მშვიდობით! მე იმედი მაქვს!

და სარდიონის ხმა უცებ შეწყდა.

ობოლამ თვალი შეავლო ოდნავ განათებულ კარავს: ქვევით ნამორებით დაგებული იატაკი, ზევით ნამორებითვე დაჯორგილი ჭერი, კედლებიც ნამორებით რომლის მრავალი ჭუჭრუტანებიდან მოსჩანს ჯერ კიდევ მზის ბუნება.

ირგვლივ სიწყნარე.

ირგვლივ სიცარიელე.

რამდენათ სჯობდა ასეთ გამოფხიზლებას, სრულ მყუდროებაში სამუდამოდ და უკან დაუბრუნებლად შესვლა; აღარაფერს იგრძნობდა ადამიანის გული, აღარც იშფოთებდა და აუცილებელ დასასრულს სიზმარივით შეიერთებდა.

ობოლა სისხლს იშორებდა თვალიდან, მაგრამ არც მან იცოდა თუ რა საჭირო იყო ეს. განა სულ ერთი არ არის მკვდარს სისხლიანი ექნება თვალები თუ გასუფთავებული? განა შორს არის ეს დრო, განა კიდევ ღირს იზრუნოს კაცმა ასეთ რამეებზე?

ვინ იცის რამდენი საათი, ან შესაძლოა რამდენი წუთი დარჩენილა კიდევ წინ სანამ ობოლას აქვს უფლება იზრუნოს საკუთარი სხეულის მოვლაზე, უცქიროს ყველა ჭუჭრუტანებიდან შემოსულ უიმედობას.

„თენდება? ო, ნეტავ სულ არ მოსულიყო სინათლე. რა საჭიროა ეს. მას მოაქვს მხოლოდ სიკვდილი, კბილებ დაღრეჭილი, შავი სიკვდილი. ნეტავ არ მოსულიყო, არასოდეს არ მოსულიყო ასეთი სინათლე. შავო წყვდიადო ისევ მობრუნდი ისევ მობრუნდი, რომ სიკვდილის მომტან სინათლეს საბოლოოდ გადაეფაროო!..

ობოლამ მუხლებზე წამოიჩოქა. კედელთან ძლივს მიატანა და ჭუჭრუტანებიდან გახედა გარედ ჯერ მთვლემარე ბუნებას. ის კარგა ხანს, გაუნძრევლად უცქეროდა ოდნავ შეფერადებულ ცაში შუბლ მიბჯენილ მწვერვალებს, ხედავდა თუ როგორ თანდათან ქრებოდა ვარსკვლავები. და მან ისევ ჩაიხედა საკუთარ გულში: „ნეტავ უკანვე გაბრუნდებოდეს ეს განთიადი, რომ მეც თან წამიყვანდეს უკვე განვლილ, სხვა განთიადებისაკენ“.

ღამეა მისი მფარველი, წყვდიადო შენ უნდა გახდე ობოლას მფარველი. რა საჭიროა იმ მთების მწვერვალებთან მოსული განთიადი. მას მოაქვს ამოწვდილი მახვილი. ობოლამ კი მკერდი უნდა გაუჩეროს და თვალდახუჭული ელოდოს იმ წუთს, როდესაც ეს მახვილი მის გულში გაირბენს.

„უბედურო დედაჩემო! შენი ცალი თვალი მაინც მენახა. რა დააშავე შენ ისეთი მძიმე, ისეთი სასტიკი, რომ ამ ქვეყანაზე დატოვებულ ერთად-ერთ შვილს, ერთად-ერთ ნაყოფსაც კი გისპობენ და უკვე საფლავისკენ ერეკებიან. აი, თითები. დედაჩემს, რომ ენახა ეს ჩემი უკვე დაზრდილი თითები, ვინ იცის როგორ ბედნიერად იგრძნობდა ის თავს ამ ქვეყანაზე, როგორ ბედნიერად. ახლა კი ისპობა მისი ფესვი და სახსენებელიც... რას ვაძბობ, ისპობა? საიდან გამოვიდა ასეთი დასკვნები?.. განა ჩემი მეგობრები, ჩემი გაგრძელება არ არის, განა შემიძლია მე სხვა ვიყო? მე უდიდეს დანაშაულს ჩავდივარ! ჩვენი ფესვი და სისხლიც ერთია, ჩვენი გზა და მომავალიც ერთია, იარეთ წინ, ერთ მთლიანნ სხეულად შეხორცებულო, ამხანაგებო, რომ თქვენი ამაყი, გაუტეხელ ნებისყოფით ციდანაც კი ჩამორეკოთ თქვენი ამხანაგებისადმი სიკვდილად მოსულ განთიადები!

ობოლა ყვირილით ამბობდა ამ უკანასკნელ სიტყვებს, თითქო მის გარშემო მდებარე დადუმებულ, უძრავ ბუნებაში ვინმეს ეძახისო, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ ყოველივე ეს უაზრო და უსარგებლო რამ არის, რომ ყოველივე ეს უნაყოფო, უშედეგო კივილია, ჰაერში გაბნეული — [illegible] დასასრულის წინ.

„იმ მთებში ადამიანის, ან რაიმე სულდგმულის ნასახიც კი არსად სჩანს. იქ ხეებია, ქვებია და მხოლოდ მიწა". ის უკვე წამოდგა ფეხზე, მსინჯავი ხედვით შეათვალიერა ჭერი, კედლები და ბოლოს იატაკი, სადაც ახლა ეყარა მხოლოდ მის მიერვე დაგლეჯილ ბარათის ნამცეცები.

მაგრამ დღის სინათლე მაინც მოდის, ის მაინც მოურიდებლად იჭრება შიგ და ავსებს დაბალ, საქონლის შარდით შეპკურებულ კარვის კედლებს.

და ობოლა ისევ მიაჩერდა მოახლოვებულ განთიადს:

„სიბნელე მიმოიფანტა—როგორ მახარებდა, მე ყოველთვის დილა, სინათლე, ნამზე დაშვებულ პირველი სხივის ელვარება. სიცოცხლე, ხელებაწვდილი, თავისუფალი, მიმზიდველი სიცოცხლე!.. აი, სუფთა, სპეტაკ წვერებივით ჩამოშვებული ნაძვის ხის რტოები... კიდევ მწვერვალები... იქ დაბლობში ჩამჯდარი სოფლები... იქ ჩვენებია. შესაძლოა კიდევაც დამეძებენ, სარდიონი, გიგო და სოკოლაც ხომ არიან იქ?.. მაგრამ სხვაგან, მთელს მსოფლიოში ხომ არ იქნებოდა ასეთი რამ, ასეთი წარმტაცი, ასეთი მჩქეფარე. ასეთი მიმზიდველი! იმ ნისლის ქვემოდ ჩასაფრებულ სოფლებში მე ახლაც ვხედავ თუ როგორ მოძრაობს ყოველი საგანი,—მიწაში ქვებიც კი აღარ ჩერდებიან, სხვა ფორმასა და გამოსახულებას იღებენ და ყველაფერი, ყველაფერი იცვლება იქ... ჩემი, თვალები თუ ჩამორჩება მხოლოდ იმ მომავალ ქვეყნის ხილვას და მხოლოდ ეგ არის დანაკლისი?.. ეგ არაფერი. მე თანახმა ვარ... და მიხარია კიდეც თუ ჩემი ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე სინათლის ერთ პატარა წვეთად მაინც შეემატება იმ ბრწყინვალე, სხივების ჩანჩქერებში შეცურებულ მომავალს... როგორი მშვიდი, მწყნარი და მიმზიდველია ბუნება... ყველაფერი რასაც კი ვხედავ, მაგრამ ჩვენი ცხოვრება კი... მე ისე ვცდები, აქაც მე ვცდები. ბუნებამაც ხომ იცის ამხედრება, ჭექა, ქუხილი, გრიგალები! ეს მართალია. ყოველთვის ასე მშვიდი და გამტკბარი როდია ბუნება. საკუთარ მკერდში დამწყვდეულო, საკუთარ ძარღვებში დაგუბებულო რისხვავ და სურვილებო! მე ძლივს მოვასწარი მოჯამაგირის ქერქიდან გამოძრომა და... ახ, რამდენი სიხარული, რამდენი წარმტაცი სასწაულები და სახელოვანი საქმეები იშლებოდენ ჩემს წინ, სხივმჩქეფარე ხეივნებად, სადღაც იქ, სადღაც წინ, გულში შადრევანებად ჩაღვრილ მომავალში იყო გაქცეული ჩემი კმაყოფილება, მისწრაფება და გამარვების უმწვერვალესი სურვილები... ნუ თუ ყოველივე ასე უბრალოდ და უსახელოდ უნდა დასრულდეს! ნუ თუ მხოლოდ ეგ იყო, ეგ იყო ყველაფერი?! არა, შეუძლებელია ეს! ნეტავი ეგ ჩემი სისხლი სტრიქონებად დაიღვრებოდეს, რომ ოდესმე, ვინმემ ერთხელ მაინც ამოიკითხოს ჩემი სახელი. რომ ერთხელ მეც ვარსებობდი, რომ ერთხელ მეც ვსუნთქავდი ამ ქვეყანაზე. საოცარია, საუკუნეები ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ან ორხელ თუ გახსნიან პირს, რომ ქვეყანას მისცენ ერთი ან ორი დიადი ადამიანი. ზოგ საუკუნეს კი არაფერი უშლის სულ

დამუნჯებულად ჩაუარონ ისტორიას. და მე ვინა ვარ, რომელ სოროდან გამომძვრალი ჭია ვარ მე?.. საცოდავო, უსუსურო ობოლავ! შენ, ერთ ნადირივით გაბურძგვნილ სარდიონსაც კი ვერ გაექეცი და წიწილივით ჩაგიგდო ხელში. ეხ, სარდიონ! ბევრი „პატივისცემა“ მახსოვს შენთან მოჯამაგირეთ ყოფნის დროს და ისევ შენ ჩაგივარდი. მე კი მეგონა სამუდამოდ გაგექეცი და შენს სუსხს ავშორდი... მზე ამოვიდა? უკვე გათენდა? და არავინ სჩანს?..—ტყუილია. ეს არ შეიძლება, აჰ!“

ბოლოს შემზარავად დაიყვირა ობოლამ, როდესაც კარის ჭრიალი მოესმა და ორი კაცი ტყიდან გამოვარდნილ ნადირივით შიგ შემოვარდა.

— როგორა ხარ. ხომ გადიფიქრე. ხომ თანახმა ხარ.—ნაწყვეტებად აგდებდა ვეებერთელა ახმახი მარპე და ობოლას უბღვეროდა.—ახლა ხომ ისწავლე ჭკუა. ვის ებრძოდი. რა გინდოდა. რა შენი საქმეა. ხო და ახლა ხომ დასწერ. ახლა ხომ ისწავლე ჭკუა.

ერთსა და იმავეს იმეორებდა მარპე, მხოლოდ დიონჯა ჯერ კიდევ უძრავად იდგა, ორივე ხელი სატევარზე დაედო და თვალებიდან წამოსულ რისხვას იატაკზე დაყრილ ბარათის ერთ მცირე ნამცეცს უმიზნებდა.

— რაღად მაწვალებთ! დროა ახლავე გაათავოთ და... ძლივს წამოსთქვა ღონემიხდილმა ობოლამ—ხორცი შეგიძლიათ წაიღოთ, ხორცი და ძვლები, სხვა კი რა მოგახსენოთ...

-- შეცდები! ასე ჭკუას როდი ისწავლი. და ვამბობ მე: ამას დასწერ და თავისუფალი იქნები.--იმავე ერთნაირი ტონით მიმართა მარპემ.—აი ქაღალდი, აი ფანქარი, დასწერე თავისუფალი იქნები. არა და, ხომ იცი... ამ მთას ორი ვერსი აქვს სიმაღლე და თუ აქედან გადაგიშვით თქვენ სოფლამდე შენი მტვერიც კი აღარ ჩასწვდება. დაფიქრდი, ჭკუაზე მოდი,—დასწერ მე ვამბობ, მე გამოცდილი კაცი ვარ. მე ბევრი მინახავს და ბევრს ვასწავლი.

დაასრულა მარპემ და კუთხეში ატუზულ ობოლას ზურგი უჩვენა.

— ჩვენ ახლა მივდივართ, ისევ შემოვივლით და ყველაფერი მზად უნდა იყოს.

ობოლას პირში ნერწყვი გაუშრა, ძარღვებში შეგუბებული, აშჩქროლებული სისხლი ვეება კლდის გვირაბებში ჩაღვრილ, შმაგ ტალღებივით გუგუნებდენ. მტერზე მუშტებით უნდა მისულიყო და სულს ვერ იბრუნებს.

თითქოს გულის ძარღვი გაიხსნა, შიგ ფილტვებში სისხლი ჩაიღვარა და თავწაგლეჯილ ქათამივით ავარდნილი გული ჩქარა სამუდამოდ ჩამოაფრქვევს სხეულში გაბნეულ სიცოცხლის უკანასკნელ ნაპერწკლებს...

და ობოლას თავში რაღაც აზრმა გაულვა: „რა საჭიროა დრო დავიმოკლო?“ და, მარპეს დაბალის ხმით ძლივს მიმართა:

— მე დრო მინდა. უცბად არ შეიძლება, მე სხვა კაცად უნდა გარდავიქმნე, აქ კი დროა საჭირო. მეც მოვიფიქრებ რომელ ქვეყანაში უნდა წავიდე..

— დრო?—თავის უკან მობრუნებით იკითხა მარპემ და ცოტა ხნით შეჩერდა—რამდენს მოითხოვ?

— ვნახოთ, ხვალ საღამომდე მაინც. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს დრო დიდია. ისევ შენ წააგებ. საჭმელსა და წყალს ვერ ეღირსები რაც ჩქარა იქნება შენთვის აჯობებეს.

და ისინი გავიდენ.

კარები მოიხურა. ალბათ ეს რაღაც ვებერთელა მორია გარედან ასე მძიმედ რომ მოადეს...

* * *

— „წავიდენ? გაბრაზდი მთაო, რომ ეგ არამზადები მძაფრად მოვარდნილ, ძლიერ გრიგალმა მოხეთქილ ქვებსა და რტოებთან ერთად ჰაერში აიტანოს და სადმე უფსკრულებში გადაჩეხოს! ანდა იმ ფრიალ კლდეებზე მაგარი მიჯახებით ლაყე-კვერცხივით გათქვიფოს! რა საჭიროა, ან რა ხსნას მოელიან აქედან? მხეცებო, უგნურებო! თქვენ იგივე მწერები ხართ, რომლებიც დასასრულის წინ ერთ მწვავე კბენით ათავებენ თავიანთ სიცოცხლეს. ჰკბინეთ! აქ არის ჩემი მკრედი!“

და ობოლამ მოღერებულ მკერდზე, მაგრად დაწურული მუშტი ძლიერად დაირტყა

— „დე, ეგ იყოს თქვენთვის უკანასკნელი იმედი, უკანასკნელი საზრდო და ნუგეში!.. ვთქვი და გათავდა: ჩემი დაპირება კანონად მიიღეს.—სიმართლედ წარმოიდგინეს. ეჰ, გონება გაუთლელნო და ბანჯგვლიანო მხეცებო! ეგ ხომ გაშიშვლებული მახვილის ჩადება იქნებოდა მტრის ხელში. რა იცით თქვენ, რომ ჩვენი სულის, ჩვენი ნებისყოფის გაღუნვა და გადატეხა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენი ძვლების და არსებობის“...

ობოლა მოქანცული დაეშვა იატაკზე. ორივე ხელები მუხლებზე დაიდო, ზევიდან თავი ჩამოდი და ახმაურებულ გულის ცემას ყური დაუგდო:

„რატომ აგრე გუგუნებ გულო. არაფერია... ჩქარა მოისვენებ. დიდხანს ალარ შეგაწუხებ... ნაირა! შენ ალბად გაოცებული დადიხარ ეხლა და მე დამეძებ. რომ შემეძლოს შენს ფიქრთა სხივებზე გადმოვიარო და თქვენთან მოვიდე! მაშინ გზა ყველა ჰორიზონტზე გაშლილი იქნება... ეჰ, ერთი პატარა სიამის წვეთი დაეცა ჩემს პირად ცხოვრებას და სიხარულის სიომ გულში სხვა ნაირი, რაღაც უჩვეულო ხმის გამღები ფოთლები შეარხია და... ეს იყო ალბად ჩემთვის პირველი და უკანასკნელიც... ახლა კი შეგიძლია სხვებს გაუღიმო და ჩემი მეგობრები არ მოაწყინო. ეგეც კარგი სამსახურის გაწევა იქნება ჩემო ნაირა, გაზაფხულის სურნელებით მოსილო, ახლად მოსულ დანამულ ბალახივით ნორჩო ნაირა! ცხოვრება ასეთია. ჩვენც ასეთები ვართ და ასეც მოხდება... პირველად ცრემლები, ცოტა ხნით კიდევ მოწყენა, შემდეგ გაღიმება, ბოლოს ხარხარი და ამის შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება...“

ობოლა მოსხლეტილი დაეშვა იატაკზე, პირაღმა გაიშალა და უნებლიედ თვალები დახუჭა. ბუნებამ მაინც გაიტანა თავისი: ის ნახევრად ჩაძინებული აჩქარებით სუნთქავდა, ხშირად ბორგავდა და რაღაც უცნაურ ბურუსში გახვეული უაზროდ ბუტბუტებდა... ზოგჯერ ტკბილ სიზმრებს მოქნეულ მახვილივით გულს უპობდა სასტიკი სინამდვილე, ზოგჯერ ამ სასტიკ სინამდვილეს თავის მხრივ ტკბილი სიზმრები წამოეპარებოდენ, ბოლოს მოუღებდენ მას და ასე დაუსრულებლად...

* * *

მან მეორე დღეს შებინდებისას კიდევ გაახილა თვალები...

— სად ვარ მე? უეცრად გაიფიქრა და ამღვრეულ თვალთა ხედვა კედლებზე სწრაფად შემოატარა—წყალი, წყალი! ვიხჩვები! ვინ არის, ვინ არის აქ?..—დაიყვირა მან.

— სადღა არიან? მეტის ატანა აღარ შემიძლია! მოვიდენ ბარემ, ჩქარა მოვიდენ და მალე გაათაონ! ჰეი ვინ არის მანდა! აქეთ, ჩემსკენ, გამოიარეთ, მე მზად ვარ, მე გელოდებით!"

ჯერ კიდევ არავინ ჩანდა. მან ისევ ჭუჭრუტანებს მიაშურა და გამალებით ათვალიერებდა მახლობელ მიდამოებს:

„ისევ იგივე მთები, იგივე, ნაძვის დამუნჯებული ხეები, ახლა თხელ ბინდში ჩამჯდარი ნაძვისა და ფიჭვის ხეები. ვის ელოდებიან, რას უცდიან აქ ეს ხეები? თითქოს პაემანზე არიან გამოსულნი და გულში შენახულ სიხარულით უსიტყვოდ დგანან. მთებიც ხომ დგანან? დამუნჯებულნი და მედიდურნი. ალბად ისინიც ელოდებიან მეორე საუკუნეს, რომელმაც ადამიანთათვის ფრთებ შესხმული სიცოცხლე უნდა მოიტანოს. შორს არის ეს საუკუნე? ყოველ შემთხვევაში ჩემამდე აღარ მოაღწევს. ალბად ასეთ უბრალო მომაკვდავებისათვის ნაბიჯებს არ აიჩქარებს და მოდის იგი თავის გზით, დინჯად, მედიდურად და ამაყის გამომეტყველებით".

ალბად ასეთია ცხოვრების კანონი; ზოგიერთი აუცილებლად უნდა დაიღუპოს, მძლავრად ამოქმედებულ ეპოქამ მხრების შერხევით სადმე გასრისოს, რომ სამაგიეროდ უზრუნველყოფილ იქნეს უმრავლესობის გადარჩენა და კაცობრიობის უფრო საიმედო, უფრო ბრწყინვალე სიმაღლეზე აყვანა. და მერე ამ უბრალო, ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე, ხომ არაფერს უშლის ამ ვებერთელა, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას?

,,ვინ იცის ალბათ ჩვენისთანების სისხლი აუცილებელი პირობაა ამისათვის. სხვანაირად არ შეიძლება, სხვანაირად არ მოხერხდება. და იფიქრებს ვინმე, სადმე და ოდესმე რომ უამრავ მსხვერპლთა შორის ერია ერთი, სოფლელი ბიჭი, ყოფილი მოჯამაგირე? თუ არ იფიქრებს დე, შეუერთდეს ჩემი მსხვერპლი იმ უამრავ მსხვერპლის საერთო კრებულს, რომელთა სახელი საერთოდ იქნება ხსენებული და სადმე ჩაწერილი. მე თქვენთან მოვდივარ ძმებო! თქვენთან, დაღუპულთა საერთო კრებულში. მოვალ მე და თქვენც მიმიღებთ. მე ასე მგონია, ასე ვარ მე დარწმუნებული და ალბად არ ვცდები."

* * *

კაცის გული მთელი სივრცეა, მთელი სამყაროა ამაყოფნისა, სადაც ზოგჯერ განუწყვეტლივ ეცემა გრძნობათა მდუღარე წვეთები, კრთის უშურესი და უსპეტაკესი ლაჟვარდები, გრიალებენ ათასხმოვანი, სიმძაფრით დასეტყვილი მელოდიები და გუგუნებენ გაშმაგებულ ოკეანეს უსაზღვრო ტკივილები...

მაინც საოცარია: ვინ იცოდა თუ ასე ძნელი იქნებოდა სიცოცხლესთან გამოსალმება! ყველაფერი, ყველაფერი ერთად წამოიშალა ეხლა და ობოლას ყელში ჩაკეტილ სუნთქვას უმოკლებს... სიცოცხლე, სიცოცხლე! ფაფარ აყრილი, ცამდის ამაღლებული და ვარსკვლავებთან შეერთებული სიცოცხლე!

„მაშ ჩქარა მოვლენ, არაფერია, მე ხომ მშიშარა არა ვარ და უბადრუკი მოდგმის ადამიანი! მოვიდენ, ჩქარა მოვიდენ და გაათაონ. მეც მტკიცე, ურყევ ნაბიჯით მიუახლოვდები დასასრულის წუთებს და თავში ავარდნილ სისხლის ჩრქოლვას მალე შევაჩერებ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის მართლაც გასწორდა წელში. ვაჟკაცური გამომეტყველება მიიღო და კარებისაკენ მტკიცედ წავიდა. თითქოს განგებ, თითქოს წინასწარ გულმა უაზრა ობოლას, რომ სწორედ ამ დროს მივიდოდენ მასთან და სწორედ ამ დროს გააღებდენ ისინი გარედან მაგრად მოკეტილ კარებს.

უეცრად, შიგნიდან მომდგარ ობოლას თვალებს გარედან მოეგება მარპეს ამღვრეული თვალები და მას პირველად კიდევაც გაუკვირდა თუ ასე რამ გამოაცოცხლა ეს ნახევრად მკვდარი, ნაცემი, უჭმელი და უწყლობით წამებული ადამიანი, რომელიც ახლა მათი ანგარიშით ყოფნა არ ყოფნასთან უკანასკნელ ჭიდილში უნდა ყოფილიყო.

— მობრძანდით—მტკიცედ და თანაც დამცინავის ხმით მიახალა ობოლამ მოსულთ და გზა დაუცალა.

— მხიარული ხარ—მოკლედ მიმართა მარპემ ახლა რაღაც ირონიულად გაღიმებულ ობოლას—ალბად უკვე შეასრულე ჩვენი დავალება.

ობოლა კვლავ ირონიულად იღიმება და გულში გაივლო:

„შევეწირო? ახლავე? არა! ასე არ აჯობებს, ვინ იცის სრულიად მოულოდნელად, სრულიად შემთხვევით სადმე ამ ჩაკეტილ კარებშიაც შემოყოს ხელი სიცოცხლის მცირე ნიშანმა და რაღას ვიჩქარი. წყურვილი? სიმშილი? ეს არაფერი! თუ მომკლავს მოვკვდე და ამით გათავდება“.

— ა, მზად არის?—ისევ შეეკითხა მარპე და პასუხს გაუნძრეველ ხედვით დაელოდა.

— დილით!—მოკლედ მოუჭრა ობოლამ და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ნუ ეთამაშები! გამოვათრიოთ და! მუშტის ღერებით და თვალების ბრიალით ჩაერია დიონჯა და წინ წამოდგა.

— მოიცა!—შეეჩერა ის მარეპს ძლიერმა მკლავმა და მან ისევ ობოლას მიუბრუნდა—ხუმრობა კმარა! გვითხარი გადაჭრით თორემ!... და ყელში მომდგარი ბრაზი მარპემ ძლივს შეაჩერა.

— მე აღარ ვხუმრობ გადაწყვეტით ვამბობ და იქნება.

— წავიდეთ!—თითქმის ყვირილით მიმართა მარპემ დიონჯას და უკანვე სწრაფად გაბრუნდენ.—ვნახოთ ეგ დილაც ჩქარა იქნება და ვნახოთ!—გარედან დაიძახა მან, კარები ისევ მაგრად ჩაჰკეტეს და წავიდენ.

ობოლამ ჭუჭრუტანებიდან გახედა წასულებს, რომლებმაც იქვე შეუხვიეს და ტყეს მიეფარენ.

* * *

ამ საღამოს ჩამავალი მზის აფერადებული სხივები კარგა ხანს უცქერდენ იმ მაღალ მწვერვალებს. ალბად ეს მზის უკანასკნელი ამბორი იყო დედამიწისადმი მიძღვნილი. სჩანს ბუნების ძალებიც კი ეტრფიან ერთმანეთს. ადამიანის გულიც ხომ სავსეა ათასგვარ მგზნებარე გატაცებებით. ის რაც გულშია და

სულს ამღელვარებს სადღაც მიილტვის, თავის გზას, თავის დასაყრდენ საგანს დაეძებს. ალბათ იპოვის. თუ ვერ იპოვა? დაიტანჯება, უსათუოდ დაიტანჯება ადამიანი...

,,ჰეი, საქონლის შარდითა და ნეხვით აშმორებულო შავო ბუნაგო!...

იყვირა ობოლამ და მსხვილ მორებით შეკრულ კარავს თვალი მოავლო. ფრჩხილებით, ან კბილებით მაინც შეეძლოს ამ ჯაგლაგ მორების გაგლეჯა. არც ერთი ჯოხი, არც ერთი ნასახი რაიმე საგნისა, არც თოკი ყელზე რომ მოიბას...

წყურვილი, ცეცხლმოდებული, დაუსრულებელი წყურვილი.

,,რა კარგია, ო, ჩანჩქერებო! ნეტავი ეხლა მომაქცია სადმე თქვენს ფსკერზე, რომ დაღებული პირი მიუშვირო ზევიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერებს და მთელი წყალი უცბად შევისუნთქო. მეყოფა? ჩანჩქერიც რომ გამოილიოს? ერთხელ ხომ მაინც მოვიბრუნებ სულს, ერთხელ ხომ მაინც ამოვისუნთქავ თავისუფლად და ესეც კარგია...

* * *

მწარე, გაშმაგებული, ნაღვერდალივით გახურებული სხეულის გაცოფება. ღამე, უსაზღვრო, წამებაჩაღვრილი ღამე. ყველაფერი, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი დაშორებული და წასულია.

უკვე საბოლოოდ გაქრა წარმოდგენა გარეშე სამყაროზე. რაიმე ფიქრის ყველა ძაფები, კარგახანია ჩამოწყდა ხეებს, მთებს, საყვარელ ადამიანებს და ყველაფერი, ადამიანის ყოველი შესაძლებლობის ძალები ახლა მხოლოდ შინაგან ჭიდილზე, შინაგან, გაუთავებელ წვაზე გადავიდა.

რომ შეიძლებოდეს სისხლის, საკუთარი სისხლის დალევა, რომ შეიძლებოდეს სიცოცხლის საკუთარი ხელით შეჩერება, საკუთარ ხელით ჩახშობა. ბედნიერება, ეს ხომ დაუსრულებული ბედნიერება იქნებოდა...

კუთხეში სულმობრძავად მიგდებულ ობოლამ თვალი გამოახილა: ,,მზე ამოსულა. ქვეყანა ისევ გარედ ყოფილა. საოცარია, როდის მოვიდა დილა, როდის წავიდა ღამე? გადავაბიჯე თუ არა მე სიცოცხლის საზღვარს? იქ მწვერვალებისაკენ, თოვლის ფიფქით შესუდრული ნაძვის ხეები, ნაძვის ხეები, ქვემოდ გორაკები. ვინ არიან ისინი? და ხეები ფეხით მოდიან?... ალბად ეს არის ბოლო სიზმარი ყოფნა არ ყოფნის ფსკერზე დასულ სიცოცხლის... დამუნჯებულხართ მაღალო მთებო და ელოდებით რამდენი სიცოცხლე წარმოიშვება და ისევ ჩაკვდება თქვენს წიაღში, რამდენი მზე და მთვარე გადაივლის თქვენს, გრიგალებისაგან თეთრად შევარცხნილ თავზედ,- რამდენჯერ აენთება და ისევ ჩაქრება თქვენს ზევით უთვალავ ვარსკლავებით შეჭედილი ცა... მაგრამ ხეები ისევ მიდიან? თვალებო ჩემო! სადა ვარ მე?!.. ნუთუ ეს ისევ სიზმარია და მოჩვენება? არა, არა!! მე აქ ვარ! მე ისევ ცოცხალი ვარ და ისინი ჩემი მეგობრები არიან!.. წამოდექი, ჩქარა ფეხზე წამოდექი უსუსურო სხეულო ჩემო და მკლავებ გაშლილი მიეგებე მოახლოვებულ სიცოცხლის ნიშანს... მაგრამ ჰე, ეს არ შეიძლება! სურვილები ყოველთვის უსწრებენ სინამდვილეს. რამდენი ათასი ფუთი ყოფილა ჩემი თავი და კიდევ მეტი ჩემი სხეული... კარგად დავინახო. მეწისქვილე მოხუცი? და ისინი ვინღა არიან? დოინჯა და იგი ახმახი? ჰეი!!“—

უხმოდ თავის გულშივე დაიკივლა მან როცა მარპესა და დიონჯას სხეულებმა მოახლოვებულ შვების სხივი შუაზე გაჰკვეთა. უნდა დაეძახნა მას, უნდა ავარდნილიყო ზეზე და ცამდე მისაწვდენ ხმით დაეყვირა, მაგრამ ეს შეუძლებელია. გამშრალი, უკვე ერთი მეორეზე სავსებით დადულებულ ბაგეების გაღება შეუძლებელია...

ობოლამ აქ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, სხეულში წერტილებად დარჩენილ სიცოცხლის ნიშანს თავი მოუყარა და კარებთან ძლივს მიჩოჩდა. „უნდა მოასწრონ" გაიფიქრა მან, კარზე შიგნიდან გაკეთებულ რკინის სახელურს ძლივს მიწვდა და შიგ მკლავი დიდის წვალებით გაუყარა.

გარედან მოვარდნილი მარპე და დიონჯა გააფთრებით ეცენ ამ კარებს, რომ ობოლასათვის გაჭიანურებული სიკვდილი საბოლოოდ შემოეტანათ.

მაგრამ რა მოხდა? შიგნიდან ვის უნდა ჩაეკეტა კარები?... და ისინი მაგრად ეცენ ამ კარებს. მთელის ძალით თავისკენ ეწეოდენ მას მაგრამ...

და ობოლამ იგრძნო გარედან მის ფერდში შეუმჩნევლად ჩასული ხანჯლის სიმწვავე. რაღაც თითქოს სამარიდან ამოძახილი. გინების ხმა,—სროლა, კვამლი და ამის შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცა...

—

და კადონამაც შეუმჩნევლად დაჭკარგა სიტყვა. ტუჩები ერთმანეთს მაგრად დააჭირა და თვალები დახუჭა... ჩემი გული და სულიც აფორიაქდა: არ ვიცოდი თუ რა მოხდა მას შემდეგ... არ ვიცოდი თუ რა მოსდის კადონასაც და მე უნიბლიედ, მწუხარებასთან შეერთებულ გრძნობების გაღვივებით შუბლზე ცივი ხელი დავადე მას და მიბნედილ თვალებში კარგად ჩავხედე.

მან თვალი გამოახილა. სახეზე უაღრესი, მეგობრული, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით მომაჩერდა, შემდეგ თვალები ისევ დახუჭა და ძლივს წარმოსთქვა:

— ეგ არაფერი მეგობარო. ბევრი აღარ დარჩენილა და ჩქარა გავათავებ...

და კადონამაც განაგრძო:

— ობოლას გაოცებას საზღვარი არ ქონდა. მას ვერ წარმოედგინა თუ სად არის. ზევით თითქოს ცა უნდა იყოს, დიახ ცა და სილურჯეში გაქცეული თეთრი ღრუბლები... და თითქოს ის აკვანში წევს, სივრცეებში ამ თეთრ ღრუბელთა შორის ამაღლებულ აკვანში წევს და სადღაც მიილტვის. „ოჰო, დედამიწა? მთები? ხეები? და მეწისქვილე, მოხუცი, გასაგებია. ამხანაგებო! — არაჩვეულებრივი სიხარულით დაიძახა მან თავის გულში და ამხანაგებმა ის საკაცურზე დაკრული დაუშვეს ძირს, მთის კონცხთან.—

ობოლას ამხანაგების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ისინი გაჩირაღდნებულ სახეებით გარს შემოერტყენ და სიცოცხლით სავსე გამომეტყველებით დაჰყურებდენ მეგობრის ახლად გახელილ თვალებს.

ობოლა ხმას არ იღებდა, ის პირს ვერ აღებდა, მაგრამ თავის ოცნებაში უკვე გადაჰკოცნა ყველა, ახლა მის გარშემო იმედის ფრთებად შემომსხდარი ამხანაგები... და ყოველივე ეს მოხდა რაღაც სხვანაირი, ყველაფრის მთქმელ და ყველაფრის ერთად გამომსახველ გამომეტყველებით...

— იცნობ? — ღიმილით კითხა ობოლას ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა, რომელმაც შეპყრობილი მარპე და დიონჯა წინ წამოაყენა... ობოლას გული აუვარდა, სული აუჩქროლდა და... მეგობრისადმი პასუხად თვალები დახუჭა...

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ კადონამაც შეაჩერა თავის საუბარი. ახლა იმანაც თვალი დახუჭა და სუნთქვას უმატა... მე რაღაც შიშმა შემიპყრო. ობოლას საბოლოო ბედმაც დამაინტერესა და თვალდახუჭულ კადონას საშინელი მღელვარებით მივაძახე:

— კადონა! ჩემო ძვირფასო მეგობარო ბარემ მითხარი, შემდეგ რაღა მოუვიდა იმ საწყალ ბიჭს. მოკვდა? გადარჩა?

კადონამ ისევ ნელა გამოახილა თვალები და სრულიად დამშვიდებული გამომეტყველებით გადმომხედა.

— არ ვიცი მეგობარო... შესაძლებელია ერთიც და მეორეც, ეგ საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. როგორც გადაწყდება თქვენ თვით დაინახავთ...

— მე? — გაკვირვებითვე მივაძახე და თავში რაღაც საოცარმა აზრმა გამიელვა: მაშ აგრე, ეგ შენა ხარ! უსათუოდ შენა ხარ, შენ! ობოლა ხომ იგივე კოდონაა, იგივე, ახლა ჩემს წინაშე განრთხმული კოდონა და სხვა არავინ!..

— არ ვიცი მეგობარო — მიპასუხა მან — განა სულ ერთი არ არის? რა განსხვავებაა; ადამიანს მარჯვენა ფეხს მოსჭრიან თუ მარცხენას. დანაკლისი და ტკივილებიც იგივე დარჩება.

ჩემთვის ამის შემდეგ ყველაფერი ცხადი იყო. მეც კადონასადმი რაღაც არაჩვეულებრივი მეგობრული პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით ავენთე: მხოლოდ ორიოდე წუთის განმავლობაში ათეულ ჟრუანტელის ნაკადმა გაირბინა მრთოლვარე ძარღვებში... ამ დროს ვილაცამ ოთახის კარები შემოაღო. მე ზეზე წამოვდექი. კადონას მხურვალედ გამოვემშვიდობე და გონება აფორიაქებული გარედ გამოვედი: „ჩაძინებულო, ათასგვარ სიხარულით და ტკივილებით გაჟღენთილო ჩვენო სოფელო!..“

* * *

ერთი თვის შემდეგ მეათეჯერ ვანუგეშებდი და ვპირდებოდი ეზო ჭისკარზე შიგნიდან მოყრდნობილ, თვალცრემლიან დედაჩემს, რომ მე ისევე ჩქარა დავბრუნდები, რომ ისევ ჩქარა ჩავიდოდი სოფლად და აქ ფერდებ ჩალეწილ, მიყრუებულ ქოხმახში ხანშესულ დედას მაინც უნუგეშოდ არ დავტოვებდი. მაგრამ დედაჩემისათვის ესეც ცოტა იყო და ის კვლავ განაგრძობდა ათასგვარ დამამტკიცებელ საბუთებით პირობის ჩამორთმევას...

მე უკვე დავტოვე ის...

აჩქარებული გულის ცემით გამოვიარე ვიწრო შარა გზა და რკინის გზის სადგურის მიმართულებით გავეშურე...

აი, სოფლის საავადმყოფო, უკვე ფოთლებიდან სავსებით განთავისუფლებულ ტიტველ ხეებში ჩამჯდარი, რამოდენიმე პატარა შენობებით.

მზე მაინც აღარ ეშვება, მზის სხივები მაინც ისევ გულმოდგინედ ჩასცქერის საავადმყოფოს ეზოში ფოთლებ დაცვენილ ხეების რტოებს და იქვე მოგრძო

საჯდომებზე აქა იქ კენტად ჩამომსხდარ ავადმყოფების უფერულ სახეებს. — ეგ ვინ არის? კადონა? ვის დაემშვიდობა ასეთი გრძნობით, ვინ არის ის ქალი? — გავიფიქრე მე და მაშინვე ვიცანი ის ახალგაზრდა ქალი ამ ერთი თვის წინად მომაკვდავ კადონას ოთახიდან გულწასული, რომ გამოიყვანეს. ალბად ეს არის იგივე ნაირა, რომელსაც კადონა მთაში სიცოცხლესთან გამოსალმების უკანასკნელ წუთებში ასე იგონებდა:

ის წავიდა, ხოლო მისუსტებული, სახე გაფითრებული და გამხმარ ჯოხივით აყუდებული კადონა ხის ძირას მარტო ჩამოჯდა.

მე ველარ მოვითმინე, ჭიშკარში შევედი და თავისათვის მარტოდ ჩამჯდარ კადონასაკენ გავეშურე.

მან ჩქარა მიცნო. ზეზე ჯოხის დაბრჯენით ძლივს წამოდგა, თვალები გაუნათლდა და ჩვენ მხურვალედ მივესალმეთ ერთმანეთს. მე აღარ ვიცოდი რით შემეძლო, რაში უნდა მომეთავსებია ახლა თითქმის სავსებით განკურნებულ კადონას ნახვით გულში ჩაღვრილი აღფრთოვანებისა და კმაყოფილების ძლიერი გრძნობები.

ჩვენ ერთად დავსხედით. მე მას გადავეცი, რომ უკვე მზად მაქვს ამბავი, რომლის შესახებ ამ ერთი თვის წინად მან სხვის შესახებ მიამბო, მაგრამ რაც სინამდვილეში კადონას ნამდვილ თავგადასავალს წარმოადგენდა. მან დაბეჯითებით მთხოვა, რათა იქვე წამეკითხა ჩემს მიერ ჩაწერილი ამბავი.

— ჯერ კიდევ თქვენს განკარგულებაში ორი საათია მეგობარო. მანამდე კიდევ დროა და მოასწრებთ — ამბობდა ის.

მე გადავსწყვიტე მისი თხოვნის შესრულება. ჩემოდნიდან ხელთნაწერების რვეული ამოვიღე და პატარა ამბავი სწრაფად გადაუკითხე, მე დავასრულე. კადონას სახეზე შევხედე და შიში ვიგრძენი:

მისი, არაჩვეულებრივად ჩაყვითლებული სახე, ფოთოლივით ჩალურჯებული ტუჩები, თვალებში უდიდესი სიხარულის ელფერი კრთის, მაგრამ სული ყელს ებჯინება და ხმის ამოღებას ველარ ახერხებს.

მე მას ხელზე ხელი მოვკიდე, ოდნავ შევარხიე და... მან სული ამოითქვა, ტუჩები უცნაურად აათამაშა, ფეხზე წამოდგა და არაჩვეულებრივი მგზნებარე გამომეტყველებით მიაჩერდა შორს, ჰორიზონტის რგოლებთან მიმდგარ, მომღიმარე, შემობრუნებულ სიცოცხლის სხივოსან კრთომას.

და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

მან თვალებზე მომდგარი ცრემლები ძლივს შეაჩერა, უდიდესი პატივისცემის გრძნობით ერთხელ კიდევ კარგად შემომხედა და უკანასკნელ, გამოსაშვიდობებელ სიტყვებს ასე დაუმატა:

— მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! სალამი ქალაქის ამხანაგებს. გქონდეთ იმედი, რომ ჩვენ ისეთივე დაჟინებით ვიბრძოლებთ, სარდიონები, რომ გზას გაუყენეს და მთელი სოფელი გაერთიანდა, ეს ხომ ყველაფერი არა არის. ჯერ კიდევ მრავალი ბორბლების ამოძრავებაა საჭირო, რომ ჩვენი სოფელი ქალაქს დაეწიოს.

მან ამით დაასრულა და უკან მოიხედა, რომ ბრწყინვალე მომავალთან ერთად, თავის სიცოცხლის პატარა გზაზე, საკმაოდ ნათელი წარსულიც დაენახა.

მე მას დავშორდი.

სადგურსა და ჩვენს სოფელს შუა ამაღლებულ გორაკიდან ერთხელ კიდევ შევავლე თვალი, ერთხელ კიდევ მოვისუნთქე სულ სხვა აზრებით, სულ სხვა მისწრაფებების ალმურში გახვეული, თანამედროვე სოფლის ჰაერი, წინ გავიჩქარე და გულში ვიმეორებ“.

„მშვიდობით, სიხარულით, ტკივილებით და გამარჯვების ურყევი რწმენით აღგზნებულო ჩვენო სოფელო“!

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა...

1.

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა
ნუშის ნაფერთალი,
ცას ვარსკვლავი ანათებდა,
ვით კამეჩის თვალი;
ლაწანა და ქვახეთქილა
ძგრიალებდა ქარი,
ქალაქს ქარი მოარბევდა,—
მთათა სერასკარი.[1])
ქარი სტამბოლს მიდიოდა,
ქაჯავეთის ქაჯი,
ცას ღრუბელი დაეყარა
თეთრი, როგორც ყაჭი.
ღამე იყო გათეული
ძეზოვის ქურქით
და სარკმელთან კამათელი
კალმახური ზურგით
ბზრიალებდა, ყალ-ყზედ იდგა
ვით ყაბახის ცხენი...
(სად ლპებოდა ბეჭდიანი,
ვა მანანას ხელი...)

2

— მართლა იყო ქარიშხალი?
— არა, ყავრის ქარი.
წყნარი იყო მტრედივითა,
თბილი, როგორც კვარი;
ალარავის ალარ ჰქონდა
გული ნამტკივარი
ყვავილებით, ზიზილებით
მოშხუოდა მტკვარი...

3

იალლუჯის ლურჯ მთებიდან
ყვითლად მობაბანე, —
საღვინით და შოთის პურით
მზე დაადგა ბანებს.
ჩაქრა ყველა ვარსკვლავები,
ვით კამეჩის თვალი;
ქარმა ქალაქს დაუშინა
ნუშის ნაფერთალი...

4

ილვიძებდენ პოეტები —
გამომშრალი პირით,
ილვიძებდა მემწვანილე —
გიშერთვალა ვირით.
ილვიძებდენ საზანდრები —
ქვეყნის სადიდებლათ;
შავარდენმა შეისროლა
ცაში ოქროს წკეპლა...

5

ტფილისი კი — იხილავდა
წყლულებს განუკურნელს
და აყნოსავდა ლექსებისა
და ტარხუნის სურნელს...

---

[1]) სერასკარი — ოსმალთა ლაშქრის სარდალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული.

ანარეკლი

მოთხრობა.

მზე გადიხარა, თავზე თეთრი დოლბანდი შემოიხვია, შემოიბურა სახე, სწრაფად მიეჩქარება, შორი გზა აქვს გასავლელი და ეშინია არ დაეწიოს გველეშაპი, არ დაიჭიროს, მიდის მიეშურება; თავსაფარი გაუნაცრისფერდა, გრძელი კუდი გამოება, წამოიგრაგნა, შავ ღრუბელად გადაიქცა გამჭვირვალე თავ საკრავი... ჩამოცხა, ნელმა ნიავმა წამოუბერა და აქა-იქ ტყაპატყუპით ჩამოსცვინდა წვიმის წვეთები, დაეცა ნაგვალევ მტვრიან მიწას, ფართოდ გაიტყაპნა და თიხის სუნმა შესცვალა პატარა მოტიტვლებულ ეზოში ჯერ კიდევ თონიდან ამოუყრელ მადის აღმძვრელი პურის სუნი. თონის გვერდით დაშლილ ურმის ხელნაზე ზის დედაკაცი, მარჯვენაზე დაყრდნობილს არ ესმის რა ხდება ირგვლივ, ვერც წვიმის წვეთებს გრძნობს მსუბუქ კაბაზე... სველდება ნელ-ნელა... ის შთაუნთქავს, ჩაუყლაპავს საგონებელს, წასულა შორს აქედან ოცი წლის წინ გარდასულ ამბავს იგონებს...

„კვირა დღე იყო, თამაშას მოვრჩით გოგო ბიჭები. დოლი წაიღეს, ჩვენც დავიშალეთ, მწყემსებს საქონელი მოერეკათ სოფელში, ძროხა და ცხვარი არეულიყო ერთმანეთში და მტვრის კორიანტელი დაეყენებიათ.

— თაფლო! მამაშენი შინ არის თუ იცი? გადმომძახა თავის სახლის ბანიდან ბიძა ჩემმა.

— რა ვიცი ალბათ შინ იქნება.

— უთხარი აქ ამოვიდეს...—დამიძახა.

მამა შინ დამხვდა, გადავეცი დანაბარევი. შუაღამემდის აღარ დაბრუნებულა მამა სახლში“.

საქმე თურმე ასე იყო... მამასახლისს ქიტესას თვალში მოსვლიყო ღარიბ გიოს გოგო და შუამავლად ქალის ბიძა სესე აერჩია.

დუქანში გაიმართა შუამავლობა, ივაჭრეს, ილაპარაკეს, გადაწყდა ქალის ბედი, გაიჩარხა საქმე და ექვსიოდე ბოთლი ჩამოასხეს ქიტესას ხარჯზე სასიძოს მოგზავნილმა კაცებმა.

მიკიტანი გაუმხიარულდა გულუხვ სტუმრებს, ქოსა ულვაშებზე გადისო ქონიანი ხელი და მხიარულ სუფრას შიშხინა მწვადები მიუმატა.

—

თაფლო! შვილო აქ შემო!..

ეძახის დილით გიო ქალს... თაფლო ფილაქნიან აივანს ჰგვიდა, დააგდო ცოცხი და შევიდა დიდ დარბაზში, ქალის დედა, ტახტის პირას ჩამომჯდარა, დასცხომია, თავსაფრის ყურები აქეთ იქით გადაუყრია მხრებზე. უსიამოვნო სახე აქვს... დედამ შეჰხედა ქალს შებრალებით, რაღაც საშიშროების მოლოდინია.

— ხრრრ...

გულის შემაერთი ზონარი გაეხსნა, თითქოს რაღაც ძარღვი გამოიზიდა გული გაირღვა და დაიხურა...

გიო ყალიონს სწევს, ქალს ღიმილით უყურებს.

თაფლო დგას და მოელის განაჩენს.

— კარგი ბედი გეწვია შვილო. მეც ბედნიერი კაცი ვყოფილვარ. ღარიბ კაცს ღმერთი შველისო რომ იტყვიან ამას ჰქვია.

თაფლომ თვალები დაახამხამა და დედას შეხედა.

— წუხელის გავათავე საქმე მამასახლისთან... არც მზითს თხოულობს და არც ქრთამს... დოვლათიანი ოჯახის პატრონია, შენს დღეში მაძღარი გექნება კუჭი.

თაფლო აილეწა, დედა კიდევ მას შეჰყურებს.

— შე კაცო, არც-კი, გვკითხე ისე როგორ გაუთავე საქმე?

— რა კითხვა მინდოდა, მაგაზედ კარგს ვის უნცა მივსცე, მთავრობის კაცია, ჭკვიანი და პატივცემული...

— უნდა გეკითხა მაინც სახლში თუ არა?

დედაკაცო ვისთვის უნდა მეკითხნა შენთვის და ამისათვის? მიუშვირა ხელი თაფლოზე...

— კიდევაც რომ ჩვენთვის...

— ბევრ ჭკუასაც გამოგრჩებოდით... ჩემი საქმე მე უფრო არ ვიცი?

— შენ-კი იცი მაგრამ მეც ხომ უნდა ვიცოდე, ის თითქმის ბებერია, დრო მოჭმული, ჩვენი გოგო-კი სულ ახალგაზრდაა თექვსმეტისაც არ არის ჯერ, შეხედე ამ ბავშვს არ გეცოდება?..

— ბებერი ჰო, თქვენმა მზემ...

თაფლო ქვითინით ჩაეკვარდა დედას კალთაში...

— მიშველე დედა, მიშველე...

სლუკუნებს, დედაც სტირის.

— ხმა ჩაიწყვიტეთ... ერთი ამას უყურე როგორ დააღეს პირი!.. მეც რას ვეკითხები... არა თქვენმა მზემ ქალი მშიერ სანდრუას მივათხოვო და მეორე დღეს მევე მთხოვდეს ჩანახით ფქვილს... დიახ... რა სულელი ნახეთ გიგუა... ე მანდ თქვენთვის ეყარენით... ჩემი საქმე მე ვიცი... თქვენ ვინა გკითხავთ?..

— ადამიანო ვერ მივცემ მამასახლისს ქალს... დედა ვარ თუ არა?

— დედაკაცო, ენა ჩაიგდე თორე, მე ვიცი შენი, ერთი მიგიზილოთ ორთავეს გვერდები...

დასჭყივლათ კაცმა თავზე, ჩიბუხი თუთუნით აივსო და კარზე გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლოს სხვა მოსწონდა, სხვაზე ფიქრობდა... ბევრი იტირა, ირეარა მაგრამ არავინმა შეიწყნარა, დედამაც ვერა უშველა რა... მამას, ოჯახის პატრონს და უფროსს, ასე უნდოდა, ვის შეეძლო იმის გარდუვალი?

—

ერთ შემოდგომის უგემურ დღეს, როდესაც ნელი წვიმა სცრის, იჟინჟლება, სოფლის ვიწრო გზებს ატალახებს, სოველი საქონელი, ბოსლის გვერდით თავ შეფარებული იცოხნება და ადამიანს ნოტიო უვლის ძვლებში,—ასეთ საღამოს იდგა თაფლო ეკლესიაში უსიტყვოდ, ცხვარივით მორჩილი, გვერდით ედგა გრძელ ულვაშა, ნაოჭიანის ჩოხით, ყელ მოღერილი მამასახლისი. დასწერეს ჯვარი, ჩააბარეს ქმარს. გამოეთხოვა თაფლო გუშინდელ ყმაწვილ ქალობას, როგორც შემოდგომის გაყვითლებული ფოთოლი ეთხოვება ზაფხულის მშვენიერ დღეებს.

ჩაება თაფლო ოჯახში... ახალი ბატონები წამოიჭრნენ მის ცხოვრებაში; ემსახურა ქალი ჭალარა შერეულ ქმარს, მტერ მოყვარეს, კუთხე მეზობელს დაზარდა შვილები... წავიდა ასე დღეები... დრო გამოიცვალა, ახალმა ხანმა ახალი ამბები მოიტანა. დაიხსნა სკოლები, ,ქალ ვაჟნი სწავლა საქმეს შეუდგენ. სხვა ფიქრი და ინტერესი დაიბადა ცხოვრებაში.

—

თაფლოს თამრიკო გასათხოვრად შეღერილია მაგრამ ის სრულიად არა ჰგავს თავის დედის ახალგაზრდობას.

მოკლე კაბასა და უბრალო ხალათზე ბიჭურად ატარებს ქამარს, თმა გაკრეჭილია და არც პირის საცხებელს ხმარობს, მბრძანებელს არ გრძნობს თავის თავზე. სოფლის შვიდწლედი დაათავა... კრებებზე დადის. ქალაქში წასვლა უნდოდა მაგრამ რაღაც ვერ მოეწყო საქმე... გაზეთს იწერს, თავისთვისაც კითხულობს და სხვებსაც უკითხავს. უბნის დედაკაცებს წერა კითხვა ასწავლა...

თაფლოს გულს უხარებს: „განათლებული შვილის ჰყოლა". მაგრამ ბევრი რამ უკვირს ხნიერ ქალს „წინეთ ასე არ იყო". ამ საღამოს მოულოდნელი მეხი დაეცა... მძიმეთ დაიტანა, ურმის ხელაზე მისჭეჭყა და ველარ დგება ქალი... ვერც გამორკვეულა... ათი წუთის წინ მოხდა ეს ამბავი... აი ეხლა გაიგო.

— თამრიკო! შვილო მოდი აქ, პურის ამოყრა მიშველე დაუძახა წელან ქალს...

— არა მცალია დედი!..

გამოეხმაურა ქალი აივნიდან... ნელა ჩამოვიდა კიბეზე და მიუახლოვდა დედას...

— რა ცალები გკიდია გოგო?!

— რა დედილო და...

ქალი შედგა შეიშმუშნა.

— ჰო და რა... მომაწოდე ეგ შამფური, რას ილრიჯები?

ლაპარაკით თონეს უვლის დედა, ცეცხლს ნაცარი ჩააყარა შესანელებლად, დახედა... ისევ მოუჩხრიკა...

— დედი!..

— რაა შვილო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედი მე ამ საღამოს მივდივარ სახლიდან.

— სად მიდიხარ შვილო?!

— დედილო მე...მე...ე...ე... გა...ვთხოვდი...

— იჰ, ერთი რა მასხარა ხარ, მოიტა საფხეკი...

ქალმა თონის საფხეკი მიაწოდა თან ელაპარაკება.

— არ გემასხრები დედას სიცოცხლემ...

— რათ იცი გოგო ერთი უშნო ხუმრობა, ტყუილზე მიფიცებ არა გრცხვენია...

— არ გიფიცებ ტყიულზე, სოსიკოს გეფიცები. .

თაფლომ თონის საფხეკს და რკინის კაკვს, პურის ამოსაყრელს, გაუშვა ხელი... ნელა დაჰყარა მიწაზე...

თვალებში იჭვმა გაურბინა... შეშფოთებული მზედველობა მიაპყრა ქალს. თამროს გაეცინა.

— კიდევ არ გჯერა დედა? გუშინ ვიყავი ზაქსში...

— რა სთქვი?...

— გუშინ ვიყავი ზაქსში.

— შე...შე...შენ... გა...თხოვ...დი?...

— ჰო, გა...ვთხო...ვდი..

— ვის გაჰყევი...

ამოილუღლუღა თაფლომ; ნეწყვი გადასცდა...

— დიღმელაანთ ნიკოს...

დედა მძიმეთ დაეშვა ურმის ხელაზე... ერთი ამოიკვნესა, სახე ხელებით დაიფარა, ცოტა ხანს დაჰყო ასე...

— როდის, როდის გააკეთე ეგ საქმე?..

— ხო გითხარი, გუშინ მოვაწერეთ ხელი.

— შეგირცხვეს ნამუსი, მეტყოდი მაინც შე კარგო ქალო,.. განა მე ასეთი დედა ვიყავი შენთვის? რას მეტყვის ეხლა მამაშენი, თავზე ლაფს არ დამასხამს?.. „რა დედა იყავი, სადა გქონდა თვალებიო“. რა პასუხი გავსცე.

— უეცრად მოხდა დედა, ქვემოთ მივდიოდით, გზაში გადავწყვიტეთ... კიდევ იყვნენ გოგო ბიჭები... დურგალაანთ ნატა, მუსხალაანთ შაქროს გაჰყვა... ქვრივ მელანას დარიკო კიდევ პავლე თათარაშვილს... იმოდენა ვიცინეთ, ვიმხიარულეთ... კოოპერატივში გალეტი და მომპასე გამოვართვით, ვჭამეთ, გზა და გზა კუნელის გვირგვინები დავიდგით თავზე...

— მერე?..

— მერე სოფელში რომ მივედით ყველა ჩვენ ჩვენთვის წავედ წამოვედით.

დედამ უყურა ქალს ერთ ხანს...

— იფ, იფ, იფ... აფსუზ ჩემო სიყმაწვილევ!.. შე უმადურო, ამისთვის გაგზარდეთ და თავს გაკვდებოდით რო ძაღლათ აღარ ჩაგეგდეთ მშობლები?

— ხო გითხარი უეცრად მოხდა მეთქი.

— ქალო! რომელი უეცრად... რის უეცრად... შენ იცოდი რას აკეთებდი, საკაბეს ხომ არ ყიდულობდი, ან ფეხსაცმელს...

— ვიცოდი!..

— შენ იცოდი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრების თანამგზავრს რომ ირჩევდი?

თამრო სდუმდა...

— შენ იცოდი რომ ეს ხელთათმანი არ იყო?.. არავისთან—გეჭირვებოდა რჩევა?

— ვიცოდი, ხელთათმანი-კი არა ქმარი იყო... რჩევა...

ბევრი წერტილები დასვა ქალმა.

— სად გაგონილა ასეთი ამბავი, ქალ ვაჟი ქორწილდებიან და იმ დღესვე ცალცალკე მიდიან...

— მაშ ხომ თან არ ავეკიდებოდი, ან აქ არ მოვიყვანდი სანამ არ მეთქო.

— ქალო და სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდი გეკითხნა... არაფრით მამაშენი არ დაგთანხმდება... დაარღვევს ამ საქმეს...

— როგორ თუ დაარღვევს... ვინა ჰკითხავს მას... იმ კაცთან მე უნდა ვიცხოვრო თუ თქვენ...

თაფლო დააკვირდა ქალის მკაცრ და მკაფიო სახეს... „არა ეს ქვაა გაუტეხელი, მაგასთან ბრძოლა ტყუილია გაიფიქრა და თითქოს მოტყდა დედა, მოხარა ქედი, ნაზი კალა დაიზნიქა ფოლადის წინ...

— ეჰ, ხეირი ნახე შვილო! ეხლა რას აპირებ?

— საღამოზე მოვა ნიკა და წავალთ...

თაფლომ ქვითინი ამოუშვა.

— დედა ჩემო... მე შენგანვე გამიგია შენი ისტორია, დრო იყო ისეთი, არა გკითხეს, შენი გულის წადილი და გაგატანეს ისეთ კაცს ვინც ჭირივით გეჯავრებოდა მაგრამ ისეთი დრო იყო, აჩენდი შვილებს იმ კაცთან და ემორჩილებოდი, ეს მამაჩემი იყო... დღეს—მე ვერ გკითხეთ თქვენ ჩემი ბედის მოწყობა ასე მოხდა... იქნებ არც გკითხეთ... ასე მიჯობს, მევე ვიყო ჩემი თავის მსაჯული, თუ სწორედ არ მომივა მიზანი... გათავდეს ამაზე ლაპარაკი და ცრემლები... კუმატად შებრუნდა გოგო, წავიდა და სახლის კედელს მიეფარა.

ქიტესომ ვერა აწამა რა... პირში წყალი ჩაიყენა... რა ეთქმის? წარსულის მქონეა. შეიბრალეს, აპატიეს ის, რომ წინეთ ყვითელ ჯაჭვს ატარებდა გულზე... სოფელში ლანდივით დადის, თავის ჩრდილიც აშინებს, რა აქვს სათქმელი? დღეს ნიკოა კაცი პირველი და ფას სადები... მას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, საქმე უსწრობს მის ენას. მაგალითის მიმცემია ყველასი; გუთანია გასატანი, პურია ასაკრები, წყაროა გასაჭრელი, გზაა გასაყვანი თუ ტყიდან შეშა გამოსატანი, ყოველგან პირველია ბიჭი. მისი მხიარული სიმღერა აღვიძებს ტყე ველს. სოფლის ტოროლაა, მჩქეფარე სიცოცხლე... თამრო და ეს შეიზარდნენ ერთად... სკოლაში, კომკავშირში... კრებებზე... თვალი ეჭირათ ერთმანეთზე და ამ საღამოს მიდის ქალი ნიკოსთან საცხოვრებლად...

—

დაღამდა, სახლში სანთელი აინთო... სამზარეულოში როდინი გარახუნდა. ვენახის ბოლოზე ჭოტმა დაიკივლა... კუდბუმბულა მერცხალა ღრენით მივარდა კიბესთან, ზემოდან ქალის ხმამ დატუქსა ძაღლი და აივანში ვილაცეები ამოვიდნენ. ჩუ-

მად, უხმოდ გაუხვიეს ერთი ხელი საუკეთესო ლოგინი, პატარა ძმის ხელით გაგზავნეს წინ წინ... ან რა მოესწრებოდა მეტი ასე საჩქაროდ?

სიძე ორ ამხანაგთან ერთად მოვიდა და უპურმარილოდ წავიდა. მაყრიონი, კატასაც არ გაუგია ქორწილი და ქალის წაყვანა.

„საწყალი მამაჩემი, ღარიბი იყო მაგრამ მაინც დაჰკლა ერთი დეკეული, დიდი ცხვარი და ქათმებიც ბევრი დააკლა ზედ. ათი თონე პური გამოცხვა და ორ დღეს იქეიფა სოფელმა“.

„თამრიკო, ჩემი თამრიკო კი? უკანონო შვილივით გავისტუმრე..“

თაფლოს ცრემლები ჩამოეკიდა დამჭკნარ ლოყებზე და ამოიხვნეშა.

— რა უყო, ესე სდომებია და...

მობრუნდა ჭისკრიდან, საიდანაც გაისტუმრა ქალი. აივანში ქიტესამ ჩაახველა.

— შემოდი სახლში დედაკაცო! რას მისტირი, როგორც წაგვიდა ისევ ისე მოგვივა უკან.

თაფლომ არა უპასუხა ქმარს.

—

თამრიკოს დაგვიანებით გაეღვიძა. გვერდით ცარიელ ბალიშზე ორი ღერი თმა შენიშნა. აიღო დააკვირდა...

— ნიკოს თმებია... წასულა... ალბათ მინდორში იქნება ეხლა.

საჩქაროდ გადიცვა კაბა და გამოვარდა გარეთ. თვალი მოავლო პატარა ეზოს. წუხელის ღამით მოიყვანეს... არ-კი ყოფილა ჯერ ამათსა, პატარა სახლი, გამურული ბოსელი, საქათმე, იქვე ფარეხი, ფარეხის კართან სათონე. უბალახო ეზოს ფაცხა-ფუცხით ჰგვიან პატარა გოგო ბიჭები. ნიკოს დედას პირი აუხვევია და ცხელ თონეში ეკიდება. იქვე დგას დიდი ხის სკამი, ზედ ხონჩა დევს პურის გუნდებით სავსე. კრუხ წიწილები ნაგავზე იქექებიან, ორ პატარა წითელ ხბოებს გადაუხვევიათ კისრები ერთმანეთზე და იცოხნებიან. გუშინდელი პირ დანაბანი მზე-კი მხიარულად დაჰყურებს საქორწილო სამზადისს.

— აქაც პურის ცხობა, აქაც ეზოს გვა, სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე, რა მოსაბეზრებელია ყველა ეს.

გაიფიქრა თამრომ.

— ნიკო სად არის?—იკითხა.

ყმაწვილებმა გაუცინეს, გაულრიჯეს...

— ქალაქში წავიდა დილა ადრიან,—უთხრა უფროსმა მულმა.

— ქალაქში... რატომ არ გამაღვიძა?..

— შენც ხო თან არ გაჰყვებოდი?..

თამროს მოწყენა დაეტყო...

— არა გიშავს რძალო, ჩქარა დაბრუნდება,—გაეხუმრა მული და ხელი შემოხვია წელზე. დედამთილმა დააკრა უკანასკნელი პური, ოფლიანი სახე წინსაფრით მოიწმინდა, კალთა ჩამოიბერტყა და ღიმილით წამოვიდა რძლისკენ...

— ქალო, ქალო! ქალაქში გაგექცა ნეფეი.. სადილობისას ამოვა... ჟაკუშკეული უნდა იყიდოს და ტაქნებიც აღარა გვქონდა.

— ზაკუსკა... სტაქნები... ქეიფს აპირებს განა?

— მა ქალო ნათესავები გვყვანან... მოყვრები... ტოლ ამხანაგები... კუთხე და მეზობელი... მა ეგრე შეგვარჩენენ? შენს გახარებას, მოიშინაურე... ჯერ ისაუზმე... დაიცა ცხელი პური ამოვიღო, იქ კარაქი და გაწურული მაწონია... მემრე სახლს მიჰხედე... შენს ხასიათზე მიალაგე, მიასუფთავე ... ოთახებიკოში და შენ იქ მოისაქმიანეთ, მე სხვაც ბევრი მაქვს გასაკეთებელი. ... ...

— ეჰ, შვილო, მეხარებოდა ცოლი შეირთე, შემშველე ხელი შემოემატა ოჯახს მეთქი ვფიქრობდი... ეგ-კი, გარეთ სიარულის მეტს არას აკეთებს.

— დამაცა დედი, არაფერი უთხრა, ჩვენ მოვრიგდებით.

— რა მორიგებას ამბობ შვილო! ქალმა ქმრის საცვლები ვერ გარეცხოს?

— ყმაწვილია დედი, ბავშვია კიდევ...

— ქა... ბავშვი არ არის ჩემი თალიკო და ყმაწვილი მთელი ოჯახი რო მის ზურგზე ტრიალებს. თუ ბავშვია, სწავლება უნდა ესმოდეს. თუ თავის დედას ვერ გაუზრდია... ამის შემდეგ მე მიყუროს.

— დედა!..

— დამაცა... მომისმინე... სადავე უნდა შვილო ახლად გახედნილ კვიცს, თორემ თუ თავის ნებაზე მიუშვი, გადიჩეხება კლდეზე.

— რა გინდა ამითი სთქვა დედა?

— ისა რომა, პატარძალი სახლში უნდა. თავისუფალი გოგო ხომ არ არის შუაღამისას სდიოს ვიღაცეებს უშენოდ... თუნდ შენთანაც... რა ხელი აქვს დედაკაცს ვაშკაცთან სირბილის... გაილანძღება, შენც შერცხვები...

— დედაჩემო! წამოიჭრა ნიკო ფეხზე... თითქოს დაჰკოდეს... რაღაც უთხრეს რაც არ უნდა თქმულიყო.

— ჰო, დედა შენი ვარ, ძველი ქალი და ოჯახს ლაფს ვერ დავასხამ... გასათხოვარი ქალის პატრონი ვარ. ნიკომ მაგიდას დაარტყა მუშტი...

— მეორეთ არ ითქვას... დღეს სხვა დროა... დაირღვა კარ ჩაკეტილობა...

— მე ასე მითქვამს შვილო და არ ინანო... სადავე... სადავეა დროზე საჭირო.

ნიკომ წაივლო თმებში ხელი მოჰზიდა და ჩაჯდა... „ეს რა ჩაიდინა, დედას მუშტი დაურტყა მაგიდაზე... დედას შეუყვირა... განა ნიკოს დედა სხვა დედებთან შესადარია?

— მაპატიე დედა... უდიერად მოვიქეცი... მე მოველაპარაკები მას, შენ ვითომ ვერაფერსა ხედავ, არაფერს გრძნობ. ნუ გაამწვავებ მდგომარეობას ჩემო დედა. ამით გათავდა მათი ახსნა.

—

— თამრო! გამოდი კოლექტივიდან, — ეუბნება ნიკო და უყურებს სახეში.

— რაო, რა სთქვი? კოლექტივიდან გამოვიდე... რათა?

— დედას უჭირს, შემშველე ხელი უნდა.

— დედას უჭირს, შემშველე ხელი უნდა, — გაიმეორა თამრომ.

— როგორ, დამცინა თამრო და ისე იმეორებ ჩემ სიტყვებს?

— არა, როგორ დაგცინი, მხოლოდ მეც მყავდა დედა, იქნებ იმასაც უჭირდა, უნდოდა შემშველე ხელი...

— მერმე?..

— მაგრამ მაშინ, თქვენ ყოველთვის თქვენკენ მეზიდებოდით, თქვენი საქმე უნდა წინ დამეყენებია, ვიდრე ოჯახის და დედი ჩემის.

— ნიკოს სახე შეუფერადდა... შუბლზე ოფლმა გამონოჟა, არ იცის რა უპასუხოს...

— რას მეტყვი ამაზე პარტიის წევრო და კოლექტივის სულის ჩამდგმელო?

— თამარ! მაშინ სხვა იყო... შენ თავისუფალი ქალიშვილი იყავი...

— როგორ თავისუფალი... ვინ წამართვა ეხლა ეს თავისუფლება...

— არა კაცო... გაიგე რასაც გეუბნებიან. თავისუფალი იყავი ისე რომ, ქმარი, შვილი, ოჯახი, არ გქონდა, ამათი მოვალეობა...

ბიბლიოთეკა

— ჰოოო... შენ ამბობ ამას?

— ჰო, მე ვამბობ.

— რა უფლებით?

— ქმრის უფლებით.

— ოჰ, ცუდათ გაგიგია შენ ჩვენი უფლებები...

— რას ამბობ, რომელ უფლებებზე მელაპარაკები? არ მინდა რომ იქ იარო, მორჩა და გათავდა...

— რა მიზეზით?..

— ქალო! არ მინდა რომ იქ იმუშაო, იქ მეცა ვკმარივარ, ათი კაცი და ერთი მე, ხომ იცი თავის დღენი ჩემთან ვერ მოვლენ გარჯილობით... რა საჭიროა შენც იქ არ იყო?

— მე საქმე მინდა...

— ოჯახში ცოტა საქმეა?

— კერძო საქმე არ მიყვარს მე... იქ ერთობაა... ერთი სული და გულია... ვერც-კი გრძნობ კაცი დაღლას... დრო ქარივით გაჰქრის... სახლში-კი, საუკუნოები უნდა ჩამოვიდეს... დაბოლოს არ მიყვარს მე სახლის საქმე...

— თამრიკო! — ნიკოს ხმას ნერვიულობა ეტყობა.

— თამრიკო! არ შემიძლია იქ გიყურებდე, ოფლგადადენილს, ბარით ხელში...

— როგორ, სახლში ოფლი არ გადამდივა, სარეცხი იქნება, თუ თონეში პურის დაკვრა?

— მაშ პური არ უნდა ვსჭამოთ...

— სასოფლო თონე უნდა იქნეს და ვისაც მოსწონს ეგ ხელობა, მან ჩააკრას პური, ეგრე რეცხვა და ყველაფერი...

— კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ იქ მაინც არ გაგიშვებ, ქვეყანა პირში შემოგციცინებს და...

რაღაც უნდა ეთქვა თამრომ გააწყვეტინა.

— ნურას უკაცრავად ამხანაგო... მაშ კეთილი ინებეთ და დაშალეთ ქალების კრებული... დამიხედეთ... შენი ცოლი ქალია... ცუდი თვალით შეხედავენ სხვა მამაკაცები... შენი ცოლი ცოდვაა ბარით ხელში, სხვისი ცოლები და ქალები რაღა არიან... მათ ოჯახში გამოლევიათ საქმე თქვენ კოლექტივის ბოსტანს რომ აკვდებიან მთელი დღე, ბარით თოხით, და რაც თავის დღეში არ უმუშავნია დედაკაცს, იმას მუშაობენ... თუ, საკუთარი ცოლი რომ გაგიჩნდა...

— რას ჰქვია თამარ საკუთარი? აუწია ნიკომ ხმას...

— ამხანაგო! შენ ცუდი პარტიული ყოფილხარ... მე კერძო საქმე არა მწამს, შენ-კი კერძო მესაკუთრის სუნი გიდის...

— ადამიანო რას აიკინე ეს „კერძო, კერძო“ რაში სჩანს ჩემი კერძო მესაკუთრეობა?

— ჯერ ერთი „ადამიანო“-კი, არა, ამხანაგოთქო, მეორეც ისა რომ, შენი ახალი სახლის ღრმათ ჩაგდებული საძირკველი მეუბნება, რომელიც ექვს ოთახს დაიდგამს თავზე...

— მაშ სახლი არ გვინდა, სულ ხომ ამ პაპისეულ ქოხში არ უნდ ვიყვნეთ.

— ვინ ამბობს... გვინდოდა მაგრამ, სასოფლო, კომუნის საერთო საცხოვრებელი და სრა სასახლე...

— ოჰ, დამანებე ერთი თავი. ჭკუას დაუხედე, დაფიქრდი, საცაა დასაწოლი ხარ... ბავშვი გაჩნდება...

— ბავშვებისთვის ბაგები მოეწყობა...

— კიდევ... შენ ძალიან გასწიე... რომელ ბაგაში?

— რომელსაც სხვებისთვის ვაწყობდით... ჩვენიც იქ უნდა გაიზარდოს...

— ხმა... ძალიან გაგივიდა თავს...

— ამხანაგო! ჩემზე დიდი ხარ... თქვენ ასე მასწავლეთ... მე ასე ვფიქრობდი აქამდის აწი უკან აღარ დავიხევ, მე ამ გზით მივდივარ...

— ვნახოთ! — შეუყვირა ნიკომ.

— ვნახოთ.--მიუგო დინჯათ თამრომ.

—

გოგო ჰყავს თამროს... ის გასტეხეს, უკან დაახევინეს და ბავშვს აწოვებს, მაგრამ დაქირავებულ გამდელს უფრო ჰგავს, ვიდრე დედას... ჯავრობს, ბრაზი მოსდის, ვერ აუტანია ბავშვის ტირილი... გაჭირვეულებულ ყმაწვილს აკვნიანად აჯახუნებს იატაკზე.

— რათ მინდოდა ეს ხელის შემშლელი და ტვირთი, ბუტბუტებს...

— რას ამბობ თამრო!.. რას ამბობ?..

— რას ვამბობ და ქართულს...

ეხლა წასასვლელი ვარ... იქ მელოდებიან... მომხსენებელი უნდა მოვიდეს, კრება მე უნდა გავხსნა და ეს აქ ჩხავის.

-- თამრიკო!

— აი, თამრიკო და ჯანაბას მაგისი თავი... ერთიც შენ დაუჯექ... სულ მე ხომ არ მიწერია მაგასთან ფუსფუსი... ჩამოვრჩი ყველაფერს... ეს რა უბედურებაა...

მოიხვია ქალმა შალი და გავარდა სახლიდან. დარეჯანმა მდუმარეთ გახედა შუბლ ქვემოდან აკვნის ხელზე დაყრდნობილ შვილს, რომელსაც იატაკისთვის გაუშტერებია თვალი... დიდ ხანს იჯდა ვაჟი ასე... ერთბაშათ ღრმათ შეითქვა ჰაერი... ამოიქშინა და წამოდგა.

— მართლაც რო უბედურებაა.

სთქვა და გავიდა სახლიდან... დედამ იმასაც მდუმარეთ გააყოლა თვალი. მერე ჩაბჟირებულ ბავშვს მიუბრუნდა... გადაარწო...

— სუ სუ სუ სუუ... ნა ნა ნა ნა. ااا... დაიძინებს.

გო გო ოო ოო... სუ სუ სუ სუ სუუ...

და ნელა ჩაეძინა გოგონას.

—

— დედაჩემო! ეს საბანი გადამიახლე, ქალაქში მივდივარ და მეპირვება. ეუბნება თამარი თავის დედას.

— ქალაქში მიდიხარ? საბანი რაღათ გინდი, ავად ხომ არ ხარ შვილო?!—

— შეშფოთდა დედა.

— არა, დედა, ავად არა ვარ.

— მაშ?..

— უნდა ქარხანაში შევიდე სამუშაოდ.

— ქარხანაში?

— ჰო...

— კიდევ რაღაც უცნაურს იტყვი.

— რა არის აქ უცნაური... ქალაქში მივდივარ სამუშაოს საძებნელად.

— ქალო, სამუშაო აქ არა გაქვს?

— კოლექტივიდან გამოვედი...

— კარგათ მოქცეულხარ...

— მაშ საქმე აღარ მინდა?..

— ოჯახი, ქმარ შვილი...

თამრო შორს იყურება... ცოტა მაღლობზეა მათი სახლი, ხელის გულივით მოსჩანს დაბლობებში გადახნული ველები. საშემოდგომო ნათესებია შავ გრძელ ნაჭრებათ ჩამწკრივებული. ობლათ გამოიყურებიან, ჩამჭკნარი და გაძარცული ბაღები. ცოტა შორს, მდინარე ვერცხლის ზოლათ მოიკლაკნება და ორად ყოფს ჭალას. მიდის, მინარავს და მოზრდილ მთების კალთებში იმალება; მდინარეს შარა გზა მისდევს, ესეც იმ კალთებში იკარგება. თამრო ხშირად გასცქერის ამ მხარეს. ამ გზას ქალაქში მიჰყავს კაცი... იქ თურმე სიცოცხლეა... სიცოცხლე შეუჩერებელი... იქ ყველაფერი მოძრაობს... ესწრაფვის, მიეშურება სადღაც. გარბიან ტრამვაები, ავტო მანქანები, გარბიან ადამიანები, ყვირილი თოთქოლი... წინ სვლა... თამრო იქეთკენ მიისწრაფის, იქეთ იზიდავს მას რაღაც უხილავი. ქალი უკან აღარ იყურება. „უკან ყველაფერი გაშხამებია, ჩამწარებია, განასკული წარბი, წყროლა, განჩი-ჯამათი, უსიამოვნება და პატარა ნათელა არ კმარა შემრიგებლათ... ხედავს ქალი, რომ ითქვიფება, რომ ელესება ყოველ დღიურ ერთ სახეობას და უნდა დროზე უშველოს თავს, სანამ სრულიად არ ძლეულა... უნდა წავიდეს, ნახოს ახალი გზა“, იდუმალი თვალებით გაიყურება.

— არ გესმის, ოჯახი მეთქი, ქმარშვილი...

— ოჯახი? ოჯახი არ მინდა... შვილი ჰო, კი, მაგრამ...

— ნიკაი რას გეუბნევა, გიშვებს? რა თავ მომწონებაა, ვაჟკაცი შინ იჯდეს, ცოლი სამუშაოდ გაუშვას... ენგრე, ოსებს ჩაჰყავდათ ცოლები და ძიძებათ აყენებდნენ...

— დედა ჩემო, მე ქმარი აღარა მყავს... თაფლომ განივრად გააღო თვალები.

— რაო?

— ჩვენ გავიყარეთ.

— თაფლოს გაეღიმა, ოდნავ, ორჭოფულია ეს ღიმილი. ძნელად გაიგებს კაცი, რას დასცინის ეს ხნიერი დედაკაცი, თავის ქალს თუ დროს.

— ეს როდისლა მოასწარი ქალბატონო?

— ქალბატონო რაღაა?.. გუშინ ვიყავით ზაქსში და გავქორწინდით.

— რაებს მიედ-მოედები გოგო, როგორ დაჰკარგე სინდისი?

— დედაჩემო! თავი დამანებე, შენ ვერ გამიგებ ვერ მიგიგებ.

— რას ვერ გაგიგებ გოგოვ?

— იმას რომ, იმ კაცთან არ მეცხოვრება.

— დამიხედეთ ქალბატონს. ნებავს ეცხოვრება, ნებავს არ ეცხოვრება... მაინც რა წაგიხდინა, რა მიზეზია.

— რა მიზეზია? ის მიზეზია რომ, მე თამრო-კი, არ უნდა ვიყო არამედ ნიკო... იმის თვალებით ვიყურებოდე, იმის ყურებით ვისმენდე, იმის ენით ვლაპარაკობდე, მისი პირით ვსჭამდე, მივდიოდე, მოვდიოდე, ვლაპარაკობდე და ვიძინებდე, ერთი სიტყვით მე, მე-კი არ უნდა ვიყო, არამედ ნიკა, მისი შეგრძნობა, შემეცნობით... გამიგე ეხლა? მე ასეთი სიცოცხლე არ შემიძლია...

— მაშ რას ფიქრობდი, დაუკითხავად რომ გაეკიდე, ძალლად არ ჩაგვაგდე მშობლები, მაშინ ხო უიმისოდ არ გინდოდა სიცოცხლე... მა რას გიზამს, ქმარია, შენს ნებაზე გატარებს? ოჯახსა და ქმარშვილს სამსახური უნდა... მე როგორ გავატარე ამდენი წლები მამაშენთან, შენა გგონია ვარდები მეფინა გულზე? ვითმენდით ყველაფერს.

— მაშინ ის დრო იყო დედა, დღეს ეს დროა.

— მამაშენი ჯერ მაშინვე ბებერი იყო... ნიკაი ხომ მშვენიერი ახალგაზრდაა... სოფლის თვალია.

— უქმია ეხლა ამაზე ლაპარაკი, საქმე მორჩომილია. თაფლო იცნობს თავის ჯიუტ ქალს: „ჯერ ბავშობაშიც ასეთი იყო. ქვა და გაუტეხელი, ამაო არის ამასთან ბრძოლა“.

— კარგი... ნათელას ვის უტოვებ?..

— მამამისთან დარჩება, თან ხომ ვერ ავიკიდებ?

— კარგი და ასე გეთმობა შვილი?

— დედა ჩემო, მე ვბედავ, ვგრძნობ რომ ასე აჯობებს... ჯერ პატარა ნათელა... ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაჩნდება მეორე, მეორეს მესამე მოჰყვება და გაუთავებლათ ვამრავლებ ალბათ... ნათელა მოიზრდება და მხოლოდ ჩხუბისა და უსიამოვნების მოწამე იქნება... ყველა ამათ მიჯობს, დროზე უშველო თავს, არ გავიჩინო შვილები ისეთ კაცთან, ვინც ალარ მიყვარს... ნათელა... ის უჩემოდ უკეთ გაიზრდება...

— ნათელასთვის ყველაფერი უნდა დაგეთმო, ღმერთო... არ ვიყავით ჩვენ ხალხი?.. რას ვხედავ, რას მოვესწარ... მე მართლაც სხვა მიყვარდა, მამაშენს გამატანეს, ამდენი შვილები გავაჩინე მასთან, მიყვარდა? სულაც არა...

— დედაჩემო რაღაცას გეტყვი, რომ გაწყენინო...

— სთქვი, მეტი რა უნდა მეწყინოს...

— მაშ კარგი... ჩვენებური ენით ასე ვამბობთ... ქალი, რომელიც ცხოვრობს უსიყვარულოთ კაცთან, ის მეძაობს... შენც მეძაობდი, ყიდდი თავს, მამაჩემი გარჩენდა შენ და გიჩენდა შვილებს...

— ეს რა გავიგონე, ეს რა გავიგონე... ეს რა გავიგე... შემოიკრა თავში ხელი თაფლომ...

— გამიკეთებ საბანს?

— ნეტა ვის სთხოვდი საბნის გაკეთებას მე რომ წლიანი ვიყავ დამეგდე გზა-შარაზე...

— მაყვედრი?—უსაყვედურა ქალმა.

— არ გაყვედრი, ხოლო ბედს ვემდური, როგორ გავზარდე ასეთი ქალი... სადა გაქვს გული და დედის გრძნობა... შეხედე კატას, როგორ დაათრევს თავის კნუტებს... თვალი ადევნე კრუხს, როგორ უვლის წიწილებს... განა ის იმას კითხულობს რომელი მამლის გაჩენილია კვერცხიო? ადამიანო ქვის ნატეხი ხომ არა ხარ?..

თამრო დიდხანს ადგა თავზე დედას მდუმარედ. არა უპასუხა რა

—

წავიდა თამრო ქალაქში. მას თან გაჰყვა დურგლიშვილის ნატა, „ლაზარაანთ" მართა, ქვრივი კატო და კოჭლი ანანო.

სოფელმა ერთხანს იქოთქოთა, ბევრმა ქოქოლაც მიადევნა უკან და დაივიწყეს, სად სცალიათ გოგო ბიჭების სადევნათ.

თამროს დედა დარჩა გულ გაკაწრული, ქალმა ლეჩაქი გადააძრო, ოჯახი და ქალობა შეურცხვინა. მოხუც ქიტესო დანგრეულ ურემს უტრიალებს შესაკეთებლათ; ცულს ურაკუნებს, ბორბლებს უჭერს, თითქოს აქ არა მომხდარიყოს რა...

— რას სლუკუნებ დედაკაცო?..! ყველაფერი თავის რიგზე მიდის... ხომ გითხარი დაგიბრუნდება თქო, აჰანდე, დაგიბრუნდა თუ არა?.. ვინ იცის კიდევ სადამდე იაროს... ჩვენ სად შეგვწევს ძალა უკან ვდიოთ... მაგათი გზა შორია, თავადაც არ იცის ჯერ სად გაიყვანს... ეგ ეძებს... წავიდეს იაროს, ეძებოს ან იპოვნის რასაც ეძებს და ან...

— ქიტესო მე რათ გავზარდე ასეთი შვილი..?

— შენ რა გაზარდე დედაკაცო, დრომ გაზარდა...

ვერ უყურებ?.. ეჰ ეჰ ე ე ე... წავიდა და წავიდა.

— ქიტესო! აღარ დაბრუნდება?..

— არა დედაკაცო! აღარ დაბრუნდება... ის დროს მიდევს... დრო წინ მიდის, უკან რაღა დააბრუნებს... ამას შემდეგ სხვა ბარტყებიც დაფრინდებიან ბუდე დაცარიელდება.

— ჩვენ, ჩვენ რაღა დაგვრჩენია?

— ეეე... ჩერჩეტო ჩემო!.. შრომა... სიბერე... უსინათლობა... მარტოობა და სიკვდილი... კიდევ კარგია ფიჩხი თუ მაინც მექნა სახლში..,

— მარტო სიკვდილი ქიტესო, მარტო?..

— მაშა, მარტო არ დაიბადე? ისევე მარტო წახვალ...

თაფლომ დაჰკიდა თავი. ტუჩები აუთრთოლდა, ყელში ბოლმა მოაწვა, და კიდევ ჩამოაგორა თვალთაგან მსხვილი ცრემლები.

—

ნიკომ მაგრა მოკუმა ტუჩები. ოთახი აშალა, აფუნგა, ლოგინი აივანში გამოიტანა, საწოლად გარედ გამოვიდა.

თამროს ერთი საბნისა და ბალიშის მეტი არა დაუკლია ოჯახისათვის...

— რას სჩადი შვილო!.. აცივდა უკვე... გარეთ ვინ დაიძინებს ეხლა?

— ასე მიჯობს დედი... მამშვიდებს ცივი ღამე... მეტი [illegible] მინდა... სული მეხუთვის... ოთახში ძილი არ შემიძლია, ეითქმის იქ ცხელარი იდგეს, იმ კუთხისათვის ვერ მიმიხედავს საცა ის იჯდა სულ... იწვა დადიოდა.

— ვაი მასა და...

— დედა... აბა... ससუ .. არა რა გამაგონო, სიჩემე სწყურია სულს...

— ენგრეა შვილო, არას მათქმევინებდი და...

— რაც არ უნდა მეთქვა მაინც ენგრე იქნებოდა...

— შენ იცი შვილო, არ გედავები...

— რა საჭიროა დავა... ვისაც ვიდავე რა მოვიგე, ადგა და სულ წავიდა.

დედაშვილმა შესწყვიტეს ლაპარაკი. ტახტზე მჭინარე გოგომ გაიღვიძა... წამოჯდა, თავი მოიქექა... პერანგა ჩამოსრიალდა ლოგინიდან და ბაჯბაჯით წამოვიდა. მივიდა მამასთან, მუხლზე ხელი დაადო, თვალებში შეუჭყიტა.

— დედა დედა სად ალი, დედა ძინდაააა... ნიკამ აიყვანა ბავშვი და ჩაიკრა გულში. დაუკოცნა თმები, ცოტა ხანს გაირინდა. მეორე ერთბაშად გადასცა დედას.

— დედა ჩემო, გაახალგაზრდი ჩემთვის და გაზარდე ისე როგორც შენს ნიკას ზრდიდი.

— მომეცი... მომეცი შვილო... მე გავზრდი ჩემ ჭკუაზე თუ გამაზრდეინეს.

— —

ნიკო გავიდა სახლიდან და წავიდა სოფელში.

მათთან ტრიალობს, თავ აუღებლივ შრომობს...

— როგორ გაასკეცა ამ ბიჭმა გარჯილობა?..

— დარდიანად არის და...

— შრომაში იკლავს საწყალი გულის ბოლმას.

— რა ადარდებს, სულელია.

— ასეთ ქალზე ვიდარდებ?

— მიი პატრონის ქვეყანაც არ იყოს... წაეთრიოს სადაც უნდა.

— არა ძმაო, რაც მართალი მართალია, მე მოვკლავდი, ცოცხალს არ გაუშვებდი ჩემი ხელიდან.

— მა...მეტი არ მინდა... იმ ვერანა ოხრისთვის ციხეში ჩავჯდებოდი... მე ვაკლივარ ციხეს, ცოტა არიან იქ აი...

— არ მოვკლავდი და არც რასა, მაგრამ ერთ ლაზათიანად-კი მივბეგვავდი

— არა ძმაო, ნიკაი ჩვენზე შესმენილია... თუ კი ქალს არ უნდიხარ, დაიჭი ძალათ... საქონელი ხო არ არის რქით დაბა ბაგაზე... არ გინდაა—წადი შვილოსა, ხეირი ნახე... საცა გინდა იარე...

მსჯელობენ ბიჭები კოლექტივის ბოსტანში... უკანასკნელ ბოლოკსა და სტაფილოს იღებენ. ფოცხავენ, სწმენდენ გამხმარ ბალახისგან, ბარავენ და ახალ მიწას ამზადებენ...

— სსუთ ბიჭებო აგერა ნიკა მოდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოუსვით საქმეს...
— გაუტიეთ ბიჭებო.
— აბაბაბა, რამოდენა თავებია ეს მადლიანი.
— აი ჯიში ამას მიჰქვია.
მოვიდა ნოკო, მოესალამა ამხანაგებს.
— გამარჯვებათ ბიჭებო, რა ჰქენით, მორჩით, სულ ამოიღეთ?
— სტაფილო და ბოლოკი მოვრჩით...
— ჭარხალი?
— ჯერ არა...
— დაუჩქარეთ. დაუჩქარეთ... ღამე უნდა გავიდეს ურმები...

ნიკომ მაზარა გადიკეცა, ბარი აიღო და ღონივრათ დაარტყა ნამიან მიწას. შთაინთქა ნიკო მუშაობაში, ძირფესვიანად აბრუნებს, ბურღავს თითქოს მადანი ჰქონდეს აღმოსაჩენი, ნიკო განაგრძობს ბარის ცემას... კიდევ აქვს მას საქმეები, ბევრ რამეშია არჩეული, მაგრამ ეს ბევრი რამ არ არის ის, რამაც გაუქარვოს ნაღველი. „შერცხვა ვაჟი, გაექცა ცოლი, არაფერს ეუბნება სოფელ ქვეყანა, ამხანაგები, იცოდებენ ალბათ, არ ეხებიან ნიკოს გულის ტკივილს, გულის იარას თორემ გუნებაში ალბათ ყველა დასცინის, ყველა მასხარად იგდებს“...

—

თოვლი დასდო, თეთრად გაიყინა ხე, ტყე, ბანები და პატარა მდინარე... საქონელი გომურში მოექცა მხოლოდ წყლის დასალევად გამოდის ის და ნაფეხურს აჩნევს თეთრ სპეტაკ ზეწარზე.

დაბერებულ სახე შეპენტილ ხეების რუნწუხებში მხოლოდ ბეღურა დაფრთხიალებს, ბუხრებში ცეცხლი გუგუნებს და თოვლით დაბურულ სოფელს ახალგაზრდაოა გადაკივლება აცოცხლებს, ახმაურებს.

ნიკოს ეზაში დაუთავებელი სახლის კედლები მიტოვებულ კოშკის ნანგრევებს მიაგვანან. პატრონი მაინც გარეთ იძინებს... გასალკლდევდა... ბუნებას ეჭიდება, თუ ხიფათს ეძებს, არავინ იცის.

დარეჯანი ღამ-ღამობით ბუტბუტებს, თან ლოცვილობს და ხშირათ ხედავს მძინარე ვაჟს...

ნათელა მოიზარდა, ნიკა მაინც უტოლოდ დადის არავისზე შეუარდა გული.

—

მეორე შემოდგომა მიიწურა, რაც ნათელა დატოვა დედამ. გოგონა ბებიას უბეში იზრდება. მას აღარ ახსოვს დედა.

მამამ ურემზე დაისვა და ქალაქში წაიყვანა, უყიდის კაბას, ფეხსაცმელებს და ბევრ რამეს.

დარეჯანს თვალები გზისკენ მოექცა: „ბავშვი ლოგინიდან ამტაცა. ღამით წაიყვანა... რა სიგიჟეა, არა აუტყდეს ყმაწვილს“. ვიმვიშებს.

ნიკა ამ დროს სტოვებს ქალაქის შესავალს ცხვირ მოტეხილ კლდეს გამოსცდა. ახალ ხიდისკენ მოემართება: აღარც იცნობა აქაურობა წუხელ ღამით შემოვიდა ურმები, არ შეუმჩნევია ნიკას ამოდენა ცვლილება...

(„რას არ შექმნის კაცის ხელი თუ მოინდომა, რამოდენა კლდე მოუგლეჯიათ.. ძველ ნაგზაურზე შენობები გაუჭიმავთ... მთელი მთა აუღიათ... ჰო,

მაშინ მთელი ჩვენი სოფელი აქ ეყარა მე სულ სახლში ვიყავი, ბედნიერებით ვთვრებოდი“.)

— ვუუუუუ...—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰბღავლა თავზე რაღაც უზარ მაზარმა და შეუწყვიტა ფიქრი.

— უუუუ...

მოუხშირა ღრიალს და თეთრი ბოლი ამოუშვა მაღალ ყელიდან გრძლად გაჭიმულმა წითელმა შენობამ.

ნიკომ შუბ ქვეშ გახედა შენობას. მტრულია მისი სახის განწყობილება: „ამან წაართვა, „ამან მოსტაცა“.—აიღო შოლტი და მაგრად გადასცხო ხარებს.

— უუუუუ.—კიდევ ყვირის ქარხანა და სამუშაოდ უხმობს ახალ ძალებს.

მოდიან! მორბიან, ყოველ კუთხიდან მოეშურებიან, ერთმანეთს უსწრობენ ჭრელი ხალხი... ვილაცეებმა გაუარეს გვერდით ნიკას ურემს.

— გოგო დაინახე, ნიკა არ არის?

წაჰკრა მკლავი ერთმა „ქალმა მეორეს... მეორე შემობრუნდა. ურემი მიდის, ქალი მხოლოდ კეფას უყურებს კაცისას: „ის გოგონა წინ რომ უზის, ის ნათელაა, ჩემი ნათელა...

ბევრი ღამეები გაათენა თამრომ ბავშზე ფიქრში. ენატრებოდა, ენატრებოდა ნახვა... მერე სოფელშიაც აღარ ყოფილა... ერიდებოდა სოფელს, უწმაწურ ჭორებს და მუშტრის თვალს... ფიქრობდა ქალი, რომ შემდეგ, როცა საქმეს მოაგვარებდა, ამოიყვანდა თავისთან, მაგრამ ეხლა, ამ წუთას“. გადადგა ნაბიჯი, გამოუდგა... დაეწია, გაუთანასწორდა ურემს... გვერდიდან გადასწვდა ბავშვს უნდა აიტაცოს... ყმაწვილმა ვერ იცნო სამუშაო ხალათში გახვეული დედა, დაიწივლა და მამასკენ გადაიზნიქა... ნიკოს მტერი ჰგონია, ამართა სახრე, უნდა გადაჰკრას, მკლავი ჰაერში გაუშეშდა, ერთის წუთით უყურა ქალს გაურკვევლად, ისევ მაგრად გადაუჭირა ხარებს, ისინი დაფრთხნენ და გაიტაცეს ურემი. თამროს ნელა დაუცვინდა გაწვდილი ხელები. გაშეშდა, ფერ დაკარგული გაჰყურებს მტვერ ავარდნილ შარას.

შემოეხვივნენ გარს ამხანაგები, წაავლეს ხელი და გაიტაცეს ქარხნისკენ.

— ტიკ ტაკ ტაკ... ტიკ ტაკ ტაკ... შემოსძახეს დგიმ სავარცხლებმა. მორიგე გამოენაცვლა დამხდურს ხელმა ხელი შესცვალა, ჩუმად, წყნარად, შეუმჩნევლად.

თამრო შეუდგა მუშაობას.

დინამო მოტორი გუგუნებს. ელექტრო დენი გადასცემს ძალას მომქმედ ამყოლ „შკირს“. მასზედ წამოცმული ღვედი გადადის ბორბლებზე და ატრიალებს მებრძოლ ღერძს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი დაზგა, მაღლა მოთავსებული ჩანგლები რიგ რიგობით სწევენ ზემო ქვემოთ ქსელს, ჯვარედინა ჯოხი ჰყოფს დგიმთ აცმას, აქვე მზათ არის სარეკელა ჯოხი და რაკი თამრომ გადმოსწია სახელურს, ერთნაირის რიტმით არტყამს თავში ხის მარქვას და ერეკება მეორე კედრით, გზაზე შემოხვდა მარქვას დობილი ცისფერი ძაფი ახვევია გულში მასრაზე, პირველს ყვითელი საოცარის სისწრაფით გარბიან თევზებივით. მისცურავენ, ხაზებს ხაზები ემატება სავარცხელი ტკაცა ტკუცით სცემს და ქსოვილს ბეჭავს, ძირითადი ღერძი ბრუნავს, ქსელი ირღვევა, ფარჩა იზრდება, მიმღები ბარაბანი იხვევს პროდუქციას.

თამრო მოწყდა აქაურობას, მის ყურებს აღარ ჩაესმის ქარხნის ერიამული გზაზე ურემი მიდის, მეურმე თამროს ნაცნობია, ახლო ნაცნობი, რამდენ ხანს იყვნენ ერთად?! დიდ ხანს... ეხლა უცხოა მისთვის ის კაცი. არაფერს არ ეუბნება ქალის გულს...

— რახ ررا رررا ح...

დაიხრიალა ბორბალმა, შკირიდან ღვედი გადმოვარდა თამროს არ ესმის ეს ხრიალი...

— გოგო რას უყურებ, ღვედი გადმოგივარდა დაუძახა მეზობელ დაზგიდან ქალმი...

თამრო გამოერკვა, მანქანა დააყენა ღვედს დასწვდა, ისევ გადააგდო ბორბალზე, ქსელი დაათვალიერა, ძაფი-ხომ არ გაწყვეტია?.. ისევ აუშვა სახელურს ისევ აკაკანდნენ დგიმ სავარცხლები... ქალს ისევ დაეუფლა წეღანდელა სურათი... „მაგრამ აი, მეურმეს წინ უზის პატარა გოგო ეს გოგო მან პატარა დასტოვა, რამოდენა გაზრდილა რა ხუჭუჭა თმები აქვს... ჩემი გოგო“...

თამრო ქსელის ბანდეულებს გაჰყურებს თვალ მილულვით. ქსელი ადის და ჩადის. აბრეშუმის წმინდა ძაფი შეიკუმშა, დახუჭუჭდა, ქსელის ელვარებაში ქოჩორა თმა გამოჩდა, სახემ გამოანათა, შემოსციცინეს დედას თვალებმა, ქალმა გაიწვდინა ხელები ძაფებს მოავლო, უნდა დაიჭიროს, პატარა თავი ხელიდან უსხლტება, თამროს ძაფები შერჩა ხელში

— ااه —

დაიკივლა მეზობელმა ქალმა გაისმა საშინელი ჭახანი, მარქვა ასცდა სწორ მიმართულებას, ბატამიდან ამოხტა, შურდულივით გატყორცნილი დაეტაკა და ზგის კიდეზე დაკიდებულ ბანდულ ფარს და გადავარდა იატაკზე.

აქ კი სრულიად გამოფხიზლდა დაზგაზე მომუშავე ქალი, მსწრაფად დააყენა ისევ მანქანა მარქვა აიღო გასინჯა, ჩასდო თავის ადგილას ძაფები სულ ჩასწყვეტოდა და წენი გაეშვა, გაასწორა ქსელი, მონახა ჩაწყვეტილი ძაფები გაატარა დგიმში გადაბა და გავიდა ცეხიდან, მას თავი სტკივა და ბურანშია. ის დადგა ცეხის უფროსის კარებთან, სული მოითქვა და შეაღო კარი; ცეხის უფროსის მაგიდას ეხვევა მუშები.

უამრავი მოთხოვნილება ეხვევა თავზე ცეხის უფროსს, ის დაფიქრებულად აძლევს ყველას პასუხს: იცის ყველაფერი, გაწაფულია... დაზგის მუშა იყო... კვალიფიცია ქმნილი... შემდეგ წაიწია და დღეს უფროსი ამხანაგია, კეთილი ბიჭია, შეგნებული, არ დავიწყებია მას მუშის მდგომარეობა, მაგრამ რა ჰქნას დისციპლინა ყოველთვის დისციპლინაა, ქარხანაში იქნება ის საჭირო, ჯარში, სკოლაში თუ ოჯახში, ესმის ეს ახალგაზრდას და მტკიცედ დგას სადარაჯოზე.

თამრო დგას მოშორებით, ხალხი შეთხელდა, გაიკრიფენ კანტორიდან. ამათ დაინახეს ერთმანეთი.

— შენ რა გინდა თამრო?

— ამხანაგო დიომიდე! გამანთავისუფლეთ.

— რაშია საქმე?

დიომიდე გააკვირვა ქალის თხოვნამ. კარგა ხანია იცნობს ამ ქალს, ჯერ კიდევ მქსოველი იყო ვაჟი, როცა თამარი მოვიდა ქარხანაში, იცის, რომ ყვე-

ლა ცეხი შემოიარა ამ მუშამ; იყო ძაფ სახვევში, იყო საქსელში, სამლებრო-სა-უთოვოშიც იმუშავა, ყველა ეტაპები გაიარა და ძირითადად გაეცნო ქარხნის ვითარებას, დირექციას აკვირვებდა ეს მოვლენა, მაგრამ დაინახეს თამარი არ იყო მოსული მხოლოდ საარსებო წყაროსთვის, მას აინტერესებდა საქმე, ცოდნა და ქარხნის წარმოების გაცნობა. ბოლოს, მან საქსოვ ცეხში დაამყარა გული. ბეჯითი, ერთგული და ნიჭიერი მუშაა, ის არც საზოგადო მუშაობაში უგდებს ტოლს ამხანაგებს... ყველა იცნობს და დიომიდეც იცნობს განსაკუთრებით... ისევ გაუმეორა კითხვა უფროსმა.

— რაშია საქმე..

თამრომ ჩვეულებრივათ აიჩეჩა მხრები, სახე განზე მოეღო.

— მოდი ახლოს თამრო..! რა დაგემართა.?

ქალი მაგიდას მიუახლოვდა.

— რა მოგივიდა?

— ვერ ვიმუშავე...

— როგორ.?

— გონება ვერ მივატანე..

— ავად ხომ არა ხარ.?

— ჰო, თავი მტკივა.. გამანთავისუფლეთ ერთის კვირით...

— რა მოგივიდა ქალო?

დიომიდემ აიღო ქალის ხელი, თანაგრძნობით შეხედა სახეში.

— შენ მართლა ავად ხარ, ფერი წაგსვლია, წადი ამბულატორიაში, ექიმს გაესინჯე და მერე წადი სახლში...

— გმადლობთ ამხანაგო! ძლიერ ცუდათ გავხდი თორემ ხომ იცით!..

— ჰო, კარგი, რას იბოდიშებ, კვლავ როდის გაგიცდენია.—გაეშვა ხელი.

თამრომ დასტოვა ქარხანა, პირდაპირ კიბეს დაუყვა და ქუჩაში გაჩნდა, მას ექიმი არ ეჭირვება, კი არა სტკივა რა, გული სადღაც მიუწევს, ეს ხმაურობა თავს ურეტიანებს, უნდა გავიდეს აქედან.

—

ფიქრის გორაზე პატარა ოთახი, დაბალი სოველი კედლით, შიგ ორი ხის ტახტი ლოგინებ გაშლილი, ორი სკამი, განჯინა, მაგიდა და წიგნების რაფა.

თამრო მძიმეთ დაეშვა საწოლზე. თავი ბალიშებში ჩაჰყო და გაირინდა. არაფერს არ ფიქრობს ქალი, ხოლო ანთებული ცეცხლის რგოლები უტრიალებს თავში. ყველაფერი ერთი მეორეში ერევა.

თამრო სოფლის გზას დაადგა, სახეში ქარი უბერავს, გზას უძნელებს, სოფელში შევიდა, დაღამდა კიდეც.. რახ რახ რახ... რახ... რახ... რახ... ტრიალებს მოტორი ბზრიალებს ამყოლი შკირი, ყურთა სმენა არ არის; ფაბკომმა ჩამოუარა მუშებს და გადასძახა.

„ამხანაგებო მუშაობიდან კლუბში, საწარმოო თათბირია უნდა დაესწროთ“.

მუშფაკის კარები.. მოწაფეები ირევიან, ერთი მეორეს ეჯახებიან...

შემოდგომაა, ბრილა... დედამ ბეხარი გააჩაღა თაფლოს გახარებია ქალის ჩამოსვლა, თავი თეთრი მანდილით აქვს წაკრული დაფუსფუსებს, ვახშამს ან-

ზადებს და თამროს საყვარელ საჭმელებით ავსებს სუფრას. ქალესა ისევ მდუმარეა, ცეცხლს ჩაჰყურებს და ყალიონის ტარს ღეჭავს...

(მესამე ზარი ჩამოირეკა) მატარებელი დაიძრა თამრო ფანჯრიდან უცქერის ამხანაგებს. შორს მიდის და ყველას ემშვიდობება.

ისევ სოფელი. „დედა, ნათელას ნახვა მინდა“ ეუბნება დედას...

— „არ შეიძლება“!

— „რატომ?

— „დარეჯანი გაგლანძღავს, არ გაჩვენებს ბავშვს.

— „უნდა ვნახო, ვისა აქვს უფლება დამიშალოს?

სულაც წავიყვან ბავშვს, აბა დამიდგენ წინ“.

კარებში ნიკო შემომდგარა...

— „აჰა, მოგიყვანე ნათელა, აკი მინდოდა იმისი ნახვა...

— თამრო დაგძინებია? ესე შიშვლად ხომ შეგციოდა?

უთხრა ამხანაგმა და წააფარა პალტო. თამროს გაეღვიძა, უგონოთ მოავლო თვალი ოთახს. ამხანაგს მიაჩერდა, სიზმარიდან ვერ გამორკვეულა.

— გათენდა?

— რომელი გათენდა? ეხლა ღამდება.

— როგორ, ის რომ ვნახე მერე არ დაღამებულა?.

— რას ამბობ გოგო, დღეს ხუთშაბათია, შენ რომ მუშაობას დაანებე თავი და შინ წამოხვედი.

— ჰოოო... მართლა...

— ავად ხომ არა ხარ თამრო! დიომიდემ მოთხრა... ის... რაღაც... ძალიან მზრუნველობს შენზე...

თვალი უყო მეგობარმა და ეშმაკურად დაუქნია თითით...

— სისულელეა...

მიუგო თამრომ, თავზე ხელი გადისო, წამოჯდა,..

— რა დროა?

— ოთხი საათია.

— უჰ, რა დრო გასულა... დავგვიანდებით...

— მე არ მოვდივარ... არაფერი არ ვიცი დღეს...

— არა ძმაო, ასე მეცადინეობა არ იქნება. თუ სწავლა გინდა, თავი ხელში უნდა აიღო, მე როგორღა ვასწრობ, ვმუშაობ, ვსწავლობ, რამდენ გარეშე წიგნებს ვკითხულობ და არც ჟურნალ გაზეთები მრჩება დაუთვალიერებელი.

— რა უყო თამარიკო! შენოდენა ძალა რომ არ შემწევს? დღეს ქარხანაში სულ შენზე იყო ლაპარაკი მოსკოვში გიპირებენ გაგზავნას გადასამზადებელ კურსებზე.

— ეგ მეც ვიცი, მოვკარი ყური მაგრამ... ვნახოთ რა იქნება, ერთი შენს გახარებას კერასინკა აანთე, წყალი დადგი ზედ, ჩაი დავლიოთ და წავიდეთ.

ქეთომ ნავთ ქურა აანთო, ჩაი გაამზადა და ორივე ამხანაგი შემოუსხდნენ სუფრას.

—

მუშათა ფაკულტეტის დერეფნები საკვლია მსმენელებით, რა ჯურის კაცს არ შეხვდები აქ; ახალ გაზრდა, ხნიერი, ქარხნის მუშა, მზარეული, წითელ არმიელი, და მოჯამაგირე... არის ახალ გაზრდობა რომელთაც მისამართი შეშლიათ, გზა არევიათ, ვერ დაუმთავრებიათ საშვალო სასწავლებელი, შემდეგ სადმე მოწყობილან მუშაობის სტაჟი მიუღიათ, და ისევ მუშათა ფაკულტეტისთვის შეუფარებიათ თავი...

თამრო მეოთხე კურსის სტუდენტია, შვიდი ჯგუფის ცოდნა ჰქონდა, მომზადების შემდეგ მესამე კურსზე დაჯდა; საარაკოთ გახდომიათ ამ ქალის ენერგია... ის მხოლოდ ექვს საათს უთმობს ძილს. რვას მუშაობს, დანარჩენს სწავლობს, არდადეგის თვეებში აღრმავებს თვისს ცოდნას.

კიდევ არის ამ სასწავლებელში ასეთი მოწაფე. მან ყველა გააკვირვა, „მდევ კაცს“ ეძახიან; ისიც სოფლიდან ამოვიდა ორი წლის წინად, წერა კითხვა იცოდა, ქართულ მწერლობას იცნობდა ცოტათ.

სანოვაგე შორს მაზრიდან ამოიტანა, ვაკეში სტუდენტებთან დაბინავდა, და მათთან დაიწყო მეცადინეობა. ამ კაცმა წიგნები შეჭამა, სამკითხველოებს ძირი გამოუღრღნა და ცარიელი თაროები დასტოვა, რაც სიბრძნე იყო ქაღალდებში გაბნეული ღრუბელივით ამოაშრო ახალ გაზრდის ტვინმა და ეხლა მისი თავი ენციკლობედიის ლექსიკონია.

ათავებს მუშფაკს, ფართე თვალებით იყურება წინ, საცა ცეცხლის ენები ტრიალებენ, საცა მრავალი სიძნელე ელობება წინ ახალ გაზრდას, მაგრამ ვერ აჩერებს მას... ის უკან არ იყურება. უკან მას დარჩა მხოლოდ დედა ფრთა მოტეხილი ჩიტით ხელში... მას აქეთ დრო გავიდა და ბევრი რამ მოხდა; უკან მას დარჩა კიდევ სოფელი ტალახიანი ორ ღობებით... ერთ დროს ფიქრობდა იმ სოფელზე, მის გარდაქმნაზე, რეკონსტრუქციაზე, მაგრამ დაასწრეს, უიმისოდ მოხდა ეს ამბავი. იქ ეხლა ფოლადის ხარი ბურღავს რქით მინდორს და კოლმეურნეობას ჩაუბამს ფერხული, ისეთი რამეც მომხდარა, რასაც ეს ბიჭი არ მოელოდა; გედევნიან, თულაან, ყანჩაველიანთ და სხვა წვრილ ფეხა აზნაურთან ერთად სხვებსაც დაუტოვებიათ სოფელი, ურმებით და მცირე საგზლით სწვევიან ქალაქებს, ახალგაზრდას იქეთ აღარ მისწევს გული, სოფელს დავიწყებია მისი გუშინდელი ბიჭობა, მისი შრომა, უნარი და წუთის სათვალეებით შეუხედავთ ობლის დოვლათიან, და მოჯამაგირიან ოჯახისთვის.

და ყველაფერი შეატოვა თურმე ვაჟის დედამ სოფელს; მას ჰყავდა უღელი ხარკამეჩი, სამი ძროხა, ათიოდე ცხვარი, წვრილ ფეხობა. სახლ კარი სავსე ბეღელი და ცოტა ბალი. დასტოვა ყველაფერი. ჩამოყვა ქალს გორში, ქალი სასწავლებელშია, დედა მიდგა, ვის შეუკერა, ვის გაურეცხა, შემდეგ საკონსერვო ქარხანაში მოეწყო თურმე... დაჟანგებულ ყუთებს რეცხავს, ხილს სთლის, ყუთებში აწყობს, მიაქვს, მოაქვს, ყველას დავალებას ასრულებს, ქარხნის დედა გამხდარა. ყველა მას მისძახის და ტკბილ სიტყვას ესვრის.

ქალაქმა შეივრდომა, თავის კალთა გადააფარა, სამაგიეროდ არც ის მისტირის უკან დარჩენილს, ახალ ყოფას შეეჩვია და გაიტკბო დღიური ულუფა.

თვით ეს ვაჟიც სააგურეს მუშა გამხდარა, ალიზსა სჭრის ყალიბებში, და მუშფაკის მსმენელია, ეს არის ტატე,[1]) გორიდან ჩამოსული, ფარაჯიანი ბიჭი, რომელიც პირველად გააკვირვა და ჩაითრია ქალაქის სიდიადემ, ეს არის ტატე რომელიც ექიმ ქალის სიყვარულმა ჩამოიყვანა ქალაქში შაგრამ, შემდეგ გაჯიუტდა, დაიხია უკან და თვალით აღარ დაენახვა, არ გაუმხილა ხვაშიადი, ვაჟი ხედავდა შუაზე აყუდებულს მაღალ ზღუდეს, ქალი ათავებდა უმაღლეს ცოდნას, ვაჟი ეხლა ეცნობდა ანა ბანას, ენაზე კლიტე დაადო გული დააჩუმა, ცხვირი წიგნებში ჩაჰყო და დროს ელოდა. ეხლა თამაროსთან ერთად სწავლობს. ეს ორი ძალა გაიმიჯნა: „ჰა, რომელი მოერევა რომელს“.

თამრომ, ამ წუთას გაუსწრო წინ, კიბეებზე ჩამოიტოვა და შევიდა აუდიტორიაში ქალი მივიდა თავის პარტასთან თუ არა, გარს შემოერტყნენ ამხანაგები.

— თამრო გენაცვალე ეს მაგალითი გამისინჯე...

— თამრიკო! მაჩვენე შენი კონსპექტი.

— აჰა კონსპექტი, შენ-კი ჩემო ნინო! მაგალითს ვერ გაგისინჯავ თავი მტკივა... ა ეგერა, ტატე მოდის და იმას აჩვენე, არ დაგზარდება.

ტატე უკვე მეორე მაგიდაზე ზის, თავი ჩაუყვია რაღაც ქაღალდში და ჩასციცინებს. ის გაჩხდარა, დაუკარგავს გლეხის იერი და გამონაკვთულ სახეზე აზროვნების ბეჭედი აზის. დაიწყო გაკვეთილი, ყველაფერი თავის დონეზე მიმდინარეობს, კათედრასთან მდგომ ლექტორს ასი წყვილი თვალი მიისრია, მიჰდობია, შეუკრავს და შეუბეჭდავს ლექტორის ყოველი კუნთი, დაუპყრია და თავის არსში გადმოუტანიათ ეს მცოდნე კაცი, შენივთებიან ერთმანეთს მასწავლებელი და მოწაფენი..

მჭერ მეტყველაბა საუბრობს კეთილ სასმენ ქართულის ენით, ცოდნა შარბათად იღვრება ახალგაზრდათა გონების მინაზე იწერება და იბეჭდება იქ.

თამროს აქაც დაეკარგა დღე; მის მახლობლად ჩახურული ფანჯარაა, შემოდგომის ნიავი უბერავს და მეორე სართულის ზემოთ ატყორცნილ ახალ გაზრდა ჭანდარს არხევს. ხეს ფოთლები დაყვითლებია და ნელ-ნელა შორდება სხეულს, აი მოსწყდა, წამოვიდა ფრიალით, იტრიალა ჰაერში, ჩიტივით მოაწყდა ფანჯარას და თავდაყირა დაეშვა ძირს.

„ეს ჭანდარი თამრიკოა, მას ნელ ნელა შემოეძარცვა ფოთლები, მარტოთ დარჩა“. ფოთოლს ფოთოლი მოჰყვა ქალი უყურებს, გაიტაცა სანახაობამ, დააავიწყდა ლექტორი და აუდიტორიაც. ლექტორმა მოავლო თვალი მსმენელებს შესწყვიტა ლაპარაკი.

— ნანობაშვილო! რაზედ ვლაპარაკობდით? თამრო შეკრთა, მას ხომ ყური არ დაუგდია, არც ესმოდა.. წამოწითლდა ქალი სახეზე.

— ჩემდა საუბედუროდ არ უგდებდი ყურს ამხ... ვერ დაათავა, ჩაუწყდა ხმა.

ლექტორმა ისევ მიავლო თვალი დარბაზს გაკვირვებით... ის დაჩვეულია მისგან ბეჯით ყურადღებას, საზრიან შეკითხვებს, მოსწრებულ პასუხებს.

---

[1]) იხილე „მოთხრობები მარიამ გარიყული „ტატე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნანობაშვილი და ყურს არ უგდებდა?

— მე ამხა... მე... იმათ უყურებდი...

გაიშვირა თითო ფანჯრისკენ.

ყველამ სარკმულს მიაპყრეს ყურადღება.

— იქ რას ხედავდი თამრო?

— რომ სცვივა, სიცოცხლეს რომ ეთხოვება.

წასკდა ქალს ტირილი.

ლექტორი დადგა, გაფითრდა.. ამხანაგები შემოეხვივნენ თამროს.

— წყალი ასვით და გაუვლის, დაილალა ალბათ... დაილაპარაკა ტატემ ყრუთ.

ასვეს წყალი, ცრემლები მოიწმინდა ქალმა. შეხედა ამხანაგებს ყველას გაულიმა.

— შეუძლოთ ხართ იქნებ ამხანაგო .. თუ გინდათ წადით და დაისვენეთ. უთხრა ლექტორმა.

— გმადლობთ ბატონო ალექსანდრე... გმადლობთ. წამოდგა თამრო და თითქოს ბარბაცით გავიდა დარბაზიდან...

— გააცილეთ ვინმემ..

უთხრა ქალებს ლექტორმა.

ქეთომ დაავლო ხელი თავის პორთფელს და გამოუდგა მეგობარს.

—

ცივი ქვენა ქარი უბერავს სახის კანს უსუსხავს ორ მგზავრს, რომელნიც ჩქარის ნაბიჯით მიდიან საქართველოს სამხედრო გზა ტკეცილზე. ქალის მკლავი უჭირავს ვაჟს. ახლოს მიკვრია ჯანსაღი სხეული ერთმანეთს. ხიდს გასცდნენ, მაღალ თეთრ შენობას გაუარეს გვერდით. გზატკეცილი დასტოვეს და სოფლის აღმართ შარას შეუყვნენ.

— მე რომ არ მოვსულიყავ მაინც წამოხვიდოდი?

— წამოვიდოდი!

— წამოვიდოდი...

გამოაჯავრა ვაჟმა.

— ასეთ ღამეში მარტოთ მარტოს არ გეშინოდა?

— რა უშავდა, მთვარე ხო აშუქებს და... ქეთო გამომყვებოდა.

— ორი ქალი შუა ღამისას რა საკადრისია... რა საფიქრალია...

— რა ფიქრი უნდა.. ეხლა ხო ძველი დრო არ არის... წინეთ ქალი ქალაქშიაც ვერ გაივლიდა თურმე... დღეს ვინ აქცევს ჩვენს სიარულს ყურადღებას. ყოველი კაცი თავის ტვირთით დამძიმებულა.

— შენ ეგრე გეგონება ჩემო თამრო! ჯერ კიდევ დიდი დრო უნდა სანამ მამაკაცი ამას შეიგნებდეს.

— რას?

— იმასა რომ, ქალს მისთვის უცხოს და კარგ შესახედავს გაუაროს გვერდით და ქვენა გრძნობებმა არ გაიღვიძოს მასში...

თამროს ეწყინა ეს თქმა; თითქოს მეტი სათქმელის წამძღვარება გააკეთა ტატემ ამით. ნელა დაიხია გვერდიან და ოდნავ შეეცადა მკლავის განთავისუფლებას.

— დადექი ქალო! რას ექაჩები ხელს?!

მოსწია თავისკენ. ქალი თითქოს მორჩილად გაჰყვა ამ ხმას.

— არა თამრიკო! ჯიუტი რამ ხარ, ამოდენა ხანია გიცნობ... გიყურებ, გაკვირდები, სულ შენი ნათქომი ხარ, ერთი დათმობა არ იცის... ამ ხანაგებმა შენგან... განა არ გათენდებოდა და დღის სინათლეზე ვერ წამოხვიდოდი?

— ეეე ჩემო ძმაო! შენ რას მიხვდები... ყველაფერი ტყვილი ყოფილა... ყოველი მწვერვალი თავს იგდებს თურმე დედის გრძნობასთან... ამას იმ დროს ვერა ვგრძნობდი... მაგრამ იცი რა გითხრა? ჩემი ბრალიც არ არის... ობიექტიური პირობებიც უწყობდა ხელს ამ მაღალი გრძნობის დაჩრდილვას.

— როგორ მაინც, არ მესმის.?

— ისეთ ხანაში მოხდა ჩვენი აღზრდა... ერთობ ბიჭური იყო ჩემი ყოფა... დედობა, ეს თითქმის დამცირებად მიმაჩნდა... რაღაც უფრო მაღალს ვეძებდი... ასე ვმსჯელობდი, მშობიარობა ხომ ყოველ ცხოველს და პირუტყვს შეუძლია... ქალი უნდა ამაღლდეს ამ ბიოლოგიურ საფეხურიდან მეთქი მაგრამ...

— რა მაგრამ.?

— ასე არ ყოფილა, ჩქარა მივხვდი ცრუ შეხედულებათა სიყალბეს... გონება გააბითურა გულმა ბევრი ღამეები გამიტეხია შვილზე ფიქრში, გული მიმწევდა სოფელში, გონება კერპათ ეურჩებოდა, „ჯერ დაიცადე, ჯერ დაიცადე, ჩამძახოდა რაღაც, მესმოდა რომ, ბავშვი კარგად იყო, კარგად უვლიდნენ, მე ვეძალებოდი საქმეს და ვცდილობდი ჩემი თავის აღზრდას, უკეთესისთვის მომზადებას. მაგრამ დღეს უეცარი შეხედვით გადავირიე, დაზგა კინაღამ მივამსხვრიე, ხომ დაინახე სასწავლებელშიც რა მომივიდა.

— დავინახე როგორა და მეც იმიტომ გამოვეშურე ავად მეგონე.

— მადლობელი ვარ ამხანაგო, რომ არ დაიშურე და გამომყე.

— თუ არ მოვსულიყავ, ჩემს თამრიკოს, მგლები დახევდნენ გზაში და მის კაბას გლეხები ნახავდნენ ხვალ დილით.

გაიცინა ტატემ.

— როგორ ტატე! მაყვედრი რომ გამომყე?

— ჰო, გაყვედრი...

— ამხანაგო! ჯერ კიდევ არა ვართ შორს ქალაქიდან დაბრუნდი.

— მმ... დაჩუმდი... გეყოფა ამდენი სიამაყე...

— მე ამაყი?

— ჰო, შენ... უნელე ფეხს, ისე მიჰქრი ველარ მოგდიე... ხედავ მგზავრებიც მოდიან.

ცოტა წაიარეს, წინ შემოხვდათ შეშით დატვირთული ურმები. ტატემ გამარჯვება გადასძახა და გაუარეს გვერდით. ცოტა ხანს მიდიოდნენ ჩუმათ.

— თამრო.! მე მაინც ვერ გავიგე, რათ დასტოვე...

— ბავშვი?..

— არა, იმისი მამა...

ქალი გაჩუმდა.

— არ მიპასუხებ?

— არ მიყვარდა..

— როდესაც გაჰყევ?

— მაშინ ისე მეგონა.. სიყმაწვილე იყო. სხვადასხვა გამოვლექილ.. „იმას ბევრი ტრადიცია ახლდა რასაც მე, ვერ შეურიგდი.. ვერ შეეგუა...

— და დასტოვე სრულიად გულ გრილად?

— სრულიად. მეცოდებოდა-კი, როგორც კაცი... ის იტანჯებოდა... მაგრამ მეც სხვა გზა არ მქონდა... ვერ დამეუფლა, ვერ დამიპყრო... იცი რა, გეტყვი როგორც ამხანაგს... იქნებ ცუდი თვისებაც იყოს ეს ჩვენთვის მაგრამ ასე-კია... ქალი ვერ ურიგდება, ვერ შეიყვარებს მასზე სუსტს, ალბათ ეს კიდევ ძველი ფსიხოლოგიაა ჩვენი. ღონიერი მამაკაცი უნდა ქალს...

— როგორ ღონიერი? — გაიკვირვა ტატემ.

— რა თქმა უნდა არა ფიზიკურათ... კაცია თუ ქალი, ის პირველი სიმაღლე და სიახლე უნდა შეინარჩუნოს რომლითაც პირველ შეხვედრაზე ეჩვენა... ღონიერი უნდა იყოს ჭკუით, გონებით განვითარებით. და არც მთლიანად გამოცნობილი შენგან. მაშინ ასეთი ადამიანი დაიპყრობს შენს გულსა და ყურადღებას...

— და რა თქმა უნდა შენი ქმარი ვერ იდგა ამ ნიადაგზე..

— ვერ.. იყო კეთილშობილი მაგრამ ჩამორჩა ბევრ რამეში, რაც მე მაინტერესებდა. მან მოინდომა ჩემი ხელში ჩაჭერა რაც ტლანქ დესპოტობამდის მივიდა და ჩემი გული გაცივდა მისდამი.

ტატემ თავ დაჭერილად ამოიხვნეშა.

— დაიღალე ტატე?!

— არა, როგორ დავიღალე, ფეხით ყაზბეგს გადავსულვარ, ხევსურეთის მთები მომივლია.

— მაშ რა იყო?..

— ისე თამრო! მოვიგონე ჩემი წარსული ამბავი და გული მეტკინა.

— შენც გაქვს ამხანაგო წარსული?

— მაქვს, სულელური გატაცებ იყო...

— და დაშორდით ერთმანეთს.?!

— არა, ეს სხვა ამბავია.. ის მთის მწვერვალზე იდგა. მე მთის ძირში, დიდი საზღვარი გვყოფდა და..

— და გაგცვალა?

— მან არც იცოდა... ისე ჩემთვის ვილეოდი.

თამრო დადგა, შემოაბრუნა ვაჟი თავისკენ.. შეხედა თვალებში, თანაგრძნობამ და სითბომ შეანათა ვაჟს სახეში. ტატე იდგა ქალის წინ გაბედულათ დამწიფებულ ვაჟკაცში აღარ იყო ის ყმაწვილური უხერხულობა წინათ თინას ყურების დროს რომ მოსდიოდა.

გაულიმა ქალს, მადლობით გაულიმა თანაგრძნობისთვის, კიდევ ოდნავ მოუჭირა ხელი მკლავში, თავი გაიქნია, კისერი წინ გაიწვდინა ქალის სახეს მიუახლოვდა და ჰაერზე გაუგზავნა მსუბუქი კოცნა.

თამრო შეკრთა მკლავი გაინთავისუფლა, განზე გადგა და ნელა წავიდა, ტატეს ისევ ჩაეღიმა და გვერდ გვერდ გაჰყვა ქალს.

ერთ ხანს იარეს მდუმარეთ, ორივე დაეპურა თავთავის ფიქრებს ტატეს დაჰ-ქროდა სადაც წარსულში, შორს მიფერფლილ მივიწყებულში, უგზო უკვლოდ დაეხეტებოდა ობოლი ფიქრი...

თამრო თანდათან უახლოვდებოდა მამის სახლს „რამდენი ხანია არ ყოფილა იქ, არ უსუნთქავს იქაური ჰაერით. არ უნახავს აქაური ცა, ეხლა რომ მოკამ-კამებული დამხობია თავზე, ქალს ასეთი ვარსკვლავები ქალაქში არ შეუმჩნევია, იქ სხვა ჯურის ვარსკვლავებია: ახლო და ციმციმა.. ყოველ ქუჩას, ყოველ სახლს, ყოველ ოთახს, სასახლეს და ჯურღმულსაც ანათებენ ის ვარსკვლავები. ელნა-თურები.. ცხვირ წინ ვეება შენობები ეფარა, თავს მაღლა არ აწევინებდა, და-ავიწყდა ღამის გუშაგები.. ეხლა აგერ მიდის გაშლილ ველზე, სოფელს სარ-წყავი არხი ძველ კალაპოტში გადმოუგდია, პატარა ხოლი მილიკლიკებს გზის პირას. მინდვრები და დაფენება... აქა იქ დარჩენილი ხეები მდევებივით მოსჩა-ნან მთვარის შუქზე. შორს ტყეები იწყება შავ კუნაპეტად იყურება ის მხარე, მარჯვნივ მთა, მთა-გორაკები ახალგაზრდა ძუძუებივით რომ ამოჩრილან.. უჰ, რამდენი ხანია არ გაუვლია აქ თამროს, თითქოს საუკუნე იყოს გავლილი..“

ქარი ისევ უბერავს, ცივა ოდნავ, მაგრამ ქალის ძარღვებს აცოცხლებს და ახალისებს ეს მშობლიური სისინი..

— ვაი...

დაიძახა თამრომ უეცრად, მოწყდა ადგილიდან, „ინსტიქტიურად“ გადა-ხტა ვაჟისკენ წაავლო ხელი და როგორც სურო ესე აეკრა სხეულზე... ათრ-თოლდა ქალი და მიეტმასნა.

ტატემ ვერ გაიგო რა მოხდა, მანაც მიმოიხედა ირგვლივ... ის იყო, გზის პირას, მაღალ თხრილიდან ამოხტა რუხი, მგლის ფერი ძაღლი ბუმბულა კუდით და დაჭრილის ყურებით. მგზავრებს გვერდით გაურბინა, ზედაც არ მიუხედავს მათთვის, მეურმეებს ჩამორჩენოდა და ეხლა თავ მოგლეჯით მიძუნძულებდა რომ დაწეოდა პატრონს.

თამრო ისევ კანკალებს და უჭერს ხელს..

ტატეს გაეცინა.

— აკი მარტო მოდიოდი ვაჟკაცო?!.

ქალმა მეგობრულად დაადო თავი გულზე, სახე დამალა, შერცხვა რომ ასე მალე დაიჭირეს შიშსა და სიმხდალეში..

ვაჟს სისხლი ეცა თავპირში.. თყალთ დაენისლა და მაგრათ ჩაიკრა ქალი გულში.

— გეყოფა ტატე.. გამიშვი.. გამიშვი გენაცვალე.. გაინთავისუფლა თავი მწვავე კოცნიდან, ცხელი ჰაერი მოიშორა, ისევ გაუდგა გვერდზე და საყვედუ-რით შეხედა.

— ტატე! მე შენ სრულიად გენდობოდი.

— მერე და რა დავაშავე გეთაყვა?!

— ამხანაგო! გთხოვ მსუბუქად არ მიყურო.. მე არ მინდა შემთხვევის მსხვერპლი გავხდე.

— მოგიკვდეს ტატე, თუ რამე გაწყენინოს.

— კმარა, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

— თამრო!. მაინცა და მაინც.. ეხლა რო ვთქვათ.. ჰო.. რა?.. მომეცი ხელი.. ამას შემდეგ აღარ...

— გეყოფა ამხანაგო!..

— მეყოფა?. რა მეყოფა?.. რა უნდა მეყოს... თითქოს ჭირვეულობა დაიწყო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამროს მუხლებმა კანკალი დაუწყეს... უნებურმა შიშმა აიტანა.. ქურდულათ გახედა გვერდზე და ნაბიჯს უმატა..

ტატეს ისევ ჩაეღიმა ტუჩის ბოლოებზე.. მანაც განივრად გადადგა ნაბიჯი და წაეტანა მკლავზე..

— დადექით! მართლა, შენ გეყოფა.. აი მოკვდეს ტატე თუ ის უნამუსო და უამხანაგო ბიჭი იყოს.. შენ მაინც რათ გგონია „შემთხვევითი". მე.. მე დიდი ხანია ვფიქრობდი შენზე..

— მეც ვფიქრობდი შენზე, როგორც...

— როგორც რა?.

როგორც საუკეთესო, იდეურ და იდიალურ ამხანაგზე...

ქალს ხმა აუჩუხჩუხდა.. ეს მდინარის შხეფები იყო თამროს თვალებში ეძებდა გამოსავალ გზას..

— თამრო, მეც ასე ვფიქრობდი დღემდის.. დღეს ცუდათ რომ გახდი.. რაღაც უფრო სიახლოვე ვიგრძენ შენი და ჩემი სულის სიობლე... მერე ეს გზა... გარემოება მოეწყო ასე.. და.. მაპატიე.. მაპატიე გენაცვალე...

— მე დავიღალე.. დავიღალე ამხანაგო და ამიტომ ამატირა დღეს ჭანდრის ფოთლების ჩამოცვენამ... თქვენ არ გესმით ეს...

— ჰო, კარგი.. კარგი..

კიდევ მოჭიდა ხელი მკლავში, ქალი მიჰყვა და ნელა წავიდნენ.

—

მაღალ ნავახშმევს, თაფლომ, ერთად გაუშალა ლოგინი ქალ-ვაჟს.

— ეს რაა დედა ჩემო?!

შეეკითხა თამრო.

თაფლომ გაკვირვებით შეხედა ქალიშვილს

— ლოგინი შვილო! განა ერთად არ წვებით?

— ვისთან დედა?.

— ქმართან შვილო!

— რომელ ქმართან

თამრომ გულიანად გადიკისკისა.. ტატე და ქიტესო ბუხართან სხედან უკანასკნელ ჭიქას უცლიან ძირს, თამროს სიცილს მიაქციეს ყურადღება. კისკისებს ქალი. თაფლო ხელში საბნით გაშტერებული დგას და უყურებს ქალს.. ტატე წამოდგა, თვალებით შეეკითხა თამროს „რა ამბავიაო".

— დედას ჩვენ ცოლ-ქმარი ვეგონეთ. უთხრა თამრომ რუსულათ.

ტატემ უნებურათ მიაპყრა თვალი ტახტზე გაშლილ ლოგინს, ორი ბალიში ერთად დევს, ორის სართუმალია გაკეთებული თბილმა ნექტარმა დაუარა ვაჟკაცს ძარღვებში.. ერთს წუთს მოხუჭა თვალები, ყურებში საშინელი ხმაურით ჩამორეკეს ზარები... საჩქაროდ მოეგო გონს, შემოტრიალდა, დაავლო ქუდს და გაიწია წასასვლელად. თამრო პალტოში სწვდა.

— საით, საით ტატე, სად მიდიხარ.. დედა ჩემო, შენ შეარცხვინე ჩვენი სტუმარი ეს ჩემი ქმარი-კი, არა, საუკეთესო ამხანაგია.. ერთად ვსწავლობთ.. ამ საღამოთი პატივი მცა და გამომყვა. დაიცა ტატე! სად მიხვალ, ბანა ლამეს ვერ გაგათევინებთ? კიდევ გვაქვს ლოგინიც და ოთახიც, რამ შეგაშინა?

— არა, გმადლობთ შენი ჭირიმე.. რა მიშავს.. მშვენიერი გზაა, მთვარე ჯერ კიდევ აშუქებს.. ერთ საათში ქალაქში ვიქნები.

— რა გაჭირვებაა ყმაწვილო, დარჩით...

შეეპატიჟა ქიტესო..

— არა, გმადლობთ, ვერ დავრჩები... უკან დახევით მივიდა კარებამდის და გავარდა კარში, კიბეზე ჩაირბინა, მასპინძლისთვის არ მიუხედავს, ქუჩაში გაჩნდა,— წეღან თუ გულით აწვებოდა, ეხლა ზურგი მიუშვირა გაძლიერებულ ქარს და გასწია ჩქარის ნაბიჯით.

თაფლო ისევ ისე იდგა საბნით ხელში გაკვირვებული..

თამრო მოეხვია დედას და დაჰკოცნა..

— ჩემო დედა შენ გაკვირვებს ყველა ეს? ეს ახალი ამბავია, დედა ახალი..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ რუხაძე

ჩვენი ეპოქა სულ სხვაგვარია.

1.

გაზაფხულდება. მოვა მაისი,
ხავერდს ჩაიცვამს მინდორი, კორდი;
აელვარდება ეშხით აისი,
მიწას გადურბენს მზე ოქროს ფორდით.
გადიპენტება ბაღში ხეხილი:
ბალი, ალუჩა, ატამი, ნუში...
ხემოგვევლება ყვავილთ გრეხილი
და სილამაზე ჩაგვიკრავს გულში.
აჩუხჩუხდება ძარღვებში სისხლი,
გამოიღვიძებს მძინარე გრძნობა
და ამოშრება თვალებში ნისლი
და გაგვიტაცებს ბუნების ტრფობა.

2.

გამომაღვიძებს ჭიკჭიკი მერცხლის,
გავყვები შარას ნაბიჯით მდევრის,
სადაც მოჩქეფავს ნაკადი ვერცხლის
და უცნაურად ხმაურობს ტევრი;
სადაც ჭალარა მთა და ხევია,
მიდენის სიო ნისლებს მთებს იქით;
სადაც ვაზი ვარდს გადახვევია,
სტვენს იადონი — ეს ტყის ბესიკი;
სადაც გრძნობაა ხელისუფალი
და დედოფალი კი — სიყვარული
და ნადიმობენ ფერად სუფრაზე
მზე, პოეზია და სიხარული.

3.

ვკოცნი ბუნებას, მკოცნის ბუნება
და იპადება ცეცხლი, ხალისი;
კვდება სიბერის დაძაბუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ენერგიას ვიძენ ხვალისთვის.
კვლავ ვუბრუნდები მღელვარ ცხოვრებას,
არ ვარ მოღლილი, ცივი, უგრძნობი...
ახლა არც შრომა მეუცხოვება,
არც პარნასია ჩემთვის უცნობი;
ელვარებს სული მოწვდილ ხმალივით,
ვიგლეჯ მკერდიდან სამარის ტრაურს,
და განცდის მთიდან ვაჟას ხარივით,
მეც ბანსა ვაძლევ ეპოქის ხმაურს.

4.

ჩვენი ეპოქა სალ სხვაგვარია,
ჩვენი ეპოქა როდი გავს ძველებს:
ის გრიგალივით მძლე და ჩქარია,
მთებს აყირავებს, აბრუნებს ველებს!
მოაქვს ფოლადით სავსე კუნთები,
მანქანები და ელდენის ღვარი,
და, რომ დალეწოს ძველი ხუნდები,
აფეთქებს ნალმებს, ზათქით და ზარით!
რაა იმისთვას სივრცე და ჟამი?
დაიპყრო მიწა, დაიპყრო ცაცა;
მას ვერ აბრკოლებს ზღვა, კლდე და ხრამი:
ის ყველგან არის, სივრცეა საცა!
გინახავთ სადმე სასტიკი შეხლა
და მოზიდული ძალზე გზაკალი?
ჩვენი ეპოქა იმას ჰგავს ეხლა
მრისხანებით და გულის კანკალით!

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ. ჯაჯანაშვილი

ნაგერალი*)

5.

მთებში.

მეორე დღეს სტუმრები დაქანცულები წამოიშალნენ. ყველაზე ადრე ლეიტენანტმა გივიმ გაიღვიძა. ლოგინში გაიზმორა, უცებ წამოხტა და ისე დაიღრიალა, რომ მის მახლობლად ტახტზე გაშხლართული სტატისტიკოსი ბნედიანივით წამოიჭრა და შეშინებული თვალები აქეთ-იქით გააცეცა. გივიმ ხითხითი დაიწყო. სტატისტიკოსი საზარელი სანახავი იყო. აბურძგვნილი თმა, დასიებული ქუთუთოები, ჩაცვინული ყბები და ჩაყვითლებული შუბლი მის დამჭკნარს სახეს მიცვალებულის იერს აძლევდა. ლეიტენანტი გივი რომ დაინახა, იმასაც გაეცინა, ჩაყვითლებული კბილები გადმოჰყარა და კისერი მოიფხანა, ოთახის მეორე კუთხეში პუპსიკი გაიზმორა და იმანაც თავი საბნიდან გამოჰყო. მარტო ზურაბი ხვრინავდა გემრიელად და თავისი ფშუტუნით გრძელ ულვაშებს ცხენის ძუასავით ათამაშებდა.

პუპსიკი მაშინათვე სარკეს მივარდა და უბის სავარცხლით შეთხელებული თმა გაისწორა. სტატისტიკოსმა-კი გრძელი აჩონჩხილი ფეხები ხვნეშით შარვალში გაჰყო და თვალების სრესით ლოგინიდან წამოდგა. ზურაბიც გააღვიძეს. ბევრი იბუზღუნა, რამდენჯერმე გვერდი იბრუნა, საბანშიც თბილად გაეხვია, მაგრამ დაგვიანებულმა თანამგზავრებმა ლოგინში აღარ დასტოვეს.

კარგა გათენებული იყო, სტუმრები სასადილო ოთახში რომ გავიდნენ. აქ მათ გამართული საუზმე და ჩაი დახვდათ. ლეიტენანტმა გივიმ ელენეს ალმაცერად გადახედა. ელენეს ტუჩებში ჩაეცინა და თვალი მოარიდა.

სტუმრებმა ჩაი დალიეს და ეზოში ჩავიდნენ; გადასწყვიტეს სასეირნოდ მთებში წასულიყვნენ და თავკავთის ძველი ნანგრევები ენახათ. ქაიხოსრომ ცხენების საშოვნელად დილიდანვე კაცები დაგზავნა.

— თუ გსურთ, სანამ ცხენებს მოიყვანენ, კროკეტი ვითამაშოთ? — შესთავაზა ელენემ სტუმრებს. — აბა, ვნახოთ, რომელი თქვენთაგანი უფრო მეტს უნარს გამოიჩენს!

---

*) გაგრძელება. იხ. მნათობი № 8—9

ელენემ კროკეტის ბირთვები და ჩაქუჩები ჩამოიტანა და მოთამაშენი ორს პარტიად გაჰყო.

— ზურაბ, თქვენ ძლიერი მოთამაშე ხართ, იმათთან იყავით, ალბათ გათანასწორდება! თქვენ? — მიუბრუნდა გივის.

— მე. მე... არ ვიცი! — უპასუხა გივიმ და პლაცზე გაფანტულ ბირთვებს უმწეოდ დახედა.

— არა უშავს რა, მე გასწავლით!

თამაშობა დაიწყეს. შეჯიბრებამ ელენე გაიტაცა. ალეწილი სახით თავის სტუმრებს ასწავლიდა და მკლავის მოხდენილი, გრაციოზული მოქნევით ლელო გაჰქონდა.

— ბირთვი მომაწოდეთ... პოზიცია დაიკავეთ... ჩაქუჩი მარჯვნით... ეგრე... ნუ ჩქარობთ... ხაფანგში გაატარეთ... დინჯად! — ისმოდა ელენეს მტკიცე ტონით წარმოთქმული განკარგულებანი.

— პირველი წითელი! გივი, თქვენი გამოსვლაა! ფრთხილად!.. აი, აქეთკენ. — გასცა განკარგულება ელენემ და პლაცს შემოურბინა.

— მე? — გამოერკვია ფიქრებიდან გივი, ჩაქუჩი მოიქნია და გვერდიდან ისე უცნაურად შემოარტყა, რომ ბირთვი ახტა, დაგორდა და ელენს ფეხში მოხვდა.

— არა უშავს რა! — მტკიცედ სთქვა ელენემ და ჩაქუჩი მოიმარჯვა, — მე გამოვასწორებ! აბა, გივი, ჩქარა ბირთვი!

გივი ბირთვს დასწვდა, ელენესთან მიიტანა, დაიკუზა, წინ დაუდო და იმ დროს, როცა ელენემ ბირთვის გასწორება მოისურვა, ნეკზე აკოცა.

ელენე გაწითლდა. მკლავის ნერვიული მოქნევით ბირთვი გასტყორცნა, ქუსლზე შემოტრიალდა და პლაცის მეორე მხარეს გადავიდა.

თამაშობა გრძელდებოდა.

— წითელი მესამე! თქვენა თამაშობთ, ელენე! რას ჩაფიქრდით? — მიუბრუნდა ზურაბი ელენეს, რომელიც ჩაქუჩზე დაყრდნობილი იდგა და მიწას ჩასცქეროდა.

— აღარ მინდა! — წამოიძახა უცებ ელენემ, ჩაქუჩი გადააგდო, ხელი შუბლზე გადაისვა და დაღონებული სკამზე ჩამოჯდა.

სწორედ ამ დროს გზაზე ცხენების თქარათქური მოისმა.

სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ. გამყოლის ცხენს საჭმელ-სასმელით გაჭედილი ხურჯინი აჰკიდეს და მხიარული ყიჟინით ცხენები შარასკენ გააქანეს.

სოფლიდან გზა კავთურის გასწვრივ მიდიოდა; ქვათახევის მონასტერთან, კი მარჯვნით უხვევდა. მთიულების სოფელთან საურმე გზა თავდებოდა და ბილიკი იწყებოდა.

მედიდური და ამაყია კავთურის ხეობა. მწვანედ გაბადრულ მთებს შუა კავთურა ველური ღმუილით მიხშუის და თავის აქაფებულ ტალღებს უზარმაზარ ლოდებს ახეთქებს. დაბურულ ტყეთა შორის იგი უფრო მშფოთარე, მღელვარე და ჩქარი ხდება, მის გიჟურს ღრიანცელს ბანს აძლევენ კლდეები და ვიწრო ხეობა...

მგზავრებმა სოფელი გაიარეს, შარა გზიდან საურმე გზაზე გადაუხვიეს და ყვითლად აბიბინებულ, დაპურებულ ყანებს შუა, თავკავთის გზას შეუდგნენ. გივიმ ცხენს მათრახი გადაუტყლაშუნა და იორღა თქარა-თქარით მინდორზე გაიგდო. ცოტა ხნის შემდეგ გორას მიეფარა.

ბიბლიოთეკა

პუპსიკი და ელენე უკან მისდევდნენ. პუპსიკი დიდს უნაგირზე კუნძსავით დაგდებულიყო და ხვნეშოდა; შარვალი ასჩაჩოდა და თეთრი საცვალი გამოსჩენოდა. წარა-მარა იკუზებოდა და ისწორებდა. ელენე გვერდით გაჩუმებული მისდევდა.

უცებ ელენე შეკრთა: უკან რაღაც უცნაური ხრიალი მოესმა. ცხენი დაეყენა და მოიხედა.

— ნუ გეშინიანთ, ტიღურაა! — დაამშვიდა გამყოლმა. — ეხლა მაგას გაგებული აქვს, რომ თავკავთაში მიბრძანდებით. აი, ეგრე ფეხდაფეხ მოგყვებათ.

— მე... მე... ასე... ასე... ძიინ... ძიინ... ბურტყუნებდა ტიღურა, ხტოდა და გამწარებული პირჯვარს იწერდა.

— შენც თავკავთაში მოდიხარ? — ჰკითხა ელენემ და ტიღურას საცოდავ სახეს თვალი მოარიდა.

— ხო... ხო... იქა... იქა... მე... მე... ძინ... ძიიინ! — წამოიძახა ტიღურამ, თვალებში გიჟურმა სიხარულმა გაუელვა და უფრო მეტად ახტუნდა.

ელენე ცუდად გახდა. ტიღურას მწუხარებით გადახედა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და დაწინაურებულ მგზავრებისკენ გააჭენა. უკან ჩაქჩაქით პუპსიკი მისდევდა.

მინდორი გაიარეს და ბუჩქნარში შევიდნენ. ტყის მახლობლად, გზის პირას, ძველი ეკლესიის ნანგრევები მოსჩანდა. განმარტოებული სდგას პატარა მაღლობზე. წარსულ დროთა შემოქმედება ჩუქურთმებითა და მხატვრობით მოქარგული ეკლესიის ნანგრევებზე თითქოს გაყინულა. იგი თითქოს იმითიც კმაყოფილდებოდა, რომ ჩამონგრეულსა და ხავს მოკიდებულ კედლებს წვიმა, ქარბუქი და ნამქერი ესაუბრებოდა...

გივი ეკლესიასთან ჩამომხტარიყო, ცხენი საძოვრად გაეშვა, თითონ-კი ჩამორჩენილი მგზავრების მოლოდინში, ჩრდილში წამოწოლილიყო.

— არ დაისვენებთ? — შეეკითხა გივი, როცა მგზავრები პატარა ეკლესიის ნანგრევებს დაუახლოვდნენ.

— დავისვენოთ! — მიუბრუნდა ელენე პუპსიკს და, სანამ ის ხვნეშით უნაგირზე მოტრიალდებოდა, ცხენიდან გადმოხტა.

ელენე ეკლესიაში შევიდა. ტანში სინესტემ დაურბინა და შეაჟრჟოლა. კედლებზე ძველი მხატვრობა წვიმის დროს ღია სახურავიდან ჩამოყვანილ კირს თეთრად დაეფარა, მაგრამ ძველი მხატვრობის მკვეთრი, შენახული ფერები აქაიქ მაინც მოსჩანდა.

ელენემ კედლებს დაუარა, ერთს მხატვრობასთან გაჩერდა და გაიცინა.

— უყურეთ, ხელები როგორ გაჩაჩხული უჭირავს! ეს რაღა წარწერებია?.. გუგუცი... არშაკ არუთინოვ... პოპოვ...

ელენე წვეტიან ქვასა სწვდა და მხატვრობას წააფხაჭნა: ლეიტენანტ...

— უჰ! რა დაგემართათ?

მის გვერდით გივი იდგა. მკლავში ხელი წაეჭირა და დალვრემილი უცქეროდა. ძარღვიანი, ხმელი თითები-კი სალტესავით უჭერდა. ელენე წელში მოიკაკვა, გადაფითრდა და მოდუნებული თითები გაშალა. ქვა იატაკზე დაეცა.

— რა უცნაური ადამიანი ხართ! — წაიბურტყუნა ელენემ და გივის გაოცებით შეხედა. — ხელი მატკინეთ!

გივიმ არაფერი უპასუხა, ჩუმად ეკლესიიდან გავიდა და ისევ ჩრდილში წამოწვა. ელენემ გივის თვალი გააყოლა, დაჩხაპნილ მხატვრობას გადახედა და ჩაფიქრდა. უცბათ შეკრთა. ეკლესიის სახურავიდან და კედლების ჯურღმულებიდან საზარელი წივილი გაისმა. რაღაც უხილავი არსება კუთხეში წიოდა, მის წივილს წივილითვე უპასუხებდნენ მეორე კუთხიდან და კედლების ჯურღმულებინდან.

— რა ამბავია? — ცოტა არ იყოს შემკრთალი ხმით იკითხა პუპსიკმა და მოუსვენრად ატოკდა.

— გველებია! — ღიმილით უპასუხა გამყოლმა. — ხალხს დაჩვეული არ არიან და ალიაქოთი აუტყდათ.

— წავიდეთ, წავიდეთ! აგერ, რამოდენა გველია! — დაიკივლა ელენემ და გადაფითრებული გარეთ გავარდა. კუნჭულიდან თავი გრძლად გადმოეზნიქა უზარმაზარ გველს და სისინებდა.

— რამდენი გველი ყოფილა! მეშინია, ჩქარა წავიდეთ აქედანა! — მიუბრუნდა ელენე მიწაზე წამოწოლილ გივის.

ლეიტენანტი წამოდგა და რაღაც უცნაურად აღგზნებული თვალებით ელენეს გადახედა. ელენე შეკრთა და მორჩილებით თავი დახარა. სწორედ ამ დროს ეკლესიის კარებიდან პუპსიკის ხმა მოისმა:

— რა ეშმაკად უნდათ ეს ნანგრევები, გველების ბუდედ რომ გადაუქცევიათ?

გივი ელენეს გაშორდა. ცხენს მოახტა, გზისკენ გადაუხვია და მალე ხშირ ბუჩქნარში დაიმალა.

პუპსიკამ გივის ეჭვიანად თვალი გააყოლა და ბოროტად მიაძახა:

— რა ნადირივით დააჭენებს? თავს გვაწონებს, თუ რა ამბავია!

— აქ მოდით, მიშველეთ, ხომ ხედავთ, უნაგირში ფეხი ვერ გამიყვია! — ნერვიულად გადაჰყვირა ელენემ.

— თქვენ რაღა გაბრაზებთ, ლამაზო? — დამცინავი კილოთი ჰკითხა პუპსიკმა და ცალი თვალი ეშმაკურად მოჭუტა.

— ისა, რომ ლობიო ხართ, დონდლო! — მკვახედ უპასუხა ელენემ და ცხენი გზისკენ გააგდო.

მგზავრები მთიულების სოფელში მივიდნენ და იქ შეისვენეს. აქედან უკვე თავკავთის ბილიკი იწყებოდა. ცხენები მეწისქვილეს მიაბარეს და ფეხით ალმართს შეუდგნენ.

პუპსიკმა სცადა ელენეს აჰკვიატებოდა, მაგრამ მისი მრისხანედ შეკრული კოპები რომ დაინახა, თავი მოარიდა და აყლაყუდას დაუწყვილდა. ფოსტის მოხელე უკვე მძიმედ სუნთქავდა, ხიხინებდა და წარა-მარა ისვენებდა. ზურა-

ბი ერთთავად სადღაც ბუჩქებში დაძვრებოდა, შინდის წკეპლებსა სჭრიდა და დანითა სთვლიდა.

შორიდან უკვე თავკავთის მთა მოსჩანდა. მთის მწვერვალი ნისლში იყო გახვეული. ერთი კალთა კავთურის ფრიალო ნაპრალს გადაჰყურებდა. მეორე — კი, რომელიც შორს დიდი სერით თავდებოდა, ულრანი ტყით იყო დაბურული. მგზავრები მალე ისევ კავთურის ნაპირთან მივიდნენ. ხიდად ტოტებ გამხმარი ნაძვი გაედოთ. კავთურის აქ-ფებული ტალღები გაჩხირულ ნაძვს შხუილით ეხეთქებოდა.

— ეს რა ჯანდაბაა! — აიმრიზა პუპსიკი. — როგორ უნდა გადავიდეთ? თხები ხომ არა ვართ!

— რას გააწყობ, პუპსიკ! ცივილიზაციას ჯერ აქამდის არ მოუხწევია, — უპასუხა გივიმ.

— არა, ძმაო, მე მოსაკლავი თავი არა მაქვს!

— არა უშავს რა! თუ წელგაშლილი გასვლა ვერ შეგიძლიან, ოთხზე წაწექი და დათვის ბელივით გაფოფხდი! ნუ გრცხვენია, ჩვენ თვალს მოგარიდებთ!

მგზავრები ერთმანეთის დახმარებით ხეზე გადაცოცდნენ და დაბურულ ტყეში შევიდნენ.

დაღალული და დაქანცული მგზავრები თავკავთაზე — რომ ავიდნენ, კარგად დაღამებული იყო. მთა ნისლში გაეხვია, ყინვა დაიწყო. სიცივემ ყველანი ეკლესიაში მოაგროვა. ნესტიან ლოდებზე პალტოები გაშალეს. პუპსიკმა ხურჯინიდან სანთელი ამოიღო, ოდნავ მბჟუტავ შუქზე სუფრა გაშალეს და ჩუმად ჭამა დაიწყეს.

— როგორა ცივა! — ძაგძაგით სთქვა ელენემ და პალტოში გაეხვია.

გამყოლი ძაშინათვე წამოხტა, ხმელი ფიჩხი მოაგროვა და მალე შუა ეკლესიაში ცეცხლი ააგიზგიზა. გაცრეცილი მგზავრები ცეცხლს შემოუსხდნენ და თვლემა დაიწყეს. ხმელ ტოტებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, სითბომ დაქანცული მგზავრები მოადუნა და ძილისკენ წაიტყუა.

— მეძინება! — სთქვა ბოლოს ელენემ, მთქნარება ძლივს შეიმაგრა და ბოდიშის ნიშნად გივისკენ გადაიხედა.

ელენე კუთხეში მიწვა, ზურგი ცეცხლს მიუშვირა და მალე დაიძინა. გამყოლმა თავისი ტყავის ქურქი პუპსიკს მისთავაზა. პუპსიკმა გაქონიანებულ, მყრალ ქურქს უგემურად გადახედა, მაგრამ ძილმა დასძლია, ტყავი ცეცხლის პირას გაშალა და ზედ წამოწვა. სხვებიც როგორც იყო დალაგდნენ.

უცებ ბურუსით მოცულ ჩაბნელებულ სივრცეში ზარის რეკვა გაისმა:

— ძინ... ძინ... ძინ...

— ეი, დახე, ტიღურა რეკავს, ტიღურაი! — ჩაილაპარაკა გამყოლმა და ცეცხლის ახლო მოიბუზა.

— ძინ... ძინ... ძინ... — რეკავდა ზარი და მის წკრიალა ხმას ყრუ გამოძახილს აძლევდა ნისლით ჩაბურული ხეობა...

* * *

მეორე დღეს მზიანი დარი დადგა. დილის ნიავს ნისლი გადაეფანტა. თავკავთა და მისი ციხის ნანგრევები უზარმაზარი სიმაღლიდან გადასცქეროდნენ ვიწრო ხეობას. შორს ქვევით პატარა გველივით მიიკლაკნებოდა ჯავთურა, რომლის ტალღებსაც ამომავალი მზის სხივები ვერცხლსავით აციმციმებდა. მთა. მთის იქით ხავერდივით აბიბინებული მინდორი. მინდორს იქით ისევ მთა, რომელსაც შორს სადღაც ორბის ბუდესავით მიჰკროდა მთიულების სოფელი.

ჩამოცხა. ჰაერი გაყუჩდა და გაირინდა.

— მალე უნდა წავიდეთ! როგორღაც ცუდათ ჩამოცხა, მზე იკბინება.—

წაილაპარაკა გამყოლმა და დასავლეთისკენ გაიხედა.

მაგრამ მგზავრები საუცხოვო სანახაობამ ისე წაიტყუა, რომ წასვლაზე აღარა ფიქრობდნენ. სტატისტიკოსი ნამიან ბალახზე გაიშხლართა და მთის ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. ფოსტის მოხელეს ჩაყვითლებული ლოყები წამოსწითლებოდა და ალეწოდა. პირი როგორღაც სასაცილოდ გაეღო, დაჭიანებული ღრჯოლები გადმოეყარა და მაღლობიდან გრძლად გაშლილ ხეობას გაშტერებული გადასცქეროდა.

ლეიტენანტი გივი და ელენე ბაასით მიდიოდნენ. ნელ-ნელა თავკავთის ნანგრევებს დაშორდნენ. ნაპრალთან იყვნენ. გივი ნაპრალის პირას ჩამოჯდა და შორს გაშლილს მინდვრებსა და მთებს გადახედა. ელენეც იქვე ახლო ქვას მიეყუდა. კარგა ხანს გაჩუმებული იყვნენ, თითქოს ეშინიანთ ადამიანის ხმამ გარინდული ბუნების მყუდროება არ დაარღვიოსო.

— რა უცნაური სილამაზეა!— დაარღვია ბოლოს სიჩუმე გივიმ.— ამ ნაპრალიდან ქვევით რომ იცქირები, სივრცე ხელშესახებ საგნად გეჩვენება. დაჭიმული ძარღვები როგორღაც მიდუნდება და გულშიც რაღაც უცნაური სევდა იბუდებს. როგორ გგონიათ, ელენე, ამ არე-მარეს ცივილიზაციის ხელი რომ მოხვდეს, განა ეს პირველქმნილი სილამაზე თავის შნოსა და ლაზათს არ დაჰკარგავს?

ელენეს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— მართალია, სულელურ კითხვას გაძლევთ!—ნაწყენი კილოთი დაუმატა გივიმ და გაჩუმდა.

ელენე შეშფოთდა. დაღვრემილ გივის ნაზად თვალი გადაავლო და დინჯად უპასუხა:

— რომანტიზმი ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა. რომანტიზმი რომ არა ყოფილიყო, არც პროგრესი იქნებოდა. მაგრამ თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ. თუ რომანტიზმს ფესვები წარსულში აქვს გადგმული, მაშინ იგი პესიმიზმისა, მწუხარებისა და სევდის წყაროდა ხდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. წარსული ვეღარ დაბრუნდება. თუ სილამაზეს ადამიანი წარსულში ხედავს, ცხადია, დაკარგულმა სილამაზემ ადამიანის გულში მხოლოდ სევდა და მწუხარება უნდა გამოიწვიოს. მაგრამ, ვსთქვათ, ადამიანი მომავლისკენ იცქირება. მაშინ რომანტიზმი ისეთი მძლავრი ენერგიის წყაროდ გადაიქცევა, რომელსაც შეუძლიან ცხოვრება თავდაყირა დააყენოს. უდიდესი ადამიანები, გამოჩენილი რევოლუციონერები ყოველთვის მომავლისკენ იცქირებოდნენ და მათი

მოქმედება ყოველთვის რომანტიული გრძნობებით იყო გამთბარი. აქ რომანტიზმი აღფრთოვანებისა და გამარჯვების სიხარულის დასაბამად ხდება. თქვენც რომანტიულად განწყობილი ყმაწვილი ბრძანდებით, ბატონო გივი, მაგრამ თქვენი რომანტიზმი წარსულით საზრდოობს და ამიტომ...

ელენე შეყოყმანდა, თითქოს საწყენი სიტყვა ძალით ჩაიხრჩოვო.

— თქვენი?—შეეკითხა გივი და უცნაური რაღაც შინაგანი მღელვარებით თვალებ გაბრწყინებულ ელენეს გაკვირვებით შეხედა.

— მომავლით!—მტკიცედ უპასუხა ელენემ.

— რას მოელით ამ საიდუმლოებით მოცული მომავლისგან?

— ყველაფერს!—მოკლედ და მტკიცედ მოუჭრა სიტყვა ელენემ.

— „ყველაფერს“ მაინც სიკვდილი ვერ დაიფარავს. „ყველაფერი“ განმანადგურებელი სიკვდილის წინაშე მაინც არაფერია. მე საყოველთაო სიკვდილზე მოგახსენებთ, ბატონო ელენე! დასაბამიდან კაცობრიობა „ყველაფრისთვის“ იბრძვის, მაგრამ მაინც ვერასა ხდება. სიკვდილი დაუნდობლადა სცელავს როგორც ცალკე ადამიანებს, ისე მათ მიერ შექმნილ კულტურას. ადამიანები ერთმანეთს სძარცვავენ, ჰკლავენ, ათასნაირ დანაშაულობას სჩადიან და ამ საშინელ დანაშაულობათა ჯაჭვს თავის მოსატყუებლად ზიზილ-პიპილებით ავარაყებენ. რიღასთვის ვიბრძოლოთ, თუ, მიუხედავად ტიტანიური ცდისა, ჩვენი ბრძოლა მაინც დამარცხებისთვის არის განწირული? რისთვის ვიბრძოლოთ, თუ კაცობრიობა ამ განმანადგურებელ სიკვდილს ვერსად წაუვა?

— თუნდაც იმისთვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთი აღარა სჭამონ, აღარა ჰკლან, ათასნაირი დანაშაულობა აღარ ჩაიდინონ!—უპასუხა გატაცებით ელენემ.—განა, ადამიანის სინიდისს შეუძლიან შეურიგდეს დანაშაულობათა იმ საშინელებას, რომელშიც კაცობრიობაა გაბლანდული? განა, ადამიანის სინიდისი როდისმე შეურიგდება იმ საშინელებას, რომელსაც ეხლანდელი ცივილიზაცია ეწოდება და რომელიც ადამიანს პირუტყვადა ხდის? ნუ თუ თქვენა გგონიათ, ბატონო გივო, რომ არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, როდესაც ბუნების აი ამ ჯადოსნური სილამაზის წინაშე ადამიანები თანასწორი უფლებებით წარსდგებიან და მოითხოვენ, რომ ცხოვრება საყოველთაო ბედნიერების წყაროდ გახდეს და არა საყოველთაო უბედურებისა?—გრძნობით წარმოსთქვა ელენემ და შორს გადაჭიმულ მინდვრებს ოცნებით თვალი გააყოლა.

გივი ელენეს გაშტერებული უცქეროდა. პატარა, ცქრიალა, გულუბრყვილო გოგონა—და ასეთი ღრმად ნაგრძნობი და ნააზრევი სიტყვები! ახალგაზრდა ქალის ლამაზი, ფიქრით გამშვენიერებული თვალები მეგობრული სიყვარულით დასცქეროდნენ. გივი გაოცებული იყო. მის ცივსა და სკეპტიციზმით გაყინულ გულს რაღაც უცნაურმა სითბომ დაურბინა და აუთრთოლა. ელენემ გივის თვალებში მოლალატურად აფეთქებული ნაპერწკალი დაინახა, ხელი გაიქნია, თითქოს ჰსურს ხელის ამ გაქნევით აბეზარი გრძნობები გულიდან გადაიყაროსო და წამოხტა.

— აგერ, ზევით უშტვენენ, გვეძახიან! დახეთ, დასავლეთიდან როგორი შავი ღრუბელი წამოსულა! ჩქარა წავიდეთ, თორემ გაგვიავდარდება.

გივიმ ელენეს თვალებში შეხედა, გაეცინა და წამოდგა...

მგზავრები თავქვე უკვე ჩქარის ნაბიჯით მოდიოდნენ, თავ ჩაღუნული და გაჩუმებული. პუპსიკი მოუსვენრად აქეთ-იქით იცქირებოდა და ცდილობდა გამყოლს არ დასცილებოდა, შავად ჩაბნელებული ტყე თავისი [illegible] ფუმალებით რაღაც უცნაურ შიშსა ჰგვრიდა კომფორტში აღზრდილ პუპსიკს, რომელსაც სრული საბუთი ჰქონდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო ცივილიზაციის უპირატესობაში. ხმელი ფოთლებით გაზეპილ ბილიკზე წარამარა ფეხი უსყლტებოდა და გამყოლის გაქონიანებულ ქურქს სასაცილოდ ებლაუჭებოდა. შიშმა ლაპარაკად გადააქცია.

— გიჟი სადღაა, რომ არსად გამოჩნდა?

— ერიჰაა! ის ალბათ, დიდიხანია სოფლის ორღობეებში ქლიავებს უვლის!

— ელენე და გივი სადღა არიან? აუუუ!—გაჰყვირა პუპსიკმა, მაგრამ მისი ხმა კავთურის ღრიანცელმა დაჰფარა.

— ქვევით გადასასვლელია, იმ ბილიკით თუ ჩავიდნენ! არ დაიკარგებიან! იმ ყმაწვილს აქეთკენ ხშირად უვლია... ამას წინად მეცხვარეებთან ფარეხში ეძინა,— დაამშვიდა გამყოლმა.

გამყოლი და პუპსიკი კავთურის ნაპირთან მივიდნენ.

ტყეს შავი ღრუბელი დააწვა. ჰაერი შეიკრა და დამძიმდა, ბუღი დადგა.

პუპსიკი ტყუილად არა შიშობდა. ჩამორჩენილ ელენეს და გივის გზა შეეშალათ. გივიმ თეთრი ხოლი დაინახა, ბილიკი ეგონა და გაჰყვა. კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა მიხვდა, რომ გზა შეშლოდა და ხრამთან მისულიყო. გივი გაჩერდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

— მგონია, ბილიკს ავცდით!—სთქვა ბოლოს, ჯუდი კეფაზე მოიგდო და ელენეს როგორლაც დამნაშავესავით შეხედა.

— რა ვქნათ ეხლა?—წამოიძახა ელენემ და გადიკისკისა.

— არა უშავსრა, ამ საქმესაც მოვუვლით!

გივიმ თვალები ერთხელ არე-მარეს შემოურბინა, მერე ჩაცუცქდა, ფეხსაცმელები გაიძრო და ხეზე ავიდა. ხმელს ტოტებს მის ფეხქვეშ ლაწა-ლუწი გაჰქონდა. გამხმარი ხიდან წიფლის ტოტი დაითრია, ზედ დაეკიდა და აფოფხდა; სულ ზევითა და ზევით მიცოცავდა და მალე კენწეროზე მოექცა.

გივიმ მხედველობის მთელი ძალა მოიკრიფა და ერთს ადგილას ოდნავ მბჟუტავი შუქი დაინახა. ეჭვი არ იყო, შუქი წისქვილიდან მოსჩანდა. გივი ხიდან შურდულივით მიწაზე დაეშვა.

— აბა, ეხლა წავიდეთ!

გივი წინ მიუძღოდა. ხან ბუჩქებში ძვრებოდა, ხან ხმელს ტოტებს ამტვრევდა და ელენეს გზას უკაფავდა.

უცებ გაჩერდა და ყური დაუგდო: შორი-ახლოს შრიალი მოისმა.

— კავთურაა!—სიხარულით წამოიძახა გივიმ, წინ გადაღორღებულ ბუჩქს ტოტები შემოამტვრია, შიგ გაძვრა და ფრთხილად ელენე გაიყვანა.

სწორედ ამ დროს გაიელვა და დაიჭექა. ელენემ შეჰკივლა და გივს მიეკრა.

— ნუ გეშინიანთ, ახლო ვართ!

გაიელვა. დაიჭექა. ცივმა ნიავმა დაუბერა და წვიმის პირველი მსხვილი წვეთები გადმოჰყარა. ტყე აშრიალდა.

გივი ჩაფიქრებული მიდიოდა და დროგამოშვებით დასავლეთს გასცქეროდა.

კავთურის ნაპირთან იდგნენ.

— აბა, საქმე ეხლაა! როგორ მოვიქცეთ?—ჩაფიქრდა გივი და ელენეს გადახედა.—გადასასვლელი ადგილებისა და ბოგირების ძებნა თუ დავიწყეთ, ვაი თუ ქალიან გაავდარდეს. კავთურამ ადიდება ერთბაშად იცის. გადავიდეთ?—შეეკითხა გივი, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა, ელენესა სწვდა, ბუმბულსავით აიტაცა, მკლავებზე გადაიწვინა და კავთურაში შესტოპა.

ცა-კი გრგვინავდა. ბობოქრობდა. ჭექა-ქუხილი კავთურის ღრიანცელს უერთდებოდა და ეს გუგუნი მთელს ხეობას აზანზარებდა.

გაიელვა და დაიჭექა. ელვამ ერთს წუთს გაანათა და არე-მარე ისევ საშინელმა წყვდიადმა შთანთქა. გივი მძიმედ სუნთქავდა და ბრთხილად მიაბიჯებდა. ყოველი გაელვების დროს კავთურის აქაფებულ ტალღებს დასცქეროდა და ფეხის მოსაკიდებლად მოხერხებულ ადგილს ეძებდა. აქაფებული მდინარის ტალღები მუხლებამდის სცემდა და წინწკლებს სახეში აყრიდა. ზვირთები თანდა-თან დამძიმდნენ. გივი თავისი მკერდით ტალღებს აპობდა და ნელ-ნელა ნაპირს უახლოვდებოდა. ცოტა ხანს შეისვენა. გაიელვა. ელენეს დაბედა. თავი მკლავზე გადაესვენა, თვალები დაეხუჭა. მთელი თავისი მოდუნებული სხეულით გივის ღონიერ მკლავებს დანდობოდა და განაბული მძიმედ სუნთქავდა. გივიმ ელენე დინჯად ასწია და თავისკენ მიიზიდა. გაიელვა და დაიჭექა. ელენემ გივის მოხშირებული სუნთქვა იგრძნო, ორივე ხელი თვალებზე მიაფარა, თავი გადაუწია და მიბნედილი ხმით წაიჩურჩულა:

— არ შეიძლება!

ნაპირზე იდგნენ. შორიდან ლაპარაკი მოესმათ.

— ჩვენები არიან. წისქვილისკენ მიდიან. აი, აქეთკენ პატარა შესახვევია ცოტას რომ გაივლით, ყველას დაინახავთ. დაუძახეთ. გაიგონებენ, ეხლა-კი...

— რა ეხლა-კი?—იკითხა შეშფოთებულმა ელენემ.

— ეხლა-კი მშვიდობით!—ყრუდ უპასუხა გივიმ და შორიდან თავი დაუკრა.

— გივი, რასა სულელობთ? გივი! — აღელვებული, გაბზარული ხმით გასძახა ელენემ, მაგრამ გვიანღა იყო: შორს სადღაც ხმელი ტოტების ლაწა-ლუწი გაისმა და გივი კავთურის ხეობის წყვდიადმა შთანთქა.

6.

ბოლოსარი ერთობა.

მარტო დარჩენილმა ქაიხოსრომ სამუშაო გაიჩინა. უქმად ყოფნა არ უყვარდა და, თუ დიდი რამ სამუშაო არა ჰქონდა, თავს პატარ-პატარა საქმით ერთობდა. ეხლაც სოფლის ბავშვებისთვის მოეყარა თავი და სახლის წინ გაშენებული ხეხილის ბაღიდან ქვებს აკრიფინებდა.

ქაიხოსრო დიდს ლოდზე ჩამომჯდარიყო, ხელში კრიონოსალი დაეჭირა და ბავშვებს აქეზებდა.

— აბა, აი იქიდან ქვებს ვინ აკრიფავს?—და ხელი გაიშვირა ბაღის შორეული კუთხისაკენ, სადაც დიდი ლოდები იყო დაგროვილი.—ვინც იმ ქვებს გამოზიდავს, საჩუქრად წითელ სავარცხელს მიიღებს. აბა, ჩქარა!

ქვებისაკენ შვიდიოდე გაიქცა. უზარმაზარი ლოდებს ქშენით

ქაიხოსრო სახლისაკენ გაემართა. ბუჩქთან ჩაცუცქული, მობუზული და გადაფითრებული თამრიკო დაინახა.

— რა დაგემართა, გოგონავ?—მიუბრუნდა ქაიხოსრო და ბავშვს შუბლზე ხელი გადაუსვა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეკალი შემერჭო.

— მერე, ამოიღე?

— ამოვიღე,— დარცხვენით უპასუხა თამრიკომ და წამოდგა.

— მოიცა, გოგო!— შეაჩერა ქაიხოსრომ, ჯიბიდან წითელი სავარცხელი ამოიღო და თამრიკოს გაუწოდა.

თამრიკოს თვალები გაუბრწყინდა, გაწითლდა, სავარცხელი გამოართვა და კოჭლობით სახლისკენ გაემართა...

ქაიხოსრო სახლში შევიდა. აივნის მოაჯირს გადმოეკიდა და ეზოში მოგროვილ გოგო-ბიჭებს გადმოხედა. მუჭაში ვერცხლის წვრილი ფული ეჭირა.

— აბა, რომელი თქვენთაგანი უფრო მარდია?—გადმოსძახა ქაიხოსრომ აივნიდან და ბავშვების ხროვას თავზე ვერცხლის ფული გადააყარა.

ყმაწვილები მიწაზე დაფანტულ ფულს დააცხრნენ. ერთმანეთს მუჯლუგუნსა ჰკრავდნენ, კისერში ურტყამდნენ, ფეხით, ათრევდნენ.

— აბა, ბიჭო... აი, შე უშნოვ, შენა! არ დაანებო... ვინძლო, არ დაგჯაბნოს! აგერ, იქით გაგორდა... გამოეკიდე... მანდაც დაგასწრეს... რა შტერივით პირი დაგიღია?.. დასწვდი!.. დასწვდი!—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს აივნიდან, ქაიხოსრო და ბავშვების თავპირის მტვრევას ზევიდან რაღაც უცნაური ვნებიანი ცეცხლით ანთებული თვალებით გადმოსცქეროდა.

უცებ ქაიხოსროს შორიდან ნაცნობი ყმუილი მოესმა.

— მე... მე... აქა... აქა... ფუი... ფუი!—შორიდანვე დაიხრიალა ტიღურამ, ეზოში შემოიჭრა და გამძვინვარებული, შეშლილი სახით ბავშვებში ჩაერია.

— აბა, ტიღურ, შენ იცი! ასწავლე ამ ლაწირაკებს, ბრძოლა როგორ უნდა! აი, ფულები, დაიჭით ვერცხლის ფულები!— გადმოსძახა ქაიხოსრომ აივნიდან და ეზოში კიდევ ერთი მუჭა ვერცხლის ფული გადმოჰყარა.

— რა ამბავია? რა თავპირის მტვრევაა?—გაისმა გზიდან ვიღაცის ხმები.

გაღებულ ალაყაფის კარებთან სამუშაოდან დაბრუნებული გლეხები იდგნენ და აივნის წინ ატეხილ ალიაქოთს გაოცებით შესცქეროდნენ.

— რა ამბავია? შეეკითხნენ გლეხები ბრუციანს, რომელიც მოაჯირს დაჰყრდნობოდა და თავის ცალი თვალით ეზოს გვერდელად გასცქეროდა.

— აბა, რა ვიცი! ზედახორას-კი გადადიან! ტიღურას დახე, რა ამბავშია! ეი, ლამის არის გვერდები შეუნგრიოს იმ ოჯახქორმა! ჰეი, ბიჭო, როგორ უზურგულა! დათუას ბიჭს უყურე, რა ციბრუტივითა ტრიალებს! აი, დალახვროს ღმერთმა! რას შვრებიან, კაცო?..

ბრუციანი ცნობისმოყვარეობამ წაიტყუა და ეზოში შევიდა. სწორედ ამ დროს მის წინ აბაზიანმა გაიბზრიალა.

— ფულია, კაცო!— გაიოცა ბრუციანმა და ხარბათა სწვდა მეორე აბაზიანს, რომელიც იქვე ახლო დაეცა.

ვერცხლის აბაზიანი ტიღურამ ბრუციანის ხელში რომ დაინახა, დაიყმუილა, ეცა და ფარაჯის საყელოს კბილით გლეჯა დაუწყო, მერე კისერში სწვდა და მიწაზე დაანარცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხმა ხარხარი დაიწყო.

— აბა, ბრუციანო, არ გაჯობოს!

— ძიძგი-ძიძგი, მამალა,—შენ იცი და მაგანა!

— ღრჯოლები არ გაგკრას ტიღურამა!—გაისმა გზიდან გლეხების ხმები.

სწორედ ამ დროს ქაიხოსრომ აივნიდან მიწაზე გაშხლართულ ბრუციანსა და ტიღურას თავზე კიდევ ერთი მუჭა ვერცხლის ფული გადააყარა. სიხარბემ ეზოში კიდევ რამდენიმე გლეხი შეიტყუა.

— სად მიძვრები, ლიყიანო?—გადმოსძახეს გზიდან უფრო თავმომწონე ბიჭებმა ფარაჯაში გახვეულ გლეხს, რომელმაც ცდუნებას ველარ გაუძლო და მიწაზე აბზრიალებულ ვერცხლს დააცხრა.

ქაიხოსრო გაქვავებული, გაციებული სახით დასცქეროდა ადამიანთა სხეულების უცნაურად ალეზილ ხროვას, რომელიც ზღაპრულ ჯადოსავით ტრიალებდა, პროწიალებდა და ჰქშინავდა.

უცბათ ქაიხოსრო წელში გაიმართა და მღელვარე თვალები ხალხის გროვას მიაშტერა. ჰაერში რაღაცამ გაიზუზუნა. ბრუციანმა საშინელი ხმით შეჰყვირა. მიწაზე გაშხლართული ხალხის ზურგზე იფნის სახრეს ტყლაშა-ტყლუში გაჰქონდა· ბიჭებმა იხუვლეს და ეზოდან გაცვივდნენ.

— რომელია მანდა? ტიღურავ, არ გაუშვა.—მრისხანე ხმით გადმოსძახა აივნიდან ქაიხოსრომ და მოაჯირს მუშტი დაჰკრა.—არ გაუშვა, მაგრა გასალტე. ტიღურავ, გვერდები ჩაულეწე! გიჟი მოიბუზა, მუშტები მოიკუმშა, ავი ძაღლივით ღრჯოლები გადმოჰყარა, ისკუპა და სახრიან ბიჭს კისერზე მოექცა. ორივე ხელით ბიჭის კისერს დაებჯინა, ფეხები სალტესავით წელს შემოარტყა და კბილებით თმებს ძიძგვნა დაუწყო. ჯეელმა ბიჭმა თავის იფნის სახრე გადისროლა, ტიღურას თავში სწვდა, დაიჩოქა და კისრულით მიწაზე დაანარცხა. მიწაზე გაშხლართულმა ტიღურამ ბღავილი დაიწყო. ბიჭი გულზე დაახტა და ყელში თითები წაუჭირა. გიჟმა ხრიალი დაიწყო და უმწეოდ მიწაზე გაიშხლართა.

ბიჭისა და გიჟის ჭიდილს ქაიხოსრო ზევიდან გადაფითრებული დასცქეროდა და ნერვიულად ტუჩებს იკვნეტდა.

— აბა, გეყოფათ! ხომ არ მოჰკლავ?—გაისმა მოჭიდავეების თავით ვიღაცის ხმა.

ახალგაზრდა ბიჭმა მოიხედა და ლეიტენანტი გივი დაინახა.

— ეი, რა ტყირპსავით დაჰკვირია!—წამოიძახა სიცილით გივიმ და დაოსებული ტიღურა გაალმასებულ ახალგაზრდას ხელიდან ძლივს გააგდებინი.

— რომელია?—მკვახედ იკითხა ქაიხოსრომ.

— ბაკონაა!—უპასუხა გივიმ და სახლისკენ გაემართა.

ქაიხოსრომ შუბლი შეიჭმუხნა და მძიმედ სავარძელში დაეშვა...

გივის ქაიხოსრო სასადილო ოთახში ამრეზილი დახვდა. კუთხიდან კუთხეში დადიოდა და ტუჩებზე მწარე, ბოროტი ღიმილი უკრთოდა.

გივიმ ჩუმად, უსიტყვოდ სველი წაღები გაიძრო, დალუმპული წინდები სკამზე გადაჰკიდა და ტახტზე გაიშლართა.

— კეისარი ერთობა!—ჩაილაპარაკა ტუჩებში ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გივიმ და ცულლუტი თვალები მკრთალი ირონიით აუციმციმდა.

ქაიხოსრო შუა ოთახში გაჩერდა და ხელში კრიალოსანი აათამაშა. მძიმედ სუნთქავდა. გაყინული თვალები შეჭმუხვნილი შუბლის ქვეშიდან გესლიანად გამოიყურებოდნენ. მუდამ დინჯი, აუჩქარებელი და გულცივი ქაიხოსრო ეხლა ღელავდა და ეს ღელვა მთელს მის გამხდარს სახესა და დაჭიმულ კუნთებს ნერვიულად უთრთოლებდა.

— არა, ჩემო გივი! კეისარი დასცინის, დასცინის ადამიანის სიხარბესა და ვნებიანობას! დასცინის ბრმა ინსტიქტს, გონიერ არსებას პირუტყვად რომა ხდის!—ჩახლეჩილი ხმით წაიხიხინა ქაიხოსრომ.

— მით უარესი კეისრისთვის! — ზანტად უპასუხა გივიმ, მწარედ გაიზმორა და მთქნარებით კედლისკენ გადაბრუნდა...

7.

ბაკონა და კანკორა

სოფლის განაპირას, ტყესთან, დაბალი, ბანიანი სახლი იდგა. პატარა ეზოში თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. მეზობლის ეზოდან ამ სახლს წნელის ღობე ჰყოფდა. მარგილებზე პირქვე ჩამოცმული ქილები და ქოთნები შრებოდა. იქვე ახლოს ფიჩხზე მამაკაცის დაგლეჯილი ჩითის პერანგი გაეშალათ.

მიწურ სახლში შუქი პატარა ფანჯრიდან შედიოდა. ნესტიანსა და ბნელს ოთახში ერთთავად შმორის სუნი იდგა. კედელთან, პატარა ფანჯრის პირდაპირ, დიდი ტახტი გაეჩხირათ. ეს ტახტი იყო სალოგინეც და ღარიბი ოჯახის საკუჭნაოც. კუთხეში პირმოტეხილი ქოცო იდგა, ალბათ, ხორბლის ან ფქვილის შესანახად.

ამ სახლში ქვრივი მაკრინე სცხოვრობდა. ქმარი ადრე მოუკვდა, ტივის ხემ გაიტანა და გასჭყლიტა. ქმრის სიკვდილი გულჩათხრობილმა, ამაყმა და ბუნებით ჭკვიანმა დედაკაცმა რაინდული თავდაჭერილობით გადაიტანა. ორი შვილი დარჩა — კანკორა და ბაკონა. უფროსი, კანკორა, მამას დაემგზავსა: იმისავით წითური, ჭორფლიანი, ღაჟღაჟა და მხარბეჭიანი იყო. გასაოცარი მკლავის ძალა ჰქონდა. საპალნით დატვირთულ ურემს ღერძზე ისე იოლად შემოატრიალებდა, თითქოს ხელში ურემი კი არა, გაბერილი რუმბი უჭირავსო. დიდ ძალასთან ერთად დიდი მოთმინება და ლმობიერებაც დაჰყვა. კანკორა უკვე ვაჟკაცი წამოიზარდა და მეზობლებს ჯერ გაჯავრებული და გაანჩხლებული არ ენახათ. თავისი მოკრძალებული და ხშირად მორცხვი მოპყრობით კანკორამ საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. „კიდევ კარგი, ამ ბიჭს მშვიდობიანი ხასიათი დაჰყვა, თორემ მაგას ვინ გაუძლებდაო“, ამბობდნენ მეზობლები, როცა კანკორა ტყუილუბრალოზე ატეხილ ჩხუბსა და აყალ-მაყალს დაესწრებოდა და სადმე კუთხეში აიტუზებოდა. მაგრამ კანკორას ზომიერი თავმოყვარეობა ჰქონ-

და. ტყულ-უბრალოდ თავს არავის დააჩაგვრინებდა. თუ ვისმეს თაღლითობას ან ცრუპენტელობას შეამჩნევდა, ერთხელ გადახედავდა და ეს გადახედვა გათამამებული ვაჟბატონის მოსაგონიერებლად საკმარისი ხდებოდა.

კანკორა ჩუმი და წყნარი მუშაკი იყო. მამას ერთი თვალის ხახლის მეტი არაფერი არ დაუტოვებია. მთელი მისი მამულ-დედული მთის ფერდობზე ახლად გაჭრილი ახო იყო, ცოტაოდენი ჭირნახული შავგულიძიანთ მიწაშიც მოჰყავდა. კანკორაც ძალა-უნებურად მამის ხელობას გაჰყვა და ხის საჭრელად მეზობლებს დღიურ მუშად მისდევდა. ზოგს შენობის მასალა ჩამოჰქონდა, ზოგს— საკირე შეშა. კანკორაც ხან ტყეში დადიოდა, ხან ფიცრებსა ხერხავდა, ხან კი კავთურის კლდეში საკირე ქვას ამტვრევდა. კანკორა უსაქმოდ არასდროს არა რჩებოდა და თავისი მარჯვენითა და მძიმე შრომით დაქვრივებულ დედასა და პატარა ძმას უდრტვინველად ინახავდა.

ბაკონა გარეგნობით პირწავარდნილი დედა იყო: შავ თვალ-წარბა, შუა ტანისა და წნელივით მოქნილი. გულ-ფიცხობაც დედისა დაჰყვა. თუ რამე ეწყინებოდა, ყაყაჩოსავით აილეწებოდა, თვალები ნაკვერჩხალსავით აენთებოდა და შუბლ ქვეშ დაიწყებდა ცქერას. მაგრამ მაკრინე თავდაჭერილი დედაკაცი იყო. მძლავრი ნების ყოფით აფორიაქებულ გულს იმორჩილებდა და გულფიცხობას გზას უკრავდა. ბაკონა-კი მთიდან მოვარდნილ ველურ მდინარესა ჰგავდა, მისებრ მშფოთარე, მღელვარე და მოუსვენარი იყო. წარამარა ხელის წამოკვრას და აბუჩად აგდებას ტოლ-ამხანაგები ადვილად ვერ გაუბედავდნენ. წამოიზარდა თუ არა, ძმას გვერდში ამოუდგა და მხნედ დაიწყო მუშაობა: კანკორას ტყეში დასდევდა, უზარმაზარ ტივის ხეებს ებრძოდა, საკირე ქვას ამტვრევდა და მკაშიც ტოლი ვერა სჯობდა. მაგრამ ბაკონას ახალგაზრდა გულს მაინც რაღაც იდუმალი სევდა ჰღრღნიდა. მისი ახალგაზრდა, მჩქეფარე ბუნება ვიწროდ შემოზღუდული ცხოვრების ჩარჩოებში ვერ ეტეოდა, სადღაც მიიწევდა და მიჰქროდა.

თავისი ბედით არც კანკორა იყო კმაყოფილი. შორს სადღაც, ულრან ტყეში, წიფლის ნახევრად გადაჩეხილი ხის ქვეშ განმარტოვებული კანკორა ხშირად ჩაფიქრებულა და ცდილა გონების თვალით თავის მომავალი განეჭვრიტა. მაგრამ ბნელი და წყვდიადით მოცული იყო ეს მომავალი. კანკორამ იცოდა, რომ სხვაგან სადღაც ცხოვრობა სდუღდა და გადმოსდუღდა, მაგრამ თავისთვის მაინც გამოსავალს ვერა პოულობდა. „კარგი, ვსთქვათ, მე კიდეც გავიკაფე გზა, — ფიქრობდა ხშირად კანკორა, — ამ ბრუციანმა რაღა ჰქნას, ვერცხლის აბაზიანისათვის ტიღურას გვერდები რომ აზელინა და ქვეყნის ტინგიცად გახდა? ლიყიანძა როგორ უშველოს თავის თავსა? მაჭარა სად ჯანდაბაში გადაიკარგოს? ე მილეთის ხალხმა რა ჰქნას, ძონძებსა და ნაფლეთებში, რომ გახვეულა? — ფიქრობდა კანკორა. კანკორა როგორღაც ადვილად ურიგდებოდა ბედსა და ამას, ალბათ, თანდაყოლილი მშვიდობიანი ხასიათიც ხელს უწყობდა.

სულ სხვანაირი იყო ბაკონა. მისი მშფოთარე, დაუდეგარი და ცნობისმოყვარე ბუნება უფრო ჯიუტი და უდრეკი იყო. პატარაობიდანვე საშინელი გაჯიქება იცოდა და ეხლა ხომ, როცა ცოტა წამოიზარდა, მისი სიჯიუტე ხშირად აუტანელი ხდებოდა. „აბა, შეჯექი ეხლა ჯორზეო“, ეტყოდა ხოლმე ხში-

რად მოთმინებიდან გამოსული დედა. მაგრამ დედის ბუზღუნი ბაკონაზე მაინც ვერა სჭრიდა. სიჯიუტე ყოველთვის პირდაპირია, ტლანქი და უხეში. ადამიანსკი მხოლოდ ოქროთი მოვარაყებული აბები უყვარს. ბაკონაც, თავისი უხეში და ტლანქი ჯიუტობისათვის ბევრს არ უყვარდა; ეშინოდათ, ერიდებოდათ, მაგრამ არ უყვარდათ. სადაც არ უნდა გაჩენილიყო, ყველგან თავის გარშემო დაჭიმულ ატმოსფერას ჰქმნიდა. კილო ყოველთვის გამომწვევი ჰქონდა, რიხიანი და თავმომწონე. „თიოქოს ერთი დედმამის შვილები არიან და ესე როგორ განირჩევიან ერთმანეთისგანაო“, ამბობდნენ მეზობლები, როცა ბაკონასა და კანკორას ერთად ხედავდნენ.

ბაკონა და კანკორა, მართლაც, სულ სხვადასხვანაირი ადამიანები იყვნენ; მაგრამ ერთი რამ მათ მაინც აახლოვებდა: მოხუცი დედის პატივისცემა. სიტყვის შებრუნება ან უკმეხი მოპყრობა არც ერთს მათგან არ შეეძლო. ძმები კარგადა ხედავდნენ, რაოდენი წვითა და დაგვით გამოზარდა უპატრონო ქვრივმა ობლები, ხედავდნენ, როგორის თავგანწირულებითა და სიმტკიცით იტანდა სიმშილსა და გაჭირვებას, და ეს თავგანწირულება დაუფასეს კიდეც...

* * *

აი, ეხლაც მაკრინე ბუხარში შეჭამანდსა ზილავდა და რაღაცას ბუზღუნებდა. გაჯავრებული იყო. ზოგჯერ ჩაფიქრებული ეზოში იცქირებოდა და დაღვრემილი სახით აივნის გაჭვარტლულ ბოძთან ატუზულ ბაკონას უცქეროდა.

ეზოში კანკორა საძნე ურემსა მართავდა. ღერძიდან უბე გადმოიღო, დანდლებით გადაბმული ლართხები იქვე აეყუდებინა და პატარა წალდუნით ხელნეებსა სთლიდა, თან გახეთქილ მორგვსა და ფერსოებს უტრიალებდა.

ბაკონა როგორღაც ამრეზილი გამოიყურებოდა და შუბლქვეშ გასცქეროდა შებრუჟებულ ბრუციანს, რომელიც წნელის ღობეზე გადმოყინჩულიყო, თავისი დაბღლენძილი ქუთუთოები ჩამოეშვა და კანკორას ელაპარაკებოდა.

— შენ ეგ მითხარი, იმ დროს შავგულიძიანთ ეზოში რა გინდოდა? — ეშმაკურის ღიმილით ჰკითხა ბაკონას კანკორამ და წელში გასწორდა. — მინდვრიდან მოდიოდი, წისქვილში საფქვავი მიგქონდა, თუ ვენახიდან მარანში შენს დურდოს ეზიდებოდი? სთქვი, რას გაჩუმებულხარ?

— რა უნდა სთქვას, სათქმელი რაღა აქვს! — ბუზღუნით გამოეხმაურა ოთახიდან მაკრინე.

ბაკონა ამრეზილი იჯდა და გაბრაზებული ფეხზე ქალამანს ისწორებდა.

— რა უნდოდა — და, იმ დღეს რომ კავთურაში გოგოს კანჭებში შეჰცქნაოდა, ის არბეინებს, — წაიხითხითა ბრუციანმა.

— შენ ეი, ბრუციანო, ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ხომ არ გინდა მეორე თვალიც გადმოგიბრუნო! — შეჰყვირა წამოჭარხლებულმა ბაკონამ და ღობისკენ გაიწია.

— ბაკონ! — მრისხანედ გამოსძახა ოთახიდან მაკრინემ.

ბაკონამ ტუჩებში რაღაც წაიბურტყუნა და ისევ აივნის ბოძთან აიტუზა.

— რა ძალიან იტკიცე? ტყუილია თუ? რატომ წინად არ დაძრწოდი შავგულიძიანთ ბაღ-ვენახებში? მე რას მიბღვერი? „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.“

მარტო მე ხომ არ ვამბობ! მთელი სოფელი ლაპარაკობს! აი, იმ დღესაც ილოანთ ვენახში დედაკაცებს სულ ხითხითი გაჰქონდათ; ილოას ბიჭი გიორგაც დაგცინოდა, ურემი რომ კავთურაში გაეჩხირა, მე შორიდან ვუცქეროდი. დაიკარწაკა ი გოგომ კაბის კალთა, სახრე დაიჭირა და სულ ტალამ-ტალუში გაჰქონდაო. ე ჩვენი ბაკონა-კი კანჭებში კატასავით შესცქნაოდა და ნერწყვსა ყლაპავდაო. აბა, სიცილი იყო, სიცილი რომა! ვერა ხედავ, ის ცინგლიანი რა მაღალ-მაღალ ფარდებს ეტანებაო! ვითომ არ მინდაო? ჩვენებური შავტრუხა გოგოები არ მოსწონსო?

— ი გიორგასაც ბევრი მიუქარავს და შენც ბევრს მიჰქარავ, რომ იმის სიტყვებს იმეორებ! გიორგა მაინც როგორღაც სამგლე გოჭივით არის ატეხილი. იმას რა ჰგონია, შავგულიძიანთ მიწები, რომ ჩაიგდო და ვენახები გააშენა, ქვეყანა ხომ მაგისი არ არის? ჩაიწყვიტოს ხმა, თორემ ერთი დღე ყველას არა ჰქონია! იქნება მალე თაგვის სორო მოსძებნოს...

— ბაკონ! — ხელმეორედ გამოსძახა ოთახიდან დედამ.

— რატომაც არ არის შვილონიასა! ათი კოკა ღვინო შარშან შენ გასწურე საწნახელში, თუ იმანა? აი, ეხლაც, უყურეთ, მთელი დღე ვენახიდან ვაშლსი და ატამს ეზიდება! მე-კი პირის გამოსასველებლად კუფხალი არსად მომეძებნება! — ბოლმიანადა სთქვა ბრუციანმა და თვალი გადაავლო გოდრებით დატვირთულ ურემს, რომელიც ჭრაჭუნით ალმართზე მიიზლაზნებოდა.

კოფოზე ილო თანდილაშვილის უფროსი ვაჟი გიორგა იჯდა.

— გამარჯობა! — მიესალმა გიორგა.

— გაგიმარჯოს! — ყრუდ უპასუხეს ბრუციანმა და კანკორამ.

გიორგამ ურემი ალმართზე ააატარა, ცოტა არ იყოს თავმომწონედ გადახედა ხილით სავსე გოდრებს, აქა-იქ თურაშაული ვაშლები მიასწი.რ-მოასწორა და უდარდელი ღიღინით მარცხნით სახლისკენ გაუხვია.

ბრუციანმა ურემს ხარბად თვალი გააყოლა და ამოიხვნეშა.

— რას ამოიოხრე, ბრუციანო? — შეეკითხა კანკორა და ხმაში რაღაც თანაგრძნობის ჰანგმა გაურბინა.

— მოდი და ნუ ამოიოხრებ! რაც ამ სოფელში კარგი მიწებია, სულ მაგათ უჭირავთ! ფშატის მიწა ოქროთა ღირს! იმისი მოცდენა არ შეიძლება, არა და არა! ნერგების მიწა უფრო კენჭიანია, მაგრამ რა გინდა, ჩვენსას ათასწილ სჯობიან! დამპალი ვითომ ჭაობიანიაო, მაგრამ შარშან ილოამ მარწყვივით თავთუხი მოიყვანა! აქ არი და — სახლ-კარის ადგილი შუქთად ჩაიგდეს! ვენახი ნამყენი ხეხილით გაავსო, სულ ქაიხოსროს ბაღიდან აქვს გადმოტანილი. შენ კიდევ იძახი, — მიუბრუნდა ბრუციანი ბაკონას, — ქვეყანა თავისი ჰგონიაო! აქვს და ჰგონია...

ბრუციანი დაჩუმდა, ერთხელ კიდევ ამოიხვნეშა, ღობეს მოსცილდა და სახლისკენ წავიდა.

ბრუციანი გულამღვრეული იყო, მიზეზიანობდა. შუა ეზოში გაჩხირულ ვარცლს ფეხი ჰკრა და გვერდზე მიაგდო.

— აქ რას ჩაცუცქულხარ, შენ სასიკვდილევ შენა! — ახლა აივნის კუთხეში მობუზულ თამრიკოს შეუტია ბრუციანმა და თავში ოხლაშანი გააღინა. — საქმე არაფერი გაქვს, ჭლექიანი გვერდები მზისათვის რომ მიგიშვერია?

თამრიკო უფრო მოიბუზა, გადაფითრდა და შემკრთალი თვალები სიბრაზით სახე შეშლილ ბრუციანს მიანათა.

— აბა, ერთი შეხედე იმ მხეცსა, იმასა! ბაშ საცემი არ არის! ვაჰმე. — წამოიძახა კბილების კრაჭუნით ბაკონამ. — ერთი სულიღა შერჩენია მაგ საცოდავ ბავშვსა და ლამის არის სულიც ამოართვას. შენ კიდევ მეუბნები, დედიჯან, სხვის საქმეში ნუ ერევიო! მაშ, ეხლა რომ იმ მუტრუკს ეზოში რომ გადავუხტე და კარგად მივამჟავო, ცუდი იქნება! კაი-კაი სახრე ისე შეერგება, როგორც დედის ძუძუი, არამი იყოს მაგაზე დედის ძუძუცა და ამაგიცა!

კანკორამ ჩაიცინა და ძმას სიყვარულით გადახედა.

— ბიჭო, განა სადაც მრუდეს დაინახავ, ყველგან შენი წალდი უნდა გაჭკრა? ცხოვრება, ჩემო ბაკონ, აქლემსა ჰგავს. ხომ იცი, აქლემს რომ უთხრეს, ზურგი გაქვს მრუდეო და იმან კი უპასუხა, სხვა რა მაქვს სწორიო? ცხოვრებაც მრუდე აქლემია. ბრუციანი კიდევ სხვებსა სჯობიან. ლიყიანი ხომ მამა აბრამის ბატკანისავით გამოიყურება? საქმე საქმეზე რომ მივიდეს, ყველას ხვრელში გააძვრენს. არა, ბაკონ, ეგრე ეკალივით სხვის სხეულში შეძვრომა არ ვარგა! — დაუმატა კანკორამ და გაოფლიანებული მკერდი პერანგით მოიწმინდა.

— მაშ, ეგრე უტყაპუნოს თავში საცოდავ ბავშვსა, რაღა! — გაიოცა ბაკონამ, რომელსაც კანკორას ცხოვრების სიბრძნის ასავალ-დასავლისა ვერაფერი გაეგო.

— კარგი, ვსთქვათ, ეს ბრუციანი მეზობელია! ავი საქმე თუ დაინახე, შეიძლება ადამიანურად გამოეხმაურო და ორიოდ-სამიოდე თბილი სიტყვა შეაწიო, — ჩაერია ლაპარაკში მაკრინე, რომელსაც დილიდანვე გული ამღვრეული ჰქონდა და ვერც ერთხელ საბაბი ვერ იგდო, რომ ონავარი შვილი დაეტუქსა. — შავგულიძიანთ ეზოში რომ შეიჭერი და ხალხს სახრით თავ-პირი დაალეწე, რასა ფიქრობდი?

— დედიჯან, მაგაზე ნურაფერს მეტყვი! ძაღლებივით არეული ხალხი რომ დავინახე, ბრაზმა თვალები დამიბნელა... სულ ჭიაყელებსავით დაცოცავდნენ! დედაჯან! აბაზიანები... ქაიხოსროს აბაზიანები ბორკილია, დედიჯან, ბორკილი! ამ აბაზიანებით ჭაპანსავით ბორკილებს გამოსჭედავს და დაგვბოჭავს, სუნთქვას შეგვიკრავს, დედიჯან! ის ციგნები თავიანთ ბორკილებს ეთამაშებოდნენ! ქაიხოსრო კი აივნიდან გადმომდგარიყო და ტიღურას საჩხუბრად აქეზებდა... ჰოი, ქაიხოსროვ! — კბილები გააკრაჭუნა ბაკონამ და თვალებში მრისხანებამ გაუელვა.

კანკორამ ძმას შეხედა, მორგვზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

— შვილო, იცი რას გეტყვი? — დარიგებით მიუბრუნდა მაკრინე შვილსა და იმის გვერდით ჩამოჯდა. — ქვეყანაში ავი და კეთილი ბევრია. შენზე რომ ცუდი გავიგო, — ხელმრუდობა, ავკაცობა, უნამუსობა, — სიკვდილი მირჩევნიან. შვილო, ამ ძუძუს იმიტომ გაწოვებდი და ამოდენა ვაჟკაცი იმიტომ მოგყარე, რომ კაცური კაცი იყო, პატიოსანი და შრომის მოყვარე. ავი კაცი თავის მაზარალებელია. მაგრამ, შვილო, ცემა-ტყეპითა და მუშტი-კრივით მთა და ბარი

არც გასწორებულა და ვერც გასწორდება. აბა, შვილო, თუნდა იმდენადელი შენი საქციელი აიღე! იძახი, სისხლი ამემღვრაო! სისხლს რომ ავყვეთ, კლდეში გადაგვჩეხავს. ი ბიჭებს რომ სახრით დაერიე, ვის რა სიკეთე მოუტანე? აქ ბრუციანი გააბოროტე, იქ ქაიხოსროს შეეჯავახე... მერე? რა გამოვიდა? არაფერი. თუ ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცურად მოიქეცი და სხვებსაც ვაჟკაცური მაგალითი მიეცი! შემოგხედავენ და იტყვიან, აი ბიჭიც ეს არის და ქუდიც ამას ხურავსო... მაგრამ თუ...

მაკრინემ სიტყვა ველარ დაათავა.

ბრუციანის სახლიდან საშინელი წივილი და ჩოჩქოლი მოისმა.

— აბა, უყურე! — წამოიძახა ბაკონამ და ვეფხვსავით ღობისკენ გადახტა.

კანკორა წინ გადაეღობა, მკლავი დაუჭირა და გააჩერა.

— რა გინდა ბიჭო? შენ რა გინდა?

— რას ამბობ, კაცო, ხომ არ გადარეულხარ? მაშ, მოვაკვლევინოთ ი ბავშვი?

— მოიცა, გაჩერდი! მე თვითონ გავიგებ, რა მოხდა! ხომ ხედავ, გათხლეშილია, ენა პირში არ უდგას! — დააშოშმინა კანკორამ, ცული გადააგდო და ღობესთან მივიდა. — ბრუციანო, ჰა, ბრუციანო! — გადასძახა ღობიდან.

კარებში თვალებ ამღვრეული, წამოჭარხლებული ბრუციანი გამოჩნდა. ბარბაცებდა.

— რა გნებავს? — გამომწვევის კილოთი ჰკითხა ბრუციანმა და დოინჯი შემოიყარა. — არა, მაინც რა გნებავთ თქვენ ორთავესა? თქვენ რა, ჩემი პლოკუროლები ხომ არა ხართ, წარა-მარა ბუზსავით ჩემს საქმეში რომ ჩავარდებით ხოლმე? მითხარი, ალა, მითხარი, პლოკუროლი ხარ? თუ პლოკუროლი ხარ, მეცოდინება მაინცა... თორემ... ხან ერთი და ხან მეორე... რა გინდათ ჩემგანა, მითხარით რა გინდათ ჩემგანა? რას გადამეკიდეთ, თქვე ძაღლის შვილებო თქვენა! — თანდათან უფრო ბრაზიანდებოდა ბრუციანი და ბარბაცით ღობეს უახლოვდებოდა.

პირიდან მყრალი ხრაკიანი არყის სუნი ამოსდიოდა. აბურძგვინილ წვერში პურის ნამცეცები გასჩხროდა და ულვაშებზე ქონი გალესოდა.

— რათა ჯავრობ, შე კაი კაცო! მე მეგონა რაიმე უბედურება დაემართათ, იქნება შველა სჭირდებათ-მეთქი! მაშ, მეზობელი რის მეზობელია, თუ გაჭირების დროს არ გამოადგება! — წყნარად უპასუხა კანკორამ და ღობეს მოსცილდა.

— არა, თქვენ მაინც ყოველთვის ეგრე იცით ხოლმე, მეკამეტე გოჭივით კაცს ფეხებში უნდა გაეჩხიროთ! შენ რა, ჩემი პლოკუროლი ხარ, თუ როგორ არის შენი საქმე. აი, იმ შენი პატიოსან ძმისა არ იყოს, სახრე რომ გადმომიჭირა და გადმომიჭირა! ერთი ჰკითხე, რა უნდოდა მაგასა? შავგულიძიანთ ეზოში რა წუნკალი ძაღლივით დაძრწის? ი გოგო ხომ არ მოგეწონა? კანჭები... ჰა... თეთრი კანჭები... ხი, ხი, ხიიი! — ვერ მოგართვი მოხრაკული ბადრიჯანი!

— შენ ეი, წუნკალავ! — გადასძახა შორიდან ბაკონამ, — ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ თუ ჩემი ოფოფები დავაფრინე, ხომ იცი თაგვის სოროს ორ შაურად გაგიხდი!

— ვის გაუხდი ორ შაურად? — ჩახრინწინებული ხმით წამოიძახა ბრუციანმა, წამობარბაცდა და ღობეს გადმოეყუდა.

— ვის და შენა!

— არა, მართლა? შენ-კი გენაცვალე მაგ ქოჩორში! განა მართლა მეჯავრები, ბიჭო! შენისთანა ჯეელი ჩვენს სოფელში ერთიც არ დადის! მაგრამ ძალიან გულფიცხი ხარ, ბიჭო! როდი ვარგა! იმდღანდელი სახრისაგან ეხლაც ზურგი მიბეჟეის. რა დაგიშავე, შვილო! რაც უნდა იყოს, შენზე უფროსი ვარ, წვერში თეთრი გამომერია! შენ კი მომდგახარ და მირტყამ და მირტყამ! ტყუილს ვამბობ, კანკორ? გაგონილა, კაცო! მირტყამს და მირტყამს! მაგრამ მაინც კარგი ბიჭი ხარ, ვენაცვალე შენს მარჯვენასა! აი ილოას ბიჭი მუზმუზელაა ნახე, როგორ აიარა? ერთი ატამი მაინც მოეწოდებინა! ეგრე არ არის, ჩემო კანკორ?

კანკორა გაჩუმებული იყო და თვალით რაღაცას ზომავდა. ბაკონა-კი ბრუციანის არეულ-დარეულ ლაპარაკს ყურს უგდებდა და ტუჩებში ეცინებოდა.

— კანკორ, მოდი აქა! — რაღაც საიდუმლო კილოთი მოიხმო ბრუციანმა და ხელი დაუქნია.

კანკორამ შეხედა და უხალისოდ ბრუციანისკენ გაემართა.

— გაიგე, რომ მოსულან!

— ვინ მოსულან? რას ამბობ?

— ჰაი, შე ეშმაკო, ვითომც არაფერი იცის! მალე ბალშაკები უნდა მოვიდნენ, კაცო, ბალშაკებიო! ეს კანონები სულ წაიშლება და ახალი კანონები დაწესდებაო! შენ არაფერი გაგიგია?

— არაფერი! — უკმეხად უპასუხა კანკორამ და შუბლი შეიჭმუხნა.

— ერთი მითხარი, ერთი დალაგებით ამიხსენი, ე ბალშაკები ვინ არიან? ასე წამოსულან, თურმე, აი აქეთკენა, ციმბირი გადმოუვლიათ და ეხლა ლეკებში არიანო!

— იცი, რას გეტყვი, ბრუციანო? უმჯობესი იქნება სახლში წახვიდე და ცოტა გამოიძინო!

— აი, შე ეშმაკო, შენა! — წამოიძახა უცებ ბრუციანმა და წაიხითხითა. თვალებს მიხვევ, განა! — იმ დღეს ილოას ბიჭი ამბობდა, კანკორა და ბაკონაც ბალშაკები არიანო, თუ ჭკვიანად არ მოიქცევიან, ორთავეს ციხეში ამოალპობენ, თუ ციხე აკმარესო. ჰაი, თუ კანკორას კარმიდამოსაც დაეპატრონებით-მეთქი! სწორედ ამ ლექსით უთხარი, არც მოვერიდე და არცა! რაც უნდა სთქვას! შავგულიძიანთას ვეღარაფერსა ხდება და ეხლა ახლო-მახლო აცეცებს თვალებსა...

— კარგი, წადი, დაიძინე! — გააწყვეტინა სიტყვა კანკორამ და აყბედებულ ბრუციანს მოსცილდა.

ბრუციანმა ერთხელ კიდევ წაიხითხითა, კანკორას თითი დაუქნია და სახლისკენ წაბარბაცდა.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს...

8.

ბრუციანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუციანი სახლში ამრეზილი შევიდა, ფარაჯა გაიძრო, ბალიში გადაუგდო და ხვნეშით ტახტზე გაიშოტა.

ბრუციანის ცოლი, მაგდანა, ხმელ-ხმელი, გამხდარი და სახე დანაოჭებული დედაკაცი იყო. გრძელი ნიკაპი, დაღარული შუბლი და ღრმა ნაოჭები ტუჩებთან მთელ მის სახეს სიჯიუტისა და სიკაპასის იერს აძლევდნენ. აბურძგვნილი, მუდამ დაუვარცხნელ თავზე გაჭუჭყიანებული თეთრი ხილაბანდი წამოედო. ტალახივით ჩაშავებული თითებით წარა-მარა ხან თავს იქექავდა, ხან ტანსა.

მაგდანა ბრუციანმა ღარიბი ოჯახიდან წამოიყვანა. მშობლებს მაინცა და მაინც ძალიან თავი არ გაუცხელებიათ და სიძეს მზითვად დაგლეჯილი ხალიჩა, პატარა დანჯღრეული კამოდი და დაჟეჟილი სამურაბე ტაშტი მიუგდეს. ამ მზითევსაც მაგდანა თავის ბრუციანს ქმარს ჩხუბის დროს ხშირად აყვედრიდა. ჩხუბი-კი მაგდანასთვის სადღესასწაულო თავის გართობა იყო. დაკარწახებული, გააშრებული მაგდანა ხან ერთს მეზობელს მიეჭრებოდა, ხან — მეორეს, მთელი უბანი ფეხ-ქვეშა ჰქონდა ამოდებული.

როცა გარედ საჩხუბარი გამოელეოდა, ღრენას სახლში იწყებდა და მეხივით დაეცემოდა პატარა თამრიკოს, რომელიც შიშისგან კუთხეში გაინაბებოდა და სუნთქვა შეკრული გაანჩხლებულ დედაკაცს მუდარით თვალებში შესცქეროდა.

თამრიკო ბრუციანის დისწული იყო. დედმამა ადრე დაეხოცა და უპატრონო ბავშვი ბიძამ თავისთან გადმოიყვანა. თამრიკოს თან არაფერი მოჰყოლია, ერთი დღის მიწის მეტი. ნაფუზარი სოფლის გზის პირას იყო გადაჭიმული. თავით რუ ჩამოუდიოდა. რანაირი გვალვაც არ უნდა ყოფილიყო, თამრიკოს ნაფუზარი მაინც მოურწყავი არ დარჩებოდა. „ობლის მზითევია და შიგ მადლი ტრიალებსო“, იტყოდნენ ხშირად გლეხები, როდესაც ნაფუზარში დაპურებულ, ოქროსფრად აბიბინებულს ყანას ან მაღლა ატეხილ, ტარო-ღონიერსა და მწვანედ გაშლილ სიმინდს დაინახავდნენ. „ამ ჩემი ნაფუზრის ბადალი მეორე არ მოიპოვებაო“, სიამაყით ამბობდა ბრუციანი, როცა სალამო ჟამს, კალოს პირას შეგროვილი გლეხები სხვადასხვა საქმეებზე და მიწების ან ჭირნახულის ავკარგიანობაზე მასლათობდნენ.

თამრიკო უკვე მოღერებული თოთხმეტი წლის ქალი იყო. პატარა, გამხდარი მკლავები და ბეჭები დაურგვალდა, წერწეტა ტანმა ხორცი შეისხა. ჩავარდნილი გული ამოევსო. თხელი ჩითის კაბა კოკორსავით აქვირითებულ ძუძუებს მორცხვადა ჰფარავდა. მისი შავი ლამაზი თვალები, რომლებიც დიდი შუბლის ქვეშიდან უფრო ხშირად ნაღვლიანად გამოიყურებდნენ, მჩქეფარე სისხლმა უცნაურად აამეტყველა და ააგიზგიზა.

ერთხელ წყაროდან მოდიოდა. მხარზე უზარმაზარი კოკა შეედგა და ორივე ხელით დაჰბღაუჭებოდა. სოფელზე რომ აიარა, ხის ქვეშ მოგროვილი ბიჭ-

ბუჭობის რაღაც უცნაურ გამოხედვასა და ჩურჩულს მოჰკრა თვალი. ბიჭები ერთანეთს ხელსა ჰკრავდნენ, იკრიჭებოდნენ და თამრიკოზე თვალით უჩვენებდენ. თამრიკომ ზედ დაიხედა და დაინახა, რომ კაბა ასჩაჩოდა და ფეხიშველი ფეხი ბარძაყამდის გამოსჩენოდა. სახეზე ალმურმა გადაურბინა, საჩქაროდ კოკა მიწაზე დასდგა და კაბა გაისწორა. მაშინ პირველად იგრძნო ძალა სიტიტვლისა, პირველად იგრძნო ნამდვილი სირცხვილიც. მას შემდეგ თამრიკო მორიდებულად დადიოდა, უფრო ხშირად-კი ჩაცუცქული იჯდა, რომ როგორმე თავისი სიტიტვლე დაეფარა.

ბრუციანის ოჯახში დაჩაგრული და ცხოვრება გამწარებულ თამრიკოს მესაიდუმლედ მოხუცი მაკრინე ჰყავდა. მშობლიურ ალერსსა და ნაზი სიყვარულით გამთბარ სიტყვებს მხოლოდ ამ ჭკვიანი დედაკაცის კალთასთან ჰპოულობდა. თავისუფალ დროს იხელთებდა თუ არა, მაშინათვე მაკრინესთან გადაირბენდა, ხან ქოთანს მოუწმენდდა, ხან ლობიოს გარჩევაში წაეხმარებოდა; უფრო ხშირად-კი თავის სახლში დადუმებული და ენა-ჩავარდნილი თამრიკო ტახტზე მოკეცილ მაკრინეს წინ ჩაცუცქული იჯდა, თავისი შავი ეუეუნა თვალებით მოხუცს შესცქეროდა და განუწყვეტლივ ტიტინებდა.

ერთხელ თამრიკო მაკრინეს ძალიან გაფითრებული ეჩვენა. გაცრეცილ სახეზე თვალები ლურჯად მოჰრღვეოდა. მაკრინემ თამრიკოს ეჭვიანად გადახედა, ჩაფიქრდა, დაიკუზა და ყურში რაღაც ჩარჩურჩულა. თამრიკო წამოწითლდა და მორცხვად თავი ჩაღუნა.

— მერე, შვილო, ეგრე ყოფილხარ და ამ სიცივეში-კი ფეხშიშველა დადიხარ?—გულის ტკივილით უთხრა მაკრინემ, წამოდგა, თახჩიდან ფერადი ნაკუწებისგან შეკერილი ბოხჩა გადმოიღო,ძველებ-ძველები, გადაქექა და შავი, ძირ-გაგლეჯილი ჩულქები ამოათრია.—აი, შვილო, ჩაიცვი, ფეხებს ცოტატი მაინც დაგითბობს, თორემ როდი ვარგა, გაცივდები და ავად გახდები! ფეხიდან გაციება ძალიან ძნელია!

გახარებულმა თამრიკომ სახლში გადაირბინა და თავისი აღტაცება ძალუა მაგდანასაც გაუზიარა.

— ჩულქები, ქა,—ტუჩი აუბზიკა მაგდანამ.—მეხი-კი დაგაყარე! შენც თუ ჩულქები არ ჩაიცვი, ქვეყანა გადაბრუნდება! ვინ მოგაშავა?—წაუსისინა მაგდანამ, ჩულქები ხელიდან გამოჰგლიჯა, დაკეცა და თავისი დანჯღრეული კამოდის უჯრაში ჩაკეტა.

თამრიკომ ცრემლ-მორეული თვალი ჩულქებს გააყოლა და ჩუმად ტახტის ბოლოში წამოჯდა. მის შემდეგ ის ჩულქები თვალით აღარ დაუნახავს...

ერთფეროვნადა, მწარედ და უნუგეშოდ მიდიოდა თამრიკოს დღეები. მაგდანას წყევლასა და ბრუციანის მუჯლუგუნებს ისე შეეჩვია, თითქოს ეს ცხოვრებით დაწესებული გარდაუვალი კანონი ყოფილიყოს. ტოლ-ამხანაგებს ჩამოშორებული თამრიკო, თუ არა მუშაობდა ან საიდანმე ფიჩხს არ მოათრევდა, განმარტოვებული იჯდა და თავის უცნაურ ბედს უფიქრდებოდა. შავბხელი, პირქუში, გაუხარელი და მწარე იყო ეს ბედი. მისი დასევდიანებული გული რაღაც ბუნდოვანმა იმედმა მხოლოდ ერთხელ გააშუქა. „თამრიკოს რა უშავს, მზითვად ,ალგი ნაფუზარი წაჰყვებაო“,—შემთხვევით ყური მოჰკრა თამრიკომ

მეზობლის სიტყვას. ამ ყურმოკრულმა სიტყვამ მისი ჩაბნელებული გული ელვასავით გააშუქა, სისხლი რაღაც ბუნდოვანი იმედით აუჩქროლა და შორს, სადღაც შორს ღრუბლიან ცაში ხსნის მკრთალი სურათი გამოჩნდა. „ამ ჩემს ნაფუზარს სასუქი უნდა დავაყაროვო“,—მიუბრუნდა ერთხელ ბრუციანი ეკავის ცოლს. თამრიკოს ეს მკრთალი იმედიც ჩაეფერფლა. ნაფუზარიც და მზითევიც ზღაპარი ყოფილა, მოჭორილი ამბავი...

არყით გალეშილი ბრუციანი ტახტზე იყო გაშოტილი, ჰქშინავდა, ჰბორგავდა და ამღვრეულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. გვერდებ-ჩალურჯებული ნაცემი თამრიკო განაბული კუთხეში ჩაცუცქებულიყო და თავშეკავებული სლუკუნით ქვაბსა ხეხავდა. მაგდანა ბუხართან შეჭამანდს ამზადებდა.

— არა... ჩემი პლოკურორები არიან, თუ რა ამბავია! – ბუზღუნებდა ბრუციანი.—ემანდ თავიანთ ქერქში იყვნენ, თორემ ისე მოუგრეხავენ კისერსა, რომა... მაგათ რა ჰგონიათ! არა, დედა-კაცო!—ხვნეშით გადმობრუნდა ბრუციანი და თვალები აგიზგიზებული ბუხრისკენ მიაცეცა.—ერთი მითხარი რა უნდათ ჩემგანა? კანკორა კიდევ ჰო, კაცია, ადამიანია... გველის წიწილი რომ სამგლე გოჭივით ატეხილა და ჭყვიტინობს, იმას ხომ არ უნდა ციხეში ამოვალპო... ჰაი, შვილოსა!—სლოკინით წამოიძახა ბრუციანმა და ისევ ტახტზე გაიშოტა.—დედა-კაცო, გაიგე? ბალშაკები ყოფილან! ხი, ხი, ხი-ი! მეხი-კი დავაყარე მაგათ ადამიანობასა! იმითი არიან დიდგულადა. „ა, დანდალი, დანდალი. ა, დანდალი, დანდალი“!—ხრინწიანი ხმით ჩაიმღერა ბრუციანმა და ბანჯგვლიანი ჩატალახებული უბის ქექვა დაიწყო.

„ბედნი საპოჟნიკ შიო
სიროი პადვალში ჟიო;
ჩუსტი, ბატინკი შიო
ბედნი საპოჟნიკ შიო“,

ხიხინებდა ბრუციანი.—ი გიორგა-კი არ არი, ილოას ბიჭი! მთელი ურემი ხილი ამოატარა და ერთი ატამი არ მომაწოდა! დროებას რა ვუთხრა!.. ჩვენს დროში... უფრო კარგი... მეზობლობა გვქონდა... დედას უტირებ... ისეთი დღე დავაყენო... დამაცადონ... ლაწირაკი... მირტყამს და მირტყამს... პროწიალა.. პროწიალა... აბაზიანი! — უკანასკნელად წაილულლულა ბრუციანმა და ხვრინვა ამოუშვა.

— საბანი დახურე!—უბრძანა მაგდანამ თამრიკოს...

თამრიკო მაშინათვე წამოხტა, თახჩიდან სქელი მატყლის საბანი გამოაძრო, ბრუციანს ფრთხილად დახურა, გვერდებში ამოუკეცა და ისევ ქვაბს მიუჯდა.

* * *

ბრუციანს უგემურ გუნებაზე გაეღვიძა. რამდენჯერმე გაიზმორა, საბანი გადაიგდო და წამოდგა. სახლში არავინ იყო. კარები გამოეხურათ და სადღაც წასულიყვნენ. მიწურ აივანზე გამოვიდა, პირმოტეხილი ლიტრიდან მუჭაში წყალი ჩაიყენა, პირზე შეისხა, ხალათის კალთით სახე შეიმშრალა და ზლაზნით ორლობესთან შეგროვილი ხალხისკენ გაემართა.

ილო თანდილაშვილი წისქვილს აკეთებდა. მთელი ზაფხული მასალა ზიდა, კირი თითონ გამოსწვა, ხე ტყიდან თითონ ჩამოზიდა, და თავისი ოთხი შვილით კავთურიდან გადმოგდებულ რუსთან წისქვილი ააშენა. ... უკვე მოტანილი ჰქონდა და ეხლა ღარსა ჰმართავდა.

— ტყუილად ებღაუჭები, გიორგავ! მაგ ღარის მოტრიალება ეგრე არ შეიძლება! კანკორა რო იყოს—კიდევ ჰო, დასწვდებოდა ი მამაცხონებული და სულ ლაწა-ლუწს გაადენდა!—მიუბრუნდა თოხზე დაყრდნობილი მოხუცი გლეხი ილოას ბიჭს გიორგასა, რომელიც ქშენით ღარს ებღაუჭებოდა და ცდილობდა ადგილიდან დაეძრა.

— რა ვიცი, იმასაც რაღაც ღმერთი გაუწყრა, დღეს ახლო აღარ მომეკარა!—გასჭექა ილოამ, შუა გზაში გაჩხირულ ღარს თვალი გადაავლო და ჩაფიქრდა.

— რატომაც არ მოგეკარება, შვილონიასა, ფულის საქმე არ არის?

— არა, ჩემო ბერიკავ, ფულის საქმე არ არის! აქ სხვა რამე თამაშობს... შენ რა იცი, ბერიკავ, რა ამბები ტრიალებს ქვეყანაზე? მაგრამ... „მეზობელი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო“,—ხომ გაგიგონია. შურთ და იმრიზებიან!

ბერიკამ, მართლაც, არაფერი იცოდა. ოთხმოცი წლის მოხუცს სად შეეძლო თავისი მისუსტებული გონებით განეჭვრიტა ახალი დამოკიდებულებათა ის რთული კვანძი, რომელიც სოფლის გულის სიღრმეში იხლართებოდა.

მაგრამ ილო თანდილაშვილი ხომ აქტიური მომქმედი იყო სოფელში გამართული ჭიდილისა! ილომ ძალიან კარგად იცოდა, ქარი საიდანაც უბერავდა. ხარბი, დაუნდობელი, გველაძუა, პირმოთნე ილო არც ისეთი ლაჩარი იყო, რომ ცხოვრების ასპარეზზე გამართულ ჭიდილში პირველობა სხვებისთვის დაეთმო და არც ისეთი ვაჟ-კაცი, რომ მტერს გულდაგულ შეჰბრძოლებოდა. სოფელში ცარიელ-ტარიელი მოსული ილო ეხლა გამართული კაცი იყო, მაგრამ თავისი ქონებით ყოყლოჩინობა არ უყვარდა. „ყოყლოჩინობა მეზობლის შურიან თვალს უფრო აამღვრევსო“, ეტყოდა ხოლმე თავის შვილებს, რომლებსაც ხშირად თავიანთი ოჯახისშვილობით თავი მოჰქონდათ.

ამიტომ ილო თანდილაშვილის გულში ეჭვმა და რაღაც გამოურკვეველმა შეშფოთებამ გაირბინა, როცა კანკორა წისქვილზე მუშად არ გაჰყვა. კანკორას ცივსა და გადაჭრილ უარში ილომ დაფარული მტრული განწყობილება იგრძნო და თითონაც გულში ბოროტმა, გესლიანმა გრძნობამ განსჩხვლიტა.

ილოს გუნება აემღვრა და აიღრინა. იმან კარგად იცოდა, რომ კანკორას გულს სამოწყალოდ გადაგდებული გამოსარჩენით ვერ მოინადირებდა. კანკორა ხომ ბრუციანი არ იყო, იმის ბაღ-ბოსტანს შურით ამღვრეული თვალით რომ გასცქეროდა და არყით გალეშილი როსკიპი ტედაკაცივით ილანძღებოდა! კანკორა არც კიტრის ქურდს მაჭარასა ჰგავდა, ღამ-ღამობითი ბოსტნებში რომ დაძვრებოდა. კანკორა ამაყი იყო და მის პატიოსნებაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა.

— რატომ არ გინდა მიშვილო, კანკორ, დღეს ხომ თავისუფალი ხარ?—შეეკითხა ილო.

— თავისუფალი ვარ, მაგრამ არ გიშველი!—ცივად და დინჯად უპასუხა კანკორამ და პირდაპირ შეხედა ილოს, რომელიც შუბლში ღრმად ჩამძვრალი თვალებს თაგვივით აცეცებდა.

— რატომ, ბიჭო, რად მომიძულე? შენთვის ხომ ავი არაფერი დამიშავებია? ეს მარჯვენა გამიხმეს, თუ ჩემი შვილებისგან გარჩევდე! კაი ვაჭკაცი ბიჭი ხარ, სოფლის თვალს გეძახიან და მომდურებულსავით რად უნდა იყო?

— დასამდურავი არაფერი მაქვს! შენ შენთვისა ხარ, მე—ჩემთვის! მტრობას გამიწევ—არ შემეშინდება! მიმეგობრებ—ალბათ, კაი კაცობის დაფასებას მეც შევძლებ! დახმარებით-კი ვერ დაგეხმარები! მე მუშა კაცი ვარ და დღიურ ლუკმას, შენ კარგად იცი, მძიმე შრომითა ვპოულობ, მაგრამ, ილოვ, ეს კი კარგად იცოდე, ყმად არავის დავუდგები!—მტკიცედ და უფრო მეტის გულცივობით უპასუხა კანკორამ.

— შენი ნებაა!—ყრუდ ჩაილაპარაკა ილომ და იგრძნო, რომ ამ დღიდან მათი კეთილ მეზობლობა დაირღვა; იგრძნო და კანკორაანთ მთელი ოჯახი გულიდან ამოირეცხა. მაგრამ პირდაპირ შეჯახება და აშკარა მტრობა ილოსთვის სახეირო არ იყო. გაშიშვლებული ხანჯლით არასოდეს არ უმოქმედია და არც ეხლა აპირებდა მოქმედებას. „მტერს უნდა დაუტკბე, ათასჯერ გაზომო და ერთხელ მოსჭრა“, არიგებდა ილო თავის გულფიცხ შვილებს და ეხლაც, რა თქმა უნდა, თითონვე ამ სიბრძნეს არ გადაუხვევდა. ილოც დაუტკბა კანკორასა, ფეხთ გაუგორდა და ვერცხლის წყალივით ხელში აუთამაშდა; მაგრამ ობობასავით მაშინათვე ქსელის გაბმა დაიწყო. მისი გაბოროტებული თვალები უკვე მოკავშირეებს ეძებდა.

— შენ, განა, ვერ ატყობ, ბერიკავ, კანკორა და ბაკონა ამ ბოლო დროს როგორ გარე-გარე დადიან და ტურებსავით დაძრწიან?—მოუბრუნდა ილო მოხუცს ბერიკას და ღარზე ჩამოჯდა.

— აბა, რა ვიცი!—უპასუხა ბერიკამ.—თვალს აღარ მიჭრის და მუხლსა! მთელი დღე აი ი საბრძელთან ვგდივარ და ბებერ ძვლებს მზეზე ვითბობ. რა ვიცი! მამა კარგი სამეზობლო კაცი იყო, კანკორაზედაც, მართალი გითხრა, ცუდი არაფერი გამიგია! აი, ბიჭს კი ემდურიან, ჭიჭყინა და ატეხილი ხასიათისაო; მაგრამ ავკაცობა არც იმისი გამიგია.

— როგორ არ გაგიგია!—ჩაურთო სიტყვა ბრუციანმა და წინ წადგა.—იმ დღეს შავგულიძიანთ ეზოში რა დღე დაგვაყენა! განა, ჩემი ხნის კაცს იმისთანა ლაწირაკმა სახრე უნდა დაარტყას!

— მერე, შე დალოცვილო, შენ რაღა ზურგი შეუშვირე! ხელები არ გება?—გამოეხმაურა გიორგა, რომელიც ისევ ღარს ებღაუჭებოდა და შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

ხალხმა სიცილი დაიწყო.

— აბა, ბრუციანო, რას იტყვი?

— ზურგი ხომ არ გექავება?

— მაგრა მოგხვდა?

— ასკინკილა ხომ არ გარბეინა?—გაისმა აქა-იქიდან დამცინავი რეპლიკები.

— რას ილრიჭებით, თქვე ვირებო, თქვენა?—შეუტია ბრუციანმა.

ხალხმა უფრო მეტად დაიწყო ხარხარი.

— შენ ისა ათქვი, აბაზიანები ბევრი აკრიფე? თუ ზოგი უზალთუნიანი იყო?

— რა შენი ჭკუის საქმეა?—შეუბუზღუნა ბრუციანმა, ფარაჯაში გაეხვია და გაწბილებული ნერგის ქვეშ ჩამოჯდა.

ამ დროს ორღობეში საშინელი ამბავი დატრიალდა. საფრთხე პირველად ილოას ბიჭსა გიორგამ შეამჩნია.

— არიქა, ბიჭებო, უბედურება მოხდა!—შეჰყვირა უცებ გიორგამ და შეშინებული თვალები გზას მიაშტერა.

თავქვე დამფრთხვალი კამეჩი მირბოდა. ყელმოღერებული, კუდაბზეკილი კამეჩი გაგანიერებული ნესტოებითა და გადაბრიალებული თვალებით ურწყავიდან თავქვე დაეშვა და ფშვენით პირდაპირ ორღობისკენ გაქანდა. უკან გადაფითრებული პატრონი მისდევდა.

ქვევიდან ორღობეში მხარზე კოკა გადებული თამრიკო გამოჩნდა. მკლავი თვალებზე ჰქონდა აფარებული, უდარდელად შუა ორღობეში მოდიოდა, დამფრთხალ კამეჩს ვერა ხედავდა. კამეჩი ცოტა ხანს შეჩერდა, თამრიკოს წითელ კაბაზე უფრო მეტად აიმღვრა, თავი ჩაღუნა, ჩლიქებით მიწას თხრა დაუწყო და ფშვენით პირდაპირ თამრიკოსკენ დაქანდა.

— ვაიმე, მოჰკლა!—საზარელი ხმით იკივლა ილოას მოხუცებულმა ცოლმა, თვალებზე ხელები მიიფარა და აცახცახებული, გადაფითრებული დედაკაცი იქვე მიწაზე ჩაიკეცა.

საზარელი უბედურების მოლოდინში ხალხი გაინაბა. სუნთქვა შეეკრათ. ვიწრო ორღობეში შეჭრილ, გააფთრებულ კამეჩს კაცი ვერსაიდან მიუდგებოდა.

უცებ იქვე თამრიკოს ახლო ძეძვიანი ღობის ლაწა-ლუწი გაისმა და ჰაერში რაღაც შავმა გაისრიალა. თამრიკო შეკრთა, ზევით აიხედა და ორ ნაბიჯზე კამეჩის გადმობრიალებული თვალები დაინახა. თამრიკომ შეჰკივლა, კოკა ხელიდან გაუვარდა. სწორედ ამ დროს კამეჩს თავში ულელი მოხვდა და შეატორტმანა.

ღობეზე, მარგილებს შუა მკერდგაღეღილი კანკორა იდგა. მძიმედ სუნთქავდა, მანძილსა ზომავდა, წელში ულლიდან მოხსნილ აპეურს ისწორებდა და თვალებს გააფთრებულ კამეჩს არ აშორებდა.

მარჯვედ მოქნეულმა ულელმა კამეჩი დაარეტიანა და შეატორტმანა. კანკორაც ამას ელოდა. მოიბუზა, ბურთსავით შეიკუმშა, ისკუპა და ზურგზე მოახტა. კამეჩი დაპროწიალდა და თავის ქნევა დაიწყო. კანკორა ორივე ხელით რქებსა სწვდა და მთელი თავისი ბუმბერაზული ძალით კისერი მოუგრიხა. კამეჩი შეჩერდა და მძიმედ სუნთქვა დაიწყო. დარეტიანებული კამეჩი უფრო მეტად მოდუნდა. კანკორამ კამეჩის ამ მოდუნებით ისარგებლა, უბიდან აპეური გამოიძრო, კისერზე შემოარტყა და გაუჭირა. კამეჩს ამღვრეული თვალები ჩაეფერფლა, წაბარბაცდა და მუხლზე ჩაიკეცა. კანკორა მიწაზე გადმოეშვა და აპეური უფრო ღონივრად დასჭიმა. კამეჩი ახიხინდა და ძალაგამოლეული მიწაზე გაიშხლართა.

ღობესთან შეგროვილ ხალხს გულიდან სიხარულის ყიჟინა აღმოხდა.

— ჰოი, შენ კი გენაცვალე, შენა, კანკორავ!

— შენი მარჯვენის ჭირიმე შენი, ბიჭო!

— ალალია შენზე დედის ძუძუი!

— უშველეთ, კაცო!

— ჩქარა თოკი მიაშველეთ, თოკი!—გაისმა ხალხის ჩოჩქოლი. გიორგამ სახლიდან გრძელი თოკი გამოარბეინა და ხალხი ორღობისკენ დაეშვა.

კამეჩი მაგრა გათოკეს და ღობის პირას მიაგდეს. კანკორა ქვაზე იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. უცებ ფერი წაუვიდა და ღობის მარგილს მიეყუდა.

— ჩქარა, წყალი, ბიჭო, გული მისდის!—დაიყვირა ერთმა და გაცრეცილ კანკორას წელში სწვდა.

— გული წაუვა, მა რა იქნება! ხუმრობა ხომ არ არის ამოდენა პირუტყვის დამორჩილება!

თამრიკომ, რომელიც ჯერ კიდევ ხეირიანად გონს ვერ მოსულიყო, საჩქაროდ კავთურიდან წყალი მოარბეინა - და ვადაფითრებულ კანკორას სახეზე შეასხა. ცივმა წყალმა კანკორა მოასულიერა და თავის ფერზე მოიყვანა. თამრიკო რომ დაინახა, გაიღიმა და ალერსიანად თავზე ხელი გადუსვა.

— კანკორავ, ბიჭო, მოდი ერთი მაგ მადლიან შუბლში გაკოცო, შენ-კი გენაცვალე, შენა!—სლუკუნით უთხრა ბერიკამ, რომელიც დალმართზე ძლივს ჩამოფანფალდა და ცახცახით ორღობეში მოგროვილ ხალხთან მივიდა.

კანკორა მაშინათვე ფეხზე წამოდგა და მოხუცს მიეგება...

* * *

იმ საღამოს ილო თანდილაშვილი ცუდს გუნებაზე იყო. ცოლმა რამდენჯერმე ოთახში შეიხმო, მაგრამ ილომ მკვახედ შეუბუზღუნა, და ისიც გაინაბა. შუბლშეკრული ილო ჩიბუხს თამბაქოთი სტენავდა და თავისთვის ტუჩებში რაღაცას ბუტბუტებდა. მის პირდაპირ ბრუციანი იჯდა. ისიც გაჩუმებული იყო და ოთახში გაშლილ სუფრას ნერწყვ-მორეული გასცქეროდა.

ახლად დაშენებული მეორე სართულის შეუღებავ იატაკზე დიდი ტახტის წინ აქა-იქ ჩრჩილით გამოჭმული გახუნებული და მოცვეთილი ხალიჩა ეფინა. ტახტის წინ ძველებური სასადილო მაგიდა და რამდენიმე ჩალის სკამი იდგა. ოთახის კუთხეში, უხეირო ლაქით გაპრიალებულ კამოდთან რგვალი, ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული სარკე ეკიდა. სარკის გარშემო ვიღაცის მზრუნველ ხელს უკვე ჩაყვითლებული და ფერდაკარგული პორტრეტები ჩამოერიგებინა,—ილო თავისი ცოლით, ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი გიორგა თავისი პოლკის ამხანაგებით, ვიღაც მიკიტანი, რომელსაც ღიპზე უზარმაზარი ვერცხლის ქამარი ეკიდა; ერთ ხელში ღვინით სავსე ბოთლი დაეჭირა, მეორეში—დაირა. თავდახურული ცოლი თავს დასდგომოდა და თითები ნაზად ქმრის მხარზე გადმოეწყო.

საღამოს ნიავი ფანჯრებზე ჩამოკიდებულ ტიულის ფარდებს აფრიალებდა და ატკაცუნებდა.

— ნახე, კანკორამ რა ჰქნა?—დაარღვია ბოლოს სიჩუმე ბრუციანმა და გაჯავრებულ ილოს გადახედა.

— რა ჰქნა? წივილაანთ დათუას ბებერი ქუშიანი კამეჩი ულლით დაარეტიანა! დიდი რამეა! კუდ-აბზეკილი რომ გარბოდა, განა, მართლა ცოფიანი იყო!—უპასუხა ილოამ და ჩიბუხი გააბოლა.

— შენ ეგ მითხარი,—საიდუმლო ჩურჩულით შეეკითხა ბრუციანი და ილოას გვერდით მოუჯდა.—კანკორა და ბაკონა მართლა ბალშაკები არიან?

— ეშმაკმა იცის მაგათი ტანი და ჯანი!—წაიბუზღუნა ილოამ,—როგორ-ღაც თავგამოდებულები-კი არიან, თითქოს რაღაცას მოელოდნენ!

— ჰოოო. მეც სულ მაგას არ ვამბობ! კაცო, ვატყობ, როგორღაც გამოიცვალნენ! ბაკონა ყოველთვის აბეზარი იყო, მაგრამ ე კანკორასაც რომ როგორ-ღაც გუნება შეეცვალა! ერთი დალაგებით მითხარი, ილოჯან, ჭკვიანი კაცი ხარ, მართლა ბალშაკები მოდიან? იმ დღეს მჭედელთან ვიყავი. აი თეძომოტეხილ ვასუასთან, იქ ბიჭებმა სთქვეს, ბალშაკებს ციმბირი გადმოუვლიათ და ეხლა დაღესტანში არიანო.

ილოას ტუჩებში ჩაეცინა და ბრუციანს გადახედა.

— რას მიჰქარავ, კაცო? რა ციმბირი? რის დაღესტანი?

— პატიოსნებას გეფიცები! ამბობენ, ეს ბალშაკები სულ ნაციბირალი ხალხიაო, მოვლენ თუ არა, ამ კანონებს სულ წაშლიან და ახალ კანონებს დაა-წესებენო! ერთი მითხარი, ილოჯან, ამ ჩემს ნაფუზარს ხომ არ წამართმევენ? ამ შემოდგომით ოთხმოცი ურემი სასუქი დავაყარე! ცომის გუნდასავით არის გაფუებული! ცოცხალი თავით ნაფუზარს არავის დავანებებ! არა, მითხარი, რა უფლება აქვთ წამართვან? ჩემს მიწასთან ვის რა ესაქმება? ილოჯან, მართალი მითხარი, ამ ნაფუზარს ბალშაკები წამართმევენ?

ილო ჩაფიქრდა, მერე ბრუციანს თვალი თვალს გაუყარა და გესლიანად ყურში ჩასსისინა:

— შენს ნაფუზარს თავისი პატრონი ჰყავს, ბრუციანო! მოვა და ის წა-გართმევს!

ბრუციანი წელში გასწორდა და თავისი ცალი თვალი ილოს მიაშტერა.

— წამართმევს? ვინ მუდრეგი წამართმევს?

— თამრიკოს ქმარი!—მოკლედ მოუჭრა ილომ.

ბრუციანი სკამზე შეტორტმანდა, თითქოს თავში კეტი დაარტყესო. მთე-ლი სახე როჯორღაც უცნაურად მოეღრიცა, სანთელივით გადაყვითლდა და ტუჩები ჩაულურჯდა.

— მოდი, კაცო, როდემდის უნდა გიცადო!—გამოეხმაურა ოთახიდან ცოლი.

— წავიდეთ, ცოტა შევნაყრდეთ!—მიუბრუნდა ილოა ბრუციანს,—რას და-ღონდი? კაი შტრინკ ბიჭს მოგიყვანს, ზე-სიძედ ჩაგესახლება, მუშაობაშიც მოგე-ხმარება, თუ გაუჭირდა პანღურსაც ამოგკრავს! წამო, კარგი! რა ქვიქვირი ჩა-მოუშვი, შე უშნოვ შენა!

— არა მშიან!—ყრუდ უპასუხა ბრუციანმა, წამოდგა და ამღვრეული თვა-ლებით კიბისკენ წატორტმანდა...

ილოამ თვალი გააყოლა და გესლიანად ჩაიხითხითა.

— კიბეზე ნელა ჩადი, ბრუციანო! მანდ ერთი საფეხური მორღვეულია!—მიაძახა ილოამ ბრუციანს და ოთახში შევიდა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქ. დოლიაშვილი

მოდიან ლეგიონები

სმენა!.. დროშებით მოდიან
დამკვრელი ლეგიონები,
ზეიმობს შრომის ქვეყანა
მათი გმირული ბრძოლებით.
გზა დაუცალეთ ლაჩრებო,
სიტყვა და საქმე მათია,
ამ მილიონთა გულებში
ოქტომბრის ცეცხლი ანთია!

დაიმორჩილეს ვაჟკაცურ
ულრანი ტყე და ხევები,
სად, კლდეებს ეხეთქებოდა
მდინარე, გიჟურ ხველებით.
სად, გაშლილ ტიალ მინდვრებზე
ველური ქარი სწიოდა,
ასი თუ იყო მაძღარი,
ასიათასს კი შიოდა!
მილიონ წელთა რიცხვს ითვლის
მისი ველურად დინება.
დღეს კი შეთოკეს მდინარე,
ბურჯებში ჩაკრულ რკინებმა...

დროშები, მოდის! დროშები!
ლითონის დამწვარ ხელებით,
იცინის ქალაქთან ერთად —
სიცოცხლით სავსე ველები.
ირგვლივ ქუჩები ხმაურობს
იტყვის მთებს მოსქდა გრიგალი,
გრიგალზე უძლიერესად
წინ მიგვაქროლებს მიზანი.

ზიზღი, გაკიცხვა საჯაროთ
ლაჩრების გულებს ნატყვიარს,
და ვისაც ქვეყნის ღალატი
შავნისლებივით არტყია...
მძლავრ ზვირთებს-ვეღარ გაუძლებს
მტრის აღმართული კედელი,
სადაც დაარტყავს რკინის ხელს
სოციალიზმის მჭედელი...

მოდიან, პატაკს აძლევენ
თავის საყვარელ ბელადებს,
სად, გმირულ ბრძოლის შედეგებს
საკუთარ თვალით ხედავენ.
ლაპარაკობენ რიცხვებიც
ყოველ საამქროს შესახებ,
თუ როგორ იბყრობს მწერვალებს
კლასი, ცხოვრების მესაჭე...
მოშხამულ სისხლის ძარღვები,
დაჭკარ ხმალი და გადასჭერ,
თუ არ დარწმუნდე... დრო არის
თავს შეეტაკო ათასჯერ!..

ზეიმობს თექვსმეტი წელის
ისტორიული ამაგით,
მუსიკის ხმებით მოცული
მშრომელთა დედაქალაქი.
დროშებით შეწითლებულან
მკერდ შენგრეული გორებიც,
მოდიან გამარჯვებული,
დამკვრელი ლეგიონები!..

გულიდან ამოტანილი
მუშა-მგოსანის კალამით,
მშრომელთა მილიონებო,
პროლეტარული სალამი!..

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერცელ გააზოვი

ფეთზაინი*

რომანი

ნაწილი პეოთსე

„ძველი ანგარიში“

1.

სიცივე, სიბნელე, უიმედობა.

ჭვარტლიან ბუხარში სულს ღაფავს უკანასკნელი ღერი შეშა.

დაბას თავს დასჩხავიან ყვავები, რომლებიც გუნდებათ დასტრიალებენ მოხუცი ისხაკ ჯანაშვილის პატარა სახლს.

ლია ზის ისხაკის ლოგინთან და ცრემლებად იღვრება.

საბანის ქვეშ კი წევს ავადმყოფი ისხაკი, რომელსაც საკუთარი ფეხები გადაქცევია ზედმეტ ბარგად.

— ძვლები. ძვლები. ძვლები. — ჰკივის გამუდმებით ისხაკი და უღონო ლიამ არ იცის როგორ მოიქცეს, როგორ უშველოს.

უკვე ორ კვირაზე მეტია ისხაკი ჩავარდა ლოგინად და ლია მას შემდეგ მის ავადმყოფობაში მხოლოდ გაუარესებას ამჩნევდა. არ დაუკლია ცდა: მიმართა მელამედს, ექიმბაშს, ექიმსაც, რომლებისაგანაც მიიღო სამი სხვა და სხვა „დიაგნოზი“:

— ნათანის ცოდვებისათვის...

— მტერს შეუხედავს შურის თვალით...

— რევმატიზმი...

ილოცა მელამედმა და უსურვა „რეფუა“ ათასი ვარიანტით.

შეულოცა ექიმბაშმა და რამოდენიმეჯერ შემოატრიალა ავადმყოფის თავი.

გამოუწერა ექიმმა წამლები და თან ურჩია ლოგინში ყოფნა, თბილად შეხვევა ფეხებისა.

და გულკეთილ ლიას, რომელიც უჯდა თავთით თავის ავადმყოფ ქმარს, უკვირდა თუ რატომ ამდენ ხანს არ იწყებოდა გაუმჯობესება, რატომ არ იმარჯვებდა ერთი მაინც: ან ღმერთი, ან ეშმაკი, ან ნასწავლი ხალხი.

---

*) იხ. „მნათობი“ № № 1-9.

უჭირდა ლიას და ეს იცოდა კარგად ისხაკმაც.

ლიას საჭმელი იყო ხმელი პური და ცივი წყალი.

სახლში თუ რამე იყო გასაყიდი—უკვე გაიყიდა, ისხაკს ორიოდე გროშებიც გაჰქრა და ლია ცხოვრობდა მეზობლებიდან აღებულ ხესხით.

დღითი დღე ვალი იზრდებოდა, მაგრამ ლია ჩუმად იყო.

ან რა საჭირო იყო ლაპარაკი: ვის დააყვედრიდა, ვის ეტყოდა, ვინ შეუმსუბუქებდა გაჭირვებას?

ისხაკი მიუხედავად მძიმე ტკივილებისა, ჰგრძობდა ლიას გამოუსავალ მდგომარეობას და საბან ქვეშ განუწყვეტლივ ოხრავდა. ხანდახან შეხედავდა თანაგრძნობის თვალებით თავის მეუღლეს, მაგრამ ლია ამ დროს შეგნებით სახეს არიდებდა, რომ ისხაკს ლიას თვალებში არ წაეკითხა სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანის განცდა.

მოხუცებს გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი მთელი სიცოცხლის მანძილზე და მიტომაც იყო, რომ ასე გული სტკიოდათ: ერთმანეთს ვერ ეხმარებოდენ, ხოლო ყოველ ახალ დღეს მოჰქონდა ისევ და ისევ ახალ ახალი ხარჯები. ყველას მიქონდა თავისი: მელამედს, ექიმბაშს, ექიმს, წამალს, პურს.

დღისით ელოდენ დალამებას, დალამების ჟამს — გათენებას და ასე მიჰქროდა დღეები მოხუცი ჯანაშვილებისა.

დღისით, როდესაც ტკივილები ოდნავ შეუმსუბუქდებოდა, ნელი ხელის კვრით გადაიგდებდა საბანს და გაყვითლებული, სახე დამაჭკნარი ისხაკ ჯანაშვილი ეუბნებოდა ლიას:

— ძვლები მტკივა ლია, ფეხის ძვლები... კიდევ დიდხანს მემსახურენ ჩემი საცოდავი ფეხები... რო მოვიგონებ ქალო, პირდაპირ გაოცებას ვარ... ელოე აბრაამ, [1]) რამდენი გზა გაუვლიათ ჩემს ფეხებს... ათასი... ათიათასი... ასიათასი ვერსი... არ ვიცოდი რა იყო დაღლა და ეხლა კი, ეჰ, რა დროს მიმტყუნეს...

— არა უშავს ისხაკ, ღმერთი პატრონია. კარგად იქნები. გულს ნუ გაიტეხ...

— მე კიდევ ისე გულს არ გავიტეხდი, რომ შენთან დამნაშავე არ ვიყო... მეხილა [2]) მომეცი ჩემო საყვარელო ლია. ქმარი ვალდებულია ცოლი კარგად არჩინოს და მე... ვაი ჩემთვის, რა უბედურებაში ჩაგაყენე!

— შენ შემოგევლოს შენი ლია! დაწყნარდი ისხაკ. ნურაფრის დარდი ნუ გექნება. ღმერთის წყალობით, მალე, სულ მალე გამოკეთდები.

— გისმინოს ღმერთმა!

— ამენ!

და ამის შემდეგ უბედური და გულკეთილი მოხუცები მოექცეოდენ თავის საკუთარი ფიქრების არეში. და კარგად იცოდა ორივემ, თუ რაზე ფიქრობდა თითეული მათგანი. იყო ერთი სიტყვა, ერთი სახელი-უთქმელი, მაგრამ სანატრელი, მარად-საოცნებო, შორეული და ახლობელი ერთსადაიმავე დროს, საკუთარ თავზე უფრო სანატრელი, მაგრამ — მიუწვდომელი.

---

[1]) ელოე აბრაამ — ღმერთო აბრაამისაო!

[2]) მეხილა — შენდობა, პატივება.

„ნათანი“.

„შემოვევლე ჩემს ნათანს“.

„ნეტავი ხომ არაფერი უჭირს“.

„არამც და არამც არ გაიგოს მამის ასეთი მძიმე მდგომარეობა“.

„სიკვდილმა არ მომისწროს მის უნახავად“.

ჰფიქრობდენ მოხუცები და ამავე დროს კარგად გრძნობდენ, რომ მათი ცხოვრება ღირდა უკვე დასრულებულიყო, რომ არ ყოფილიყო ქვეყნად—ნათანი, რომელიც იყო მათთვის მიზანი, შინაარსი, სიცოცხლე.

არც ერთს არ უნდოდა, რომ ნათანს მამა ამ დღეში ენახა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივენი თავთავისთვის, ჩუმად, ნატრობდენ, რომ ამ მარტოობის და უნუგეშობის ჟამს—ნათანი ყოფილიყოს მათთან, მათ გვერდით.

ერთხელ, როდესაც ისხაკ ჯანაშვილი ძალიან ცუდათ შეიქნა და თითქმის სოფლის ფერშალმაც იმედი დაჰკარგა, ლიამ გადაუკრა ისხაკს, რომ საჭირო იყო ნათანის დეპეშით გამოძახება.

ისხაკი სასტიკად განრისხდა და შეჰკივლა:

— არა! თუნდაც მოვკვდე, მაგრამ ამ დღეში ნუ მნახავს ჩემი მზე, ჩემი ნათანი, იმას შემოვევლე, იმის სანაცვლოდ მოვკვდე... ლია, შემომფიცე, რომ რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ვიდრე ნათანი სწავლას არ გაათავებს, შენ იმას არაფერზე არ შეაწუხებ და სწავლაზე ხელს არ შეუშლი...

— ვფიცავარ ნათანს...

და დღეები მაინც მიჰქროდენ.

მეზობლებს შემოელიათ გასასესხებელი პური და ფული. მობეზრდათ „მოურჩენალი“ ისხაკ ჯანაშვილის რჩენა და და ერთ დღეს ლიამ დაალამა ისე, რომ მის პირს არ მიჰკარებია არც ერთი ლუკმა.

ამ დღის შიმშილი — მაინც და მაინც დიდათ არ ჩაუგდია ლიას. ვინაიდან იგი ბავშობიდანვე მიჩვეული იყო თაყანითს[1]) და დღევანდელი დღეც თაყანითად ჩასთვალა, რომ ადონაის შეესმინა უბედური ლიას ვედრება და ისხაკისთვის წარმოეგზავნა რეჟუა შელემა[2]).

აწუხებდა ხვალინდელი დღე. ვის მისდგომოდა, რომელ მეზობელს? შესასვლელი კარი აღარსად ჰქონდა.

დააკვირდა ისხაკს, რომელიც ბუტბუტობდა კირიათ შემაყს[3]) და საოცარი იყო: ტუჩები ბუტბუტებდენ, თვალები კი დახუჭული ჰქონდა.

ლიას მოეჩვენა, რომ ასეთია სიკვდილ სიცოცხლის ნამდვილი ბრძოლა.

და ფიქრებში წაღებული, უცბად, მოულოდნელად შექრთა:

ვიღამაც მაგრად ჩაბოკრა რკინის ჭიშკარს. ჭრაჭუნმა ისხაკის ყურადღებაც მიიპყრო და მილეული თვალებით გადახედა ლიას, თითქოს ეკითხებოდა:

„ ვინ უნდა იყოს ლია, ამ დროს?“

ლიამ პასუხის ნაცვლად კარი გააღო და ეზოში გავიდა:

— რომელი ბრძანდებით?

---

[1]) თაყანით — მარხვა.

[2]) რეჟუა შელემა — სრული განკურნება.

[3]) კირიათ შემაყ — ლოცვა დაძინების წინ.

— ფოსტა ვარ. ჩაიბარეთ ორი წერილი ისხაკ ჯანაშვილის სახელზე. აბა დედაშვილობას, ჩქარა.

ლიას აუტოკდა გული სიხარულითა და მოულოდნელობით.

ხელში ორი სხვადასხვა ზომის კონვერტი ეჭირა და არ იცოდა რა ექნა მათთვის. დაავიწყდა მადლობის თქმა, შევარდა სახლში და ახარა ისხაკს:

— წერილები!

ისხაკის თვალებში გაიელვეს სიხარულის ნაპერწკლებმა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. მოაგონდა, რომ მას არ ჰქონდა ღონე წერილების წაკითხვისა და თვალები შეკითხვის მსგავსად მიაშტერა წერაკითხვის უცოდინარ ლიას.

ლიამ ინსტიქტიურად კონვერტები გახია და წერილები გამოიღო. ერთი მათგანიდან გადმოცვივდა ხუთი თუმანი. გაოცებულმა და გაბედნიერებულმა ლიამ აღტაცებით ჩაიკრა გულში შვილის წერილი.

— ისხაკ! ნათანს ფული გამოუგზავნია, ხუთი თუმანი.

— ნათანი... ჩემი ნათანი... ჩემი სიამაყე... ჩემს მეტმა ვინ იცის, ვინ არის ნათანი... როგორი გული აქვს... ალბად ეს მისი უკანასკნელი კაპეიკებია.

ლიას უკვე გაუელვა თავში პატარა გეგმა, თუ როგორ გადაიხდის ხვალ ვალებს და დარჩენილი ფულებით როგორ მომჭირნეობას გასწევს.

„ხვალ აღარ იშიმშილებს: რა დროს გამოადგა საყვარელი შვილი!“

მაგრამ ამ წუთებში ყველაზე უმთავრესი იყო წერილების შინაარსი, დილამდე გული არ გაუძლებდათ და ორივემ, თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიფიქრა:

„მელამედი“.

მიუხედავად გვიანობისა, ლია წავიდა მის მოსაყვანად.

* * *

კოჭლი მელამედის ოთახში საგრძნობი იყო ბურნუთისა და თამბაქოს სუნი.

ცოლი დიდი ხანია აღარ ჰყავდა და მორწმუნე ქალები თავის მოვალეობად სთვლიდენ მისი ოთახების მოვლას, მისთვის საჭმელის მომზადებას.

მელამედი ხომ სამაგიეროდ მათ ბავშებს ასწავლიდა ღმერთისა და თორის სიტყვას, ისრაელის რჯულის ადათ წესებს!

ყალიონი იდო მომაღლებულ თაროზე და სტოვებდა ისეთივე სიმძიმის შთაბეჭდილებას, როგორც მისი პატრონის ხასიათი.

როცა ლია ბნელი ქუჩით მიიმართებოდა მისი სახლისაკენ, იგი ამ დროს დიდი მუყაითობით ფხეკდა გამხმარ ხბოს ტყავს და ასწორებდა უსწორ-მასწორო ადგილებს. თან აყოლებდა რაღაც გაურკვეველ ბგერას და ძნელი იყო განსაზღვრა რას ნიშნავდა დაახლოებით ასეთი „მელოდიური“: ა-ა-ა-ა-ა...

ეს გავდა ტირილს, მოთქმას, სიცილს, დაცინვას, მოგონებას, სინანულს, მთქნარებას, ნანინას და ვინ იცის კიდევ რას.

როდესაც საკმაოდ გაფხიკა, მაშინ აიღო ბატის ფრთისაგან გაკეთებული კალამი და ჩააწო ძველებურ მელანში. შემოხაზა ერთი მოზრდილი ოთხკუთხედი, რომელიც დაჰყო ოცდახუთ დამოუკიდებელ ოთხკუთხედად, შემდეგ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჯდა მაგიდასთან, დიდი სწავლულივით შუბლით დაეყრდნო მარჯვენა ხელს და შეუდგა ფიქრს, რომლის შედეგაც პატარა ოთხკუთხედებში ზედმიწევნითი სიზუსტით შემოხაზა სხვადასხვა ებრაული ასო. საერთო ნახაზმა ასეთი შემდეგი სახე:

შ	ა	ტ	ვ	რ
ა	რ	ი	პ	ვ
ტ	ი	რ	ი	..ტ
ვ	პ	ი	რ	ა
რ	ვ	ტ	ა	შ

ასოები ებრაული იყო, ხოლო მათგან შემდგარი სიტყვების ჯამისა და განაწილების სიმბოლიური მნიშვნელობა „იცოდა“ მხოლოდ მისმა ავტორმა, რომელმაც მუშაობის დასრულების შემდეგ, ნასიამოვნებმა მოიფხანა კისერი, ჩაჯდა დივანში და ოდნავ გასაგონარი ხმით თავისთავს უთხრა:

— კამიაყი [1]) მზადაა...

ეს ის დრო იყო, როდესაც ლიამ დაუძახა გარედან:

— რაბი, რაბი!

მელამედმა ფანჯარიდან თავი გადაჰყო:

— რომელი ხარ?

— მე ვარ ისხაკის ლია. თუ შეიძლება, ისხაკმა მოგახსენათ, ცოტა ხანს ჩვენსას გადმობრძანდეთ.

— როგორ არის? კიდევ უარესად გახდა? სწორედ ეხლა გავათავე კამიაყი და თან წამოვიღებ.

— წამოიღეთ, ბატონო. კიდევ სხვა საქმეც არის.

— სხვა საქმე რაღაა?

— წერილები მოვიდა ქალაქიდან.

— აბა კარგი. წადი და მალე მოვალ.

მელამედმა ფანჯარა მოხურა და შეუდგა ყალიონის გამოვსებას.

ქალაქი!

განა ეს პატარა ამბავი იყო მელამედისათვის?

და ყალიონის გამოვსებამდე მან ბევრი რამ მოიგონა და გაიფიქრა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ქალაქი მისთვის—ამიერიდან იყო—მთელი პრობლემა. და დასამტკიცებლად ერთხელ კიდევ გადახედა თავის წერილებს, რომლებსაც ის ამ ბოლო დროს იღებდა საკმაო რაოდენობით.

---

[1]) კამიაყ-ამულეტი, სათილისმო ავგაროზი.

„დიდი ხანია, ახალციხელების ვაყად-ჰაკეილა მას ეპატიჟებოდა ტფილისში—ვიღაც გარდაცვლილი მელამედის თანამდებობაზე. ელოდა უკეთესი ბინა, მეტი ჯამაგირი, უფრო მადლიერი და მრავალრიცხოვანი ჯამაათი.

„რამდენ კამიაყებს დაამზადებს ქალაქში! ვინ იცის და ვინ დასთვლის, როგორი დიდი შემოსავალი ექნება!

„აქ კი... ხალხი ყოველდღიურად კოტრდება, ღარიბდება. ბალშევიკების მთავრობა ღმერთს არ უცქერის კარგი თვალით და მიყრუებულ დაბაში ძნელია მთავრობას რამე შეასმინო რჯულის სასარგებლოდ. ბავშების სწავლებაც კი საშიში შეიქნა. ჩუმჩუმად ვასწავლი ერთეულებს. იქ კი... იქ ხალხია, იქ ვაყად-ჰაკეილაა, იქ ნასწავლი ხალხიც ლოცულობს, იქ—ალბად ბალშევიკებიც სხვანაირები არიან, იქ ყველაფერი შეიძლება...

„თანაც ის ურჯულო ნათანი მალე დაასრულებს სწავლას. ჩამოვა და სამაგიეროს გადამიხდის, შეუდგება ღმერთსა და რჯულის უარყოფას, ხალხის ამხედრებას, ჩემს წინააღმდეგ ზომების მიღებას.

„ჭკუით მელამედო! გეპატიჟებიან ტფილისში. მაზალი ჩაგივარდა ხელში, შენც ადექი და ნულარ დაამჟავებ.

„ეხლა კი წადი ისხაკ ჯანაშვილთან, წაუკითხე რა წერილები მიიღო, გაიგე რა ამბავია ქალაქში და მოიქეცი ისე, როგორც ღმერთმა შეგასმინოს“.

ყალიონს მოუკიდა და გააბოლა.

შემდეგ მივიდა კუთხეში, სადაც ეკიდა თუნუქიდან გაკეთებული პატარა სალარო, რომელსაც ეწერა დიდი და შავი ებრაული ასოებით:

„კუფათ რაბი მეირ ბაყალ ჰანეს“ [1])

ფრთხილად გადმოიღო, გახსნა ბოქლომი, ამოყარა ფულები, დაჭეცა მწყობრად, მეტისმეტი მზრუნველობით გადათვალა და ჯამი ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ოთხას ოთხმოცდა ათი მანეთი.

ფულები ისევ ჩაალაგა და კუფა თავის ადგილას ჩამოჰკიდა, რის შემდეგაც ერთი თუმანის საკითხი, რომელიც აკლდა ხუთას მანეთს, სავსებით მარტივად და ადვილად გადასწყვიტა:

— კამიაყი—ერთი თუმანი...

ამის შემდეგ კამიაყი გამოახვია გაზეთის ქაღალდში, ამოიდო იღლიაში, მიუახლოვდა მეზუზას[2]), დაადო მას თითები, შემდეგ აკოცა თავისივე თითებს, გამოიკეტა კარები და გაემართა დაბლისაკენ.

და მეზობლებმა, რომლებსაც კარგა ხანს ესმოდათ მისი უცნაური ღიღინი:—ა-ა-ა-ა-ა...—იცოდენ, რომ იგი ამჟამად მიდიოდა ავადმყოფი ისხაკ ჯანაშვილის წინაშე, რომ მალახჰამავეთ[3])-ისათვის გამოეგლიჯა უბედური მოხუცის სული.

---

[1]) კუფათ რაბი მეირ ბაყალ ჰანეს—„სასწაულთმომქმედი რაბი მეირის სალარო“.

[2]) მეზუზა—თხელ თუნუქში გამოკვეული ლოცვა, მიკრული მორწმუნე ებრაელთა კარებებზე.

[3]) მალახჰამავეთ—სიკვდილის ანგელოზი.

* * *

„ჩემო საყვარელო და ძვირფასო მშობლებო!

რომ იცოდეთ როგორ მომენატრა თქვენი თავის ნახვა. თანაც ამ ბოლო დროს დარდი მაწუხებს ხომ კარგადა ხართ, ხომ არავინ არის თქვენთაგანი ავად, ხომ არ გიჭირთ? ვისაც კი არ დავინახავ ჩვენებურ კაცს, ისე მიხარია, რომ მზადა ვარ, ვინც არ უნდა იყოს იგი, გადავკოცნო. ყველას ვეკითხები თქვენს ამბავს და ყველანი მიპასუხებენ: „მადლობა ღმერთს კარგად არიანო“.

ოღონდაც! მე თქვენი კარგად ყოფნა როცა მესმის, სიხარულით ვივსები და უფრო მეტი შრომითა და ენერგიით ვაგრძელებ ჩემს მეცადინეობას.

გიგზავნით ხუთ თუმანს. ნუ დამძრახავთ. მოწაფეებს ვამეცადინებ და ჩემი სახარჯოდან გადამრჩა. შემდეგში—ალბად მეტს გამოგიგზავნით. ჩემთვის კი არაფერზე არ შეწუხდეთ. ბედს არ ვემდური. ვცხოვრობ ისე, როგორც შეეფერება ღარიბ ებრაელ სტუდენტს.

ეხლა ჩემი ოცნება მხოლოდ ისაა, რომ როგორმე მოვახერხო თქვენი ქალაქში გადმოყვანა. თუმცა ძალიან მენანება ჩემი ბავშობის კერა, ძალიან მიყვარს ჩვენებური ბუნება, მაგრამ... როგორი დიდი განსხვავებაა ქალაქისა და ჩვენი დაბის შორის. აქ—სინათლეა, დიდი სინათლე, მანდ სიბნელეა, წყვდიადია. აქ არის ისრაელების ერთი ქუჩა, რომელსაც ეწოდება ფეთხაინი. მხოლოდ ეს ქუჩა—მაგონებს ჩვენს დაბას, ჩვეულებრივ ისრაელებს. მაგრამ როცა გაცდები ამ ქუჩას—წახვალ თეატრებში, სწავლულ ხალხთან, უნივერსიტეტში და გრძნობ მაშინ, თუ როგორი დიდი ყოფილა მსოფლიო. ჩვენს დაბაში კი სად წახვალ? განა შეიძლება აზროვნება წარიმართოს კოჭლი მელამედის იქით? რომ ვინმე მოინდომებდეს ჩემს მაგრად დასჯას—ყველაზე უფრო დიდ სასჯელს ჩავთლიდი მანდ დაბრუნებას.

აქ უკვე მყავს ამხანაგები, ნამდვილი მებრძოლნი, ფოლადის ჯგუფი „დავიდის ფარად“ წოდებული, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ბედი. ჩვენ მოწადინებული ვართ, ჩემო საყვარელო მშობლებო, აღმოვფხვრათ ყველგან სიბნელე და უმეცრება. მის ადგილას უნდა დაინთოს სწავლა განათლებისა და შეგნების დიდი ლამპარი. მაშინ ეშველება ჩვენს უბედურ ხალხს.

მალე ხანუქაა. [1]) მე ხანუქაში ვარ დაბადებული და ალბად მომიგონებთ. ჩემი ძვირფასი დედიკო—ლია, ალბად ჩვეულებრივად პატარა შკაფის თავზე ვაამწკრივებს ხანუქის სანთლებს...

ეჰ, ჩემო შეუდარებლებო მშობლებო, გახსოვთ როგორ მიყვარდა ეს სანთლები. ყოველთვის ვეხვეწებოდი მამას, რომ მე მომეკიდებინა ასანთი, რომლის შემდეგ მოწიწებით წარმოვსთქვამდი ბერახას და დავიწყებდი:

— ჰანეროთ ჰალალუ [2])...

განვლო ამ დრომ, განვლო დაუბრუნებლად. მე ეხლა უკვე სხვა აზრები მაქვს. შკაფის თავზე დანთებული სანთლები—არამც თუ ვერ შესძლებენ სიბნელესთან ბრძოლას, ისინი ვერ დააფრთხობენ კოჭლი მელამედის ყალიონის

---

[1]) ხანუქა—ებრაელთა დღესასწაული.

[2]) ჰანეროთ ჰალალუ...—ეს სანთლები...

ჩრდილსაც კი. დიახ! მე ისევ მიყვარს სანთლების ანთება, მაგრამ არა ასეთი პატარა სანთლებისა. მე მინდა დავანთო დიდი, დიდი, ძალიან დიდი ლამბარი, ხანძარი, კოცონი, რომელიც შეუბრალებლად გადასწვავს წარსულ საუკუნეთა წყეულ ნაშთებს და გამოგვიყვანს ახალ, ფართო შარა გზაზე.

ჩემო მამიკო და დედიკო! ამ ბრძოლების დროს მე მინდა, რომ თქვენ ჩემს გვერდით იყოთ, რომ თქვენც იგრძნოთ, როგორი მართალი ვარ.

მე ეხლა თვალწინ მიდგია ჩემი ბავშობა, როცა კოჭლმა მელამედმა თალმუდ-თორაში ჩემი ტვინი გადააქცია თავის სულელური აზრების სათარეშო მოედნად. ვინ იცის, ეხლაც კიდევ, პატარ-პატარა ბავშები, უმანკო და ნორჩი ყვავილივით გაუფურჩქვნელი ახალი თაობა—ისევ იტანჯება კოჭლი ჯალათის ხელში. მამიკო, შენ ხომ პატიოსანი ისრაელი ხარ. აუხსენი მეზობლებს, მშობლებს, რომ ხელი აიღონ ბავშების მიბარებაზე. გონების გახსნის მაგიერ—მათი ბავშები დაჩლუნგდებიან, დაბეჩავდებიან.

მე ქალაქში გამეხსნა თვალები და ვიცქირები შორს, ძალიან შორს. მინდა ჩავწვდე ღრმად მეცნიერებისა და ცხოვრების აზრს. მე ჯერ კიდევ სწავლა მესაჭიროება, მე ჯერ ბევრი რამე არ ვიცი. ყოველდღიურად ვეცნობი ახალ-ახალ აზრებს. ვინ იცის, რომელი გაიმარჯვებს. მაგრამ რომელმაც არ უნდა გაიმარჯოს, ერთი უდავოა: ძველი გზით სიარული აღარ გვარგებს. მორჩა. უნდა ჩავაბაროთ ისტორიას.

მამა! თუ ისევ აწუხებს ქარები, მაშინ უსათუოდ ექიმს დაუძახეთ. რეფუასა და კამიაყებს და სხვა ამგვარ სისულელეებს თავი დაანებეთ.

მე მუდამ თვალწინ მიდგიხართ და ყოველ წუთს ვფიქრობ თქვენზე.

თუ გინდათ, რომ კარგად ვიმუშაო და ვისწავლო, მაშინ ჩემო მამიკო, შენი ხელით დაწერილი ორი სიტყვა გამომიგზავნე, რომ თქვენ კარგადა ხართ, რასაც გისურვებთ მარად ჟამს და ამასთან ერთად გაკოცებთ ათასჯერ და დაუსრულებლად.

თქვენი მარად მოყვარული და ერთად ერთი შვილი ნათანი".

* * *

„მის მაღალ პატიოსნებას, ცნობილ ისრაელს, სახელგანთქმულს, ცხინვალელი ჯამაათის სიამაყეს, ალალმართალს და ჭეშმარიტს, ღვთის მოშიშეს, პატივცემულ ისხაკ ჯანაშვილს ასოც წლამდე სიცოცხლე და სიმდიდრე, ბედნიერება და ყოველი კეთილი, ამენ.

დროებამ და ფარნასის ძებნამ, თქვენი თავი ჩამოგვაშორა ცხინვალელების ობშჩეტვას, რომელიცა რომა დღითი დღე ძლიერდება ტფილისში.

ცხინვალელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არასოდეს არ დავიწყებიხართ და ყოველთვის გიხსენებენ სიამტკბილობითა და ნეტარებით.

ეხლა ძია ისხაკ, ნუ გაგიკვირდებათ, როცა წაიკითხავთ ამ ჩვენს წერილს. ბაყავონოთენუ ჰარაბიმ [1]) დროება გამოიცვალა და ჩვენი ქვეყანა თანდათან ემსგავსება სედომ-ყამორას. [2]) ჩვენი შვილები მიდიან უცხო გზით და ყოვე-

[1]) „ბაყავონოთენუ ჰარაბიმ"—ჩვენი მრავალი ცოდვებით.

[2]) სედომ-ყამორა—სოდომ-გომორი.

ლივე სისაძაგლეს ხელს ჰკიდებენ, რათა უფრო მეტი განრისხება გამოიწვიონ ისრაელის ღმერთისა.

ჩვენ კიდევ გვახსოვს ისხაკ ჯანაშვილის ღირსეული ქალიშვილი, — რომელსაც შეუძლია დააფასოს სახელი ისრაელის ღმერთისა და მის [illegible] გადაუხადოს სამაგიერო.

არ ვიქნებით კარგი მახარობლები, მაგრამ მაინც უნდა შეგატყობინოთ, რომ თქვენ უბედურზე-უბედური მამა ხართ. თქვენი შვილი ნათანი წავიდა უმოთ-ჰაყოლამ [1])ების გზით. ქალაქში ჩამოსვლისთანავე გაიპარსა წვერი და კიკინები, დაიწყო ტარეფის [2]) ჭამა, დაუამხანაგდა ქრისტიანებს, როსკიპ და გარყვნილ ქალებს, შეაგინა რჯულსა და ჩვენი სარწმუნოების წმინდათა წმინდა წესები ფეხქვეშ გასთელა. არ იკმარა ყოველივე ეს და მოინდომა ისრაელის ქალს გაუფუჭოს სახელი. ის ქალი, რომელსაც ჩვენი წერილის საგანი შეეხება— არის დანიშნული ისრაელის რჯულით და ჰყავს თავის საქმრო, მაგრამ თქვენი შვილი გადადგა შუაში როგორც სატანი [3]) და ქალს გასაქანს არ აძლევს.

ცხინვალელების ჯამაათი აღშფოთებულია, რომ მისი წიაღიდან გამოვიდა ასეთი ულირსი შვილი; ახალციხელები ნიშნს გვიგებენ: აი თქვენი ნასწავლიო!

ისრაელის ღმერთმა მიიღოს წყალობა თქვენზე და თქვენს ოჯახზე. ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთ. აწი თქვენზეა დამოკიდებული თუ რა ზომებს მიიღებთ ცოდვილიანი ნათან ჯანაშვილის მიმართ.

დრო აღარ იცდის! ვაი იმას ვინც დააგვიანებს გამოსწორებას, როცა მისი ჯერი საკუთარ კარებზე დაუკაკუნებს. ეს გამოცდაა—დიდი ბატონო! წინაშე! ნეტავი იმას, ვინც არ შერცხვება ამ დღეს.

გწერთ ცხინვალელების ვაყად-ჰაკეილას მონდობილობით მთავარი გაბაი ყეზრა შათაშვილი“.

* * *

ისხაკ ჯანაშვილის გაყვითლებულ და ფერმკრთალ სახეს დაეტყო ცვლილება: ლოყები გაუწითლდა და თვალები გაუნათდა მრისხანებით და უბედობით.

ლიას თავი ჩაეღო პირსაფარში, რომელიც ჩუმად, უხმოდ აივსო ზღვა ცრემლებით.

მელამედი დიდმნიშვნელოვანად აბოლებდა თავის ყალიონს და წერილების წაკითხვის შემდეგ, გამარჯვებული გმირივით იცქირებოდა გარშემო შთაბეჭდილებათა გასაზომად და ასაწონად. იგი გარეგნულად ოდნავადაც არ ჩანდა ელავდა და ავტორიტეტული სიბრალულის თვალით გადახედავდა ხან ერთს და ხან მეორეს.

როცა იგი კითხულობდა ნათანის წერილს, მშობლების ბედნიერებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადგილი მათთვის ბუნდოვანობით იყო მოცული. როცა მელამედი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ლაპარაკი იყო მის შესახებ, წაიკითხა მშრალად და ბოროტებით, რომ-

[1]) უმოთ ჰაყოლამ — უცხო ერის შვილი.
[2]) ტარეფა — არა ებრაული წესით დაკლული ხორცი.
[3]) სატან — სატანა.

ლის დროსაც, ლიამ ჩვეულებისამებრ სირცხვილით თავი ჩაიღო, ხოლო ისხაკ ჯანაშვილს მოაგონდა, რომ ნათანს ბავშობიდანვე არ უყვარდა თავისი კოჭლი მელამედი.

როცა მელამედმა წაუკითხათ მეორე წერილი, მაშინ როლებმა გამოაცხადა: მოხუცებს სიხარული გადაექცათ მწუხარებად, ბედნიერება—უბედურებად, ხოლო კოჭლი მელამედის სახეზე ზეიმობდა სიხარული და ბედნიერება. იგი კითხულობდა ხაზგასმით, გარკვევით, შესვენებით. ამ წაკითხვაში იყო გაუგებარი ანაზღაურება, შურისძიება.

და როდესაც მორჩა წაკითხვას, წერილები დაჰკეცა და მაგიდაზე დაალაგა. შემდეგ შეუდგა თავის ყალიონს.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც უფრო საზარელი იყო, ვიდრე ტექსტი.

ისხაკ ჯანაშვილის სახეზე მომხდარი ცვლილება ადასტურებდა იმ უძლიერეს სულიერ მღელვარებას, რომელსაც იგი განიცდიდა.

ლია და კოჭლი მელამედი, -- ორივე ელოდა, აი, აგერ ისხაკ ჯანაშვილი თავს ძალას დაატანს, ლოგინიდან წამოხტება და არაადამიანური ხმით დაიყვირებს, რომ იგი სწყევლის თავის შვილს, თავის ერთად ერთ ნათანს.

მაგრამ ისხაკ ჯანაშვილი ჯერ არ ჩქარობდა.

იყო პაუზა—მრისხანე, გაურკვეველი ამბების წინასწარმეტყველი, რაღაც უბედურების მომასწავებელი.

ლიას უნდოდა ეთქვა ისხაკისათვის, რომ არ აღელვებულიყო, რომ ეს მის ავადმყოფობას ავნებდა, მაგრამ ენა აღარ დაემორჩილა, პირი შეეკრა და სიტყვა ვერ წამოსცდა.

ხოლო მელამედი საოცარი სისწრაფით დასცურავდა მომავლის გეგმებში, სადაც იგი აპირობდა ერთსა და იმავე დროს, ორი კურდღლის დაჭერას:

„მე მიმიწვიეს ახალციხელებმა—ჰფიქრობდა იგი—მაგრამ ჩემი ტფილისში გადასვლის შემთხვევაში მე გამოვადგები ცხინვალელებსაც. მე უნდა ვეცადო დავიჭირო ახლო კავშირი ყეზრა შათაშვილთან, ხოლო ამისათვის საჭიროა ისხაკ ჯანაშვილმა დაუწეროს მას საპასუხო წერილი, რომელიც მე უნდა გამატანოს“.

მისი ფიქრების დენა შესწყვიტა ისხაკ ჯანაშვილმა, რომელმაც მძიმედ აიღო თავი ბალიშიდან, ოდნავ წამოჯდა, მიაშტერა თვალები მელამედის აუღელვებელ სახეს და მრისხანე ჩურჩულით და აუწერელი გულისტკივილით შესძახა:

-- სიცრუეა, სიცრუე! ჩემი ნათანი ასეთი არ არის.

მელამედმა ცოტახნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— ყეზრა შათაშვილი ცნობილი კაცია და ვაყად-ჰაკეილას უფროსი. ეტყობა, რომ იგი ძალიან ღვთის მოშიშე და პატიოსანი ისრაელია, თორემ შენ უაზროდ რისთვის გამოგიგზავნიდა წერილს. ვიმეორებ, იგი დიდი, დიდი კაცია.

— ვიცნობ, ვიცნობ. ყველას ვიცნობ, რა შვილებიც არიან. როცა წამოვედი ცხინვალიდან იმას ყველა ეძახდა ლაწირაკსა და სულელს. ბათუმ-სტამბოლის ვაჭრობამ ორი კაპიკი აშოვინა, ფულების პატრონი გახდა და ეხლა უკვე დიდი კაცია. ეეჰ, დროებას რა უთხრა...

— დაწყნარდი ისხაკ, წამოწექი.—უთხრა მელამედმა და როცა ისხაკი წამოწვა ისევ განაგრძო: — რაც შეეხება ნათანს, ეს, მისგან ბოსალოდნელი იყო.

— არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა... შესძახა ისხაკმა.

— შემცდარი ხარ, ისხაკ — არ ეშვებოდა მელამედი და მიუხედავად ლიას უხმო ვედრებისა, რომ ეხლა ისხაკისათვის თავი დაენებებია, იგი უმოწყალოდ განაგრძობდა: — ნათანს ბავშობაშივე ეტყობოდა, რომ იგი აფიკოროსი [1]) გაიზრდებოდა. მას შემდეგ რაც იგი გადაცდა ბარმიცვას [2]) და ქრისტიანების სკოლა იყნოსა, მას შემდეგ უკან უკან წავიდა მისი საქმე.

ლიას ჰქონდა უდიდესი სურვილი ეპასუხა რაღაც სამაგიერო, მწარე, მელამედის აზრების გამბათილებელი და ძირშივე უარმყოფელი, მაგრამ მოაგონდა, რომ იგი ქალი იყო, უბრალო ქალი, ისხაკ ჯანაშვილის ცოლი, ხოლო მელამედი კი — რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც თავკაცად ითვლებოდა და ამავე დროს იცოდა „ღმერთის სიტყვა-პასუხი" და თავისი სურვილი გულში ჩაიკლა, ხმის ამოუღებლად ჩაჩუმდა.

მელამედი კი ერთხელვე დასახულ მიზანს არ ჰლალატობდა და წყნარად, ჩუმად, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, დაუნდობლად ამძიმებდა ნათანისადმი წაყენებულ ბრალდების მომენტებს.

ისხაკი ბორგავდა, ჰლელავდა, დაავიწყდა თითქოს თავისი ავადმყოფობა, ჰგრძნობდა რომ ვერ გაუძლებდა მელამედის დასაბუთებულ აზრებს, ლია ისევ თავჩაღებული იცრემლებოდა, მელამედი კი ასრულებდა:

— დავანებოთ თავი მის ბავშობას, მის ხასიათს, წყეულ გიმნაზიას, დავანებოთ თავი ყეზრა შათაშვილსაც. ავიღოთ მარტო მისი წერილი, რომელიც მოგწერათ თქვენ. რა არის ეს წერილი? რას ნიშნავს ეს აზრები? ვის შეეძლო დაეწერა ასეთი რამ? მხოლოდ ისრაელის მტერს. ისხაკ! ისხაკ! შენ ეხლა ავადა ხარ და მე მინდა, რომ ადონაიმ მალე გამოგიგზავნოს რეფუა. თორემ სხვა დროს იცი რას ვიზამდი? შევკრებდი ჯამაათს, ავიღებდი დიდ შოფარს [3]) და შენს შვილს გამოუცხადებდი ხერემს [4]). იმის თავში შესულან გეინამის [5]) აზრები. ხანუქა აღარ სწამს, რეფუა და კამიაყს — უძახის სისულელეს, თავის რაბის, თავის მელამედს, რომლისგანაც ისწავლა ალეფ-ბეთი [6]) — უძახის კოჭლ ჯალათს და თალმუდ-თორას... ვაი თვალებს, უი ყურებს, ეს რას მოვესწარით— თალმუდ თორას სთელავს თავისი ბინძური ფეხით და იწერება, რომ იქ ბავშები დაჩლუნგდებიან, დაბეჩავდებიან. მე გეკითხები შენ, ისხაკ, რა არის ეს? რაღა საჭიროა შორს წასვლა? რაღა საჭიროა ყეზრა შათაშვილის წერილი, რომელიც უსათუოდ სიმართლეა? ყველაფერი ისედაც ნათელია· ნათანი საისრაელოს მტერია.

---

[1]) აფიკოროსი—ათეისტი, ეპიკურელი.

[2]) ბარმიცვა — ებრ. წესების მიხედვით სრულწლოვანი ე. ი. ცამეტი წლისა და ერთი დღისა.

[3]) შოფარი—რქა, რელიგიური საყვირი.

[4]) ხერემ—ანათემა. შეჩვენება.

[5]) გეინამ—ჯოჯოხეთი.

[6]) ალეფ-ბეთ—ალფაბეტი.

და სრულებით არ გაჰკვირებია მელამედს ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მისმა სიტყვამ. ვინაიდან ეს ასეც უნდა ყოფილიყო, და სხვანაირად არც შეეძლო წარმოედგინა. ჯერ დაიწყო ისხაკმა და შემდეგ მიჰყვა მას ლიაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაბი! გვიშველე რამე!

— რაბი! გვიშველე რამე!

და ვიდრე მელამედი ჰფიქრობდა საპასუხო ფრაზის შესახებ, ისხაკმა ერთი მაგრად ამოიხვნეშა და საშინელი, იმედ დაკარგული კილოთი დააყოლა:

— ვაიმე შვილო, ამოწყვეტილო...

მელამედმა პასუხის ნაცვლად გაშალა კამიაყი, დააკვირდა, შემდეგ ისევ დაახვია და შეჰკეცა, გაუხსნა პერანგის ღილი და მკერდზე დაადო:

— გედოს გულზე, ვიდრე ადონაი არ შემოგხედავს თავის წყალობის თვალით. ამ კამიაყს აქვს დიდი ძალა. შიგ გატარებულია რაბი ისრაელ ბაყალ-შემტობის [1]) დაფარული და ღრმა აზრები. და თუ შენი ავადმყოფობა გამოწვეულია ნათანის ცოდვებით, მაშინ დამჭირდება კიდევ ერთი სხვანაირი კამიაყის შედგენა... რაც შეეხება ნათანის საქციელს, ეხლა ვერაფერს გეტყვი, წავალ სახლში, ადონაი გონებას გამიხსნის, მოვიფიქრებ და შეგატყობინებ.

— რაბი! გადაგიხადოს ქვეყნის გამჩენმა — წაილუღლუღა ისხაკმა.

მაგრამ მელამედს ქვეყნის გაჩენისათვის აღარ მოუცდია:

როცა ბრუნდებოდა შინისაკენ, იმას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ რაბი მეირ ბაყალ ჰანესის კუფაში — ხუთას მანეთს აღარ დააკლდებოდა არც ერთი კაპეიკი.

* *
*

ხმა გავარდა რომ მელამედს მიუღია თვითონ ადმორის [2]) ხელით დაწერილი კოლ-კორე [3]), რომელსაც იგი წაუკითხავს სალოცავში მთელ ჯამაათს— სალამოს, ხანუქის სანთლების ანთების შემდეგ.

ჩვენი პატარა დაბისათვის ეს იყო ისეთი დიდი მოვლენა, რომლის მსგავსი ამბები მისთვის ხდებოდა საუკუნის მანძილზე—მხოლოდ ერთხელ.

ხანუქის უკანასკნელი მერვე დღე იყო.

აივსო სალოცავი ბავშებით, მოზრდილებით, მოხუცებით.

ყაზარათ ჰანაშიმ [4])-ში ქალები ჩხუბობდენ ადგილისათვის.

როდესაც მელამედმა გაამწკრივა და დაანთო სანთლები, წარმოსთქვა ამ შემთხვევაში მიღებული ჩვეულებრივი კურთხევა და წაიკითხა ტრადიციული „ჰანეროთ ჰალალუ“ — მაშინ იგი ავიდა თებაზე, გადახედა თავის ჯამაათს და ვიდრე ჯიბიდან ამოიღებდა სასურველ ქაღალდს, საჭიროდ დაინახა რამოდენიმე სიტყვით მოეგონებინა თანამორწმუნეთათვის ხანუქის მოკლე ისტორია და მისი მნიშვნელობა:

---

[1]) რაბი ისრაელ ბაყალ შემტობ— რაბი ისრაელ კარგი სახელის პატრონი. კაბალისტიკის ავტორი

[2]) ადმორ — ხასიდების სექტის მამამთავარის სახელწოდება.

[3]) კოლ—კორე—მოწოდება.

[4]) ყაზარათ ჰანაშიმ — ქალთა ქანდარა სალოცავში.

— ყოველ წლიურად, 25 ქისლევიდან[1]) 3 ტებეთამდე[2]), ე. ი. 8 დღის განმავლობაში ჩვენ ვანთებთ ხანუქის სანთლებს, მოსაგონებლად იმ დიდი ბრძოლებისა, რომლებიც გადახდა ჩვენს წინაპრებს — ხაშმონაელების[3]) მეთაურობით. ორიათას ოთხმოცდა ათი წლის წინედ[4]) ურჯულო ანტიოხოსმა[5]) შეურაცხყო ისრაელის მიკდაში[6]) და იერუშალაიმი[7]) გადააქცია იავანების[8]) სათარეშოდ. სამი წლის გმირული ბრძოლის შემდეგ, იეუდა ჰამაქაბიმ[9]), მათათიაუს შვილმა, თავისი ძმებით დაამარცხა მტერი, დაანგრია შეგინებული საკურთხეველი, აღმართა ახალი და შეუდგა მის საზეიმო გასუფთავებას. როცა ისევ აინთო წმინდა ცეცხლი საკურთხეველზე და აელვარდენ აგრეთვე ტაძრის შანდლებიც, მაშინ დაიწყო ზეიმი, რომელიც გაგრძელდა რვა დღე. რისთვის გაგრძელდა რვა დღე? როგორც თალმუდი ბრძანებს, როცა ისრაელები შევიდენ დაცალიერებულ ტაძარში, მათ იპოვეს დალუქული პატარა ჭურჭელი წმინდა ზეთით-გაკეთებული ზეთისხილიდან, რომელიც გადაემალათ ტაძრის წინანდელ მსახურებს. ზეთს ჰქონდა ისეთი ძალა, რომ თუმცა იგი ცოტა იყო, მაგრამ მაინც იკმარა რვა დღე, ვიდრე არ იქნა დამზადებული სხვა ზეთი. კიდევ ერთი ამბავი მოხდა წინედ: ჭის ფსკერზე ნაპოვნი იქნა ცეცხლი, რომელიც გადაემალათ შელომო ჰამელეხის[10]) მსახურებს მეორე მიკდაშის დანგრევამდე. ეს სასწაულიც მოხდა 25 ქისლევს და ამიტომაც იეუდა ჰამაქაბიმ აირჩია ეს დღე მიკდაშის ხელმეორედ დასახასებლად. ყოველ წლიურად ჩვენ ვდგავართ ამ სანთლების წინაშე და ვლოცულობთ, თითქოს ეს ამბავი მომხდარიყოს გუშინ, გავიდა კი ოცდაერთი საუკუნე. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს იმის, რომ მტერი ვერასოდეს ვერ გაიხარებს ისრაელის ერზე თუ თვითონ ისრაელმა არ დაჰლუპა საისრაელო საქმე.

მელამედმა ოდნავ შეისვენა, ხალათის კალთით ოფლი გადაიწმინდა, ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, დაიდო წინ, ამაყად გადიხედა თავის გარშემო და განაგრძო:

— აი რას იწერება ლიბავიჩის ადმორი, უდიდესი ბრძენი ჩვენი დროისა, روომელიც ზის შორს—მაგილევის გუბერნიაში, მაგრამ მაინც არ ავიწყდება თავისი თანამორჯულენი საქართველოში—და ყველაზე უფრო მიყრუებული და გადაკარგული ჩვენი დაბა:

---

[1]) ქისლევ — ებრ. თვე, დაახლოებით უდრის სექტემბერს ან ოქტომბერს.

[2]) ტებეთ — ებრ. თვე, დაახლოებით უდრის ოქტომბერს ან ნოემბერს.

[3]) ხაშმონაელები — იგივე მაქაბელები.

[4]) ქრ. დაბადებამდე დაახლოებით 165 წლის წინედ.

[5]) იგულისხმება ანტიოხ ეპიფანი.

[6]) მიკდაშ — ტაძარი.

[7]) იერუშალაიმ — იერუსალიმი.

[8]) იავან — ბერძნები.

[9]) მაქაბელთა ბელადი.

[10]) შელომო ჰამელეხ-სოლომონ მეფე.

„ღმერთის შემწეობით.

ჩვენს ძმებს, აბრაამის ღმერთის შვილებს, საქართველოს ებრაელებს.

გმფარველობდეთ ღმერთი. მშვიდობა თქვენ, თორის მოყვარულნო!

იწყება დღესასწაული ხანუქისა, რომელსაც ზეიმობენ ისრაელის ყველა შვილები, ყველგან, თავიანთ სამყოფელ ადგილებზე იმ სასწაულის აღსანიშნავად, რომელიც მოიმოქმედა უფალმა ღმერთმა თავისი ხალხისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ იავანების შესვლის დროს ტაძარში, მათ წაბილწეს მთელი ზეთი და ამის გამო ველარ იქნა მონახული ზეთი მენორისათვის,[1]) ვიდრე არ აღმოაჩინეს ერთი პატარა ჭურჭელი ზეთით, რომელიც იყო დალუქული მღვდელმთავარის ბეჭედით. მასში იყო ზეთი მხოლოდ ერთი ღამის სამყოფი. და მოხდა სასწაული და ზეთმა იკმარა რვა დღეს. ამის აღსანიშნავად დამყარებულია ხანუქის რვა დღის ზეიმი.

ძმანნო ჩვენნო, შვილებო აბრაამისა, ისხაკისა და ისრაელისა. ჩვენი წმინდა თორა არის სწორედ ის მნათობელი, რომელიც უნათებს საერთოდ მთელ მსოფლიოს და კერძოდ ჩვენს ძმებს, ისრაელის შვილებს. ეს მნათობი გვინათებდა ჩვენ ჩვენი მწარე განდევნის ათასეული წლების მთელ მანძილზე. და რომ არ ყოფილიყო სინათლე ამ წმინდა მნათობისა, რომელიც განუწყვეტლივ იყო ჩვენთან, მაშინ ვინ იცის როგორი იქნებოდა ჩვენი ხალხის დასასრული? ვინ იცის, შესძლებდენ თუ არა ჩვენი წინაპრები გაეძლოთ მწარე განდევნის აუარებელი, საშინელი ტანჯვა-წამებისათვის, როცა ყოველ საუკუნეში ჰსურდათ ჩვენი მოსპობა? მხოლოდ წმინდა თორა გვეხმარებოდა ჩვენ დაგვეღვარა ჩვენი სისხლი და მტკიცედ ვმდგარიყავით ჩვენს სადარაჯოზე, მოგვეთმინა და გადაგვეტანა თავს განცდილი და გადახდილი ამბები და შეექმნა ჩვენგან ერთი ერი მთელ დედამიწაზე.

ბავშები, რომლებიც ელტვიან თორას—ესენი არიან ის პატარა ჭურჭელი ზეთით, ის მნათობნი, რომლებიც უნათებენ მთელ ქვეყანას, არიან ის ბოძები, რომლებზედაც დაყრდნობილია მთელი ქვეყანა, როგორც ნათქვამია თქმულებაში: „ქვეყანა არსებობს მხოლოდ ბავშების წყალობით, რომლებიც ელტვიან თორას“ (იხ. გემარა „შაბათი“), რადგან ბავშების პირველი ღიღინი დამსგავსებულია თორას.

ეხლა ჩვენს მძიმე და საძნელო დროში, ჩვენი ცოდვების გამო, წაბილწულია მთლიანად ზეთი—და მნათობებიც ჩაჰქრენ. წყვდიადმა მოიცვა დედამიწა. ბნელმა ღრუბლებმა დაჰფარეს ჰორიზონტი. მძიმე ღრუბლებმა დაჰფარეს ჩვენი ხალხის ცა. აღარ არის იეშიბები,[2]) აღარ არის თალმუდ თორები[3]), აღარ არის ხედერები[4]). წმინდა თორა მიგდებულია კუთხეში და მას არავინ ეძებს, არავინ კითხულობს.

---

[1]) მენორა—შვიდსანთლიანი შანდალი.

[2]) იეშიბა—უმაღლესი რელიგ. სასწავლებელი.

[3]) თალმუდ-თორა—საშუალო რელიგ. სასწავლებელი.

[4]) ხედერ—პირველდაწყებითი რელიგიური სასწავლებელი.

ნამდვილი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა უნდა ვეძებოთ ჩვენს სისუსტეში, ჩვენს უმიზეზო სიმხდალესა და კანკალში, რომელიც წააგავს შემოდგომის ფოთოლს. წმინდა თორა ჩაცმულია შავში, მოხვდა ჩიხში. მისი შვილები განდევნილნი არიან და დატყვევებულნი.

ამიტომაც, წმინდა თორის გულისთვის, ნულარ გავჩუმდებით და ნულარ დავკეჯავთ პირს, ნულარ ვიქნებით ყრუები. ამით მოგმართავთ თქვენ აცნობოთ ყველა სალოცავებში და ბეთ-ჰამიდრაშებში[1]), რათა ჩვენი სიტყვა იქნეს გაგონილი ყველას მიერ. დეე ყველამ იცოდეს და ახსოვდეთ, რომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი შიშს, რომ კანონით ყოველ მამას, რომელსაც ჰყავს შვილები, რომლებმაც მიაღწიეს სასკოლო ჰასაკს, აქვს უფლება მიიწვიოს თავის შვილებისათვის მელამედი, რომელიც ასწავლის მათ თორას. რასაკვირველია არის ცოტაოდენი შეზღუდვა, როგორ და რამდენ ბავშვს შეუძლიათ ერთად სწავლა და სავალდებულოა, რომ სწავლა სწარმოებდეს კოლექტიურად.

ძვირფასნო ძმანნო ჩნენნო, ისრაელის რჯულისათვის თავდადებულნო და თორის მოყვარულნო, ისწრაფეთ თქვენი ბავშვების—ამ წმინდა მნათობების დასაცავად,—რათა ისინი არ ჩაჰქრენ. გაუფრთხილდით ჩვენს „წმინდა თორას, რათა იგი არ იქნეს დავიწყებული, შეკავშირდით, მოუარეთ თქვეს ბალღებს, რათა ისინი არ დაიხოცონ, ღმერთმა დაიფაროს, შიმშილისაგან. ხოლო ეს შიმშილი არის არა სხვა რამ, არამედ შიმშილი წმინდა აღთქმისათვის. „დადგებიან დღეები—ამბობს უფალი ღმერთი—და წარმოვგზავნი ქვეყნად შიმშილს, არა შიმშილს პურისას, არა წყურვილს წყლისას, არამედ შიმშილს ღმერთის სიტყვისას“.

მაშ მოუარეთ ამ წმინდა ჭურჭელს—უფალი ღმერთის ბეჭდით აღნიშნულს—შეგინებისაგან, შეიბრალეთ თქვენი პატარა ბავშვების სული და წარგზავნეთ ისინი ხედერებში—მცოდნე და ღვთისმოშიშე მელამედებთან. ეცადეთ აღზარდოთ ისინი თორისა და იუდეელობის გზით. გაამხნევეთ ერთი ერთმანეთი, გამაგრდით, გასწიეთ აგიტაცია, გამოჰყავით განსაკუთრებული საათები, რათა საჯაროდ შეისწავლოთ სიტყვა ღმერთისა, ყოველმა კაცმა თავთავის ძალისა და დროის შესაძლებლობის მიხედვით.

გახსოვდეთ, რომ ის თორა, რომელიც მფარველობდა ისრაელებს საუკუნეების მანძილზე, იმყოფება საშიშროებაში და თქვენი ვალია მისი გადარჩენა. ვაიმედებ ჩემს თავს, რომ აღნიშნული ჩემი სიტყვები იპოვიან გამოძახილს ჩვენი მოძმე ისრაელების შორის და მთელი გულით და სულით გააცოცხლებენ და მაღლა ასწევენ თორის მნიშვნელობას. დეე დაგეხმაროთ თქვენ ღმერთი და დაგლოცოთ თქვენ მრავალი წლებით, პატივისცემითა და სიმდიდრით. და ყველა ჩვენ ერთად შევიარაღდეთ და დავდგეთ ჩვენი ძმების რჯულისა და ფეხქვეშ გათელილი თორის დასახმარებლად. და გვმფარველობდეს ჩვენ ღმერთი.

და ის, ვინც ახდენდა სასწაულებს ჩვენი წინაპრების დროს, ის გადაგვარჩენს ჩვენ უახლოეს მომავალში და შეგვკრეფს ჩვენ—დედამიწის ყველა კუთხეებში დაფანტულებს—ჩვენი მხსნელის მოსვლისთანავე. და იყოს სიტყვა

[1]) ბეთ-ჰამიდრაშ-თორის შესასწავლი სახლი.

ღვთისა თქვენთან, და დალოცოს ნაყოფი თქვენი ხელებისა და სამაგიეროდ მოგცეთ თქვენ ასკეცად ამ უდიდეს ღვთის სასარგებლო საქმისათვის, რომელიც არის სიცოცხლის სათავე, იმათთვის ვინც ეყრდნობა მასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი წლები, სიმდიდრე და პატივისცემა იყონ თქვენი თანამგზავრნი.

ჩვენი ბრძენი ცადიკის[1]) დავალებით, იყოს კურთხეული მისი სახელი.

25 ქისლევი, ხანუქის პირველი დღე. 1922 წელი".

მელამედმა ვერ გაარჩია შნეერსონის ხელის მოწერა, რის გამოც ავტორის გვარი დარჩა ამ დაბაში სამუდამოდ წარმოუთქმელი.

მაგრამ მიზანი გვარის წარმოუთქმელადაც იყო მიღწეული: შეიქნა „წმინდა" ჩურჩული, რომლის საგანსაც შეადგენდა ადმორის „ღრმა" აზრების ანალიზი და კომენტარიები.

— ბრმები ვიყავით ხალხო, აქაური მთავრობა რო თავზე დავიჯინეთ და ყველაფერს უჯეროდით—წამოიძახა ვილამაც.

— მართალია, ბრმები ვიყავით—დაემოწმა მეზობელი და თან დაუმატა: ხვალიდან ჩემს შვილებს ისევ ვაგზავნი მელამედთან.

— მეც!

— მეც!

— მეც!

და ეს „მეც" თანდათან მრავლდებოდა, რის გამო მელამედს სახე უბრწყინავდა.

რომელიღაც საშუალო ხნის კაცმა, რომელსაც არაერთხელ უმგზავრია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ავტორიტეტულად განაცხადა:

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ ბატონმა ადმორმა, დაილოცა მისი სახელი, ინახულა ლენინი და აუხსნა მას, თუ როგორ ესაჭიროება ჩვენ ხალხს თორა. ლენინიც შეჰპირებია, რომ აწი თქვენ თორას კაცი ხელს ვერ ახლებსო, რამდენიც გინდათ ისწავლეთო.

ხანუქა და ადმორის კოლკორე გახდენ იმის საბაბი, რომ მელამედის ხელახლა გახსნილ ხედერში—უკვე ითვლებოდა ორმოცდაათზე მეტი თალმიდი.

მორწმუნენი ბრუნდებოდენ სალოცავიდან და ერთმანეთს ეუბნებოდენ:

— ძალიან გაბედული კაცი ბრძანებულა ჩვენი ადმორი!

— რაც ქვეყანაზე მთავრობაა—თურმე ყველას იცნობს.

— და ამავე დროს—მისთვის არ ყოფილა რაიმე დაფარული.

— ნეტავი მეღირსებოდეს ჩემს სიცოცხლეში იმის ნახვა!

— ეჰ, მე და შენ ვერ მოვესწრებით მაგას.

მხოლოდ ერთი კაცი იდგა განზე და არ იღებდა მონაწილეობას საერთო ლაპარაკში. ბრუნდებოდა ისიც, მაგრამ ნელა, მძიმედ. ამძიმებდა საკუთარი ტანი, ამძიმებდა ფეხები, ამძიმებდა ფიქრები. და მთავარი იყო:

„რატომ ღმერთის მეტს არაფერს ასწავლიან ამ ხედერებში? არ შეიძლებოდა, რომ იქ ღარიბი ისრაელებისათვის ხელობაც ესწავლებინათ. ეჰ, ვინ

[1]) ცადიკ—ჰეშმარიტი. იგულისხმება—ადმორი.

იცის, ვინ იცის, ვინ იცის... ჩემი ნათანი არც ისე შემცდარი იყოს... მელამედზე რაღა მეთქმის ცუდი, როცა თვითონ ადმორი, დაილოცა მისი სახელი, ყოფილა მელამედის აზრისა... ვინ გაიგებს ამ ქვეყნის საქმეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

და განმეორდა ნაცნობი სურათი, რომლის მოწმე უკვე იყო ბეთ-ჰამიდრაშის კედლები ამ რამოდენიმე წლების წინედ:

დიდ და ფართო, მტვერიან ოთახში გაამწკრივეს კედლების გაყოლებით გრძელი სკამები. ზედ დასხეს ორმოცდაათი ბავში, სხვა და სხვა ჰასაკის, სხვა და სხვა ხასიათის, ქუდებ ჩამოფხატული გრძელი კიკინებით, შეშინებული თვალებით და გაურკვეველი მომავალით.

მათ ახალგაზდა სულებს თავზე ადგათ მალახ-ჰამავეთ [1])-ივით კოჭლი მელამედი თავისი ყალიონით და ხელში გრძელი წნელით, რომელიც დამზადებული იყო ურჩებისა, უნიჭოებისა და ზარმაცებისათვის.

სახლიდან თან მოიტანა ხუთი სახელმძღვანელო: „კერო მიკრა"—ე. ი. ალფაბეტი, „საფა-ხაია", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ცოცხალ ენას" და წარმოადგენს ქრესტომატიას ალფაბეტის შესწავლის შემდეგ, „ხუმაში"—ბიბლიის პირველი წიგნი, რომელსაც უნდა ეკისრა ისტორიის მაგიერობა, „მიშნა"—სადაც უკვე თალმიდები „ეზიარებოდენ" ებრაული ღვთიმეტყველების უდიდეს წარმომადგენლების აზრებს და „გემარა"—იგივე თალმუდი—როგორც „ცოდნის უმაღლესი ეტაპი", მიშნას ვრცელი კომენტარიებით და ბუნდოვანი აზრების „ახსნა განმარტებით".

მელამედს არ დასჭირებია დიდი ხანი თავისი თალმიდების დანაწილებისათვის: ამ შემთხვევაში მისი საყვარელი მეთოდი იყო—ტანის ზომა. სიმაღლის მიხედვით შეარჩია ხუთი ჯგუფი, დაიწყო პირველიდან და შემოიარა ყველა ჯგუფები, მისცა ყველას გაკვეთილები, რის შემდეგაც გასცა განკარგულება:

— დაიწყეთ გაზეპირება!

და ორმოცდაათმა ბავშმა ერთსა და იმავე დროს, ერთ ოთახში, პატარა თავების ქნევით და ტანის რხევით, მელამედის მიერ გადაცემული სპეციფიური მოტივით—დაიწყეს:

— ალეთ, ბეთ, გიმელ...

— სუს—ცხენი, ქელებ—ძაღლი, ხაზირ—ღორი...

— ბერეშით ბარა ელოჰიმ ეთ ჰაშამაიმ ვეეთ ჰაარეც—პირველად გააჩინა ღმერთმა ცა და ქვეყანა...

— ორს უჭირავს ტალეთი [2]), ერთი იძახის—მე ვიპოვეო, მეორეც იძახის—მე ვიპოვეო...

— კვერცხი რომელიც გაჩნდა უქმე დღეს—ბეთშამაი ამბობს, რომ იქმებაო, ბეთილელი კი ამბობს არ იქმებაო. საკითხი იმაშია, რომ ბეთშამაი ყოველთვის ამძიმებდა, ბეთილელი კი ამჩატებდა. მაშ რა მოხდა ეხლა? და ამბობს რაში [3])...

---

[1]) მალახ-ჰამავეთ—სიკვდილის ანგელოზი.

[2]) ტალეთ-წამოსასხამი.

[3]) რაში—მიშნისა და თალმუდის კომენტატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყოველივე ამას თავს დასტრიალებდა წნელით კოჭლი მელამედის ღიღინი:

— ა-ა-ა-ა-ა...

— თავები კარგად გაანძრიეთ...

— ცოცხლად, თქვე ძაღლის წიწილებო...

— და ამბობს რა-ა-ა-ა-ა-ში...

— ა-ა-ა-ა-ა...

მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა.

მელამედი თავისი თალმიდებით სახტად დარჩენ, როდესაც კარები გაიღო და ოთახში მოულოდნელად შემოვიდა ორი მაღალი კაცი, ხელში პორტფელებით და ცნობისმოყვარე სახეებით.

როდესაც ახლად შემოსულებმა შეატყეს მელამედს დაბნეულობა, ერთმა მათგანმა ზრდილობიანად ბოდიში მოიხადა და სთხოვა:

— თუ შეიძლება, განაგრძეთ. ჩვენ ძალიან გვაინტერესებს ჩვენი თვალით ვნახოთ, თუ როგორ სწავლობენ ებრაელის ბავშვები.

მელამედმა უნდობი თვალით გადახედა ახლად შემოსულებს, მაგრამ მაინც, რო არ შეემჩნიათ მისი განწყობილება, ისევ გასცა განკარგულება, რომ გაეგრძელებინათ.

უცნობები ყურადღებით უსმენდენ ბავშვებს, ათვალიერებდენ სახელმძღვანელოებს, ყურს უგდებდენ ტექსტს, რის შემდეგაც ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს:

— საკითხი გამორკვეულია.

მელამედს გადაჰკრა ცივმა ოფლმა, მაგრამ მაინც გაბედულად მიუახლოვდა და თითქოს არაფერი გაეგონოს, შეეკითხა:

— რამე გნებავდათ?

— დიახ. თქვენ მოგიწყვიათ არალეგალური ხედერი, რის გამოც თქვენ არსებული საბჭოთა კანონების მიხედვით, ღირსი ხართ პასუხისგებაში მიცემისა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

ჩვენ გახლავართ მაზრის განათლების განყოფილების წარმომადგენლები.— და ამ სიტყვებთან ერთად ერთმა მათგანმა გახსნა პორტფელი, საიდანაც ამოიღო სუფთა ქაღალდი და ქიმიური ფანქარი და შეუდგა სათანადო აქტის შედგენას.

— თქვენ არა გაქვთ ნება ჩვენი რჯულის შეურაცხყოფისა—დაიწყო თავდაცვა მელამედმა—ეხლა რჯულის თავისუფლებაა.

— ჩვენ არც ვაპირობთ ვისიმე რჯულის შეურაცხყოფას, მაგრამ არც არავის მივცემთ ნებას ფარული ხედერების მოსაწყობად.

— ეს ფარული არაა. ეს აშკარაა. თქვენ არ გცოდნიათ უკანასკნელი კანონები. თვითონ ლენინმა მისცა ჩვენ ხალხს ამის ნება.—არ ეშვებოდა მელამედი.

ლენინის დამოწმებაზე ინსტრუქტორებმა გაიცინეს.

— რას იცინით, არ გჯერათ? არ გჯერათ?—და მელამედმა ამოიღო ადმორის კოლ-კორე—აი საბუთი, ამაში სწერია ყველაფერი.

— თქვენი საბუთი თქვენთან იყოს. ხოლო ეხლა კი მოგვიწერეთ ხელი ამ ქაღალდზე, რომლის ძალით თქვენ გეცხადებათ, რომ ამ წუთიდან ხედერი და-

კეტილია და თქვენ მიერ მისი განმეორებითი აღდგენის ცდის შემთხვევაში— თქვენ მიცემული იქნებით პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

— მოვაწერ, მოვაწერ, მაგრამ ეს სწორი არაა. თქვენ თვითონ არღვევთ კანონებს. მე ამ საქმეს არ დავთმობ, მე წავალ ქალაქში, მე მოვნახავ მთავარ მთავრობას, მე ვიცი ვისთანაც წავალ, მე...

და ბურტყუნით და წვერების ქნევით მოაწერა ხელი გაწოდებულ ქაღალდზე.

— ეხლა დაითხოვეთ ბავშები...—მიმართეს მელამედს.

და გახარებული ბავშები სასწრაფოდ გამოვარდენ ჟრიამულით, როგორც ჩიტები გალიიდან და ებრაელთა ქუჩას ხმაურითა და ყვირილით მოჰფინეს დაბის უკანასკნელი „სენსაცია“:

— ხე-დე-რი დაჰ-კე-ტეს... ხე-დე-რი დაჰკეტეს... დაჰ-კე-ტეს...

* * *

მელამედმა მიიღო მრავალწამებულის პოზა და ყარბითის ლოცვის დასრულების შემდეგ, თებიდან აცნობა თანამოძმეთ, თუ როგორ დაესხენ თავს მოულოდნელად ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, როგორ აგინეს ისრაელის რჯული და ღმერთი, როგორ განდევნეს ბავშები და როგორ შეაწყვეტინეს მათ თორის ჭიკჭიკი.

აღელდა მორწმუნეთა მასა და გაისმა:

— ცენტრი შორსაა და ამიტომაც გვძალავენ.

— ხალხად არ გვაგდებენ.

— თავიანთ სკოლებს რატომ არ ჰხურავენ?

— ესაა რჯულის თავისუფლება?

— ამაზე ამბობდენ: ბალშევიკები ებრაელებს არა სდევნიანო?

— თქვენ ეხლა ისა სთქვით: როგორ მოვიქცეთ?

— როგორ უნდა მოვიქცეთ და სწავლა უნდა გავაგრძელოთ.

— ბეთჰამიდრაში თუ დაგვიხურეს, სახლებსაც ხომ ვერ დაგვიხურავენ. შეგროვდეს ხუთხუთი თალმიდი თითო სახლში და მელამედმა რიგრიგობით ასწავლოს ხოლმე.

— იქაც რომ მიაგნონ?

— ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა ჩვენი კაცი გავაგზავნოთ ქალაქში და თუ გაძნელდა ადმორსაც უნდა შევატყობინოთ.

— გავაგზავნოთ, გამაგზავნოთ.

— ვინ? ვინ?

— ვინ და... მელამედი. ამას რაღა კითხვა უნდა.

უმთვარო ღამეში, მორწმუნენი ბრუნდებოდენ თავთავიანთ სახლებში და თავის ჩვეულების მიუხედავად, ამჟამად გაჩუმებულიყვენ და ქუჩაში არაფერს ლაპარაკობდენ.

ეს იყო—სიფრთხილე ყოველ შემთხვევისათვის.

კოჭლი მელამედი მისდევდა მორწმუნეთა მასას კუდში და რომ არ ყოფილიყო ბნელი ღამე, ყოველი გამვლელი წაიკითხავდა მის სახეზე ორმაგ აღტაცებას.

მიდიოდა და გეგმას გეგმაზე აცხობდა:

„ქალაქში—დიდი გავლენიანი ხალხია. იმათ კანონები კარგად იციან ისინი დამეხმარებიან, რომ აღვადგინო ისევ ხედერი“.

„თუ ეს საქმე არ გამოეწყო—მაშინ აქ მაინც აღარ მექნება დასადგომი პირი, ისინი ამდენი ხანია მეხვეწებიან, მეც ავდგები და ბარემ გავუთავებ საქმეს“.

„საჭიროა ყეზრა შათაშვილს წაუღო ნათანის მამის წერილი და ამგვარად, თუ ვინიცობაა ვერ შეუთანხმდი ახალციხელებს, მაშინ ცხინვალელებთანაც მექნება საქმე“.

ვერც კი გაიგო, თუ როგორ წამოეწია ნაავადმყოფარი ისხაკ ჯანაშვილი:

— რაბი!

— ისხაკ შენა? სიბნელეა და ვერ გავარჩიე.

— ჰო, მე ვარ.

და ცოტა პაუზის შემდეგ ისევ დაუმატა:

— აბა მალე წაბძანდები, არა?

— რაღა დასაგვიანებელია. ხვალ არა, მაგრამ ზეგ დილით მაინც, ღმერთის შემწეობით გაუდგები გზას.

— ღმერთი შეგეწიოს...

— ამენ... გინდოდა რამე, ისხაკ?

— როგორ არა. შესახვეწებელი მაქვს. აბა შენ იცი. ისრაელის მტერს, მე რო ეხლა გაჭირვებაში ვარ, ფული აღარა მაქვს, თორემ მე თვითონ წამოვიდოდი ქალაქში. მაგრამ რახან შენ მიბრძანდები, ისე ჩამითვლია, თითქოს მე თვითონ ვყოფილიყვე.

— რა ბრძანებაა. რაც გინდა დამავალე.

— ჰო და, ჩემო რაბი, ჩემი ნათანის თავი უნდა ჩაგაბარო. ინახულე, აუხსენი, დაარიგე ჭკუა, რას ეჩხუბის მთელ ქვეყანას, რაზე გვიმოკლებს მოხუც მშობლებს სიცოცხლეს. გვეყოს ჩვენი გაჭირვება, გვეყოს...

და მელამედმა ვერც კი იგრძნო, რომ ისხაკ ჯანაშვილის ლაპარაკი არეული იყო ცრემლებში, რომლებიც ღვარივით სდიოდა სახეზე.

— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი. მამობას გაუწევ, ვაპატივებ თავის ცოდვებს, მაგრამ ხომ იცი ნათანის ხასიათი, ძალიან ამაყი ახალგაზდაა. თუ შენი წერილი არ მექნა, მაშინ მასთან მისვლაც გამიჭირდება.

— წერილს დაუწერ, როგორ არა. ხოლო, რას გეხვეწო რაბი, ჩემს სიღარიბეზე და ავადმყოფობაზე ნურაფერს ეტყვი. ნუ მოუკლავ გულს. უთხარი, მადლობა ღმერთს კარგად არიან თქო. ხოლო შენი ჯავრი აქვთ—ასეთი წერილები რომ მოდისთქო. მერე კიდევ გაიგე ვინ ქალს გადაკიდებია, რა ქალია და ნამდვილი ამბავი ჩამომიტანე.

— მაგას ყველაფერს გავაკეთებ. მაგრამ ამავე დროს შენი ვალდებულებაა ყეზრა შათაშვილსაც უპასუხო.

— აბა რა მივწერო, რაბი? რა ჩაუწერო მე უბედურმა?

— ჩაუწერე, რომ შენ როგორც მშობელი მიიღებ ყოველგვარ ზომებს, როგორიც დამოკიდებულია შენზე, რომ ურჩი შვილი ააცდინო მცდარ გზას, რომ თუ რამე საქმე დასჭირდეს ამის გარშემო დამავალოს მე და ასე შემდეგ.

— ბატონი ბრძანდები, მაგასაც დაუწერ.

— მაშ ხვალ წერილებს გაამზადებ?

— დიახ. ერთ წერილს კიდევ ჩემს მეგობარ კაცთან, დანიელ თაფლიაშვილთან გაგატან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა რამე გინდა კიდევ?

— ჰო, როგორ შეგბედო, მაგრამ მაინც მინდა გთხოვო. თანაც ჯერ ფული არა მაქვს და ხვალ თუ სადმე ვიშოვე ლესხად, ერთი ორი გირვანქა ყველი მინდა გაგატანო. გული მტკივა, ვაი გაჭირვებას, მთელი წელიწადია კაპიკის არაფერი გამიგზავნია მისათვის, იმას მოუკვდეს მამა.

— კარგი. თუ გამატან—წავიღებ. თუმცა ის ღირსი არაა, რომ მელამედი ემსახურებოდეს იმისთანა ულირსო თალმიდს. მაგრამ შენი ხათრისათვის...

— გმადლობთ, რაბი. ადონაი გადაგიხდის პატივისცემას.

ისინი უკვე მიუახლოვდენ ისხაკ ჯანაშვილის ბინას.

ფანჯარასთან იდგა ლია, რომელსაც შემოესმა მათი ლაპარაკი.

მოაგონდა ნათანი და ღრმად ამოიოხრა.

2.

მაგრ ათანელიშვილი კარგად ჰხედავდა, რომ დანიელ თაფლიაშვილი არ იყო მარტო. რევოლიუციას მოუმზადებელი შეხვდა დიდი მასა, რომელიც ძირითადში ატარებდა წვრილ მოვაჭრის სახელს და საკუთარი ზურგით ათრევდა ძველი ქვეყნის უსამართლობას. მსხვილი ვაჭრები, მაღაზიების, სახლების და დიდძალი მანუფაქტურის და სხვადასხვა საქონლის მფლობელნი—ესენი იყვნენ ერთეულები, რომელთაც ეჭირათ დიდი უმრავლესობის ბედი—თავიანთ შემოსავალ-გასავლის დავთარში. და ტყუილად კი არ უწოდებდენ ამ უმრავლესობას „მონისიავეებს“. ამ სახელწოდებაში მოჩანდა აშკარად ის ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა მათ შორის და თუ დღემდე არ ხდებოდა მოსალოდნელი დიფერენციაცია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საუკუნეებმა და ძველი ქვეყნის წარმომადგენლებმა ათას თაფლიაშვილებს ყურები გამოუჭექეს იმით, რომ ქვეყნად არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა: ებრაელები და არა ებრაელები. რაც შეეხება ებრაელებს, არ არსებობს არავითარი დაყოფა, ვინაიდან ნათქვამია: „ქოლ ისრაელ ხაბერიმ“ [1]) და ყოველ შემთხვევისათვის, თუ ვისმე მოაგონდებოდა, რომ ამ ქვეყნად არსებობენ შეძლებულები და გაჭივრებულები, იმისთვისაც მზად იყო „წმინდა“ თქმულება: „ქოლ ისრაელ იეშ ლაემ ხელეკ ლეყოლამ ჰაბა“, რაც ნიშნავდა იმას რომ ყოველ ებრაელს აქვს თავის წილი იმ ქვეყნად, საიქიოს.

ასეთივე წილი ეგულებოდა დანიელ თაფლიაშვილს ამერიკაშიც. ხოლო ვიდრე დანიელ თაფლიაშვილი მოახერხებდა „თავისი წილის“ მიღებას ამერიკაში ან საიქიოში, მისი ბავშები, მისი საყვარელი რუთიკო, მისი მეუღლე ხანა—თავისი არსებობის ფაქტით ყოველ წუთს დაუნდობლად აგონებდენ, რომ ულუკმაპუროდ სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

---

[1]) ქოლ ისრაელ ხაბერიმ—„ყველა ებრაელები ამხანაგები არიან“.

სახელმწიფომ დაიწყო თავისი ინიციატივის გამოჩენა, თავისი დასახული გეგმის განხორციელება და საერთო ინტერესები მთელი სიმკაცრით დაეჯახა კერძო საკუთრებას. ამ შეტაკების დროს მსხვილი ვაჭრები და ბრბოლები, რომლებიც მომარაგებულნი იყვნენ საკმაოდ, მთელი რიგი წლების მანძილზე,— ამ ხანებში ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერით უძლებდენ იერიშებს და განაგრძობდენ ძველებურად უდარდელ და მდიდრულ ცხოვრებას.

ხოლო ამავე დროს ფეთხაინს უმოწყალოდ ემატებოდა ქარვასლიდან გამოდევნილი ღარიბი მასა, რომელიც კოტრდებოდა თანდათან, ყოველდღიურად, ყოველ საათობით, ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე.

გახშირდა უაზრო ხეტიალი, „სემიჩკის“ დაუსრულებელი კვნეტა და ქვებზე ჩამოჯდომა.

ქუჩა ყოველთვის სავსე იყო და თავის ზედაპირზე ერთნაირი „სიმშვიდით“ ატარებდა ბენიამინ ბერიძეს და დანიელ თაფლიაშვილს.

მაგრამ ერთ დღეს შაულ ათანელიშვილს რაიკომში უთხრეს, რომ ეს „სიმშვიდე“ და „კლასობრივი ზავი“ ებრაელთა ქუჩაზე უნდა დასრულდეს და რომ ამიერიდან უნდა გაჩაღდეს ნამდვილი ბრძოლა—მყვლეფავების წინააღმდეგ, ხოლო გაჭირვებულთათვის უნდა დაისახოს ახალი, რეალური გზები მათი შრომის რელსებზე გადასაყვანად, საერთო სახელმწიფო ფერხულში მათ ჩასაბმელად, მათი ყოფაცხოვრების ძირფესვიანად გარდასაქმნელად და რომ მას, შაულ ათანელიშვილს, ამ საქმეში დაეკისრება დიდი პასუხისმგებლობა.

ხოლო ვიდრე მოიხაზებოდა ახალი გზების პროფილი, ჩამოყალიბებულ იქნებოდა გარკვეული გეგმა ამ დარგში მუშაობისა, პირველ რიგში იხსნებოდა პირველი კოლექტიური არტელი—ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც თავი უნდა მოეყარათ ყველა იმ ღარიბებს, რომლებთაც ჰსურდათ შეესწავლათ, ან უკვე იცოდენ ეს ხელობა, რათა პატიოსანი შრომით ეჭამათ ლუკმა-პური. ნედლეული უნდა მიეღოთ სახელმწიფოდან, ფეხსაცმელები უნდა დაემზადებინათ კოოპერაციისათვის, ხოლო ხელოსნები მიიღებდენ გარკვეულ ხელფასს.

საჭირო იყო სათანადო კადრების შეგროვება და დაუყოვნებლივ კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობის დაწყება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა უკვე სხვადასხვა სახის წარმოებები.

დანიელ თაფლიაშვილს არც გაჰკვირებია „მოულოდნელი სტუმარის“ მისვლა. იგი თითქმის ელოდა კიდეც, რომ აგერ აგერ კარი გაიღებოდა და მასთან შევიდოდა შაული, ან ნათანი, რომელიც მიაწოდებდა მას სამუშაოს.

ეს კარი პირველად შაულმა შეაღო, რომელმაც მას მიახარა:

— ძია დანიელ. ხვალიდან სამსახურში!

დანიელის წითელი ლოყები უფრო გაწითლდენ, სიხარულით გული აუძგერდა და ძლივს მოახერხა შეკითხვა:

— რა უნდა გავაკეთო შვილო სამსახურში?

— ხომ არ გგონია, რომ ივაჭრებ? ნოქრობა გინდა? ხა, ხა, ხა!

— აბა?

— ხელობაზე არ იმუშავებ?

— ღმერთს ჩვენთვის სხვა ხელობა არ მოუცია, თუ არა ვაჭრობა.— და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:—მოვხუცდი კაცი. რაღა დროს ჩემი ხელობაა.

— ჩვენ ვაწყობთ ფეხსაცმელების სახელოსნოს. შენისთანა პატიოსანი კაცისათვის ზედგამოჭრილია საწყობის გამგეობა. თანახმა ხარ?

დანიელი ღრმად ჩაფიქრდა და მწუხარებით თავი ჩაიღო.

— რამ დაგაღონა ძია დანიელ. არ მოგწონს?

— ბარემაც მომწონს შვილო. მაგრამ სადაური საწყობის გამგე ვიქნები, როცა წერაკითხვაც კი არ ვიცი?

— ეგ სულ დამავიწყდა. აი რას ნიშნავს, ძია დანიელ, უსწავლელობა. წერაკითხვის უცოდინარობა—ღარიბი ხალხის დაღუპვაა.

— მართალია შვილო რა გაეწყობა...

და ჩაჩუმდა. შაულიც ჩუმად იყო. ორთავეს სიჩუმეში კი საერთო იყო: მწუხარება, უსიამოვნო ჩიხი და გამოსავალის პოვნის სურვილი.

და უცბად სიჩუმე დაარღვია პატარა რუთიკომ, რომლის პატარა ღიმილმა აგრძნობინა დანიელსა და შაულს, რომ მას მოჰქონდა რაღაც გამოსავალი.

— მამიკო, ჩემო მამიკო, მე გასწავლი წერაკითხვას.

მამამ ჩაიკრა თავის ქალიშვილი:

— რაღა დროს ჩემი სწავლაა, შვილო ბებერი ვარ...

— არა, არა. კიდევ არის დრო. ორ დღეში, სამ დღეში შეგასწავლი. შენ მხოლოდ გული დაუდე. ნუ გრცხვენია. ხომ მამიკო?

და დარცხვენილმა დანიელმა, თითქოს რჩევისათვის, მორიდებით შეხედა შაულს.

და მის სიხარულით მბრწყინავ თვალებში მტკიცედ წაიკითხა, რომ ამ ქვეყნად არაფერი შეუძლებელი არ არის.

* * *

საწარმოომ დაიწყო თავისი ისტორია მოკრძალებით, უხმაუროდ.

სადღაც, ფეთხაინთან ახლოს, გამოძებნილ იქნა ორი თუ სამი დარაბა, გამოანგრიეს შიგნით კედლები, შემდეგ ოდნავ გაათეთრეს, მოიტანეს იარაღები, სკამები და დაბალი მაგიდები, გააკეთეს რამოდენიმე თარო საწყობისათვის და გაჩაღდა მუშაობა, რომელშიაც ჩაბმული იყო ოცდაათამდე კაცი.

ცოტახნის შემდეგ კი, როდესაც საწარმოოს პირველი პროდუქცია მზად იყო, საწარმოოს გამგემ ამხ. შაულმა მოიტანა აბრა, რომელზედაც დიდი ასოებით იყო წარწერა:

„ღარიბ ებრაელთა ფეხსაცმელების საწარმოო არტელი „პირველი ნაბიჯი“.

ფეთხაინის მკვიდრ ბინადრებს, საწარმოოსთან გავლის დროს, თვალს სჭრიდათ ეს მოულოდნელი წარწერა. „პირველი ნაბიჯი“ ძილს უფრთხობდა ბევრ მათგანს, მაგრამ მაინც „სულით არ ეცემოდენ“ და არტელში მომუშავეებს „საქმე გართულებად“ ნათლავდენ, ხოლო თვითონ არტელს საპნის ბუშტად, რომელიც აგერ აგერ უნდა გამსკდარიყო...

და მაინც... სასწაულით თუ ჟინით კეთდებოდა ის საქმე, რაც უნდა გაკეთებულიყო ისტორიული აუცილებლობით. „პირველ ნაბიჯს“ წინ ეღობებოდა ბევრი ხელისშემშლელი დაბრკოლებანი, მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიცურლობა მაინც ნაკლები იყო ძველი ქვეყნის უსამართლობასთან შედარებით. ხოლო ახალმა მშრომელებმა კარგად იცოდენ, როდესაც გადალახავდენ ამ დაბრკოლებებს, ისინი გახდებოდენ პირველი პიონერები თავიანთი „წყეული პროფესიის“ სამარადისოდ უკუგდებაში.

ოცდა ათი მუშა მუშაობდა სიყვარულით, ენტუზიაზმით, ხალისით.

ზოგი წინ მიდიოდა, ზოგი ნელა მუშაობდა, ზოგსაც უჭირდა, მაგრამ ყველანი ერთად იბრძოდენ დიდი სურვილით, რომ „პირველი ნაბიჯის“ ღირსება არ შეელახათ, რომ ამხ. შაულის ნდობა გაეამრთლებინათ, რომელიც იყო წარმომადგენელი იმ პარტიისა და ხელისუფლებისა, რომელმაც პირველად მოჰკიდა ხელი ღარიბ ებრაელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

შაული დაჰქროდა საამქროებში, საწყობში, სამეურნეო ორგანიზაციებში, პარტიულ კომიტეტებში და ყველას ჰხიბლავდა თავისი შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობით, მტკიცე ნებით და ღრმა რწმენით.

მუშებისათვის იგი იყო განსახიერება იმედისა და როდესაც იგი მათ თავზე ადგა, უკანასკნელნი მას არა ერთხელ მიმართავდენ:

— საღამომდე კიდევ ორ წყვილს ამოვკერავ.

— ცუდათ ხომ არ ვმუშაობ, შაულ გენაცვალე?

-- აი ეს პატარა ტყავი მორჩა და აქედან ბავშის ფეხსაცმელი გამოვა.

— შაულ, დახედე ჩემს ნამუშევარს!

— ჩემსასაც!

და ყოველ მათგანს სურდა, რომ დაემსახურებინა შაულის მოწონება.

შაულიც შეაქებდა, გაამხნევებდა და ისევ მირბოდა ან ნედლეულის შესაძენად, ან კიდევ სხვა საკითხების მოსაგვარებლად.

ცოტა ხნის შემდეგ მათ კიდევ მიემატათ ხუთი მუშა, რის გამო, საჭირო იქნა კიდევ ერთი დარაბის აღება და საწარმოოს ფართობის გადიდება.

„პირველი ნაბიჯი“ დღითი დღე ძლიერდებოდა.

„პირველ ნაბიჯთან“ ერთად ძლიერდებოდა დანიელის რწმენაც, რომლის სიყვარულს ახალი დასაწყისისადმი არა ჰქონდა საზღვარი, რაც გარკვევით მოჩანდა საწყობში შესვლისთანავე.

სისუფთავე, განსაკუთრებული წესრიგი, ყდის ყუთები სათითაოდ ყოველ ფეხსაცმელისათვის, რომლებზედაც დანიელის მზრუნველი ხელით გამოყვანილი იყო სათითოდ რიგ-რიგობით ნომერი და კედელზე—შინაგანი განაწესი—შედგენილი შაულის მიერ.

„პირველი ნაბიჯი“ დღითი დღე უფრო ხდებოდა „ფეთხაინის“ სენსაცია და ისე დღე არ გავიდოდა, რო ძია დანიელს საწყობში არ სწვეოდა რომელიმე ცნობისმოყვარე უსაქმური ან და პირიქით ძალზე ცნობილი „საქმოსანიც“.

ამ მხრივ, ერთ დღეს ძია დანიელს მისივე თქმით „სტუმრები! რთველი“ ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით მას ეწვია ძია დათო, რომელმაც ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ შეეკითხა:

— რამდენს გაძლევენ ჯამაგირს?

დანიელმა დაასახელა ციფრი, რამაც გააოცა ძია დათო:

— ესე იგი შენ იღებ სამჯერ მეტს, ვიდრე მე. კაი დაგემართოს. ბოლშევიკების მთავრობა შენი გულისთვის მოსულა.

— არა თუ?

— მე კი უბედური, შევსცქერივარ ყეზრასა და მენაშეს, რომლებსაც ნახევარ წელიწადზე მეტი არ მოუციათ ჩემთვის ჯამაგირი. ეჰ, არმად, შხამად მათზე ჩემი ამაგი. ისინი ზიან, ხეთქავენ, ზედმეტი ჭამით ღიპზე სკდებიან. ვის ახსოვს ძია დათო?

— საქმე რომ გიშოვო, გადმოხვალ ჩვენთან?

— რატომაც არ გადმოვალ.

— იმ დღეს შაული ამბობდა, რომ ერთი კარგი და მუყაითი დარაჯი გვჭირიაო.

— ჰო და - კარგი და მუყაითი—ესეც მე ვარ. ჯამაგირი ხომ კარგი მექნება?

— ორჯელ მეტი ვიდრე იქა გაქვს.

— თანახმა ვარ.

— აბა შენ ყეზრა გააფრთხილე, რომ შამაში იშოვოხ.

— რისთვის უნდა გავაფრთხილო, რას მელაპარაკები ბებერო? კაცი დავპერებულვარ ღმერთის სამსახურში და ეხლა გინდა ხელი ამაღებინო?

— აკი გადმოვალო?

— გადმოვალ მაგრამ მე ხომ ის არ მითქვია, ლოცვას თავს დავანებებ თქო. იქაც ვიქნები და აქაც.

— ჰო-ო-ო-ო-ო. ასე არ იზამს.

— რაზე არ იზამს?—თითქოს კიდეც გაჯავრდა ძია დათო.

— მთლად კი ნუ გამოტვინებულხარ, დათო. ყურები გამოიჩიჩქნე: ან იქ, ან აქ. ჩვენთან კაი ჯამაგირს მოგცემენ. რაღად გინდა ლოცვის კაპეიკები?

— ლოცვის კაპეიკებს მაინც სხვანაირი გემო აქვს, არ მოესწრო ყეზრა შათაშვილი არაფერ კარგს, მანამ მე ლოცვას თავი არ გავანებო.

და ძია დანიელმაც დაუდასტურა:

— ამენ!

ამ ლაპარაკის შემდეგ არ გაუვლია ნახევარ საათს და „პირველი ნაბიჯის“ საწყობის კარები შეაღო ყეზრა შათაშვილმა.

დანიელი ოდნავ გააოცა ყეზრას მოულოდნელმა „ვიზიტმა“, მაგრამ მაინც ზრდილობიანად მიიპატიჟა:

— მობრძანდი, ყეზრა!

— როგორა ხარ, ძია დანიელ? — შეეკითხა ყეზრა.

— ხო ხედავ.

— საქმე გიშოვია.

— აბა რა გეგონათ, მთავრობა გაგვწირავდა?

— ჩემ სიმამრთან არ გერჩია?

— შენს სიმამრთან... — ხაზგასმით წარმოსთქვა დანიელმა — ესე იგი ბენიამინ ბერიძესთან, რომელმაც წურბელასავით სწოვა და სწოვა ჩემი უმწეოლკაცობის სისხლი, რომელმაც უდროოდ დამაბერა და რომლის ხელში ერთი ჭუთი სიხარული არ მქონია?

— უფროს ადამიანს არ შეშვენის ბოლშევიკური ლაპარაკი, თუმცა უნდა ილაპარაკო, მაგრამ მაინც უნდა იცოდე როგორ...

დანიელი დავთარში რაღაცას სწერდა:

— წერა კითხვა როდის იცოდი? — შეეკითხა გაოცებული ყეზრა.

— ბენიამინ ბერიძის ხელში არ ვიცოდი. შაულ ათანელიშვილის ხელში ვისწავლე.

— მალე ალბად შაბათ დღეს მუშაობასაც გასწავლიან?

და ყეზრას თითქმის თავს რეტი დაესხა, როცა მოისმინა მოხუცი დანიელის გარკვეული და უხეში პასუხი:

— თუ მასწავლიან — ვისწავლი. როცა მოშე რაბენუმ[1]) გვასწავლა შაბათ დღეს არ იმუშაოთო, იმ დროს სხვანარი ცხოვრება იყო. ეხლა რომ მოშე რაბენუ ცოცხალი იყოს, პირველი ის მოაწერდა ხელს, ისრაელის შვილებო შაბათ დღეს უსათუოდ იმუშავეთო.

— ასე გამოდის, რომ თქვენთვის შაულ ათანელიშვილი ახალი მოშე-რაბენუ ყოფილა.

— მერე რა დაშავდა მაგით. თვითონ თორა არა ბრძანებს, რომ ყოველი ისრაელი შეიძლება გახდეს მოშე-რაბენუო?

— აი, შე უბედურო დანიელ—...

— რისთვის გარჯილხარ? — მოკლედ მოუჭრა დანიელმა.

— ფეხსაცმელები არ გინდა გაგისაღოთ? ნაღდ ფულს მოგცემთ, თუმცა ვექსილითაც შემიძლია. ბევრი არ მინდა. ასი წყვილი. ორასი. თუ გინდა, თორის მზემ — ნარდათ ვიყიდო სულ. რა ღირს მთელი თქვენი საწყობი?

— მუშტრებს როდი ვეძებთ, ყეზრაჯან. ჩვენ კოოპერაციას ვაბარებთ ჩვენს ნამუშავარს და კერძო პირებთან არაფერი საქმე არა გვაქვს.

— ოჰო! ძალიან მოუნათლიხართ. უფროსი კაცი ბრძანდები, ჩემგან ჭკუის დარიგება არ გეკუთვნის, მაგრამ მაინც უნდა დაგარიგო: კაცმა ხანდახან შორსაც უნდა იცქიროს. თქვენი საწარმოო მალე გაკოტრდება, რადგანაც იგი ვერ გაუძლებს კერძო ბაზრის კონკურენციას. მაშინ არც ჩემთან და არც ჩემს სიმამრთან მისასვლელი პირი აღარ გექნება. თუმცა გექნება, მაგრამ არ გექნება. გაიგე?

— მე კი არა და თვითონ აკადოშ ბარუხუს ვერ გაუგია რისთვის მოგიყვანა ამ ყოლამზე.

ამ დროს გაისმა დასვენების ზარი. დანიელი წამოდგა:

— ეხლა დასვენება გვაქვს და საწყობი უნდა დავკეტო.

---

[1]) მოშე-რაბენუ-მოსე წინასწარმეტყველი.

— ე. ი. მითხოვ რაღა? — წარმოსთქვა განრისხებით ყეზრამ და გარედ გასვლამდე დაუმატა: — მოვა დრო და მე და ჩემი სიმამრი აგაკვნესებთ ბებერო ძაღლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელმა გაიცინა და პასუხად გააყოლა:

— როცა ის შენი სიმამრი იქნება, მაშინ შეიძლება მოესწრო ჩემს ცუდს.

ამის შემდეგ საწყობი დაჭკეტა და გავიდა ეზოში, რომ სხვა მუშებთან ერთად ახლად მოწყობილ სასადილოში მიეღო თავისი საუზმე.

დასვენების დასრულების შემდეგ, საწყობის ფანჯრიდან მან შეამჩნია, რომ ვიღაც კოჭლი კაცი, რომელსაც სახე ძალიან მიუგავდა პროვინციელ რაბის, დიდის ყურადღებით კითხულობდა არტელის წარწერას აბრაზე და რამოდენიმეჯერ თავისთვის იმეორებდა:

„ღარიბ ებრაელთა ფეხსაცმელების საწარმოო არტელი „პირველი ნაბიჯი“.

კოჭლი კაცი ძალიან გამტვერიანებული იყო, მოათრევდა ხელის ბარგს და ფეხსაცმელი გარღვეოდა. როდესაც ერთხელ კიდევ წაიკითხა წარწერა და დარწმუნდა, რომ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ გაბედულად წამოვიდა კარებისაკენ.

— შალომ-ყალეხემ [1]) — წარმოსთქვა მან მნიშვნელოვანად შემოსვლისთანავე.

— ყალეხემ - შალომ. [2]) მობრძანდი — მიუგო დანიელმა.

— მაშ ეს ისრაელების საწარმოოა? ძალიან მინარია. მე კიდევ ამა და ამ დაბის — (დაასახელა) — მთავარი მელამედი ვარ. ჩამოსული ვარ, დიდ, ძალიან დიდ საისრაელო საქმეებზე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს — ისევ მიუგო დანიელმა და სკამი გაუწოდა.

— რჯულის საქმე როგორ არის ქალაქში? წმინდა შაბათის ღირსება ხომ არ დაცემულა? თორის ჭიკჭიკი ხომ არ შეწყვეტილა?

— ჯერ არა, მაგრა არის ნიშნები...

— ნუ იტყვი. ნუ მისცემ სატანს ნებას... თქვენი სახელი?

— დანიელ.

— ძალიან კარგი, არ შეიძლება დანიელ, რომ დარღვეული ფეხსაცმელი შემიკეთოთ?

— თუმცა ჩვენ ძველებს არ ვაკეთებთ, მაგრამ მე ვთხოვ გამგეს. თქვენ როგორც მგზავრ კაცს, შორი ქვეყნიდან მოსულს... მიბოძეთ ფეხსაცმელი.

დანიელმა გაიტანა ფეხსაცმელი, ხოლო ამასობაში მელამედი ათვალიერებდა საწყობს, რომლის დროსაც მოუვიდა აზრად, რომ ვინაიდან აქ ალბად ძალიან იაფად იქნება, ამიტომაც უნდა შეიძინოს ერთი წყვილი, თუ შეიძლება მეტიც, ახალი ფეხსაცმელი.

---

[1]) შალომ ყალეხემ — მშვიდობა თქვენზე, გამარჯობათ.

[2]) ყალეხემ-შალომ — თქვენზე მშვიდობა, გაგიმარჯოთ.

როცა შემობრუნდა დანიელი, მელამედმა გადასცა მას თავისი სურვილი.

დანიელის პასუხმა, რომ ეს საწარმოოა და არა კერძო დუქანი — კოჭლ მელამედს ცივი ოფლი დაასხა.

— აბა სადაური საისრაელოა, თუ მელამედს ერთი ფეხსაცმელის ყიდვის საშუალებაც არ ექნება?

— საისრაელო იმიტომ ჰქვიან, რომ აქ მუშაობენ ღარიბი ისრაელები, რომლებიც თავიანთ შრომისათვის იღებენ ხელფასს. დამზადებული საქონელი კი ჩვენ ვალდებული ვართ მთლიანად ჩავაბაროთ კოოპერაციას.

— მაშ შენი უკანასკნელი სიტყვაა, რომ ვერ მომცემ?

— ვერა.

— რა გვარი ბრძანდებით?

— გვარს რას მეკითხები, ხომ არ უნდა შემაშინო შე კაი კაცო?

— არა მაგრამ წეღან მითხარი დანიელი მქვიაო. ეხლა გამახსენდა, რომ მე ვეძებ ერთ დანიელს, გვარად თაფლიაშვილს, რომელთანაც წერილი მაქვს მისი მეგობარი კაცის ისხაკ ჯანაშვილისაგან.

— დანიელ თაფლიაშვილი — მე გახლავარ.

კოჭლმა მელამედმა გადასცა მას წერილი.

დანიელმა გაიკეთა სათვალეები და დიდი პაუზებით და ამავე დროს დიდი ინტერესით წაიკითხა სიყრმის მეგობარის წერილი, რომელშიც ავედრებდა ნათანის თავს, სთხოვდა, რომ ნათანისათვის ჭკუა დაერიგებინა, უზნეო საქმეზე ხელი აეღებინებია, აქებდა მელამედის ცოდნასა და სიბრძნეს და სთხოვდა მელამედისთვის ყოველგვარი პატივი ეცა და ისე ჩაეთვალა თუნდაც თვითონ ისხაკ ჯანაშვილი ჩამოსულიყოს ქალაქში.

— ვენაცვალე ისხაკს. ძალიან პატიოსანი კაცია, ძალიან მიყვარს, ხოლო შვილის ჯავრი ტყუილადა აქვს. შვილი—გამოჭრილი მამაა და პატიოსანი ახალგაზრდა.

— რაშაყებს [1]) პატიოსან ახალგაზდებს უწოდებთ? — ვეღარ მოითმინა მელამედმა.

— ყველას თავისი გზა აქვს — როგორღაც ორაზროვანად უპასუხა დანიელმა და გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც გამოიტანა შეკეთებული ფეხსაცმელი და გადასცა პატრონს.

—ფულზე ნუ შეწუხდები· ამით ჩვენ არტელს არაფერი დაუშავდება.

— ახლა მაინც არ მომცემ ახალ ფეხსაცმელს? ფულით მინდა.

— სულ ერთია. წესი-წესია. ისხაკი მწერს პატივი ეცი. თუ იკადრებ და მობრძანდები ჩემს ოჯახში — იქ როგორც ღმერთი შემაძლებინებს, პატივს გცემ. აქ კი მე სახელმწიფოს ვემსახურები. სახელმწიფო მე ძენდობა და არც ვუღალატებ.

კოჭლი მელამედი წამოდგა გაბრაზებით:

— დანიელ, არ ყოფილხარ კარგი ისრაელი...

— ცდები, რაბი...

---

[1]) რაშაყ — სიტყვა სიტყვით „ავი კაცი". იგულისხმება ურჯულო ადამიანი.

— ამაზე საკითხი მოვწყვიტოთ. ეხლა ეს მითხარი, სად ვნახავ ცხინვალელების გაბაის ყეზრა შათაშვილს?

— ეხლა ალბად ქარავასლაში იქნება. მაგრამ ცოტახანს შემდეგ თუ მიხვალ ცხინვალელების ლოცვაზე, მინხის [1]) დროს მიუსწრებ კანტორაში.

როცა მელამედი გავიდა საწყობიდან, დანიელმა თავისთვის განსაზღვრა:

„რადგან ფეხსაცმელი არ მოგეცი, ამიტომ არ ვყოფილვარ კარგი ისრაელი? კმარა. აწი აღარ მოვტყუვდები. მგონია ჭკუას ვსწავლობ და აწი ასე ადვილად დანიელი აღარავის დაგიჯდენთ თავზე. არა!“

* * *

ძია დათოს ჩვეულებრივად ხელში ეჭირა გრძელი ცოცხი და მინხისათვის ჰგვიდა სალოცავის იატაკს, პატარა აივანს და კიბეს. ჰგვიდა და ბურტყუნებდა.

როდესაც მორჩა თავის საქმეს, ხელი დაიბანა და ვინაიდან მლოცველები ჯერჯერობით იგვიანებდენ, შევიდა სალოცავთან მოდგმულ პატარა ოთახში, რომელიც ასრულებდა ცხინვალელების კანტორის ფუნქციას, ჩამოჯდა გაბაების მაგიდასთან და სხვადასხვა დავთრებში დაიწყო ხელის ფათური.

ეს ის წუთი იყო, როდესაც კანტორის კარი გაიღო და კოჭლმა მელამედმა ფეხი შესდგა ოთახში. სიკოჭლე ხელს არ უშლიდა მელამედს, რომ თავისი ნაბიჯი დაეფასებინა და წვერზე ხელის მოსმით შთაენერგა ან ეგრძნობებინა ოთახში მყოფისათვის თავისი „ღირსება“.

— შალომ - ყალეხემ! — წარმოსთქვა მან განსაკუთრებული კილოთი.

— ყალეხემ - შალომ!—მიუგო ძია დათომ და აინთო უძლიერესი ცნობისმოყვარეობით თუ რას იტყოდა საყურადღებო სტუმარი ამის შემდეგ.

— მე მინდოდა მენახა ცხინვალელების მთავარი გაბაი.

ძია დათო ერთ წუთს ჩაფიქრდა თუ როგორი პასუხი მიეცა. შემდეგ წარმოიდგინა, რომ თუ ეს კაცი შეხვდა ყეზრა შათაშვილს, მაშინ ძია დათო ვერასოდეს ვერ შეიტყობს, თუ რაზე ჰქონდათ ლაპარაკი, ხოლო ამას ძია დათოს სუსტი გული ვერ აიტანდა, რის გამოც მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება და მისცა შემდეგი პასუხი:

— მე ვარ. დაბრძანდით.

— ძალიან მოხარული ვარ თქვენს გაცნობას.

— ქალაქში რა საქმეზე ხართ ჩამოსული?

— სამი საქმე მაქვს.

— დავიწყოთ პირველიდან.

— დავიწყოთ. ჯერ პირველი ის გარემოება, რომ ადგილობრივი მთავრობა ძალიან გადაეკიდა ისრაელის ხალხს. ერთი სიტყვით, ცოცხლად სულს გვაძრობს და უნდათ, რომ მთელი ჩვენი მოზარდი ატარონ უკუღმა გზით. რამდენჯერაც არ გავხენით ხედერები და თალმუდ-თორები, იმდენჯერ მოვიდენ მათი აგენტები, დაგვეცენ თავს როგორც ტყის ყაჩაღები და თორის შუაგულ კითხვის დროს, გვიბრძანეს, რომ ბავშები გაგვერეკა. ისინი იძახიან, რომ კანონით

[1]) მინხა — ნაშუადღევის ლოცვა.

თორის სწავლა აკრძალულია, მაშინ როდესაც ჩვენ მივიღეთ ადმორის მოწერილობა, რომლითაც გვაცნობებს, რომ რუსეთის მთავარ მთავრობას არამც თუ აუკრძალავს, არამედ პირიქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადმორის მოწერილობა ჩვენც მივიღეთ.

— ჩემმა ჯამაათმა სწორედ ამიტომ გამომგზავნა ქალაქში, რომ თქვენის დახმარებით, ვინახულოთ ვინც საჭიროა, რათა აქედან გაგვატანონ ისეთი მოწერილობა, რომელსაც ჰქონდეს ძალა.

— ეს ისეთი დიდი საკითხია, რომელსაც მარტო ვერ გადავსწყვეტ. ამაზე საჭიროა მთელმა ვაყად ჰაკეილამ იქონიოს მსჯელობა. საცაა მოვლენ გაბაები და შევატყობინებ მათ ამ ამბავს. ეხლა ვილაპარაკოთ მეორე საქმეზე.

— ვილაპარაკოთ — უპასუხა მელამედმა და თავისთვის გაიფიქრა:

„როგორი ჭკვიანი და საქმის კაცი ბრძანებულა“.

და შემდეგ განაგრძო:

— ამდენი ხანია ახალციხელები მთხოვენ, რომ მივანებო დაბას თავი, გადმოვიდე ტფილისში და აქ შეუდგე მელამედობას. უნდა ვინახულო იმათი ვაყად – ჰაკეილას უფროსიც ბენიამინ ბერიძე და თუ ხელსაყრელი პირობები იქნა, შეიძლება კიდეც დავთანხმდე.

— ახალციხელები ალბად კარგა ხანს გელოდენ, მაგრამ ვინაიდან დაგაგვიანდა, იმათ უკვე აიყვანეს სხვა მელამედი.

ამ ამბავმა თავზარი დასცა კოჭლ მელამედს, რომელსაც ძია დათო უცქერდა ოდნავი დაცინვით და თანაგრძნობით. შემდეგ ძია დათომ, ალბად მისი დანუგეშების მიზნით, ავტორიტეტულად განუცხადა:

— მოველაპარაკები ამხანაგებს. შეიძლება ცხინვალელებთან გამოგიწყოთ რამე.

— მე თანახმა ვარ. მე ბევრ რამეში გამოვადგებით. მე...

და ძია დათო თავისთვის ჰფიქრობდა:

„ნეტავი მართლა ისე გასულელდებოდენ გაბაები, რომ დაგნიშნავდენ მელამედათ. მერე ვუყურებ სეირს. შენც ისე დაგიგვიანებენ ჯამაგირს, როგორც მე?“

შემდეგ ხმა მაღლა მიმართა:

— ეხლა მესამე საკითხი.

და მელამედმაც მექანიკურად გაიმეორა:

— ეხლა მესამე საკითხი.

ხოლო თავისთვის ისევ გაიფიქრა:

„დიდი, ძალიან დიდი ჭკვიანი კაცი ყოფილა“.

ამის შემდეგ მელამედმა ხელი ჩაიყო უბეში, საიდანაც ამოიღო ოთხად დაკეცილი წერილი.

— ეს წერილი გამომატანა ნათანის მამამ, ისხაკ ჯანაშვილმა, საპასუხოდ თქვენი წერილისა, რომელიც რომ მან მიიღო სახანუქოდ.

ძია დათომ წერილი გამოართვა, ყურადღებით დახედა კონვერტს, ცნობის მოყვარეობით აემღვრია ტვინი და ათასმა ფიქრმა გაუელვა თავში:

„რა უნდა იყოს ამაში... ნეტავი რა უნდა ეწეროს... ჩემს ჯამაგირზე რა ესაქმებოდა ისხაკს... ან ნეტავ რა მისწერა... უყურე შენ ყეზრას, რა საქმეებს

სჩადის... ვიცი, ვიცი... აჰა... გავიგე... ალბად ნათანს დააბეზღებდა მამასთან... დამაცა მე შენ, ჩაგიშლი გეგმებს... ჯერ კარგად გავიგო...“

და მელამედს შეეკითხა:

— რა სთქვა, როცა წაიკითხა ჩემი წერილი?

— რა უნდა ეთქვა უბედურ და დაღუპულ მამას. ერთად ერთი შვილი ჰყავს და როცა გაიგო, რომ მისი შვილი გარაშაყებულა, რომ გარყვნილების გზას შეუდგომია, რომ ისრაელის ღირსეული ქალიშვილისათვის სახელი გაუტეხია—ისხაკს გული შეუღონდა და როცა გონს მოვიდა დამაფიცა, რომ არ მიმეტოვებინა მისი შვილი უპატრონოდ და ქალაქში ჩამოსვლისთანავე, ბატონ ყეზრა შათაშვილთან ერთად...

მელამედმა შესწყვიტა, რადგან შეატყო, რომ ძია დათო მას აღარ უსმენდა.

ძია დათოს ძალიან უყვარდა ნათანი და როდესაც მელამედის პირით მოისმინა თუ რა მიუწერია ყეზრა შათაშვილს ისხაკ ჯანაშვილისათვის, მის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა:

„რა მიუწერია იმ გათახსირებულს... ჩაუმწარებია სიბერე უბედური მამისათვის... ამოუყრია კერძო ჯავრი... მოუჩმახია ქვეყნის ჭორები... მაცადოს... ვაყურებინებ სეირს... შევატყობინებ ნათანს ყველაფერს“.

— მაშასადამე ისხაკს სჯერა, რომ ნათანი ასეთი და ასეთია?—შეეკითხა ძია დათო.

— რა უფლება აქვს თქვენისთანა სახელოვან კაცს არ დაუჯეროს?—უპასუხა მელამედმა.

— შენც გჯერა, რაბი?

— მჯერა რომელია. ხო არ მინახავს. მზადა ვარ დავიფიცო, რომ ნათანი ამ საქმეების და კიდევ უარესების ჩამდენია.

— მიჰქარავ...—შეჰკივლა მოთმინებიდან გამოსულმა ძია დათომ.

გაოცებულ მელამედს კანკალი დააწყებინა, ენა ჩაუვარდა და ძლივს მოახერხა:

— ეს,.. ეს... რას ნიშნავს... თქვენი წერილი... თქვენ... თვითონ...

— ბოდავ რაღაცებს. მე არაფერი წერილი არ მიმიწერია.

— აბა ის წერილი ვინ მოიწერა? — ისევ კანკალით შეეკითხა მელამედი.

— შენ თითონ არა სთქვი ყეზრა შათაშვილმაო?

— განა თქვენ... ყეზრა შათაშვილი არა ბრძანდებით?

— როდის გითხარი, რომ მე ყეზრა შათაშვილი ვარ-თქო? ღმერთმა კი ამოაგდოს იმის სახელსახსენებელი.

— აბა თქვენ... ვინა ბრძანდებით?

— ძია დათო არ გაგიგონია?

— არა.

— რა ვუყო ახლა მე, თუ შენ გადაყრუებულ სოფელში ჩემი სახელი არ გაგიგონიათ?

— შენ არ მითხარი მთავარი გაბაი მე ვარო—უკვე გაბედულად შეეკითხა მელამედი.

— ვიყავი. არ გჯერა? მთავარი გაბაიც ვიყავი და კიდევ უფრო დიდი კაცი. თუ დრო გაქვს, თუ გინდა მოგიყვები ჩემს ამბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კოჭლმა მელამედმა, პასუხის ნაცვლად, თავისი გულისყურიც ერთ საკითხში ჩააქსოვა:

— ეხლა?

— ეხლა რა? შამაში ვარ, უბრალო შამაში.

— შამაში?

და ძია დათომ შეამჩნია, რომ მელამედის თვალები დაიტენა მრისხანებით.

— რაზე დამღალე კაცო?—ძლივს, სიბრაზით წარმოსთქვა მელამედმა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ყეზრა შათაშვილი.

ძია დათო ‘ოუბრუნდა მელამედს და უთხრა:

— ესეც შენი ყეზრა შათაშვილი. დაიწყე ეხლა და მოუყევი თავიდან ყველაფერი.

ამის შემდეგ კანტორიდან გავიდა და კარები მაგრად გააჯახა.

* * *

ყეზრა შათაშვილი იყო მეგობარი ყოველი კაცისა, რომელიც ეტყოდა მას რაიმე ცუდს ნათანის შესახებ და ამიტომაც ძია დათოს სრულებით არ აკვირებდა ის გარემოება, რომ კოჭლი მელამედი ისე ერეოდა სალოცავის „შინაურ საქმეებში“-თითქოს იგი უკვე დიდიხნის ბატონ-პატრონი იყო. აითვალისწუნა კოჭლი მელამედი ისევ როგორც ყეზრა შათაშვილი, გაბაი მენაშე და სხვა გაბაები ცხინვალელების ვაყად—ჰაკეილადან.

სამაგიეროდ ყეზრასა და მელამედს შორის განმტკიცდა უჩვეულო მეგობრობა, რომელიც მივიდა იქამდე, რომ ერთ დღეს მას ყეზრამ მთელი ჯამაათის წინაშე უწოდა თავისი „მარჯვენა ხელი“ და ამავე დროს ამაყობდა, რომ ეს მარჯვენა ხელი იყო „მსოფლიოში ცნობილი ბრძენი რაბი“.

ასეთი დახასიათების შემდეგ, უგნურება იქნებოდა „კუთხური პოლიტიკის“ თვალსაზრისით, როს იგი „დაეთმოთ“ ახალციხელებისათვის. მუდამ ძუნწი ყეზრა შათაშვილი ეხლა გახდა საკმაოდ ქველმომქმედი, დაუნიშნა ღირსეული ჯამაგირი და კოჭლი მელამედი ამის შემდეგ დარჩა ტფილისში და შევიდა ცხინვალელების საზოგადოებაში სამი სახელწოდებით, როგორც რაბი, როგორც ხაზანი[1]) და როგორც მელამედი.

ყეზრა შათაშვილმა-განსაკუთრებული პატივისცემის ხაზგასასმელად—მელამედი გადაიყვანა თავის ბინაზე, სადაც მას მიუჩინა ერთი საკმაოდ მოზრდილი ოთახი თავის შესაფერი მოწყობილობით.

ამიერიდან ოთახის განუყრელი თანამგზავრები შეიქნენ თამბაქო და ბურნუთი, რომლის ბოლი ოდნავადაც ხელს არ უშლიდათ ყეზრასა და მელამედს ელაპარაკათ დაუსრულებლივ.

---

[1]) ხაზან-ბლოცველი, ის ვინც ლოცულობს ყველასათვის მომაღლებულ ადგილზე ე. წ. „თება“-ზე.

ყეზრამ თვითონ შეჰქმნა რწმენის ილიუზია მელამედისადმი, რომლის შედეგაც ეს რწმენა ისე ღრმად გაჯდა მის ორგანიზმში, რომ მას ოდნავადაც ეჭვი არ ეპარებოდა „ცნობილი" მელამედის ყოვლის შემძლეობაში.

განსაკუთრებით ყეზრას ჰხიბლავდა კამიაყები და, მასზე ამოხაზული მისტიური ასოები, რომელთა ცოდნაში, ყეზრას აზრით, უნდა ყოფილიყო ჩამალული მთელი სამყაროს საიდუმლოებანი.

და ამიერიდან ყეზრას ღრმად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ იგი თავისი „სულიერი იურისკონსულტის" საშუალებით შესძლებდა ნათანისა და ესთერის მოუდრეკელი ნების მოტეხას, რომ კოჭლი მელამედის საშუალებით ნათანი აღიგვებოდა „პირისა დედამიწისაგან" და რომ ესთერი საბოლოო ანგარიშში მას დარჩებოდა.

ყეზრა არ ზოგავდა არავითარ საშუალებას, რომ მელამედის სახელი უფრო და უფრო მაღლა აეწია არა მარტო ცხინვალელებს შორის, არამედ ახალციხელებს შორისაც.

ხოლო მელამედმა, (რომელსაც ძია დათოსთან შეხვედრილმა ინციდენტმა იმდენად გული გაუტეხა ქალაქზე, რომ უკვე აღარაფერ კარგს არ ელოდა)-აშკარად შეიფერა ეს პატივისცემა და ღირსებით ატარებდა „დაწინაურებულის" სახელს თავის გამხდარ ძვლებთან და კოჭლ ფეხთან ერთად.

მელამედი ყოველდღიურად იჭრებოდა „საზოგადოებათა" საქმიანობის შუაგულში და მალე შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ უიმისოდ არ მოიწვევდენ არც ერთ კრებას და არ გადაწყვეტდენ არც ერთ საყურადღებო საკითხს.

მელამედი, ყეზრას საშუალებით გაეცნო ბენიამინ ბერიძესაც, რომელმაც—ალბად ყეზრას ხათრით—თავისი მხრითაც აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

მაგრამ ეს „ყოველგვარი დახმარება" უფრო შეეხებოდა პირადათ მელამედს, ვიდრე იმ საქმეს, რომლისთვისაც იგი იყო წარმოგზავნილი თავისი დაბის მორწმუნეთა მიერ.

ქალაქში მელამედმა შენიშნა, რომ ხედერების სისტემა უცნაურ ბედზე იყო დამოკიდებული: იგი არ იყო არც ნებადართული, არც აკრძალული. ხედერი არსებობდა, მაგრამ არა ბეოჰამიდრაშში, არამედ თვით სალოცავში. ეს იყო ნახევრად ლეგალური, ნახევრად არალეგალური სასწავლებელი.

არც არავინ ჰფიქრობდა, რომ ეს მდგომარეობა შეეცვალა. ლეგალური ხედერების იმედი არავის ჰქონდა, ხოლო ვისთანმე მისვლას და ხედერების ლეგალიზაციის დაკანონებას წინ აღუდგა ბენიამინ ბერიძე, რომელიც ამბობდა: „ვაი თუ ამით, რაცა გვაქვს, ისიც დავკარგოთო".

თავის დაბაში კი მელამედმა მიიწერა წერილი, რომ ჯერჯერობით საქმანია გამარჯვებულიო და ქალაქშიაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც მანდაო. განზრახულია რომ მალე დელეგაცია გაიგზავნოს მოსკოვშიო. რაც შეეხებოდა თვითონ, ამის შესახებ მოკლედ აცნობა, რომ აწი იგი დარჩება ქალაქში, რადგან ასე უნებებია ადონაისაო.

ასე ადვილად გამოეთხოვა იგი თავის ჯამაათს, რომელსაც იყო შეჩვეული ათეული წლები. სამაგიეროდ ტფილისში არ დასჭირებია დიდი ხანი, რომ

იგი გაშინაურებულიყო და ადგილობრივ მორწმუნეთა მასას ადვილად შეჩვეოდა.

მელამედი სავსებით კმაყოფილი იყო ყეზრასი, ხოლო არც ყეზრას ჰქონდა საბაბი დამდურებისა, ვინაიდან მელამედი არ ეკუთვნოდა უმადურ ადამიანებს: იგი ყოველთვის ეკითხებოდა ყეზრას მისი ჯანმრთელობის, მდგომარეობის, განწყობილების და უმთავრესად ნათანისა და ესთერის შესახებ.

და არა მარტო ეკითხებოდა. შეკითხვის შემდეგ იწყებოდა გეგმები, დაუსრულებელი გეგმები, სხვადასხვა მოულოდნელი ვარიანტები.

და ასე მიჰქროდა კოჭლი მელამედის დღეები ქალაქში:

ცხინვალელები, ახალციხელები, კამიაყები და ყეზრა შათაშვილის „დანიშნულის“ საკითხი.

და რო არა-ძია დათო-რომლის თავხედობას უსიამოვნო ბუზივით იგერიებდა, მის კმაყოფილების მორევს ერთი წვეთიც არ აკლდებოდა.

არავინ იცოდა მისი სახელი, არც თვითონ სწუხდა ამაზე. ყოველი კაცი შეხვედრისას მას ეძახდა „ბატონო რაბი“-ს, ხოლო ზურგს უკან კი საუკუნოდ დარჩა მას სახელი, რომელითაც იგი ცნობილი იყო თავის პატარა დაბაშიაც:

„კოჭლი მელამედი“.

* * *

დასასვენებული დღე იყო.

ნათანს ეგონა დაისვენებდა. ლექციებზე არ ეჩქარებოდა. ამიტომაც დილით ჰფიქრობდა მსუბუქი ხასიათის რომანის წაკითხვას, ხოლო საღამოს შეხვდებოდა თავის ამხანაგებს-„დავითის ფარის“ წევრებს, რომლებთანაც აპირობდა დროს გატარებას.

მაგრამ დილიდანვე აეშალა ნერვები და ხასიათი გაუფუჭდა.

დაიწყო ძია დათოდან, რომელიც მოვიდა, როგორც ყოველთვის, მოურიდებლად, შინაური კაცივით. დაჯდა ნათანის პირდაპირ და გადმოულაგა მთელი ის ამბავი, რაც მის ხელთ იყო.

არაფერი ისე არ ეჯავრებოდა ნათანს, როგორც ჭორი, ამბების მიტანმოტანა, მითქმამოთქმა, „ამან ისა სთქვა, იმან ისა სთქვა“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძია დათოს მოთხრობილმა ამბავმა იმდენად ჩაითრია, რომ მისი თხრობის პროცესში ერთი სიტყვაც კი ვერ გამოსძებნა, რომ ძია დათო შეეჩერებინა.

უგდებდა ყურს და განიცდიდა უდიდეს შინაგან მღელვარებას.

საქმე შეეხებოდა ნათანის მოხუც მშობლებს, რომლებიც ასე ძლიერ უყვარდა მას.

„ვილაცა თავისი ბინძური ხელებით აფათურებდა მათ ურთიერთობაში. ვილაცას მოსვლია თავში ჯალათური აზრი, რომ ნათანის მოხუც მშობლებს ჩაუმწაროს უკანასკნელი სასიცოცხლო წლები, ვილაცას უფიქრია ნათანის პატიოსანი სახელისათვის ლაქის მოცხება, ვილაცას აუფორიაქებია ისხაკ ჯანაშვილის ოჯახი და ნათანზე საზიზღარი ცილისწამებით სურდა მოხუცე-

ბისათვის ჩაეკლა უკანასკნელი იმედი. და ეს ვიღაცა ყოფილა—ყეზრა შათაშვილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსმენდა ნათანი ხმაამოუღებლად, ჩუმად, მღელვარებით. მისი თვალები თითქოს ეხვეწებოდენ ძია დათოს:

„ბარემ სთქვი თუ კიდევ რამე გაქვს სათქმელი. სთქვი ბოლომდე. და ბოლომდე შევსვა ეს სიმწრის ფიალა და რაც იქნება-იქნება“.

ძია დათო ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

ამ ლაპარაკში იყო ყველაფერი: ყეზრას მიწერილი წერილი, ყეზრას დახასიათება, ძია დათოს ჯამაგირი, ადმორის კოლ-კორე, კოჭლი მელამედის ქალაქში ჩამოსვლა და მისი ცხინვალელებთან დანიშვნა სამ თანამდებობაზე და დაბოლოს ყეზრასა და მელამედის დამეგობრება.

ეტყობა უკანასკნელმა ამბავმაც ერთგვარი გავლენა მოახდინა ნათანზე, ვინაიდან ნათანის თვალებში გაიელვეს დამცინავმა ხაზებმა:

„მაშ ასე: კოჭლი მელამედი ტფილისში. ჩემი პატარა დაბის გონების დასაბნელებლად იგი აღმოჩნდა მეტად ძლიერი და ეხლა ქალაქში გადმოიყვანეს... დიდი, დიდი პროგრესია ჩვენს ხალხში... არიან კიდევ სულელები, რომლებთაც სჭირიათ კოჭლი მელამედი... ასე... „დავიდის ფარს“ ამიერიდან კიდევ ახალი საქმე გაუჩნდება: ებრძოლოს კოჭლი მელამედის კლერიკალიზმს... ისტორია მეორდება: ბავშობაში—დაბა, ახალგაზრდობაში ქალაქი და ყველგან ეს ადამიანი თავისი კოჭლი ფეხით... და არა მარტო კოჭლი ფეხით. კოჭლი—სულით, კოჭლი—გონებით, კოჭლი—სინიდისით,.. და ეხლა ჩემი მტრები მოხვედრილან საერთო წერტილში: ყეზრა და მელამედი... დაიწყებენ ერთად მოქმედებას და ობიექტად დაისახავენ ნათან ჯანაშვილს. ხა, ხა, ხა“.

ალბად ნათანი დიდხანს ფიქრობდა. მან ვერც კი გაიგო როგორ გავიდა ძია დათო ოთახიდან და უფრო საოცრად მოეჩვენა კიდევ ის გარემოება რომ მის წინ, როდესაც იგი გამოერკვა ფიქრებიდან, იჯდა არა უკვე ძია დათო, არამედ მოხუცი დანიელი, რომელიც მას ეუბნებოდა:

— მამაშვილობას გაგეხარდებოდა, რო მოხვიდოდე და დაათვალიერებდე ჩვენს „პირველ ნაბიჯს“.

ამ სიტყვებში ნათანისათვის იყო რაღაც ახალი. დანიელი არამც თუ უკვე ბედს აღარ უჩიოდა, არამედ პირიქით ისე იმედიანად და ხალისიანად გამოიცქირებოდა, თითქოს უკვე სამუდამოდ მოიხსნა დღიური წესრიგიდან მისი გაჭივრების საკითხი.

ნათანმა არ იცოდა რა ეთქვა დანიელისათვის. ხოლო სამაგიეროდ დანიელს ბევრი რამ ჰქონდა ახალი სათქმელი და იგი ლაპარაკობდა ისე როგორც შეეძლო. და ამ ლაპარაკის ფონზე დანიელის თვალებით ნათანმა უკვე დაინახა: საწარმოო „პირველი ნაბიჯი“, ებრაელი მუშები, დაუღალავი შაული, დანიელი ენტუზიასტი, წერაკითხვის მცოდნე, სახელმწიფო საკუთრების სადარაჯოზე, არტელის თანდათანობითი ზრდის პერსპექტივები და ერთი წუთით ნათანი შექრთა და თავის თავს შეეკითხა:

„შაული მიდის გარკვეული გზით. იგი აკეთებს რაღაცას გარკვეულ. იგი იკრებს თავის გირშემო ღარიბებს, იგი ეძებს მათთვის სამუშაოს. ხომ არ ნიშნავს, ნათან, ეს იმას, რომ შენ ხაზს გადასინჯვა სჭირია?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეშინდა თვითონვე თავის საკითხის და საჩქაროდ უპასუხა:

„არა. არა. არა. შაული აკეთებს პატარა საქმეს. მისი დიაპაზონი ვერასოდეს ვერ მიაღწევს შენსას. იმას უნდა შეჰქმნას ებრაელი—მუშა, შენ კი-ებრაელი—კულტურის უმაღლეს საფეხურზე. ეს სხვა და სხვაა. დიახ, სხვა და სხვა".

და ამ ფიქრების დროს, ტყვიასავით მოხვდა გულში დანიელის წინადადება:

— რატომ არ შეიძლება, რომ შენ და შაულმა იმუშაოთ ერთად. შაული—ძალიან მომუშავე გამოდგა. იგი დღედაღამ ჩვენი ღარიბი ხალხისათვის ფიქრობს. ამ მუშაობის დროს იმას რომ მხარს უმშვენებდეს შენისთანა განათლებული და შეგნებული ახალგაზდა, ჩვენი საქმე უფრო და უფრო წინ წავა. რას იტყვი, ნათან?

ნათანი ისევ ჩუმად იყო.

რა იცოდა დანიელმა, თუ როგორი გულისტკივილი აგრძნობინა ნათანს: „ხომ არ ამბობს მოხუცი დანიელი ამით, რომ ჩემი ხაზი დამარცხდება და შაულის კი—გაიმარჯვებს? ხომ არ მეუბნება ამით მოხუცი დანიელი, რომ „პირველი ნაბიჯი", რომელიც დაარსდა ჩემი მონაწილეობის გარეშე, ეს ისეთი მძლავრი ფაქტორია ფეთხაინის ფონზე, რომ ძალაუნებურად, მე, ნათან ჯანაშვილს დამჭირდება მას ანგარიში გაუწიო? არა! ათასჯერ არა! „დავითის ფარის" გარეშე მე არა მწამს, რომ გაკეთდეს რაიმე დიდი საქმე. შაულის საწარმოოს აქვს გარდამავალი მნიშვნელობა, ხოლო ჩემს იდეალებს, ჩემს პრინციპებს მარადიული, საისტორიო".

დანიელმა კი ვერ მოითმინა და ისეთი ხმით, რომელშიაც ოდნავ ისმოდა საყვედური, მიმართა თავის ახალგაზდა მეგობარს:

— ვერ გამიგია რას გაჩუმებულხარ. ველ გამიგია რატომ არ შეგიძლიათ ერთად მუშაობა. ვერ გამიგია რა გაქვთ ერთმანეთში გასაყოფი.

ამაზე ნათანმა ნელა გაიცინა და უპასუხა:

— სამაგიეროდ ისტორია გაიგებს.

ვერ დააკმაყოფილა ამ სამმა სიტყვამ მოხუცი დანიელი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი სურვილი, რომ შაული და ნათანი ენახა ერთად მომუშავენი „პირველი ნაბიჯის" გარშემო.

დანიელს ჰქონდა თავისი ლოლიკა, რომელმაც უკარნახა მას ეთქვა ნათანისათვის:

— მე თუ მოვკვდები და ვერ მოვესწრები, ამისთანა ისტორიაც აღარ მინდა.

ნათანმა მიაპყრო სიყვარულით აღსავსე თვალები გულკეთილ მოხუცს, მიუახლოვდა, ალერსიანად მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— იცოცხლებ, ძია დანიელ. კიდევ დიდხანს იცოცხლებ და ყველაფერს მოესწრები.

ცოტახნის შემდეგ, როდესაც დანიელმა დააპირა წასვლა, მას რაღაც გაახსენდა და კარებთან შედგა:

— ჰო მართლა, სულ დამავიწყდა. ამას წინედ ისხაკისგან წერილი მივიღე. ძალიან გამეხარდა რო კიდევ ვახსოვარ. მაგრამ სამაგიეროდ ერთი რამე მეწყინა: ვიღაც უსვინდისო კაცს მიუწერია შენზე ჭორები და შენი დედამისთვის გული უტკეინებია. მე კი გაუგზავნე პასუხი, მაგრამ არ დაშავდებოდა, შენც რომ ერთი წერილი გაგეგზავნა და ასეთი ცუდი ხმები გაგებათილებინა.

— გმადლობთ, ძია დანიელ. უსათუოდ გავუგზავნი.

დანიელი გამოესალმა და დასტოვა ნათანი გულამღვრეული, მოწამლული, მრისხანე, რომელიც მეათასედ ეკითხებოდა თავის თავს:

„რა შუაშია ჩემი ძვირფასი დედმამა. ამათ მაინც რას ერჩიან“.

აიღო რომელიღაც წიგნი და სურდა მასზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ ვერ მოახერხა, წიგნი ისევ თავის ადგილას დასდო და დაუბრუნდა ისევ თავის მარტოობას, თავის ფიქრებს, ერთსა და იმავე დროს საყვარელსა და მტანჯველ ფიქრებს.

ვინ იცის როდის დაუსვამდა თვითონ ნათანი წერტილს ამ ფიქრებს, რომ ამ დროს არ გაღებულიყო ნათანის პატარა ოთახი (დღეს უკვე მესამედ) და მასში არ შემოსულიყო კოჭლი სტუმარი, რომლის ასე პირდაპირ შეხვედრამ, ამდენი ხნის დაცილების შემდეგ, ნათანისათვის გადააჭარბა ყოველგვარ საოცრების მოლოდინს.

ხოლო თვითონ კოჭლი მელამედი, ეტყობოდა ძალზე დამშვიდებულად ჰგრძნობდა თავს, ვინაიდან შემოსვლისთანავე ხელი გაუწოდა თავის ნათალმიდარს და დიდის რიხით მიესალმა:

— შალომ-ყალეხემ, ნათან!

ნათანი პირველ წუთს დაიბნა, უაზროდ ხელი გაუწოდა, შემდეგ თითქოს კიდეც ინანა, მაგრამ გვიანღა იყო: მელამედი ჩამოჯდა და უკვე შევიდა თავის როლში:

— გამოცვლილხარ. გაზრდილხარ. დავაჟკაცებულხარ.

რა უნდა ეპასუხნა ნათანს, როდესაც ყოველივე ეს, რაც მელამედმა უთხრა, ჩვეულებრივი, ბუნებრივი, ამბავი იყო!

ნათანის თვალები გამოხატავდენ ეჭვს, უნდობლობას, მიუკარებლობას და ამიტომაც კოჭლმა მელამედმა გადასწყვიტა პირდაპირ შესდგომოდა საქმეს. გადასცა წერილი, ამანათი.

— მამა შენმა ისხაკმა გამომატანა, მთხოვა თვითონ გადაეცით და ისე მოუარეო, თითქოს მე ვყოფილიყვე ქალაქშიო.

ნათანმა სასწრაფოდ გახია კონვერტი, ამოიღო მამის ხელით დაწერილი ბარათი და ხარბი თვალებით, დიდი ხნის დამშეულივით, შეუდგა მის კითხვას.

ჯერჯერობით ყველაფერი თავის რიგზე იყო: მოკითხვა, სურვილები, დედმამის ოცნება, დედის გული უჩვეულო სიყვარული...

მაგრამ აგერ ნათანს სახე შეეცვალა, გაფითრდა.

მელამედი დაკვირებით ადევნებდა თვალს ყოველ მის მოძრაობას, სხვადასხვა ნაოჭებს მის შუბლზე, მწუხარე ხაზებს თვალებში, გათეთრებას ლოყებზე.

„როგორი ჰგავს თავის მამას მრისხანების დროს“—გაიფიქრა მელამედმა იმ წუთებში, როდესაც ნათანი უკვე კითხულობდა მისთვის ყველაზე უფრო საშინელ სტრიქონებს:

ბიბლიოთეკა

„ისრაელის რჯული მიგიტოვებია, დაგივიწყებია, წიხლი ჩაგიკრავს. ეს არ გიკმარია და ახალგაზდა ქალისთვის, რომელიც ყოფილა ისრაელის რჯულით დანიშნული, სახელი გაგიტეხია. ნუ შვილო, ნუ“...

ნათანი უსიტყვოდ დაეშვა ტახტზე და მიაშტერდა მელამედის აბურძგვნილ წვერს.

ნათანის სიჩუმე მელამედმა მიიღო როგორც სინანული და წერილს თავისი მხრითაც დაუმატა:

— თუ რამე დაემართება შენს მშობლებს, ყველაფერი შენისგნით. ისხაკი ვერ გადაიტანს ამ სირცხვილს და სამარეში ჩავა.

„როგორ? თავი ვიმართლო ეხლა ამ საზიზღარი ადამიანის წინაშე“?—უსიამოვნოდ გაიფიქრა ნათანმა და გადასწყვიტა, რომ იგი დამუნჯდებოდა, რომ იგი ხმას არ ამოიღებდა ვიდრე კოჭლი მელამედი არ გამოიყვანდა მას მოთმინებიდან.

მელამედი აგრძელებდა დატუქსვას:

- მე რამდენჯელ მისწავლებია შენთვის ბავშობაში: „უმეარესაიხ უმეხარებაიხ მიმეყაიხ იეცეუ“.[1]) ხო ხედავ, როგორ მართლდება წმინდა თორის ბრძანება ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე. რა გვიშავდა ჩვენ ისრაელის ხალხს, რომ მტრებად არ აგვდგომოდენ საკუთარი შვილები? შენ იცი ისხაკი რა დღეშია? მიიღო თუ არა ცნობა შენი საქმეების შესახებ, იგი ჩაწვა ლოგინში და შეიქნა მძიმე ავადმყოფი. შენი ცოდვების გამო აკადოშ ბარუხუ სჯის შენს უბედურ მშობლებს, წაართვა იმათ ფარნასა[2]) და დღეს თუ ხვალ ისინი ან ავათმყოფობით ან შიმშილით ამოსწყდებიან.

ნათანს ერთი წუთით დაავიწყდა, რომ იგი ქალაქში იყო და თავი წარმოიდგინა ბავშობაში, ხედერში, როდესაც გრძელი წნელით ხელში მას თავზე ადგა კოჭლი მელამედი. მაგრამ ავტომობილის გუგუნმა, რომელიც შემოესმა მას ამ დროს ქუჩიდან, დააბრუნა იგი სიცხადეში:

„ხომ არ გაგიჟდა ეს კოჭლი. ნუ თუ მას კიდევ თავის ხედერში ვგონივარ“?

მელამედი იძლეოდა „რეცეპტსაც“:

— არის წამალი, რომელიც უშველის საქმეს. ჯერ ერთი შენ დაგჭირდება მისწერო მშობლებს, რომ ამას იქით შენ ხელს იღებ უბედურ გზიდან და ეცდები გამოასწორო შენი დანაშაული. მერე - მეორე. შენ უნდა მომცე მე სიტყვა, რომ აწი აღარ შემეხები ცუდათ არც მე, არც ისრაელის რჯულს და არც მის თორას. შემდეგ—მესამე. შენის ფეხით უნდა მიხვიდე ბენიამინ ბერიძესთან, მოიხადო ბოდიში და სამუდამოთ ხელი აიღო მის ქალიშვილ ესთერზე, რომელიც დანიშნულია ყეზრა შათაშვილის მიერ „ქედათ მოშე ვეისრაელ“[3]).

---

[1]) „შენი დამრღვევლები და შენი გამ-ოხრებლები შენი წელებიდან გამოვლენ“.

[2]) ფარნასა—სარჩო, საზრდო, ლუკმა პური.

[3]) „მოშესა და ისრაელის რჯულის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეტის მეტი იყო და ნათანი წამოდგა აღელვებით:

— რაბი! მე არ მომიცია თქვენთვის უფლება...

— უფლება მე აკადოშ-ბარუხუმ მომცა.

— აკადოშბარუხუ მე არ მწამს.

— ავადმყოფმა მამაშენმა დამავალა...

— მამაჩემი შემცდარა.

— შენ იმას ჩაიყვან სამარეში.

— კმარა. ხმა გაკმინდეთ!

— ვის ეუბნები ამას? შენს რაბის რომელმაც გასწავლა თორის სიტყვა?

და გაფითრებული ნათანის გაოცებამ მიაღწია თავის კულმინაციურ წერტილს, როცა ამის შემდეგ მელამედი გადადგა ფანჯარასთან და გადასძახა:

— ყეზრა! ამოდი აქ!

— ეხლავე, რაბი—მოისმა გარედან და თვალის დახამხამების უმალ ოთახში გაჩნდა ყეზრა შათაშვილი, რომელიც ამოეფარა მელამედის ზურგს და დამფრთხალი პირუტყვის თვალებით დაუწყო ცქერა თავის განათლებულ მეტოქეს.

— ყეზრა!—მიმართა მას მელამედმა—იცოდე, რომ ეს კაცი არის ქვა. ამ კაცზე არ სჭრის არავითარი საშუალება. დაგრჩენია კიდევ უკანასკნელი საშუალება. ესაა მისცე მას ის წინადადება, რომელიც შენ გქონდა განზრახული.

ყეზრამ გაუბედავათ დაიწყო:

— ბატონო ნათან... ჩვენ მართალია ერთმანეთთან არა ვართ კარგად, მაგრამ ამაში შენა ხარ დამნაშავე. თუმცა არც შენა ხარ დამნაშავე, მაგრამ ქალია დამნაშავე...

ნათანი განრისხდა:

— მოკლედ. რა გნებავს?

— აიღე ხელი ესთერზე. ფული ბევრი მაქვს. ბევრი არა, მაგრამ საყოფი. მითხარი, რამდენი გინდა. მოგცემ ატსტუპნოის...

„ატსტუპნოი“?...

ნათანს მოეჩვენა, რომ იგი უკვე გაგიჟების პირას იყო. საჩქაროდ მიირბინა კარებთან, გამოაღო და შეჰყვირა მათ:

— ამ წუთში გაეთრიეთ ორივენი...

ყეზრამ და მელამედმა გადახედეს ერთმანეთს, შემდეგ ნათანის სახეზე წაიკითხეს მისი ნებისყოფის სიძლიერე და ხმაამოუღებლად, ბარბაცით და უკან დახევით არჩიეს დაეტოვებინათ ნათანის ოთახი, რომლის პატრონი მათი გასვლის შემდეგ დიდხანს ვერ წყნარდებოდა:

„ფული. ფული და ისევ ფული. აი მათი საზომი, აი მათი ძალა. ფულით ზომავენ მთელ ქვეყანას. ფულით უნდათ იყიდონ ესთერი. ფულით უნდათ მიყიდონ მეც“.

შემდეგ როდესაც განვლო ცოტახანმა და მოაგონდა თავის მშობლები, მიუახლოვდა თავის საწერ მაგიდას, ამოიღო ქაღალდი და შეუდგა წერას:

„ჩემო საყვარელო და ძვირფასო მშობლებო! ნუ ენდობით კოჭლ მხეცებს და უსინდისო შათაშვილებს, რომლებიც ცილს სწამებენ თქვენს საყვარელ ნათანს.

ნუ თუ დღემდე არ მიცნობთ? ნუ თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ მე უზნეო საქციელის ჩამდენი არა ვარ?

ამ ჭორებმა გული მომიკლეს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ დიდხანს სწერდა და სწერდა.

როდესაც დაასრულა წერა, უკვე დაღამებული იყო.

და ეს დღე დაღამდა ისე, რომ ნათანის პირს არ მიჰკარებია არც ერთი ლუკმა.

* * *

კოჭლი მელამედი თავისას არ იშლიდა: მაინც და მაინც უნდოდა დაემტკიცებინა ყეზრასთვის, რომ ფსიქოლოგიური ზეგავლენით შეიძლებოდა ნათანისათვის კაცს ხელი აეღებინებია ესთერზე. ამისათვის მისი აზრით, საჭირო იყო ისეთი კაცის გამოძებნა, რომლის აზრს ნათანი ანგარიშს გაუწევდა.

„ასეთი კაცის“ ძებნაში მათ განვლეს რამოდენიმე ქუჩა და უკვე მიუახლოვდენ ფეთხაინს, რომლის მცხოვრებთ არა ერთხელ უნახავთ ისინი ერთადგანსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ამჟამად ისინი ჩვეულებრივზე უფრო გაწითლებული იყვენ, ლაპარაკობდენ გაცილებით ხმა მაღლა ვიდრე ოდესმე და ხშირად იმეორებდენ მსგავს ფრაზებს:

— ხო გაიგონე?

— ნეტავი არ გაეგონათ ჩემს ყურებს, რაბი!

— ხო დაინახე?

— ნეტავი არ დაენახათ ჩემს თვალებს, რაბი!

— ეხლა გადადება აღარ შეიძლება. კაცია საჭირო.

— კაცია საჭირო, რაბი.

— ვინ?

— ვინ, რაბი?

— ვიფიქროთ.

— ვიფიქროთ, რაბი.

ამოცანა მეტად თავსატეხი აღმოჩნდა. კარგა ხანმა განვლო, ვიდრე მელამედის სახე გაბრწყინდებოდა. და ყეზრამ ყურები სცქვიტა.

— უნივერსიტეტში მას ჰყავს ბევრი პროფესორები?

— ბევრი, რაბი.

— რომელია ყველაზე მთავარი?

— მთავარი არის... თუმცა მე არ ვიცი... მაგრამ კაცი გაიგებს... ნახევარი საათის შემდეგ, რაბი, მე მოვალ ადრესით.

და გახარებული ყეზრა გავარდა ოსიპთან, რომელმაც ყეზრა მიიღო დიდის ამბით, მიუხედავათ იმისა, რომ წინედ იგი მას ეშუქრებოდა.

— პირობაზე როგორა ხარ?—შეეკითხა შესვლისთანავე ოსიპი,

— როცა კი არ ინებებ, ქეთუბას უფასოდ წავაკითხვინებ. ეხლა მაინც ისეთი რაბი გვყავს, რომ ახალციხელების ობშჩესტვა შურით პირს ილოკავს.

— გიყვარდეს...

— ნათანის პროფესორებს თუ იცნობ, პატივცემულო ოსიპ?

— როგორ არა. ორმოცზე მეტია. ყველა ჩემი ძმა კაცები არიან.—მოაწონა თავი ყეზრას.

— ვინ არის მათში მთავარი?

— მთავარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსიპი შეყოყმანდა: არც ერთის სახელი არ იცოდა, მაგრამ უცბად, თითქოს ეშმაკმა იხსნა გასაჭირისგან, მოაგონდა ნათანის მხრით არა ერთხელ გაგონილი მოხუცი პროფესორის სახელი და სიხარულით მიუგო:

— მელიტონ გობეჯიშვილი.

— ადრესი არ იცი?

— ადრესი... როგორ არა. ერთხელ ამხანაგებმა მივაცილეთ ნათანი. გამოცდები ჰქონდა. აქედან ახლოსაა. პუშკინის ქუჩაზე ცხოვრობს ოცდასამი ნომერი, თუ ოცდახუთი...

... ყეზრა და მელამედი ისევ ერთად იყვნენ.

— საჭიროა დაუყონებლივ მასთან მისვლა—ეუბნებოდა მელამედი.

— საჭიროა, რაბი—უდასტურებდა ყეზრაც.

— წავიდეთ.

— მე რაღა საჭირო ვარ? არა, საჭირო კი ვარ, მაგრამ...

— ორი ჯობია ყეზრა. ისრაელების დელეგაცია. გესმის?

— ჭკვიანი ბრძანდები, რაბი.

... მელიტონ გობეჯიშვილი გართული იყო თავის მეცნიერულ შრომებში და როდესაც მის წინ წარსდგენ ყეზრა შათაშვილი და კოჭლი მელამედი, დიდ ხანს ვერ მოვიდა გონს და ვერც გაიგო თუ რა ჭკუის ხალხი ეწვია მას და ვის წარმოადგენდენ.

რამოდენიჯერმე გაამეორებინა მათ:

„ტფილისში მყოფი ცხინვალელი ებრაელების ობშჩესტვას დელეგაცია“.

და მაინც ვერ გაიგო. გამუდმებით მხრებს სწევდა, ხელებს შლიდა და თავისთვის, თითქოს ვიღაცაზე გამოჯავრებით, ამბობდა:

— ტფილისი. ცხინვალი. ობშჩესტვა. დელეგაცია. გაუგებარია.

შემდეგ, თითქოს შეურიგდა ბედს, დააქნია ხელი და მიმართა ახლად მოსულებს:

— ვთქვათ, გავიგე ვინცა ბრძანდებით. რითი შემიძლია გემსახუროთ?

წინ წამოდგა კოჭლი მელამედი, წვერზე და ულვაშზე ავტორიტეტულად ხელი გადაისვა, განგებ ჩაახველა და დაიწყო:

— დიდათ პატივცემულო, განათლებულო პროფესორო, ბატონო მელიტონ! ყოველი კაცი, რომელიც რომა თქვენ გიცნობთ, იძახის რომ თქვენ საამაყო ადამიანი ბრძანდებით. თქვენ გახასიათებთ პატიოსნება, ზნეობრიობა, ადამიანის სულის გაგება, ღრმა ცოდნა, დიდი დაკვირვება...

მელიტონმა შეაწყვეტინა:

— რისთვის მელაპარაკებით ამდენს ჩემს შესახებ? ჩემს იუბილეს მოწყობას ხომ არ ეპირებით? გამოტყდით, სიმართლე სთქვით: თქვენ საინიციატივო კომისია ხართ? გავიგე ხომ? იუბილე გინდათ არა?

ეხლა კოჭლი მელამედი დაიბნა, რომელმაც არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „იუბილე“ და ვედრების თვალებით გადახედა ყეზრას, თითქოს უნდოდა ეთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რას ჩაგიგდია ხმა, დამეხმარე, ხო ხედავ მიჭირსო“.

და ყეზრამ მოულოდნელად „იხსნა“ თავისი რაბი განსაცდელისაგან.

— ჩვენ გიახელით ნათან ჯანაშვილის შესახებ, რომელიცა რომა არის თქვენი სტუდენტი, რომელიცა რომა...

— ჰო. ნათან ჯანაშვილის შესახებ.—გამოსწორდა წელში კოჭლი მელამედიც.

— ნათან ჯანაშვილი ჩემი საუკეთესო შეგირდია. რა ბოხდა?

— ჰო და ბატონო პროფესორო, თქვენმა საუკეთესო შეგირდმა—განაგრძო მელამედმა—ჩირქი მოსცხო მთელ ისრაელობას, ჩირქი მოგცხოთ თქვენ, უნივერსიტეტს...

— რა ჩაიდინა მეთქი?—უკვე გაბრაზებით შეეკითხა მელიტონი.

— აი ამ კაცმა, ყეზრა შათაშვილმა, რომელიც არის ცხინვალელების მთავარი გაბაი, ებრაელების რჯულის მიხედვით დანიშნა თავის მეუღლედ ესთერ ბერიძე. ეხლა შუაში ჩამდგარა თქვენი სტუდენტი ნათან ჯანაშვილი, გადაუბირებია ქალი და ამ კაცს დაურღვია მთელი თავისი გეგმები.

— ეგ არაფერი. ჩემი ცოლიც სხვაზე იყო დანიშნული, მაგრამ მე მოვეწონე და მე გამომყვა. ეხლა იმ ქალს თუ ჩემი შეგირდი მოსწონს, ძალიან კარგი გემოვნება ჰქონია, თქვენმა მზემ. მე ხომ ვერ დაუშლი იმ ქალს.

— იმ ქალს არა ბატონო—გამწარებით შეჰყვირა ყეზრამ—თქვენს მოწაფეს უთხარით რამე, რომ ხელი აიღოს ჩემს დანიშნულზე.

— რაო?

— ჩამოეთხოვოს ბატონო, ესთერს—არ ეშვებოდა ყეზრა.— ის ქალი ისრაელის და მოსეს რჯულით ჩემი დანიშნულია.

— ეხლა ცოლქმრის საკითხი მოსეს რჯულის მიხედვით აღარ სწყდება. ამისთვის არსებობს სამოქალაქო სამართალი. განზრახულია და ალბად მალე გამოვა სპეციალურად საოჯახო კოდექსიც. თუ კი ქალი ნათანს მიჰყვება—საბჭოთა კანონები იმათ მხარეზე აღმოჩნდება.

კოჭლმა მელამედმა მიმართა თავის უკანასკნელ „არგუმენტს“:

— ბატონო პროფესორო, ჩვენ მოვედით იმისათვის, რომ საქმე გამოგვიწყოთ. თქვენი პატივისცემა ჩვენს კისერზე იყოს. დაასახელეთ, რამდენს ინებებთ.

პროფესორი შეურაცხყოფისაგან გაფითრდა, საჩქაროდ გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც გამოიტანა უზარმაზარი კომბალი, რომელიც აღმართა თავის ხელში:

— უყურებთ ამ კომბალს?... როგორ გაბედეთ თქვე სპეკულიანტებო... შორს, შორს აქედან. გამეცალეთ მეთქი, ვიდრე თქვენი თავები არ მიმიჰეჭყია...

მოხუცი პროფესორი დიდხანს ქშინავდა და ბორგავდა.

დამფრთხალმა „დელეგატებმა“ ძლივს ჩაირბინეს ...ეზეზე და შიშით იმზირებოდენ უკან.

ბიბლიოთეკა

როდესაც გავიდენ „სამშვიდობოს“, კოჭლმა მელამედმა მიმართა ყეზრას:

— მშვიდობიანობის გზები დასრულდა...

და ყეზრამაც, ჭურივით, უპასუხა:

— დასრულდა...

(გაგრძელება იქნება)

oooooooooooo

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ. სულიაშვილი

ორი ქალაქი

ნარკვევი

ტფილისიდან ულელტეხილამდე. მგზავრებით დატვირთული მატარებელი ტფილისიდან დიდუბისაკენ რომ დაიძვრის, შეხუთული ჰაერით შეწუხებული, გაოფლიანებული და სავსე ვაგონი მსუბუქად ამოისუნთქავს. გოდორში ჩაყრილ თევზივით ერთმანეთზე მილაგებული წამსვლელები მოვარდნილ ნიავს სახეს მიუშვებენ და მიდამოს გახედავენ. ჯერ კიდევ ტფილისის ლანდშაფტი: მამა დავითის გორაკის წვერზე წამოსკუპებული თეთრი შენობა, ამ გორაკის დანაოჭებული ფერდოები, სახლის სახურავები, გუმბათები, აქა იქ მაღნარი, სულ ახლო კი რკინის გზის შენობები, ლიანდაგზე მდგარი ვაგონები და ტელეგრაფის ბოძები — ყველაფერი ეს ბრუნავს, მოძრაობს — მახლობელი საგნები უკან მორბიან, შორეული კი ტრიალით წინ მოდიან...

ძველი ქალაქი უკან რჩება, მაგრამ აგერ, ახალი ქალაქის ახალი შვილები. თვალი ვერ ასწრებს მხედველობამ აღბეჭდოს აქოჩრებული ცხოვრების ჯერ კიდევ დაუმთავრებელი თუ დამთავრებული ქარხნების, ფაბრიკების, კავშირების თუ ტრესტების შენობები... ჭეშმარიტად საბჭოთა აღმშენებლობა ამირანის ნაბიჯით მიდის წინ! აგერ პურ-კავშირის ფარეე განიერი პურის ფქვილის საწყობები. შემდეგ ლითონის კონსტრუქციის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ქარხანა. აგერ იქით, მაუდის ქარხანა, აქ მუშაობა უკვე სწარმოებს და მალე ყველაფერი, რომ კალაპოტში ჩადგება, ტფილისს საკმარისი მაუდი ექნება. აგერ ლიანდაგის გაყოლებით ახლო ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

მეორე მხარეს — საქართველოს მკერავტრესტის ფაბრიკა. იქით, — მიზდილი მაღალი შენობა — ეს ამიერ კავკასიის გზათა მიმოსვლის ინჟენერთა ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სახლია. იქვე რკინის გზის საქარხნო საფაბრიკო სკოლაა. აგერ მძიმე ინდუსტრიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა-ჩონჩხი, რომელიც მალე ხორცს შეისხავს და ავტომობილების ამწყობ-შემკვრელ ქარხნად იქცევა და ასე დიდუბის სადგურამდე გაშენდება ახალი ინდუსტრიალური მუშათა ქალაქი და ამ ფართობში მოექცევა ქარხნების თუ ტრესტების შენობები: უკვე შენდება გიპსის ჩამომსხმელი ქარხანა, ამიერ კავკასიის თბილი-ტინობი, საბურღი მანქანების ტრესტის დიდი ქარხანა, მანქანების სარემონტო ტრესტის ქარხანა და სხვა და სხვა.

მალე მატარებელი ველ-მინდორს გაირბენს და მგზავრის გულსაც ეს ახარებს. იგი ისწრაფის და ცნობის მოყვარე თვალი შეუმჩნეველს არ სტოვებს მარჯვნით გორაკების ფერდოებზე ზოლად გაყოლებულ ხან მიმარული, ხან გამოჩენილ თხრილებს, ზოგან ხიდების და ზოგან ჭიაყელის მსგავსათ გადმობრუნებულ მიწის ნათხარს ეს უკვე რამდენიმე ათეულ ვერსიდან მილებში გაყვანილი ნატახტარის ანკარა წყაროებია ტფილისელების გულს რომ აგრილებს ზაფხულის სიცხეებში. სხვა რომელი ქალაქია კიდევ ასეთი სიდიდის, რომელიც ასე ცივი და ანკარა წყაროებით საზრდოებს? ჭეშმარიტად ეს ოცნებაა სინამდვილეში გადასულის.

ავჭალის სადგურის გვერდით მარცხნივ შუშის ქარხანაა იქვე ლიანდაგთან ისე ახლო, რომ ფანჯრიდან გარკვევით ხედავ დაკარწახებულ ცხელ ღუმელთან მომუშავე მუშას, პაპანაქებაში, რომ ბოთლებს ასხამს.

მატარებელი შორდება, სადგურს და გვერდით იტოვებს ძველი ტფილისის ძველ წყალსადენს, ბაღნარით, რომ მიჩქმალულა მტკვრის პირად. აგერ მტკვარიც! „მოდუდუნე მტკვარი ანკარა“...

ახლა ცხენით მგზავრობა იშვიათია. აღარც ჩოხა ახალუხიანი მგზავრები მოსჩანან მტკვრის პირად, რომ ცხენიდან ჩრდილში ჩამოხტეს, რომ „ერთი ქართველურად მაინც შესძახოს და მერე თუნდა დაუგვიანდეს იმან ამისათვის აღარ ინაღვლოს“...

ეხლა ყველა ეშურება· დაგვიანებისათვის ძალიანაც ინაღვლებს და ამიტომ ყველა სწუხს და იგინება ზაჰესის პატარა ბაქანზე რომ მატარებელი ჩერდება. ლამაზი კოხტა სადგურია, მაგრამ მგზავრებს ეშურება...

აქედან იწყება ზაჰესი და მისი მშენებლობა. გაფაციცებული მხედველობა ცდილობს ერთი თვალის მოვლებით აუბეჭდავი არ დარჩეს ზაჰესის საგენერატორო სადგური, მისი დამთავრებული და ეხლა კიდევ მშენებლობაში მყოფი დაუმთავრებელი ტურბინები და აქოჩრებულ, აქაფებულ მტკვარის დენა ტურბინების გვერდით...

აგერ მალე, ოვით ზაჰესის მიერ დატყვევებული მტკვარი და არაგვი-არაგვიანი. — კონცხზე ლენინის ძეგლი და იქით გორაკის ძირში ზაჰესის ახალი შენობები. შენობების ზევით გორაკზე ძველი ჯვარის მონასტერი, საუკუნეებით რომ გაუძლო ქარსა და წვიმას და მაინც უდრეკი დარჩა. თავისი დუმილით წინად რომ იდუმალ გრძნობებს ბადებდა... ეხლა საუკუნეების ფარდების იქით მიიჩქმალა. მის ძირში კი ზაჰესმა შუქ ბრდღვიალა კოცონები აანთო...

აგერ ძველი მცხეთა. მცხეთის ტაძარი. შეგუბებული მტკვარი და ძველი ხიდი წყალში ჩაფლული, ხოლო მის ზევით ახალი მაღალი გძელი ხიდი და აზნავთის მშენებლობა — ეს თეთრი სახლები ყველგან რომ თავის ელფერს სტოვებენ.

სადგური. მცხეთის სადგური, წინად აქ ყოველი მგზავრი მატარებლის გაჩერებისას ბუფეტში ეშურებოდნენ, რომ მცხეთის „პიროჟკები“ ეჭამა. ეხლა აღარ არის ეს, „პიროჟკები“, ხოლო პატარა ბიჭები დოქებით ხელში დარბიან ბაქანზე და რატომღაც რუსულად გაიძახიან — „ვადა, ხალოდნი-ვადა“!.. მატარებელიც დიდ ხანს არ ჩერდება და მალე დაიძვრის.

მცხეთას ჯერ კიდევ გაცილებული არა ხარ და შენს ყურადღებას მიიქცევს სადგურის პირდაპირ მეორე მხარეზე, გორაკის ფერდოებზე აგებული ახალი შენობები, კონცხებზე პატარა რგვალი საჩრდილობები და ბაღები, ბაღები... ბაღებში კი სახლები. ეს მუშათა დასასვენებელი ბინებია! ერთი თუ ორი, ორი კვირა მაინც ტფილისელ ყოველ მუშას შეუძლია დაისვენოს მცხეთის დასასვენებელ სახლებში.

ქსანის სადგურის პირდაპირ ძველი კრამიტისა და აგურის ქარხანა მტკვრის პირად, ეხლა განახლებული, კვლავ ამზადებს პროდუქტებს; ხოლო ეხლა უკვე სოციალისტურ მშენებლობისათვის და არა კაპიტალისტებისათვის.

სადგური კასპი. ეს ხომ სოფელს აღარა გავს!.. აქ უკვე მომქმედი ცემენტის ქარხანა ისე მძლავრად გაჭიმულა, ისეთი შენობები აუგია, რომ მთლიანად მიუჩმალავს ძველი სოფელი. მხოლოდ ქარხნის მომუშავეებს და მათ საცხოვრებელ ბინებს დაუპყრია იქაურობა.

ფანჯრიდან უმზერ ყოველივე ამას და განცვიფრებაში მოდიხარ საბჭოთა მშენებლობის მიღწევებით, გონებით ახალ მომავალ ცხოვრებას ითვალისწინებ... ფიქრებში ხარ გართული და ამ დროს შემოგესმის ხრინწიანი, ძველი ავლაბრული ყაიდით ჭიანურზე აყოლებული სიმღერა —

„დილას ხაში, ზედ არაყი.
ზედ კახურიც დავაყოლოთ,
ეს სოფელი სიზმარია
ლოთის გეგმა შევასრულოთ“...

მეჭიანურის გვერდით დაირის დამკვრელი. დაირას სახეზე იფარებს და შეუწყალებელი ხმით გაჰკივის, ბრუციანი ჭიანურს აჭიანურებს შეწუხებული ხმით და თან დამღერის. მსმენელები გარს შემოხვევიან და მოღიმარი სახით ყურს უგდებენ.

ამ დამკვრელებს სოფლელები დიდის ყურადღებით უსმენენ. სიტყვებს ინახსოვრებენ და შინ რომ ბრუნდებიან ამ მოტივს ავრცელებენ, მღერიან. უსათუოდ ასაკრძალავია ვაგონებში ასეთი კონცერტების გაძართვა.

მატარებელი ველ მინდორს მიარღვევს. მხედველობიდან ბევრი რამ გამოგრჩება აუნიშნავი. აქნამდის ვერ ამჩნევდი იმ მაღალს განივრად გაფარჩხულ რკინის ბოძებს, მსხვილი მავთულით რომ ერთმანეთს უერთდებიან. თვით ბოძებზე კი რაღაც თეთრი მათლაფები ჰკიდია. ეს ხაზი ლიანდაგიდან შორი ახლო მთაგორაკების ძირში იხლართება და ზაჰესიდან დაწყებული უღელტეხილამდე ელექტროდენი მიაქვს. იქ, სტალინისში ორთქმავალების მაგიერ, ელექტრომავალები მუშაობენ და უღელტეხილზე მატარებლებს მოაქროლებენ. გეშურება მათი ნახვა მაგრამ სტალინისი და მისი ელექტრომავლები ჯერ კიდევ შორსაა! გორი არ გაგვივლია!

გორამდე, სოფელ ხიდისთავის გაღმა რაღაც თეთრი შენობებია. განცვიფრებული ეკითხები — ეს პატარა ქალაქი როდის გაშენდა!? აზნავთის მშენებლობა ყოფილა, მაგრამ რატომღაც ყველა მშენებლობაზე ლამაზი. ბაღნარით მივარდნილ გორაკის ძირში, თეთრი შენობები, — მის გარშემო მწვანით მოფენილი ველ-მინდორია და სხვა არაფერი, — ისე მოსჩანს როგორც ზღაპარში

აწერილი უცხო ქალაქი, იქნებ ასე ლამაზად იმიტომ მოსჩანს, რომ ახლო ვერ ხედავ და შორიდან უმზერ? განსაკუთრებით ლამაზია იგი ღამით, როცა ელექტრონითაა განათებული წყვდიადით მოცულ მიდამოში.

აგერ გორსაც გავცილდით, მატარებელი ტრიალ მინდორზე მისრბალებს. სკრა, ქარელი... ეს ადგილები თავის ხილეულობით არის შესანიშნავი. სკრაში საბჭოთა დიდი მეურნეობაა — ხილეულობის სანერგე. შემდეგი იწყება ჭარხლეულობის მინდვრები და ასეთი კულტურული მეურნეობა უკვე გაგრძნობინებს, რომ მახლობლად უნდა იყვეს რაიმე წამოწყება, და მართლაც ქარელის შემდეგ აგარა. ეს პატარა სადგური ასე მალე რომ გაიზარდა?

იქვე ლიანდაგების გვერდით დიდი შენობაა, ეტყობა ჯერ კიდევ მთლიანად დასრულებული არაა, მის გარშემო კი, როგორც კრუხის გარშემო წიწილებივით გაფანტული საცხოვრებელი შენობები. მოსული ჭარხალი შემოდგომაზე აქ შაქრად გადამუშავდება და აგარის შაქრის ქარხანა საბჭოთა მეურნეობებში პირველ ალაგს დაიკავებს.

აგარის შემდეგ გომი და ოსიაურის პატარა ბაქანს რომ გავცილდებით სტალინისს მიუახლოვდებით! ჯერ კიდევ სამი-ოთხი ვერსის დაშორებით სოფელ ოსიაურის თავში — აზნავთის მშენებლობა. თეთრი ბატებივით გაფანტული შენობები, ხოლო შუაში მაღალ ფანჯრებიანი მქშინავი ნავთის საქაჩავი, დაუსვენებლად რომ ქითქითებს და ბაქოდან წამოსულ ნავთს ბათომისკენ აგზავნის...

აზნავთის მშენებლობის შემდეგ კიდევ მაღალი გაგძელებული ქვის შენობა. ამ შენობის ერთ მხარეს პირი დაუღია, ორ ხაზათ ლიანდაგი ჩაუყლაპავს, ზევიდან მსხვილი დაჭიმული მავთულები შუბლზე მიუჭედია და დაღებულ პირში თითქო ძვალი გასჩხიროდეს ყელში, რაღაც ვაგონის მგზავსი შეუჩერებია. ამ შეჩერებულ ვაგონს, ოთხად მოკეცილი რაღაც ფრთის მსგავსი მავთულზე მიუბჯენია. აგერ იგი დაიძრა მავთულს გაყვა და სადგურისაკენ წამოვიდა. რაღაც მსუბუქი ტკბილი სითხე გაგივლით სხეულში და თქვენ მიხვდებით, რომ ეს ელექტრომავალია და პირდაღებული შენობა კი მისი საყუდი. ჩვენ შევდივართ ელექტრომავალების სამეფოში...

აგერ იქით, გასწვრივ, კიდევ უცნაური შენობები, მავთულების ბადე და ჩურჩხელასავით დარინძული თეთრი მათლაფები ბოძებზე. ეს ელექტროს ქვესადგურია.

ჩვენი მატარებელი დინჯათ შედის ელექტროს მავთულებით მოფენილ სივრცეში ობობას ქსელივით რომ გადაჭიმულან მაღალ ბოძებზე და თავს ისე გრძნობთ თითქო მოხვდით მოჯადოებულ თვალმაქცების მხარეში.

ჯერ კიდევ პირველი ისრები გავლილი არა გაქვთ, რომ მარცხენა მხარიდან მხედველობაში აიბეჭდება ლიანდაგზე გაყოლებული ერთი გრძელი შავი ზოლი. ძველი ნავთის საქაჩავის ლიანდაგზე ერთმანეთზე გადაბმული, შავათ აყუდებული გძელი მძლავრი ორთქლმავალები ზლაპრულ მდევებივით ერთ ხაზათ გამწკრივებულა. ეს თვრამეტიოდე რკინის მდევები, ჩამქრალი ღუმელებით, უკვამლო საკვამურებით, უორთქლო მილებით და უძრავი ბორბლებით დუმილით მოცულან. ეს ორთქმავლები სრულიად საღი და უვნებლები არიან. მაშ, რატომ გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგარან განზე, არ აფქვევენ ნაპერწკლებს, არ ეხვევიან კვამლისა და ორთქლის ბადეში? ეს სათადარიგო ორთქმავალებია საჭიროების შემთხვევისათვის. ისინი ბუდამ მზად არიან ძვულებურად ჩაებახ მუშაობაში.

— ორთქლმავალზე მძლავრია ელექტრომავალი? ვეკითხები ჩემს თანამგზავრს.

— ერთი, ორს უდრის! სიმძლავრითაც, სისწრაფითაც!

— მაშ ერთი თუ ორს უდრის, რამხელა უნდა იყოს ელექტრომავალი?

— არა, სრულებითაც არ არის დიდი! აი, შეხედეთ? — და თანამგზავრმა თითით მეორე ფანჯრისკენ მიჩვენა.

მაშ ეს არის, ეს დაბალი გაჯაჯგული და უფერული ელექტრომავალი, რომელმაც ორ ორთქლმავალს აჯობა? ეს ყოფილა ის ფალავანი ორთქლი რომ დაამარცხა?

მატარებელმა სადგურის ბაქანი ჩამოაბნელა. ყველა გადმომსვლელმა ბარგს წაავლო ხელი. აქ მატარებელი დიდხანს ჩერდება. ტფილისიდან მოსული ორთქლმავალი მოიხსნება და მის მაგიერ უღელტეხილზე ელექტრომავალი იმოქმედებს.

სადგური სტალინისი, ძველად ხაშური, გარუსების პოლიტიკით მიხაილოვს რომ უწოდებდენ, ეხლა აბობოქრებული და ამოძრავებულია ისე, რომ ბაქანი მგზავრებს ველარ იტევს. უღელტეხილის სადგური თავისი ელექტრომავალებით უმაღლესი წერტილია იმისი, რაც ტფილისიდან დაწყებული აქნამდე აშენებულა. ჭეშმარიტად დიდი მიღწევაა არა თუ საბჭოთა კავშირის, არამედ ევროპის მაშტაბითაც.

ძველი მიხაილოვი ხაშური კვდება. მის ადგილს იკავებს ახალი ელექტროს ძალით ამოძრავებული სტალინისი. მის ლიანდაგებზე უკვე დასრიალებენ ფრთოსანი ელექტრომავლები და უღელტეხილის დაღმართზე კვილით ეშვებიან გასწრაფებული ცისტერნები.

მხედველობიდან მაინც არ გშორდება შავი ზოლი ჩამქრალი ორთქლმავლებისა ყუჩად რომ დამდგარან სადგურის შემოსავალში, ნაპერწკლებს აღარ აფქვევენ, დადუმებულან, ბაგრამ მაინც ამაყად და მედიდურად გამოიცქირებიან. მათ ადგილი დაუთმეს ელექტრომავალს და მის მიღწევებს.

ხოლო ვიდრე ახალ სტალინისზე ვილაპარაკებდეთ გავიხსენოთ ძისი წარსული. მკითხველს შეუძლია ორიოდე გვერდი—მიმოხილვა ძველი მიხაილოვ-ხაშურის შესახებ რომაა დაწერილი, გამოუშვას, არ წაიკითხოს. მე კი არ შემიძლია არ მოვიგონო ორსაკვამურიანი ორთქლმავლები, ძველი „ნაჩალნიკები" სასტავიტელები", ძველი საყუდი და იქ მომუშავენი, გარუსების პოლიტიკა, სადგურის ჟანდარმები და მათი რეჟიმი.

ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲝ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ. სამგზავრო მატარებელი სადგურ მიხაილოვოს ბაქანში შემოდის. აქლემივით მაღალი და კუზიანი ორთქლმავალი დაღლილობისაგან გუდასავით იფშუტება და ნელა მიაგორებს რვა წყვილ ბორბალს. კოლოფებივით ერთმანეთზე მილაგებული ვაგონები ჩამოაბნელებენ პირველი კლასის ბუ-

ფეტის ფანჯარებს. ჯერ კიდევ მიმავალ მატარებლის ყვითელ *) ვაგონიდან ყველაზე ადრე გრძელ წვერიანი ობერ-კონდუქტორი ჩამოხტება. პალტოს სიგრძეზე ჩამწკრივებული თეთრი ღილებით და მხრებზე დაგრეხილი ეპოლეტებით იგი თავისი ღირსების მთლიანი შეგნებით მიმოიხედავს. უბიდან სასტვენს ამოიღებს, წვერ-ულვაშით გაბარდულ ტუჩებში ჩაიდებს, დასტვენს და ამით მემანქანეს ამცნობს, რომ მატარებელი შეაჩეროს. ორთქლმავალი დაჭრილ ირემივით დაიყვირებს და მუხრუჭისაგან ასრიალებული ბორბლები შედგებიან.

მატარებლის გაჩერებისთანავე სადგურის კედელზე გადმოკიდებული ზარი აწკრიალდება. ბუფეტის შესასვლელ კართან ვინმე მაღალი, რიჟა წვერულვაშიანი ბოხი ხმით მგზავრებს რუსულად ამცნობს: „სადგური მიხაილოვო, მატარებელი ჩერდება თხუთმეტი წუთი!..“.

მიუხედავად იმისა, რომ დრო საკმარისია, სადგურზე ჩოჩქალია, ფუსფუსი და სწრაფი მიმოსვლა, ყვითელ და ლურჯ ვაგონებიდან სამგზავრო ტანისამოსში გამოწყობილი მგზავრები ბუფეტისკენ ეშურებიან. მხრებზე ყველას თასმიანი ყვითელი ტყავის პატარა ჩანთები აქვთ ჩამოკიდებული. კართან რომ გაივლიან მეკარეს ეკითხებიან რამდენ ხანს ჩერდება მატარებელი—და პასუხს რომ მიიღებენ, თითქმის სირბილით გაირბენენ ვიწრო დარბაზს, და გრძელ, გაშლილ მაგიდას შემოუსხდებიან. თეთრ წინ საფარებში გამოწყობილი თარეშები საჭმელების „მენუის“ ხან ერთ მგზავრს აუფარებენ თვალწინ, ხან მეორეს. გაშლილ სუფრაზე საჭმელებს ოშხივალი ადის, თეფშები და დანაჩანგალი ჩხრიალებს. ყველა ჩქარობს, სისწრაფით ილუკმება და თან ფარეშს ახალ საჭმელს უკვეთავს. უკანასკნელიც ხშირად გარბის ბუფეტისაკენ და მკლავზე გამწკრივებული საინებით ნაირ-ნაირი საჭმელები მოაქვს.

გარეთ, სადგურის დახურულ ბაქანზე სწრაფი მიმოსვლაა. სადგურის უფროსი განკარგულებებს იძლევა, მემანქანემ უკვე მოხსნა თავისი ორთქლმავალი და საყუდისაკენ გასწია. აგერ ზედა ისრებთან ორთქლითა და კვამლით შებურდნული, ორ საკვამურიანი ორთქლმავალი აფხორილი ინდაურივით ნელა მისრიალებს მატარებლისაკენ.

აფუსფუსებულ ხალხში, წითელ ულვაშებიანი ჟანდარმი, დეზიანი მამალივით დაიარება, წითელ ქუდა სადგურის უფროსის გვერდით რომ გაივლის, „კარტუზთან“ ორ თითს მიიღებს სალამის ნიშნად. თავს ისე გრძნობენ, როგორც მასპინძელი სტუმრების მიღების დროს. ჟანდარმი მგზავრებს ათვალიერებს და თუ ვინმე ურიგოთ ჩაცმული პირველი კლასის ბუფეტში შესვლას მოინდომებს, ხელის კვრით და მუჯლუგუნით მესამე კლასის დარბაზისაკენ გაისტუმრებს.

მესამე კლასის მგზავრები ხურჯინებით და ტომრებით გასავლელ კართან იჭედებიან და ფართე დარბაზში რომ შევლენ ბარგსაც იქვე შუა ადგილს შეაქუჩებენ, მწვანე ვაგონებიდან მხოლოდ ორიოდე თუ ჩამოვა საჭმელისათვის და მალე ისევ უკან დაბრუნდება ძეხვის ან ყველის ნაჭერით ხელში. თუ რომელიმე და-

*) წინად სამგზავრო ვაგონები სამი ფერისა იყო: ლურჯი—პირველი კლასის, ყვითელი—მეორე და მწვანე—მესამე კლასისა.

ბალი მოხელე ჩაიდანით ადუღებულ წყალს მოიკითხავს, ეს უთუოდ სბირიდონ მცირეშვილი იქნება ტფილისიდან ავადმყოფი ცოლით დაბრუნებული.

ვიდრე მატარებელი გაემგზავრება, სადგურის ყველა მოსამსახურე — სადგურის უფროსი თუ ტელეგრაფისტი, მეისრე თუ ვაგონების გადამბმელი, ტვირთმზიდავი თუ მეკარე — ყველა ფაცაფუცშია. უფროსი თავის თანაშემწეს ბრძანებლობს, თანაშემწე ტელეგრაფისტს, ტელეგრაფისტი ვაგონების გადამბმელს და ასე მეისრემდის ყველა ბრძანებლობს. ხოლო თუ ფათერაკი რამე დაემართა მატარებელს, ამაში დამნაშავე უთუოდ მეისრე აღმოჩნდება.

ორსაკვამურიანი „ფერლე"-ს სისტემის ორთქლმავალი უკვე მიუბეს მატარებელს. ეხლა ეს ორთქმავალი წაიყვანს მატარებელს ულელტეხილზე. მანქანა მართლა აფხორილი ინდაურივით მოკლეა, ჩამჯდარი, აბუძგული; კვამლსა და ორთქლშია გახვეული და მუდამ ქშინავს. მისი პატარა ბორბლები მორკალულ გველივით სრიალებს ლიანდაგზე. ხვლიკივით მიძვრება მთაგორაკიან მიხვეულ-მოხვეულებში, მისი ორი საკვამური განიერი რკინის ტუჩებით მუდამ ნაპერწკლებს აფრქვევს, გველეშაპივით ქშინავს, იდორბლება, თეთრი ლეჩაქით იბურება, იმუქრება. თითქო მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ საცოდავად გაჰკივის დალმართში; მშიშარაა და კონდუქტორებს ეხვეწება — მიშველეთ, მოამუხრუჭეთ, თორემ მე მაგდენი სიმძლავრე არ შემწევს და მატარებელს ვერ შევიკავებო... მაშინ ახრიალდებინ ბორბლები და მუხრუჭებს დამძრაფებისაგან ცეცხლი ეკიდება. ეხლა კი, როცა მანქანა დგას და მატარებელზეა მიბმული, ამაყად და მედიდურად გამოიყურება. კრუხივით ქოთქოთებს. მის მართვა-გამგეობას ოთხი კაცი უნდება — ორი მემანქანე და ორიც თანაშემწე. ოთხივე ნავთით და მაზუთით გალუმპული არიან, მათი ტანისამოსიც შავათ გაჟღენთილა და ხელები და სახე დამურულა. ვიდრე წასვლის ნიშანს მისცემდენ მემანქანეებიც და თანაშემწეებიც კიდევ ერთხელ ათვალიერებენ ორთქლმავალს და მის დაურვებას უნდებიან.

უცბად, ჩოჩქოლსა, სირბილსა და ფუსფუსში ზარის წკრიალი გაისმის. ეს მეორე ზარია. იგივე მეკარე რიჟა ულვაშიანი ბოხი ხმით შესძახებს — „მეორე ზარი, ბათომისაკენ!"... ამის გაგონებასთან ერთად მაგიდასთან მსხდარი ყველა წამოხტება, სკამებს გააქვთ ხრიალი, ფარეშები ფაცაფუცით თეფშებს მიაწყობენ და მიღებულ ფულს ითვლიან. მუნდირიანი და ეპოლეტიანი მგზავრები თან ილუკმებიან და თან მირბიან. ყველა მიდი-მოდის მოუსვენრობს, მოძრაობს და ქანაობს — ისიც ვინც წამსვლელია და ისიც ვინც რჩება.

მანქანა დაურვებულია. ობერკონდუქტორი სასტვენით ხელში მესამე ზარის დარეკას ელის. რუსული ლაპარაკი, გაძახილი. ერთხანად მიმოსვლა მიწყნარდება. გაისმის მესამე ზარის წკრიალი. წითელ ქუდიანი სადგურის უფროსი კვლავ ბაქანზე გამოჩნდება. ჟანდარმი ვაგონების წინ გაიჭიმება, ობერკონდუქტორი დასტვენს. მას მანქანა გამოეხმაურება; ობერკონდუქტორი კიდევ დასტვენს, მანქანა კიდევ დაიკივლებს. მერე თეთრ საბურავში გაეხვევა, ადორბლდება, ადუღდება, შეინძრევა, მაგრამ პირველ შენძრევაზე მატარებელს ვერ დასძრავს, კიდევ დაიქლოშინებს და ბორბლებს ერთ ადგილს აატრიალებს, მერე უკან დაიხევს, ისევ წინ წაიწევს და ვაგონების ბორბლებიც ახრიალდება.

ჯერ ნელა და მერე უფრო სწრაფი სიარულით, მატარებელი ჩამოსცილდება ბაქანს.

მიუხედავად მრავალ გზის გაფრთხილებისა—ზარის, [illegible]—ბასტვენის და მანქანის დაკივლების შემდეგ,—მაინც მოიპოვებიან ისეთი მგზავრები, რომელნიც თითქო ეხლა გამოერკვენ და მიმავალ მატარებელს რომ დაინახავენ სისწრაფით გარბიან და ვაგონებს ახტებიან. ხოლო ამაყი მედიდური ობერკონდუქტორი ყველაზე ბოლოს შეადგამს ფეხს უკანასკნელ ვაგონის საფეხურს და კიბეზე შეჩერებული მედიდურად მიმოათვარიელებს ხალხით სავსე სადგურს. აქამდე ჩაბნელებული ბაქანი ნათდება და შორიდან მოისმის ორსაკვამურიან ორთქლმავლის კივილი.

ასე თხუთმეტი წუთით დღეში ორჯელ ახმაურდება სადგური მიხაილოვო და შემდეგ კი მიწყნარდება. თხუთმეტი წუთით გამოცოცხლდება მის გარშემო შემომწკრივებული სახლები და დუქნებიც.

თხუთმეტი წუთით სადგურზე გამოვა და მგზავრთა შორის დასეირნობს მიხაილოვოს გარშემო შენობებში მცხოვრები უსაქმური ტარიელ მკლავაძეები, თავისუფალი რკინის გზის მოხელეები, სკოლის მასწავლებლები, კოპწიად გამოწყობილი ორიოდე ქალიშვილი და სასწავლებლიდან დათხოვილი ვაჟები. დროს გასატარებლად ესენი სადგურზე გამოდიან სამგზავრო მატარებლის მოსვლის დროს და მის წასვლის შემდეგ ზოგი შინისკენ გაუდგება და ზოგიც სარდაფისკენ.

წინანდელი პატარა სოფელი ხაშური გაიზარდა და უკვე მოზრდილა და ბად გადაიქცა მას შემდეგ, რაც აქ რკინის გზა გაიყვანეს, რაც სადგური და საყუდი ააშენეს. სოფელმაც სადგურის გარშემო დაიწყო ზრდა. რკინის გზის სადგურის მოსამსახურენი—კონდუქტორები, მემანქანეები, მეისრეები, ტელეგრაფისტები საყუდის და სახელოსნოში მომუშავენი, სცილდებოდენ რა თავის სოფელს, სადგურის მახლობლად იძენდენ მიწებს და იშენებდენ სახლებს.

ამნაირად სადგურის ერთ მხარეს გაშენდა ბაზარი, ბაზრის დუქნები, სარდაფები, საყასპოები, აფთიაკი და ცხოვრებისათვის საჭირო საზოგადო დაწესებულებანი—სასოფლო კანცელარია, სკოლა, პოლიცია და სხვა.

სოფელს თითქო თავის საკუთარი ცხოვრება ქონდა, თავისი მოთხოვნილება, უფლება და ვალდებულებანი, მაგრამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული რკინის გზის ცხოვრებასთან. ასე რომ სოფლის ზრდა-განვითარება და ბოლოს რკინის გზის მოსამსახურეებთან ერთად ერთ მთლიან ინტერესებისაგან შედგებოდა. ხოლო როგორც სადგურს, ისე სოფელს, რკინის გზის გაყვანის შემდეგ უწოდეს „მიხაილოვო“, ალბად მეფის გვარეულობის რომელიმე დიდი თავადის მიხეილის სახელის აღსანიშნავად.

ამნაირად მიხაილოვოს ცხოვრება მიმდინარეობდა რ. კ. გზის სადგურის გარშემო. სადგური იყო ცენტრი ყურადღების, გართობის, გასეირნების და ერთმანეთთან შეხვედრის. ამიტომ იქ დარჩენილი ორიოდე ტარიელ მკლავაძე და ზოგიერთი მოხელე, სადგურის ხშირი სტუმარი იყვენ.

თვით სადგური, მაღალი ორსართულიანი შენობა, ბაქანზე დახურული ფარდულით, მაღალი შავი ფანჯრებით, მრისხანედ დასცქერის მის გარშემო

წიწილებივით გაფანტულ შენობებს. წინად მის სამივე მხარეზე რუსული დიდი ასოებით ეწერა „მიხაილოვო". ზედა სართულში ცხოვრობდენ რკინის გზის ზოგიერთი მოხელე, ქვეით მოქცეული იყო სადგურის [illegible] ბინეტი, სატელეგრაფო, საბილეთო კასა, საბარგო და დასაცდელი, დარბაზები, როგორც პირველის ისე მესამე კლასის. პირელი კლასის დარბაზი და მისი ბუფეტი იზიდავდა ყურადღებას, როგორც მგზავრებისას, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებისას,

დარბაზის მაღალ ფანჯრებიან კედლებზედ გაკრული იყო რუსეთის რკინის გზების ხაზების დიდი ფურცლები, გემების და მატარებლების მიმოსვლის მაჩვენებელი, რუქები, პლაკატები და განცხადებანი. როგორც რუქები, ისე განცხადებანი, რასაკვირველია მხოლოდ რუსულ ენაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ერთი განცხადება—ვიწრო და გრძელ თუნუქზე ლამაზი, თეთრი გამოკვეთილი რუსული ასოებით ეწერა: „ჰენრიხ ბლოკ" მხოლოდ ეს ორი სიტყვა, სხვა არაფერი! მის შორი-ახლო გაკრულ პლაკატზე არაფერი ეწერა, მხოლოდ დასურათებული იყო ვრცელ უკვ მოსულ პურის ყანაში მოზდილი სამკალი და სალეწი მანქანა, რომელიც მკიდა, ძნებს ჰკრავდა და იქვე ლეწდა კიდეც. მომუშავე რუსის ქალებს მხოლოდ ტომრები ეჭირად ხელში და ეს ტომრები გასუფთავებული პურით ივსებოდა. ყველაფერი გასაგები იყო, მხოლოდ რას ნიშნავდა ორი სიტყვა—„ჰენრიხ ბლოკ"—ბევრს ვერ გაეგოთ. ეს იცოდა მხოლოდ ორიოდე პირმა. მათ იცოდენ, რომ საზღვარ გარეთ, გერმანიაში, არსებობს სამკალი და სალეწი მანქანების ფირმა—„ჰენრიხ ბლოკ" და რომ რუსეთს შეუძლია გამოიწეროს ეს მანქანები „ჰენრიხ—ბლოკ"—ბურჟუაზიული ფირმის ბურჟუაზიული საშუალებით მანქანების გავრცელების განცხადება! პირველი კლასის დარბაზში ქართველ გლეხს არ შეესვლებოდა: ქართველი გლეხი ამ რუსულ განცხადებას ვერ წაიკითხავდა. მხოლოდ თავადებს და კაპიტალისტებს შეეძლოთ ამ განცხადების გზა-კვალი მიეგნოთ და ეს მანქანებიც საექსპლოტაციოდ გამოეყენებიათ.

უმთავრესი, რაც პირველი კლასის დარბაზში ყურადღებას მიიქცევდა—ეს იყო მისი ბუფეტი თავის მოწყობილობით. იგი ორი ნაწილისგან შედგებოდა—თვით ბუფეტი, ლიკიორებით, კონიაკებით, ღვინოებით და სხვა სასმელებით გაჭედილი წინ მდგარი გაგრძელებული დაზგით, რაზედაც გამწკრივებული იყო ნაირ ნაირი საჭმელები და რომ ეს საჭმელები მუდამ ცხელი ყოფილიყო, გრძელ საინების ქვეშ ჩაუქრობლათ ენთო სპირტი, სანთლის ოდენა ალათ რომ ედებოდა ლითონის საინებს ძირს, ხოლო შუაგულ დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა თეთრი სუფრით გადაფარებული, გარშემო მუდამ თეფშებით, მათლაფებით სუფთა ხელსახოცებით და დანა-ჩანგლით შემომწკრივებული. მაგიდის შუა ორ ალაგას ბროლის მოზდილა წყლით გავსებული ლარნაკი და ამ წყალში წითელი და ოქროს ფერი თევზები ცურაობდენ, ალბათ მგზავრებისათვის ჭამის დროს გასართობათ.

სადგურის დარბაზში საუზმეს ეტანებოდა არა მარტო მგზავრები, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებიც აქ სადილი და ღვინის დალევა დიდ წარჩინებად ითვლებოდა. ვაჭრება და მედუქნეები თუ აქ ღვინის დალევას გაბედავ-

დენ, ისიც ტარიელ მკლავაძეების შემწეობით, ეს მათ დიდ საგანურად და სატრაბახოთ მიაჩდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზი მუდამ სუფთა, დალაგებული და დაწმენდილი. ეს ... სადგურის სხვა განყოფილებანი — სატელეგრაფო, სამორიგო, საბარგო, კასა და თვით სადგურის უფროსის კაბინეტიც, ეს ჭუჭყით, ნაგვით, მაზუთით და ტალახათ ივსებოდა. მაგიდებს და სკამებს სქელი შავი ჭუჭყი იმ სისქეთ გადაკროდა, რომ ვერ გაარჩევდით რა ფერით იყო შეღებილი ან რა ხისგან გამოთალა გამკეთებელმა მაგიდა.

სადგურის გასწვრივ, ლიანდაგების გადალმა, მუდამ მოძრავი, ახმაურებული ბოლსა და ორთქმავალში გახვეული ორთქმავალების საყუდი და სახელოსნოები ყოველდღიურ მუშაობას ეწეოდა. გამურული და მკლავებ დაკარწახებული შავხალათიანები აქ უკვე გაუთენებლივ ებმიან მძიმე შრომის უღელში და გავარვარებულ რკინის მოლუნვასთან ერთად, თვითონაც იღუნებიან, ოფლს აწვიმებენ და ხვნეშიან. შინ დატოვებული ცოლი და შვილები მისგან პურის ლუკმას ელიან.

შრიალებს დაჭიმული თასმა, ტრიალებს განიერი მაღალი ბორბალი და ზევით მაღალ ჭერში გრძელ ღერძზე, ასხმული პატარა ბორბლები ისეთი სასწრაფოთ ბრუნავენ, რომ ვერ ამჩნევ, მასზე გადაჭიმული თასმა ტრიალებს, თუ გაჩერებულია. ღუმელებიდან სცვივა ნაპერწკლები, გრუხუნებს გდემელი, მუსკულიდან ხელებში ბრუნავს ურო და თან მუშის თავში გძელდება ფიქრი: „დღეს გაფანტეს პროკლამაციები. ხვალ გავიფიცებით. ვინ იცის როგორი ძნელი და ტანჯვით სავსე იქნება ეს გაფიცვა!.. ჟანდარმებმა უკვე იციან გაფიცვის შესახებ და ალბათ ისინიც ემზადებიან! ვინ იცის რამდენს დედა აუტირდება!!!... და მუშას აგონდება გასული წლის სისხლიანი დემონსტრაცია, სისხლიანი ივლისი, ჯარმა რომ სადემონსტრაციოდ შეკრებილი მუშები დახოცა... „როგორ იყო?.. ჰო, წინ ღამით. იდუმალი სხდომა მოწინავე მუშებისა გადაწყვეტულობა დემონსტრაცის შესახებ. აღფრთოვნებული თვალები; ათრთოლებული კუნთები და ატოკებული გული... ეს წინ ღამით. ხოლო მეორე დღეს აღგზნებული, ამღელვარებული მუშები საყვირის ხმას ელიან. ეს ნიშანია სამუშაოს შეჩერების და სადემონსტრაციო გასვლის! აგერ მისი გუგუნიც ჰაერს რომ აპობს სულ სხვა არაჩვეულებრივი ხმით... მუშები სადგურზე ჯგუფდებიან შეკრებილს თავის ძალას რომ დაინახავენ, გაფითრებული შეშინებულ ჟანდარმებს რომ შეამჩნევენ გულ ზვიდათ გამდიყურებიან. უნდათ ამ ძალას გამოხატულება მისცენ. წითელ დროშის გარშემო შემოიკრიბებიან, სადგურის ბაქანზე გაივლიან მის უკნ ბაზარსაც ჩაუვლიან. ისევ სადგურს მიუბრუნდებიან. პირველი კლასის ბუფეტში გაივლიან. აქ შესვლა ხომ აკრძალული იყო მათთვის! აბა ეხლა თუ ვინმე გაბედავს დაუშალოს!.. ძალა ერთობაშია!... წინ!.. წინ!.. და მიდიან... ეს ხომ არ კმარა! უნდათ ყველას აჩვენონ თუ რა ძალაა დაგროვილი მათში, ამიტომ ლიანდაგებისკენ გასწევენ, პატარა გორაკისკენ,— გორათობას რომ ეძახიან... ამ ადგილს რომ მიუხლოვდებიან, ბორჯომიდან მომავალ მატარებელს შენიშნავენ. ეხლა კი აჩვენებენ მუშები მგზავრებს თავის ძალას... მაგრამ მათ არ იციან, რომ ამ ძალის ჩასაქრობად, უკვე ტელეგრაფები და ტელეფო-

ნები ხმაურობენ, რომ მახლობელ დაბიდან სურამიდან გამოწვეულია ადგილობრივი ჯარი და კიდეც მოეშურება დემოსტრანტებისაკენ.

მუშები ბორჯომიდან მომავალ მატარებელს აჩერებენ. მგზავრებნი და დემოსტრატები აღტაცებით, სიმღერით და აღფრთოვანებით ეგებებიან ყოველ მეგბიან. გამარჯვების ყიჟინა, აღგზნებული სახები და ძახილი: ძირს თვითპყრობელობაა!.. გაუმარჯოს სოციალიზმს!...

მაშინ სადგურ მიხაილოვოს შეჯგუფულმა მუშებმა პირველად შეუერთა თავისი ხმა რუსეთის პროლეტარიატის მოთხოვნას. პირველად შეგნებულად შეუერთა ხმა საერთო მოთხოვნას. მაგრამ ეს ხომ დაუწვებელია!.. ადგილობრივი ხელისუფლება ხომ ვერ მოითმენს ამას!?... და აი, ამიტომ სირბილით მოისწრაფის სურამიდან გამოძახილი მეფის ჯარი-ეს ქრისტეს მოყვარული მხედრობა, მზაათა სისხლში ამოახჩოს ყოველი შეგნებული მოთხოვნა.

მათ დანახვაზე დემონსტრანტები შეკრთებიან, გაშტერებულ თვალებს მიაპყრობენ თოფიან ჯარის კაცებს... მაგრამ აქ ხომ საშიში არაფერია! ეს ხომ უბრალო გამოსვლაა და ეხლა რაკიღა ჯარი მოვიდა ისინიც ხომ დაიშლებიან! მაგრამ ხდება მოულოდნელი! პირველსავე გაფრთხილებასთან გავარდება თოფი... მაგრამ ეს სროლა ხომ ნამდვილი არ არის! ეს ხომ ჰაერში გასროლილი ტყვიაა და სხვა არაფერი!?... ხოლო ეს რაღაა!.. კიდევ სროლა?! აგერ წაქცეული მუშა და სისხლი... აგერ მეორე ახალ-გაზდა ცალხელს დაყრდნობია, საფეთქელზე წითელ ცრემლივით სისხლის წვეთი სდის და განცვიფრებული ამხანაგი წამოდგომას ეხმარება. აგერ კიდევ გულაღმა დაცემული... მაშ, ვერაგებმა გვესროლეს?!... ოხ, თქვე ჯალათებო, მეფის მონებო, მკვლელებო!... ეს რა ჰქენით? რისთვის დაღვარეთ სისხლი მუშისა?..

და „აჯანყება" ჩამქრალია, ქალაქში სიწყნარეა... დახოცილია ცხრა მუშა და ოცი კიდეც დაჭრილი... ასეთი სისხლიანი დღე, როგორც ყოველი რუსეთის ქალაქის ცხოვრებაში, ისე მიხაილოვის მუშების ცხოვრებაშიც აღნიშნულია. იმ დღეს სადგურიც და საყუდიც აბუზულ წიწილასავით გამოიცქირებოდა. მგზავრობიდან დაბრუნებული მემანქანები საყუდში მისვლისას თვალცრემლიანი გებულობდენ დაჭრილ ამხანაგების გვარებს და გულ დათუთქული, შურის ძიებით ავსილი, ბრუნდებოდენ შინ...

კაპიტალიზმთან ბრძოლაში მიხაილოვის მუშები, ტფილისის მუშებს არ ჩამორჩენილან, მუდამ ჰქონდათ კავშირი მათთან და არალეგარულ მუშაობას ეწეოდენ, ორგანიზაციულად გადაბმული იყვნენ პარტიასთან მის მოძრაობის ისტორიაში ბევრი ამხანაგია მოსაგონებელი, ბევრი გარდაცვალებული, რომელთა გვამები გორათობას ასვენია, და ბევრიც ცოცხალია. ხოლო ამისთვის ცალკე ფურცლებია საჭირო.

ძველი საყუდი. მიხაილოვო — ხაშურის ძველი საყუდი კვდება. ორთქმავლები სათითაოდ სცილდებიან იქ დაურვებას. რეზერვუარებში აღარ ისხავენ მაზუთს და წყალს, აღარ აღვივებენ ღუმლებს, რომ კვამლში და ორთქმავალში გახვეული ხრიალით და გრიალით შეებან გრძელ მატარებელს, არამედ ჩამქრალი ღუმელით, უძრავ ბორბლებით, ერთმანეთზე გადაბმულნი, უმოქმედოთ დგანან და განცვიფრებული შეცქერიან ელმავალებს.

საყუდშიც აღარ არის მრავალ რიცხოვანი მუშები, აღარც მუშაობა გაძლიერებული. იგი წინადაც იყო ჭუჭყით-მაზუთით და ტალახით აფსებული, მაგრამ ეხლა, როცა რომელიმე ახმახი მანქანა ჩადგება მის პირში ერთ-საათობით ეა მემანქანემაც არ იცის, როდის მოუწევს მას ჯერი მატარებლის წაყვანისა მაზუთი ბევრი იღვრება და უსუფთაობა მატულობს.

ეხლა აღარ ისმის საყუდში წინანდელი მანქანის „ფერლს" სისტემის ორთქმავლის კივილი. წინად კი როცა „ფერლე" მუშაობდა, იგი ხვლიკივით გამოძვრებოდა საყუდიდან, რამდენიმე ისარს ჩამოირბენდა, მერე „სცეპჩიკი" „პირველ ფუთში" გაუშვებდა, იქ მატარებელს მოებმოდა და კივილით გასწევდა გვირაბისკენ. რაკიღა გვირაბს გასცილდებოდა მისი კივილი მთა-გორაკებში დაჭრილ ნადირის ყვირილად გაისმოდა და მოსრიალებდა მიხვეულ-მოხვეულებში, ორთქლითა და კვამლით შებურდნული. ქვეიდან ქლოშინით მოკლე მატარებელს ამოათრევდა და კვლავ საყუდში შეძვრებოდა.

ძვერი საყუდი კვდება. წინად კი, ინდოურივით აფხორილ „ფერლეს" სისტემის ორსაკვამურიანი მანქანა და აქლემივით აყუდებული მძლავრი ერთსაკვამურიანი ორთქმავალი, სიმძიმით რომ რელსებს ზნიქავდა—ერთმანეთს ეცილებოდენ. ხოლო და ბოლოს, უკვე გასაბჭოების შემდეგ მძლავრმა მანქანებმა გაიმარჯვეს და „ფერლეს" სისტემის მანქანები სამუშაოდან—გადევნეს. ეხლა ისინი მხოლოდ ტყიბულის გზაზე მუშაობენ. წინად კი ეს ორსაკვამურიანი ორთქლმავალი, მოკლე და აბურძგნული, თავის პატარა ბორბლებით, კივილითა და ქლოშინით, მიარბეინებდა პატარა ნავთის ქვაბებს მიხაილოვისა და ყვირილას შორის და თან კვამლის კორიანტელს აყენებდა. გრძელ მატარებელს ერთი გაწევით ვერ დასძრავდა, ორთქლითა და კვამლით შეიბურებოდა, პირველ ვაგონებს შეანჯღლევდა, უკან დასწევდა, ისევ წინ გაწევდა და რაკიღა ერთხელ დასძრავდა ტაკა—ტუკით ბორბლებს აიოლებდა და ხვლიკივით მიძვრებოდა მოხვეულებში.

გასაბჭოების შემდეგ ოცდაოთხ წელში, საყუდში შემოგორდა აქლემივით ახმახი ერთსაკვამურიანი, მძლავრი ორთქმავალი. უზარმაზარი, უხეში, ტლანქი, მძიმე-ორსაკვამურიანი მანქანასთან ასე მოსჩანდა, როგორც აქლემი ხბოსთან. პირველ ხანებში მემანქნები, მასზე მუშაობას გაურბოდენ, ხოლო შეჩვევის შემდეგ, მას უპირატესობას აძლევდენ და „ფერლეზე" დაბრუნება აღარაკი უნდოდათ. ახალის ათვისება ყოველთვის ძნელდება.

ამ მძლავრი მანქნების შემოღებასთანავე, უღელტეხილზე დაეშვა, არა ის პატარა ნავთის ქვაბები 700 ფუთს რომ იტევდა, არამედ კანადის და მარტის სისტემის ის ვაგონები, სამიათას ფუთამდე რომ ზიდავს, ამ ნაირად ტვირთის გადატანა უღელტეხილზე გაორკეცდა. ხოლო მძლავრი მატარებლები რელსებს ღუნავდენ და მოხვეულებში ასწორებდენ, გზას ხშირად კეთება სჭიროდა. ამის გარდა თავის სიმძიმით ეს ორთქმავალები ხიდზე გავლის დროს საშიშროებას იწვევდა, რადგან მატარებელში შებმული იყო სამი ორთქმავალი, შემდეგში სამი ორთქმავალი სხვადასხვა ადგილს მოუბეს.

ამნაირად ორთქმავლები მრავალ ენერგიას, ხარჯს და დროს მოითხოვდენ. მთავარი მათი ნაკლი ის იყო, რომ თვეში ერთი კვირა უმოქმედოთ იდგენ. სა-

ყუდში. ეს იმიტომ რომ მის ქვაბს თვეში სამჯერ მაინც სჭირდებოდა გარეცხვა ნალექებისაგან. თვითეულ გაწმენდისთვის მანქანა ცდებოდა ოცდათორმეტი საათი. თუ მანქანა ამ ნალექებისგან არ გაიწმინდებოდა, ქვაბის ანთება იყო მოსალოდნელი.

ამის გარდა ამ მანქანების საერთო ნაკლი ის იყო, რომ იგი მუდამ ორთქლში, კვამლში და ჭვარტლში იყო გახვეული და მასზე მომუშავენიც მუდამ გამურულ და ჭუჭყიანი ტანსაცმელით აურვებდენ მანქანებს. ხშირად ორთქმავალს უჩნდებოდა ხანძარი, იწვოდა ქვაბი და ორთქმავალი დიდ ხანს რჩებოდა შეკეთებაში.

ძველი საყუდი კვდება. ხოლო აქ ჯერ მაგრად სდგას ის საყვირი, 1903 წელს რომ სულ სხვა ხმით დაიყვირა და მუშები ბრძოლის ველზე გამორეკა. მას შემდეგში ხშირად მოუწვევია მუშები მოძრაობის გასაგრძნობად, ჯერ კიდევ მტკიცედ სდგას ეს საყვირი. ხოლ ი მან თავისი მოვალეობა უკვე შეასრულა, თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად მრავალჯერ დარაზმა ბუშები და, აი ასრულდა კიდეც... ეხლა კი როცა თვითპყრობელობა დამხობილია, ბურჟუაზიაც განადგურებული და სოციალიზმის დასამყარებლად სულ სხვანაირი ბრძოლები, სხვანაირი ტემპებია საჭირო, იგი სხვა საყვირის—ელექტროს საყვირს უთმობს ალაგს...

ძველ საყუდში ჯერ კიდევ არიან ძველი მუშები. ძველი მუშები და ძველი საყუდი მალე სავსებით დაუთმობენ ალაგს ახალ ელექტრომავლების საყუდს. აქ ახალგაზდა მემანქნები ახალი მსვლელებით, ახალი ტემპებით და ელექტრომავალებით გაკაფავენ გზას სოციალიზმისკენ.

ს ა დ გ ურ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა საყუდსა და სადგურ შუა თასმებივით დაჭიმულ ლიანდაგზე მუდამ დასრიალებდენ ნავთის პატარა ქვაბები და ოთხკუთხიანი ვაგონები. ვაგონების ორივე გვერდზე აღბეჭდილი იყო სამი რუსული ასო: З.К.В. და არც ვაგონების გადამბმელმა, არც მეისრემ არ იცოდა რას ნიშნავდა ეს სამი ასო. ვაგონების ბორბლები— ხან ტაკა-ტუკით, როცა ცარიელი იყო ვაგონი და ხან ხრიალით, როცა სავსე იყო,—ჩაუსრიალებდა ხოლმე მეისრეს თვალ წინ. ისიც გამახვილებული სმენით ყურს უგდებდა შორიდან გამოძახილს, —ვტოროი ფუთში გაუშვი, ვტოროიში!!! მაშინ მეისრე ისარს გადმოსწევდა და ჯერ მძიმე ორთქლმავალი, რელსის ძირიდან რომ მაზუთს ამოაჩუხჩუხებდა და შემდეგ ვაგონები, კოლოფებივით ერთმანეთზე მილაგებული, მის მხედველობის წინ გახრიგინდებოდა.

ლიანდაგებს შუა დარბოდენ ვაგონების გადამბმელები, მეისრეები, შემადგენელები და მათი უფროსები. ლიანდაგზე მომუშავეებს შემუშავებული ქონდათ თავისი რკინის გზის ჟარგონი — „სასტავიტელი", „სცეპჩიკი", „სმაზჩიკი", „სტრელოჩნიკი , „ოტხოდი", „დაანაზატე", „სცეპკა", „ზდანიე" და სხვადასხვა...

როცა საბარგო მატარებელი სადგურში შემოვიდოდა და მესამე თუ მეოთხე ლიანდაგზე გაჩერდებოდა,—კონდუქტორები თავისი პალტოებით და კალათებით ვაგონების მაღალ საფეხურებიდან ჩამოცვივდებოდენ — ყველამ კარგად იცოდა თუ ასეთი გძელი გზის შემდეგ დაღლილ და დამშეულ მათ სხეულს რა მოუხდებოდა. ამიტომ არსადაც არ შეუხვევდენ, ობერკონდუქტორის გარდა

და პირდაპირ გასწევდენ სადგურის უკან სარდაფში. იქ ერთ პატარა ოთახში, პალტოებს და კალათებს კუთხეში მიაწყობდენ, მაგიდას შემოუსხდებოდენ, ობერკონდუქტორს მოუცდიდენ. ხოლო ვიდრე ის მოვიდოდა, მაგიდაზე სველი ხელადა, თევზი, წვანილი, ყველი და პური თეფშებით ჩამოგდებულა. ობერ-კონდუქტორის მოსვლის შემდეგ ისინი ძმურად გაიყოფდენ „კურდღლებზე" ნავარდობით ნაშოვნ შაურებს და ამის მიხედვით საქმელსასმელსაც უმატებდენ. მალე მაგიდა დაქცეულ ღვინის და ქონიანი წვენის ზოლებით, კიტრისა, პამიდორისა, თევზისა და საზამთროს ნაფცქვენებით გაივსებოდა, შეზარხოშებული კონდუქტორები მრავალ ჟამიერს შემოძახებდენ და მერე იქვე მაგიდაზე დაიძინებდენ...

იმ ხანად ჩამოყალიბებული იყო ტიპები რკინის გზაზე მოსამსახურეებისა. ობერკონდუქტორი უსათუოდ გძელ წვერა და ულვაშებიანი, მუდამ ან საზაფხულო ან საზამთრო პალტოში იყო გამოწყობილი. შავი მაუდის პალტო უსათუოდ თეთრი რკინისგზის ღილებით ქონდა შეკრული. სასტვენის თეთრი ჯაჭვი ერთ გვერდზე გძლად მისდევდა თეთრ ღილებს. მას თავისი საკუთარი სახლი ქონდა. და სხვებივით „ზდანიეში" არ ცხოვრობდა. შეძენილი მან რკინის გზაზე მსახურების დროს „მოიპოვა". ნათესავებისათვის ის სასიქადულო პიროვნება და მეზობლებისთვის სანატრი ნათლია ან მეჯვარე იყო.

განსაკუთრებულ პირობებით სარგებლობდა მემანქანე. „ზდანიეში" არც ის ცხოვრობდა მასაც საკუთარი სახლი ქონდა, ხოლო ეს იყო შეძენილი მუშაობიდან აღებული ფულით. ის ყველაზე კარგ ჯამაგირს იღებდა. გძელ წვერ-ულვაშებიანი მემანქანე იშვიათად მოიპოვებოდა, რადგან ღუმელთან ცეცხლის შეკეთების დროს შეეტრუსებოდა. რკინის გზის გაყვანის პირველ ხანებში მემანქანებათ რუსეთიდან ჩამოსული რუსები მუშაობდენ, ხოლო შემდეგში ისინი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეცვალეს. მახლობელ სოფლებიდან, ვინმე სოფლის სკოლა დამთავრებული მუშაობას დაიწყებდა საყუდში, შემდეგში მექანიკოსად გახდებოდა, მერე მემანქანის თანაშემწედ და ასე მემანქანემდე მიაღწევდა.

მემანქანეები მუდამ პრივილეგიური ნაწილი იყო მუშებისა. შემოსავალი კარგი ქონდათ და ამიტომ მედიდურობდენ. მუშების არისტოკრატიულ ნაწილს შეადგენდენ და გაფიცვების დროს ნაკლებ სოლიდარობას იჩენდენ. საერთოდ მონაწილეობას არ იღებდენ არალეგალურ მუშაობასა და ბრძოლებში.

დანარჩენი მომუშავენი საყუდისა და სახელოსნოსი—ზეინკლები, მექანიკოსები, მემანქანისთანაშემწეები, მეისრენი, ვაგონების გადამბმელები, და ყველა შავი მუშები — პროლეტარულ მასას შეადგენდენ. ამათ გადაქონდათ თავის კისერზე ყოველი გაფიცვა თუ დემონსტრაცია. ესენი აწარმოებდენ შეუპოვარ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ბევრიც იღუპებოდა ცივ ციმბირსა და კატორღაში.

ზედა ფენები მოსამსახურეებისა, როგორც — სადგურისა და საყუდის უფროსი, განყოფილებების გამგეები და ყველ პასუხისაგები ადგილები დაკავებული ქონდათ რუსეთიდან ჩამოსულ რუსებს. იშვიათად შეხვდებოდით ქართ-

ველს, ხოლო რკინის გზის ახლო მცხოვრებ მოსახლეობამ მაინც თავისი გაიტანა და თანდათანობით მომუშავენიც ქართველებით შეივსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარუსების პოლიტიკა არსად ისე მძლავრად არ სწარმოებდა, როგორც რკინის გზაზე. რასაკვირველია ყველა მიმართვა, ტელეგრაფი, ტელეფონი, წარწერები და განცხადებანი მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

რომელიმე ტელეგრაფისტი რაკიღა ქუდზე „კაკარდას“ მიიკრავდა, სოფელში დაბრუნდებოდა თუ არა, მედიდურად შეხედავდა ქალიშვილებს და რუსულად დაიწყებდა ლაპარაკსაც. მამა მისი გულზვიადად გამოიყურებოდა და მეზობლებში კვეხულობდა, რომ შვილი რკინის გზაზე მსახურებდა და თუმცა ჯამაგირს თვეში 25 მანეთს იღებდა, მაგრამ „გამორჩენა ქონდა ორი იმდონი“...

რკინის გზის მოსამსახურეებისთვის არსებობდა ერთი ორკლასიანი სკოლა, რასაკვირველია საგნებს ასწავლიდენ რუსულად და ქართული ენის შესწავლა სავსებით მივიწყებული იყო.

მივარდნილ ალაგს რკინის გზელებისათვის აეშენებინათ კლუბის შენობა, სადაც მხოლოდ მოსამსახურეების ზედა ფენები დაიარებოდა. იშვიათად ნახავდით დაბალ მოსამსახურეებს, როგორც—მეისრებს, ვაგონების გადამბმელებს და სხვებს. ეს კლუბიც გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. კლუბში დაიარებოდენ ფულიანები—ან კარტის სათამაშოდ, ან სასმელად, რაც კლუბის ბუფეტში ძვირი ჯდებოდა..

რკინის გზელებისათვის მიხაილოვში არ იყო არც საავადმყოფო, არც ამბულატორია და არც ექიმი. სადგურთან ახლო ერთ ოთახის განჯინაში ეწყო თავის და მუცლის ტკივილის წამლები. ამ წამლების ხმარებას განაგებდა ფერშალი. იგი იყო გინეკოლოგიც, ტერაპევტიც, ხირურგიც, კბილის ექიმიც და სხვა.

რკინის გზის ცხოვრების გარეშე, თვით სოფელ მიხაილოვს ყოველ დღიური მეშჩანურად მოწყობილი მსვლებობა, წვრილ ვაჭრობასა და სოფლურ პატარა მეურნეობას მისდევდა. სადგურის უკანა მხარეს რქასავით მოგრეხილი ბაზარი ხაზათ დაყვებოდა დაბლობისკენ. პირდაღებული დუქნები და სარდაფები ბუზებით იყო სავსე და სიცხისაგან შეწუხებული მიკიტნები რუმბებივით ეწყო დუქნების წინ სკამებზე. ბაზრის გარშემო უწესრიგო გაფანტული, ვიწრო და მოხვეული ქუჩები, დაბალი ერთსართულიანი სახლებით, მყუდრო „ობივატელურ“ ცხოვრებას მიათრევდა.

ორიოდე თავადისა და აზნაურის ოჯახის გარდა მოსახლეობას გლეხობა შეადგენდა. თავად-აზნაურების ოჯახები ერთობოდენ რკინის გზის მოსამსახურეთა მაღალ ფენების ოჯახებთან და საქველმოქმედო მიზნით საღამოებს მართავდენ „ნიჭიერ სტუდენტის“ სასარგებლოდ. ასეთ საღამოებს მახლობელ სოფლებიდან ტარიელ მკლავაძეებიც ესწრობოდენ. მაშინ საზანდარი და ზურნა აჭყიპინდებოდა ბალში. ხოლო საღამოს შემოსავლიდან აღარაფერი რჩებოდა, რადგან მკლავაძეები ნახარჯის გასტუმრებას არ იყვენ ჩვეული. ქეიფი და დროს ტარება დილამდე გძელდებოდა.

რკინის გზის სიახლოვის გამო, გარუსების პოლიტიკას სოფ. მიხაილოვოში თავის მიზნისთვის სავსებით მიეღწია. დამტვრეული რუსული ხშირად გაისმოდა ქუჩაში და ერთმანეთს უსათუოდ რუსული წესით—მამის სახელობით—მიმართავდენ ხოლმე. „თედორე იპოლიტიჩ“, „კალისტრატე ივანიჩ“, „მიხეილ სევასტიანიჩ“, „ნესტორ გლახუნიჩ“ და სხვა. ამნაირად უნდა მიემართნათ ერმანეთისთვის დიდი პატივის ცემის გამოსახატავად.

ერთ ხანში შესულ ვაჭარს სოლოს უძახდნენ, რადგან დიდი ხნის შეჩვეული იყვნენ ასე ეწოდებინათ მისთვის. ხოლო მას ძლიან სწყინდა, ჯავრდებოდა და ყველას შენიშნავდა—სოლო კი არა, სოლომონ დიმიტრიჩი დამიძახეთო..—უკაცრავად, სოლომონ დიმიტრიჩ!..—გაისწორებდა მეზობელი და თან გაიღიმებოდა. ასეთი მისი ახირებული მოთხოვნა ბავშებმაც გაიგეს და ბაზარში გავლასთან ერთად გამოცვივდებოდენ დუქნებიდან და გასძახებდენ—„სოლო, სოლო!!! ხოლო ვინმე გამვლელი ბავშებს გაუჯავრდებოდა—„რას მიქარავთ თქვენ ლაწირაკებო თქვენა, სოლო კი არა, სოლომონ დიმიტრიჩია!..“ ეხლა ბავშები მორთავდენ—„სოლომონ დიმიტრიჩ! სოლომონ დიმიტრიჩ!..“ მაშინ მთელი ბაზარი დუქნებიდან ქუჩაზე გამოვიდოდა, სკამებზე დადებული ღიპიანი მიკიტნები ახითხითდებოდენ და მიძინებული ქუჩა რამდენიმე წუთით გამხიარულდებოდა...

ხ ა შ უ რ ი

მენშევიკური ხაშური. ასეთი იყო მიხაილოვოს ცხოვრება 1917-18 წლამდე. ამ ხანებში მის მსვლელობაში ხდება ცოტაოდენი ცვლილება—თვიმპყრობელური რეჟიმი ემხობა და მის ალაგს იკავებს მენშევიკური ხანა. მიხაილოვოს მაგიერ მას უწოდებენ ძველ სახელს ხაშურს, ამიერიდან გარუსების პოლიტიკით წოდებული „მიხაილოვო“ ისპობა, ხოლო ეს მენშევიკური ხანის ხაშური არაფრით არ განსხვავდება წინა დროიდან და არსებითად არაფერი ცვლილება არ ემჩნევა.

სადგურს ჩამოხსნეს რუსული წარწერა „მიხაილოვო“ და მის მაგიერ გააკრეს „ხაშური“. ხოლო აბრა ისე ულაზათო, უშნო და არა მკვიდრათ გააკეთეს, რომ ყველას აფიქრებინებდა მის დროებით ხასიათს და შთაბეჭდილებასაც სტოვებდა ისეთს, თითქო არც წარწერის შეცვლის მბრძანებელს და არც შემსრულებელს არ სჯეროდა და არც სწამდა ეს ამბავი. სხვა რუსული წარწერები მაინც დარჩა და ასე არც გარეგნულად, არც არსებითად არაფერი შეცვლილა.

სადგურისთვის შეიცვალა მხოლოდ ის რომ კარებში აღარ იდგა რუსის ჟანდარმი რიჟა ულვაშებით და დეზებიანი წაღებით» აღარც ის ახმახი დარაჯი გძელ პალტოიანი, მგზავრებს რომ მატარებლების მოსვლის და წასვლის დროს ამცნობდა. შეიცვალა კიდევ ის, რომ რატომღაც პირველ კლასის დარბაზში შესასვლელი კარები ერთი დაკეტეს და მხოლოდ ერთი ვიწრო შესასვლელი დაუტოვეს. ამიტომ თუ სხვა მიზეზით კარების ზღუდე გამხმარი ტალახით შეირკალა, წითელი იატაკი გაჭუჭყიანდა და ველარ შეატყობდი რა ფერისა უნდა ყოფილიყო წინად.

თვით სოფელი ხაშური გამოაცხადეს ქალაქად. დაარსდა საბჭო. მოიწვიეს ქალაქის თავი. მცხოვრებლები განცვიფრებით უცქერდენ ამ ამბავს და მცირე რიცხოვან ჯგუფის გარდა არც არჩევნებში და არც მის ქალაქური ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდა, ხმოსნების დადგენილებასა და განკარგულებებს არაფერი მნიშვნელობა ეძლეოდა, რადგან ფაქტიური მბრძანებელი ქალაქში ეგრედ წოდებული გვარდიის შტაბი იყო, იგი ერეოდა ყოველგვარ საქმეში და მისი ბრძანებაც უნდა შესრულებულიყო ყოველ მიზეზს გარეშე...

სადგურზე წესრიგს, წინანდელ ჟანდარმის მაგიერ, ეხლა გვარდიელი იცავდა.

სამგზავრო მატარებლის მოსვლის დროს, სადგურზე ნახავდით უამრავ უსაქმოდ მოყიალე სხვადასხვა ფენის საზოგადოებას. წინად თუ ორიოდე მკლავაძე, პროვინციის კოპწიად გამოწყობული ქალიშვილები, სადგურის მოსამსახურენი და უსაქმო ინტელიგენცია დაიარებოდა ბაქანზე და პირველ კლასის ბუფეტში, ეხლა აქ გამუდმებით ნახავდით გვარდიელებს, ვაჭრებს, მედუქნეებს, მკლავაძეებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და პარტიების სხვადასხვა წარმომადგენლებს.

ეხლა ყველა კვეხულობდა, თუ როგორ მონაწილეობას ღებულობდა იგი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. მკლავაძეებიც კი წინააღმდეგი იყვენ იმ რეჟიმის „მაგრამ რას იზამდენ!?“... მენშევიკები ტრაბახობდენ, რომ ერთად ერთი მსხნელი პარტია, როგორც დემოკრატიისა, ისე საქართველოსი—სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო და რომ ყველას ხმა უნდა მიეცა მათი სიისთვის.

პარტიულ კამათში და კინკლაობაში ერთობოდა ყველა რკინის გზის მოსამსახურე—კონდუქტორი, მეისრე, ვაგონების გადამბმელი, დარაჯი და საყუდის მუშები. ხოლო ზედა ფენა, როგორც—სადგურისა და საყუდის უფროსები, განყოფილებების გამგეები და სხვები, რომლებიც თავის ალაგზე დარჩენ და რეჟიმის შეცვლამ, მათ მდგომარეობაში არაფერი შეცვალა—კამათში მონაწილეობას არ იღებდენ, პარტიის წარმომადგენელებს დასცინოდენ და იდუმალად ფიქრობდენ, რომ მალე ისევ ძველი რეჟიმი აღდგებოდა და ცხოვრება უფრო მკვიდრი იქნებოდა. ხოლო ვიდრე მენშევიკური მართვა-გამგეობა მიდიოდა, ისინიც საკმეველს მას უკმევდენ და ხმასაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აძლევდენ.

იგივე ორთქლმავალები, ხოლო უფრო დაზიანებული და ჭუჭყიანი ქშენით და ხრიალით გამოვიდოდა საყუდიდან და მატარებლის მცირე შემადგენლობას ულელტეხილისკენ დასძრავდა. მალე ორთქლმავალებს, აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, საწვავი მასალა-ნავთი და მაზუთი – შემოაკლდა. მაშინ ტყიბულის ქვანახშირმა დაიკავა მისი ალაგი, ხოლო ამ გარემოებამ ფრიად დააზინა მანქანები და მატარებლების მსვლელობაც შეანელა.

რაიმე მშენებლობა არა თუ მომატებია ხაშურს ამ ხნის განმავლობაში, არც განზრახვა ყოფილა ახალის აშენების. მუდამ მოუსვენარი და აღელვებული იყო მოსახლეობის ცხოვრების მსვლელობა—ხშირი, თითქმის გაუწყვეტელი

ომები მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და დაუმკვიდრებელ—განუმტკიცებელი მდგომარეობა. არავინ იცოდა დაწყებული საქმე კეთილად დამთავრდებოდა, თუ ყოველივე ჩაიფუშებოდა. მცხოვრებთა დიდი ნაწილი გულგრილად უმზერდა საქართველოს პოლიტიკურ საქმეს და მაშინაც კი, როცა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადეს და ამის გამო ქალაქის საბჭომ საზეიმო დემონსტრაცია მოაწყო, მოსახლეობას არც თვალი გაუხელია და არც სმენა გაუმახვილებია. ამ დღემ ფრიად უშინაარსოდ ჩაიარა და დემონსტრაცია უმწეო და უფერული გამოვიდა.

რკინის გზაზე მოსამსახურეთა ტიპები არ შეცვლილან. სამსახურში შესვლა ეხლა უფრო იოლი შეიქნა მათთვის, ვისაც პარტიულებში ან გვარდიელებში ჰყავდა ნათესაობა ან ნაცნობობა. განყოფილებების უფროსებათ აქა-იქ ქართველები დაინიშნა, უცხო ელემენტები კი თანდათანობით გაიდევნა.

ძველ საყუდში ისევ ძველი მანქანები შემოაგორებდენ ბორბლებს და რაც ეხლა დიდი გასაჭირი ხდებოდა მათთვის ეს იყო ის, რომ მაზუთის მაგიერ ქვანახშირით უხდებოდათ ღუმელის გაღვივება, რის გამო ბრიგადა იმურებოდა და ორთქლმავალი მალე ფუჭდებოდა.

მუშები ისევ იმ პირობებში იმყოფებოდენ, ხოლო რამდენიმე ძველი რეჟიმის მომხრე შეიცვალა, რამდენიმე ძველი მუშა დაწინაურდა. ხოლო საერთოდ მომუშავეებში თვითნებობა გაძლიერდა რის გამო საქმის კეთება შენელდა.

მრავალი მუშა გვარდიაში ჩაეწერა და მუშაობის მაგიერ მთელი დღე გვარდიის შტაბში ატარებდა დროს.

კლუბის ცხოვრებაში მხოლოდ ის შეიცვალა, რომ წარმოდგენები ეხლა ქართულად იდგმებოდა და უფრო ხელმისაწდომი გახდა დაბალ მოსამსახურეებისათვის. წინანდელი მოწინავე ფენების მაგიერ, ეხლა ბუფეტში გვარდიელები ქეიფობდენ.

ასეთი იყო მისი ცხოვრება მენშევიკების დროს.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ი

ელექტრომავალების სადგური. მიხაილოვო, ხაშური, სტალინისი. სამი სახელი—სამი ცხოვრება, სამი ეპოქა—პირველი ორი ერთად 40-50 წელს შეიცავს, მესამე კი მხოლოდ ერთ ათეულს. მიუხედავათ ამისა უსათუოდ განცვიფრებაში მოვა ადამიანი, უკანასკნელი ათეული წლის ზრდა-განვითარებას რომ წინანდელს შეადარებს.

როცა ტფილისიდან მომავალი მატარებელი სადგურ სტალინისის ელექტრომავალთა სამფლობელოში შედის, თვალში გეცემათ სივრცეში ბადესავით დაბანდული ხაზები, მაღალი ბოძები, ბოძებზე ანკესივით ჩამობმული და ლიანდაგის გასწვრივ გაყოლებული მავთულები.

მატარებელი დგრიალით გადასჭრის ისრებს და თქვენ შეცურდებით ელექტრონის ბადეში, ზევიდან რომ ხაზებათ გაჭიმულა სივრცეში. თქვენ განიცდით უცნობ ძალას. იგი თქვენ გაღიზიანებთ და უნებლიეთ მიილიტვით

მისკენ. გინდათ მალე ნახოთ უნახავი ელექტრომავალი და მისი შეუცნობი ახალი ძალა...

აგერ ყური მოკარით საყვირს. ეს ხომ არ წააგავს წინანდელ ორთქლმავალების კივილს... არა, სულ სხვა ლითონის ხმითაა ამომსკდარი ბასიანი ... და სივრცეშიაც ხომ საამურათ ზრიალებს!.. მერე, რატომ ორთქლის ნაკადი არა სჩანს?..

— მაშ, საიდან? როგორ?..

— ჰაერით, დაკუმშული ჰაერით!..

— სულ უბრალოთ, ისევე უბრალოთ, როგორც თვით მანქანაა გარეგნობით უბრალო...

აგერ შეუმჩნეველად, წყნარად, ყოველი ხმაურობისა ქშენისა, ორთქლისა, კვამლისა და ნაპერწკლების გარეშე—მობობღავს ელექტრომავალი, სვლა ბეჯითი და მძლავრი. მოკრძალებით მოაგორებს ბრკე და მკრივ ბორბლებს.

ორთქლმავალივით მედიდური და ზვიადი როდია. მისავით აყუდებული, ორთქლითა და კვამლით შებურდვნილი არ არის. არც საკვამური, არც ტენდერი, არც ღუმელი, არც მაზუთიანი და არც ცხელ წყლიანი შავი რეზერვუარები, კუზებივით როდი დასკუპებულა მის სხეულზე... დაჭრილი მხეცის ხმით არ ყვირის, არც ქშინავს, არც გაშინებს, არც კბილებს აკრაჭუნებს... არაფრით ყურადღებას არ იქცევს.

ზურგზე ოთხ ხაზათ გაშლილი ფრთა (პანტოგრაფი) სივრცეში ჩამობმულ მავთულზე მიუბჯენია, მეორე კი დაკეცილი მარაგათ შეუნახავს.

მავთულების ბადე სადგურის წინ გახშირებულია და ელექტრომავალიც ერთი ხაზიდან მეორეზე მიასრიალებს თავის პანტოგრაფს. შიგადაშიგ აქოთქოთდება, ჰაერის საქაჩავი მანქანა შეინძრევა და მერე ისევ ავტომატიურად შეჩერდება.

ჩვეულებრივი სამგზავრო ვაგონის შეხედულება აქვს, ხოლო უფრო მოკლეა და ცოტათი მაღალი. თითქო ორ ნაწილათ იყოფა—ექვსი ბორბალი ერთი მხრივ და ექვსიც მეორე მხრივ. ასასვლელი კიბე წინ და უკან, რომელსაც ახდილ ბაქანზე მიყევხართ. აქედან შედიხართ მემანქანის კაბინეტში (დიაღ, კაბინეტში!) ერთ მხარეს სავარძელში (დიაღ, რბილ სავარძელში!) ელექტრომავალის უფროსი, ანუ მემანქანე ზის და მანქანას მარჯვენა და მარცხენა ხელით ჰმართავს. იქვე მის წინ პატარა სახელურები—კონტროლიორი, დასამუხრუჭებელი (სამნაირი—ვესტინჰაუზის, კაზანცევის და ელექტრონის) საყვირის მავთული და სხვა. იქვე გვერდით აყუდებულია შავი მაღალი დაფა. დაფაზე ჩამომწკრივებულია შუშიანი რგვალი მაჩვენებლები—ერთი აჩვენებს თუ რამდენ კილომეტრს ანვითარებს მანქანა ამა თუ იმ ხსვლელობის დროს, მეორე—რამდენია ძაბვა, მესამე ამპერმეტრია და სხვა. წინ და გვერდით ჩასმული მაღალი და განიერი ფანჯარა, მემანქანეს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს გზის მდგომარეობას.

მეორე მხარეს მისი თანაშემწე სავარძელში (დიაღ, ისიც რბილ სავარძელში) ფანჯარაში გადაყუდებული თვალყურს ადევნებს მატარებლის მსვლელობას. ორივე ახალგაზრდა მომუშავეა და დიდი ხალისით უვლიან მანქანას.

უყვართ და აღტაცებული არიან მისი სიმძლავრით, ჩქარი მსვლელობით და რაც უმთავრესია სისუფთავით.

... ორთქმავალზე როცა ვმუშაობდი აფრიკელ ზანგსა ვგავდი, ისე ვიყავი გამურული ჭვარტლით და მაზუთით. შავკვამლიანი ჭრაქით ხელში დაკარგულ-ებული მკლავებით ორთქლმავალის ქვეშ შევიდოდი. იქიდან მაზუთში მოსვრილი და გამურული რომ გამოვძვრებოდი, დედა ჩემიც მოსულიყო, ისიც ველარ მიცნობდა. მხოლოდ თეთრი კბილები ელვარებდენ გაშავებულ ტუჩების ქვეშ. ჭვარტლიანი ხაზები კი საყელოსა და ყურების ძირში მოსდევდენ. ტანისამოსი? ის ხომ მუდამ სველი და ტალახის ფერით იყო შეღებილი. ვერავინ გამოიცნობდა რა მოხაზულობისა იქნებოდა იგი წინად. ეხლა? ეხლა აი მალე თეთრ საყელოს, სამაჯურებს და ჰალსტუხს გავიკეთებ, ევროპიულად გამოვეწყობი და ჩემ მანქანასაც დედოფალსავით მოვუვლი და შევინახავ...

აღფრთოვანებით გეტყვით მემანქანის თანაშემწე. სტუმრისათვის კაბინეტში მდგარ სკამს ზრდილობიანათ შეგთავაზებთ, მედიდურად დაეყრდნობა ფანჯრის დასაყუდს და წინ და უკან გაიხედავს,—ხომ არაფერი სახიფათო ნიშანი სჩანსო.

... ეხლა ორთქმავალზე მომუშავე ამხანაგებს რომ ვუმზერ და იმ დროს ვიგონებ, როცა მეც მათსავით ვმუშაობდი—ტანში ჟრუანტელი მივლის. პაპანაქება სიცხეში გახურებულ ღუმელის წინ მდგარი, ახრიალებულ, ადგრიალებულ მანქანაზე,—ტენდერი რომ ცალკე ხტუნაობს, სადღაც ცხელი წყალი იქცევა, სადღაც მაზუთი ჟონავს, ორთქლი შრიალებს გავარვარებული ღუმელი ელვარებს ნაწილები ელარუნობენ. მთელი შენი სხეულიც ინჯღრევა და თავი გალაყებული გაქვს, მეტადრე მაშინ, როცა გვირაბში ქვეიდან მომავალ მატარებელს აწვები,—როცა კვამლისაგან ისეა ჰაერი შეხუთული რომ ანთებული ლამფა ქრება; გაშიშვლებული ხარ და ალმართში მომავალ ვაგონებს წყვდიადში რომაა გახვეული, გამალებით აწვებით, რომ ჯოჯოხეთიდან მალე გახვიდე, სასუნთქავათ ჰაერი არ გყოფნის ტიტველსა და გამურულ ტანზე ოფლი ღვართქლათ მოგდის, ამაოდ გაყოფ თავს ფანჯარაში, იქაც თბილი კვამლი ოფლიან საყელოს არ გაგიგრილებს, გახურებულ გულს არ დაგიამებს, და ამ ხრიგინსა, ნჯღრევასა და ჩხარუნში გვირაბის გასავლისკენ იყურები ეგებ მალე გავიდე და სუფთა ჰაერი ვისუნთქოო... ალმოკიდებული ღუმელი შიგადაშიგ წყვდიადს გაანათებს... და მაშინ გვირაბის კედლებზე ავარდნილი წითელი დროშები ათამაშდებიან... მოგეჩვენება თითქოს აჯანყებულები იარაღით ხელში მტერს შებრძოლებიანო,.. ისმის ყიჟინა და იარაღის ჩხარუნი.. ყოველი წუთი საათათ გრძელდება გვირაბის წყვდიადს არ აქვს დასასრული. და მერე როცა უეცრად თავს სინათლეზე და სუფთა ჰაერში გაჰყოფ,—უკან გაიხედავ და პირდაღებული შავი მთა თანდათან გშორდება,—გული ფთხიალს დაიწყებს საყელოზე ნაკადებათ მომდგარი ოფლი გაგრილდება და სახე გაღიმდება... მგონია, თითქო ეს ჩემი ცხოვრების შორეულ დროის ამბავია. თითქო ათეული წლებია მას შემდეგ. სინამდვილეში კი ეს გუშინ იყო და აგერ ზოგი ჩემი ამხანაგი კიდევ ამ დღეშია.—მომუშავეთათვის ელექტრომავალი დიდი შვებაა!.. დიდი ნახტომია, დიდი მანძილია ელექტრო ა და ორთქლის მანქანის შორის. ლენინის გენიალობამ ელექტროს ძალა და მნიშვნელობა დიდი ხანია

განსჭვრიტა. ეხლა მე რბილ სავარძელში ვზივარ. არც დგომით დავილალები, არც ხრაგუნით, არც ნჯღრევით. არც სიცხე შემაწუხებს და არც სიცივე — ამისათვის აგერ ელექტრონის ფეჩი!.. გვირაბშიც დახუთული ჰაერი ალარ არის, რადგან ელექტრომავლებს კვამლი არ სდის. ეხლა მე სამი ორთქლმავალის მაგიერ მომაქვს ეს შემადგენლობა და ამის გარდა დღესვე დავბრუნდები უკან და ერთ მგზავრობას კიდევ ვიმგზავრებ. აბა, გასინჯეთ რა დიდი ეკონომიაა!..

ასე ამბობს ელექტრომავალის შექებას მემანქანე.

ელექტრომავალის შინაგანი წყობა სრულიად სხვანაირია, ვიდრე ორთქლმავალის. კაბინეტიდან ორივე მხრით ელექტრომავალს ორი ვიწრო გასასვლელი მისდევს, რომლითაც უკანა ნაწილში გახვალთ. ესეც მემანქანის კაბინეტია იმ ნაირადვე მოწყობილი, როგორც წინა კაბინეტი და როცა დაბრუნებისას წინ მოექცევა იგი პირველის მაგიერობას გასწევს. ასე რომ ელექტრომავალს არ სჭირდება ასეთი მობრუნება და მოსაბრუნებელი წერტი, როგორც ორთქლმავალს. ხოლო ვიწრო გასასვლელების შიგნით დაკეტილ ოთხკუთხედში მოქცეულია ყველა ის მანქანები, ძრავები, ვენტელიატორები, საქაჩავები, მუხრუჭები, და სხვა რითაც მოძრაობს მანქანა. აქ არის მისი გული, მაჯის ცემა და სისხლის ჩქრიალი...

მისრიალებს ელექტრომავალი მავთულის ქვეშ და მუდამ მზათაა მატარებელს ჩაჭიდოს და უხელტეხილზე დაეშვას. მისთვის საჭირო არაა მაზუთი, არც წყალი, არც ნავთი, არც ასანთი და არც ცეცხლი. იგი არ შეიბურება არც ორთქლის და არც ბოლის ლეჩაქით. მოკრძალებით მიეპარება რიგებათ გამწკრივებულ კანადის სისტემის ცისტერნებს, სპილოებივით რომ აყუდებულან და ჯაჭვებივით ერთმანეთს გადაბმიან. ამ ნავთით და მაზუთით სავსე ქვაბებს ქარავანივით რომაა გამწკრივებული ერთის წინ გაწევით დასძრავს და მწყობრი სვლით, თანდათანობით სიჩქარის მომატებით სადგურის ისრებს გასცდება. მერე კი, რაკიღა სადგურს მოშორდება საათში 50-60 კილომეტრს განავითარებს.

ელექტრომავალის ღია ბაქანიდან, მემანქანის კაბინეტის წინ რომაა რკინის მოაჯირით შემოვლებული, თქვენ ხედავთ როგორი სისწრაფით ინთქმება გაჭიმული გრძელი რელსები ელექტრომავალის ბორბლების ქვეშ. ორხაზიანი ლიანდაგი, სწორ გზაზე რომ ძაბრივით ვიწროვდება, ელექტრომავალის ჩქარ მსვლელობასთან და მის მიახლოებასთა ერთად განიერდება, მანქანის სიმძიმის გამო ახრიჭინდება, შპალებზე დაყრილ ქვიშასთან ერთად წვრილ ხაზებათ ქრება ელექტრომავალის ქვეშ.

აგერ სადგურ ლიხია შემდეგ მთის ძირში, რგვალი მოზრდილა შავი წერტილი. ელექტრომავალი მისკენ მიქრის. წერტილი თანდათან ფართოვდება.

გვირაბს უახლოვდებით.

ცისტერნებისგან შემდგარი მატარებელი, ზღაპრული გველეშაპივით მიიზლაზნება, მოხვეულში კუდს მოიქნევს და პირღია მთას ჩაუვარდება ხახაში. გამოქვაბული ასე სწრაფად შეისრუტავს სპილოების ქარავანს წყვდიადში, რომ უკან გახედვისას მხოლოდ ერთი წამით მოჰკრავ თვალს რგვალ ნათელ ფანჯარას და მასში მოხრიგინე უკანასკნელ ვაგონებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბი განათებულია ელექტრონის შუქით. თვით მანქანას შუბლზე მარგალიტის ქინძისთავივით გავარვარებული ელექტრონის ლამფა პროექტორივით სტყორცნის სხივებს გვირაბის კედლებს.

ელექტრონის სვეტი მოაპობს წყვდიადს და აშუქებს ლიანდაგს.

ზევით კი, გვირაბის ჭერს ერთ სწორ ხაზათ პატარა ელექტრონის ლამფები მისდევს. ელექტრომავალი ხრიალით მოარღვევს წყვდიადს... ერთი, ორი, სამი... და უეცრად—ჭახ, ჭახ, ჭახ!.. გაისმის დანჟღრეული ზარის ხმა. ეს ნიშანია. ელექტრომავალმა მიაღწია უღელტეხილის მწვერვალს. აქედან იწყება დაღმართი.

ეხლა უკვე ელექტრომავალი აღარ ხარჯავს ელექტრონის ენერგიას, არამედ თვით აამუშავებს გენერატორებს და ენერგიას უკანვე უბრუნებს ელსადგურს. ზესტაფონამდე მატარებელი თავის დამუშავებული ძალით მიდის და ზედმეტს კიდევ ხაზში უშვებს.

ელექტრომავალი. 1932 წელს ზაფხულში, აგვისტოს პირველ რიცხვებში სურამის უღელტეხილზე პირველათ ამუშავდა ელექტრომავალი. პირველათ გაისმა მთაგორიან ადგილებში მისი კივილი და ღამით, როცა მისმა პანტოგრაფმა ელექტრონს მავთულზე კვესივით დაკვესა და ზემო-იმერეთის აღმართიან ვიწრო ორღობეში დაგვიანებით შინ მიმავალმა გლეხმა გაელვების ხაზები დაინახა სივრცეში, მოწმენდილ ცაზე კი ვარსკვლავების მეტი ვერაფერი შენიშნა, განცვიფრებით დაბლობისკენ მიაშტერა თვალები და როცა შუქმა ქვეიდან მიანათა, მარჯვენა ხელით დავიწყებული პირჯვარი სამ გზის გადიწერა. ეს საკვირველი ელვა ქვეიდან, მიწის ზედაპირიდან იკლაკნებოდა და ამ ძელსაც ცის მაგიერ მიწა იძლეოდა.

შემდეგში გაიგო გლეხმა ელექტროს ძალის ღარსებანი, ელექტრომავალს დააკვირდა. უკან მიბმულ სპილოებივით აყუდებულ ცისტერნებს რომ შეხედა, მოაგონდა სამი ზღაპრული მდევივით აორთქლებული, აცეცხლებული, აკვამლებული ორთქლმავალები, ქლოშინით, და გრიალით რომ ძლივს მიათრევდენ ამავე აღმართზე, ამავე რიცხვის ცისტერნების შემადგენლობას.

ეხლა კი, აი ეს კიბორჩხალას მსგავსი, უცნაური ვაგონი ოთხ ხაზათ დაკეცილა ფრთები მავთულისათვის რომ მიუბჯენია,—არც აკვამლებს, არც აორთქლებს, არც ქლოშინობს და არც ღრიალებს... ასე უბრალოთ მიდის და თან ამ აღმართზე, ამ მოხვეულებში ჩვარივით მიათრევს ამ გძელ მატარებელს.

ამნაირად ის განზრახვა რომ უღელტეხილზე ელექტრო-მავლების ამუშავების მეოხებით გაზდილიყო გადაზიდვის საშუალება და ძვირფასი საწვავი მასალა იაფფასიანი ელექტროს ენერგიით შეცვლილიყო, სავსებით შესრულებულია.

ეხლა, მატარებლების მიმოსვლაც მომატებულია და სიმძიმეც. ერთ ელექტრომავალს 2.200 ტონა ნავთეულობა მიაქვს გეგმით კი უნდა წაეღო 1.650 ტონა- ასეთივე სიმძიმე წინად სამ ორთქლმავალს ძლივს მიქონდა.

მსვლელობის სისწრაფე წინანდელთან შედარებით 30% გაიზარდა. ზოგ ადგილზე კი 200 პროცენტითაც! რვა ელექტრომავალი სავსებით ასწრებს სამუშაოს შესრულებას. მათ შესცვალეს 30 ორთქლმავალი და ამნაირად ერთმა

ელექტრომავალმა სამი ორთქმავალი ჩააყენა უმოქმედოთ. ელექტრომავალების საყუდს მანქანები თანდათან ემატება. ამ ჟამათ საყუდში თორმეტი ელექტრომავალია, ამათგან ათი მუშაობს და ორიც საცდელშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღელტეხილზე მატარებლების მოძრაობის 80 პროცენტი ელექტრომავალებით სრულდება, ხოლო რა წამს რიონჰესი ჩაებმის მუშაობაში, მაშინ მთელი მოძრაობა ზესტაფონსა და სტალინისს შორის ელექტრომავალებს ჩაბარდება.

ელექტრომავალების საყუდი. ელექტრომავალების საყუდი იზრდება, ფართოვდება. იგი სადგურიდან დაშორებულია და ტრიალ მინდორზე თეთრი ქვებით აშენებული, სრულიად არ წააგავს ძველ საყუდს. კედლებს როდი ბურავს შავი კვამლი და არც იჭვარტლება მისი ჭერი. ლიანდაგები როდი ისვრება მაზუთით და არც ტალახდება გასასვლელები. პატარძალივით მორთული და სუფთაა ახალი საყუდი.

რომელიმე ელექტრომავალი, მოსკოვის „დინამოში" გაკეთებული, სისწრაფითაც და სიმძლავრითაც ამერიკულს რომ გაუსწრო—მგზავრობიდან დაბრუნებული მოსაბრუნებელ წერტზე არ გაივლის, არც მაზუთის რეზერვუარის ქვეშ გაჩერდება მაზუთის მისაღებათ, არც ანკესივით ჩამოშვებულ წყლის მილთან დადგება წყლისთვის. მას არ დასჭირდება ორთქლისა, კვამლისა, მაზუთისა და ჭვარტლისაგან გაწმენდა, არც ქვაბის ნალექისაგან გამორეცხვა, რასაც ორთქლმავალი 36 საათს ანდომებდა და ამნაირად მუშაობას ცდებოდა. ელექტრომავალი ყოველივე ასეთ დროისა და ენერგიის დახარჯვის პროცენტებს აცილებულია. იგი უბრალო და არა ზვიადით, როგორც ორთქლმავალი მიადგება საყუდს. ცოტაოდენი დათვალიერების, ძრავების და მანქანების გაშინჯვის შემდეგ, იგი უკვე მზათაა კვლავ ჩასჭიდოს სავსე ცისტერნებს ჯაჭვი და გვირაბში გაძვრეს.

ვიდრე ორთქლმავალი ზესტაფონს ერთხელ მოუვლიდეს, ელექტრომავალი სამჯერ მობრუნდება.

ელექტრომავალების საყუდი სუფთაა, ნათელი და თეთრი. იგი იზრდება და ფართოვდება. გაღებულ სასაში მუდამ შეჩერებულია რომელიმე ელექტრომავალი, საყუდი მაღალია და თეთრი ქვისაგან ნაშენი. ძველებურ მოზდილ ეკლესიას წააგავს ხოლო მას ვიწრო ფანჯრები ქონდა შუქს არ იკარებდა და ამიტომ შიგნით სიბნელით და იდუმალებით იყო მოცული. საყუდი კი მაღალ ფანჯრებიანია. მუდამ ნათელი და გაჩაღებული ან მზის, ან ელექტროს სხივებით.

ახალი საყუდის დანიშნულება აშკარაა, ყველასთვის გასაგები და იდუმალებას მოცილებული. იგი უბრალოა და მოკრძალებული, ნათელი და ამიტომ დიადი. საყუდში მდგარი ელექტრო-მავალიც ორთქლმავალივით ახმაურებული არ არის, აფხორილ ინდაურივით რომ მედიდურობს, არამედ მოკრძალებულ მორიდებული და საყუდშიც კლდემამოსილებით შეცურდება ხოლმე. გარეგნობით კი არ ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს, არამედ შინაგანი ძალით, ნამდვილი საქმით და მოქმედებით გვიმტკიცებს თავის ძლიერებას...

იქ მომუშავენიც, ახალი ჯერ კიდევ ფიფქ ულვაშებით ათქორებული, ახალი გატაცებით და აღფთოვანებით შთაგონებული ენტუზიასტები არიან. ახალ-

გაზდები ახალგაზდური სიხალისით ამუშავენ ამ ახალ საქმეს. დარწმუნებულნი რომ გამარჯვება მათი იქნება.

ელექტრომავალების საყუდი იზრდება, ფართოვდება. [illegible] რიონ-ჰესის მკლავი ზაჰესის მხრებს გადაეჭდობა, როცა ორი ძალა [illegible] შეხვდება, მაშინ აქ შეიფარებს თავს ტფილისიდან მოსული ახალი ელექტრომავალებიც

სადგური. ძველი სადგური ჯერ კიდევ ჯანსაღად შენახული იმავე წესით განაწილებული, როგორც წინად, კვლავ ემსახურება მგზავრების მიმოსვლას და მატარებლების მიღებას.

ჩამოაბნელებს თუ არა მატარებელი სადგურის ბაქანს ტომრებით, ხურჯინებით და კალათებით დატვირთული მგზავრები დარხეულ ხილისავით ვაგონების კიბეებიდან ჩამოცვივდებიან. მუჯლუგუნებით და მხრების დარტყმით აფუსფუსებულ ხალხის შემჭიდროებულ ღობეს გაარღვევენ და აჩქარებული ნაბიჯით დარბაზს გაივლიან. სადგურის უკან ქუჩაზე რომ გავლენ სულს ამოითქვამენ, ხურჯინს მოხერხებულათ ბეჭებზე გადიდებენ და გზას გაუდგებიან.

სადგურზე მოსიარულეთა პროფილი სავსებით შეცვლილია. აქ ველარ შეხვდებით ეპოლეტებს, ექსელბანტებს, ჯაკარდებს, კარტუზებს, ანაფორებს, ჯვრებს და მენდლებს... ყველა ვინც წინად კაპიტალს ემსახურებოდა ზვიადობით ბაქანს ტკეპნიდა ძველ დროს გაყვა.

ხოლო ძველი სადგური ისევ სადგურობს. ახალი ჯგუფი მომუშავეებისა ისევ ძველ ჭუჭყიან მაგიდებს შემოსხდომიან და ძველ ტალახიან იატაკს ატალახიანებენ. ცვლილება აქ არაფერია, თითქმის არაფერი. ხოლო მედიდურობით აღარ გაივლის დაგრეხილ ეპოლეტებით გძელ წვერა ობერკონდუქტორი, აღარც სადგურის უფროსი გძელი თეთრ ღილება პალტოთი და არც ტელეგრაფისტი „კარტუზიან“ ქუდზე ორი „კაკარდათი“.

ეხლა მგზავრებსაც და მოსამსახურეებსაც ერთი ფორმა აქვთ და გარეგნობით ვერ გამოარჩევ, რომელი „წარჩინებულია“, და რომელი „დაბალი ხარისხის“. ტანისამოსი ყველას უბრალო, სადა და ერთფეროვანი აცვია.

პირველი და მესამე კლასის დარბაზები ისევ დარბაზობენ. ორივე კვლავ ბუფეტით და მაგიდებითაა გამართული, ორივეს ერთი და იგივე დანიშნულება აქვს. ყველას შეუძლია პირველ კლასის ბუფეტში პური სჭამოს, ამიტომ გაუგებარია—რისთვის არსებობს ორივე და რატომ ცდება მესამე კლასის მოზდილა დარბაზი.

დარბაზის კედლებზე ახლა უამრავი განცხადებები და აფიშებია—ისეთიც, რომელიც რკინის გზის ცხოვრებას შეეხება და ისეთაც რასაც მასთან არაფერი დამოკიდებულება არა აქვს. აქ ნახავთ წარმოდგენების აფიშებს, გადაცვლილთა სამგლოვიარო განცხადებებს, რაიონში სოც-შეჯიბრების შედეგების ხუსხას, კედლის გაზეთს და მოჭიდავეების აფიშებსაც.

საზღვარ გარეთის ფირმის რეკლამა „ჰენრიხ ბლოკ“, თეთრი ასოებით რომ კიაფობდა პირველ კლასის დარბაზის კედელზე, აღარაა. ეხლა სასოფლო მანქანებს ჩვენ თვითონ ვაკეთებთ და გლეხმა ურეკლამოდაც კარგად იცის კომბაინების, ტრაქტორების, სალეწი და სხვა მანქანების თვისება და ხმარებაც.

ძველი სადგური ისევ სადგურობს, ხოლო მის მოედანზე თასმებივით დაჭიმულ ლიანდაგებს რომ დააკვირდები შეამჩნევ რა რიგ შეცვლილა ხაზები. წინანდელი მოკლე ლიანდაგები გაგრძელებულან, შენობებისკენ ... ბიათ და შუაში გრძელი ბაქანი მოუქცევიათ. ამ მხარეს წინანდ — რკინის გზის კლუბი იყო, დაბალი ულაზათო შენობა. ეხლა იგი დანგრეულა. მის მაგიერ სხვა ალაგს, სადგურისა და ლიანდაგების მეორე მხარეს, ეხლა აშენებულია დიდი თეატრი — კლუბი. შენობა რკინის გზის ხარჯზეა აგებული, ხოლო სარგებლობს სტალინისის მთელი მოსახლეობა. თეატრის მაყურებელთა დარბაზი საკმარისად ფართეა, მაღალი — ორსართულიანი და 1000-მდე მსმენელს იტევს.

საყურებელ დარბაზის გარშემო რამდენიმე ფართე ოთახი მწკრივათ მისდევს ერთმანეთს. ეს ოთახები გამოყენებულია საკლუბო დანიშნულებისათვის. არის მოზრდილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სხვადასხვა სამეცადინო წრეებისთვის გაწყობილი მაგიდები და სკამები და სხვა. ეხლა აქ გროვდება და კულტურულ ცხოვრებას ეწაფება მუშათა დაბალი ფენები. წინანდელ ქეიფისა და კარტის თამაშის მაგიერ, ეხლა აქ ახალგაზრდები სოციალიზმისა და მისი მოძღვრების სწავლასა და პრაქტიკას ემსახურებიან.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა. სადგურის იქითა ნახარის მოსახლეობის ცხოვრება, ფრიად შეცვლილია. აღარ არიან თავადები, არც აზნაურები, აღარც გლეხები და აღარც ვაჭრები. მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა, ტერიტორია გაფართოვდა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ისევ რკინის გზელები არიან.

სადგურის უკან ეხლა გაფართოებული, მოკირწყლული ქუჩებია. მთავარი ქუჩისათვის ახალ ცხოვრებასაც ვერაფერი მოუხერხებია და თუმცა მოკირწყლული და გალამაზებულია, მაგრამ როგორც წინად ეხლაც ბებერი ხარის რქასავით მოგრეხილია და წიხანდებურად პირღია და ცარიელი კოოპერატივები მისდევენ მას ორივე მხარეს, როგორც დამშეული ტურები.

ეხლანდელი სტალინისის ფართობი მართლა ზღაპრული სისწრაფით გაზრდილია. რასაც სხვა ქალაქი ერთ წელს იმატებს, იგი ერთ დღეს ასრულებს და სოკოებივით წამოსკუპებული ახალი პატარა სახლები უწესრიგოთ და უგეგმოდ ძისდევენ სურამისკენ.

სულ მალე ეს ორი ქალაქი, ერთ სულ და ერთ ხორცად ქცეული, ელექტრონით განათებულ-გაჩირაღდნებული, საქართველოს შუაგულ მოზრდილ ქალაქად იქცევა. ხოლო სული მაინც სურამის მხარეს შერჩება მის კურორტულ ხასიათის გამო, ხორცი კი სტალინისში მომრავლდება — მისი ელექტრომავლებით, საყუდებით, ქარხნებით, სადგურებით, ლიანდაგებით და სანოვაგით...

იზრდება და ფართოვდება სტალინისი კულტურულადაც. აგერ უკვე მოხსენებული თეატრი. აგერ პედაგოგიურ ტეხნიკუმის წითელი შენობა და შემდეგ გაფანტული სხვა და სხვა სკოლები, მრავალნაირი და მრავალრიცხოვანი. აქ არის — ათწლედი, პედაგოგიური ტეხნიკუმი, მუშფაკები, საფაბრიკო სკოლა, შვიდწლედები — რუსული და ბერძნული განყოფილებებით, მუსიკალური ტეხნიკუმი და სხვა. ამ სასწავლებლებში (5 შვიდწლედია) 2800-3000-მდე მოწაფეა თავმოყრილი და 140-მდე მასწავლებელი მასწავლებლობს.

წინად მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის მცოდნე 71% შეადგენდა, ეხლა კი წერა-კითხვის უცოდინარები აღარ არიან.

აგერ მთავარი ქუჩის მოსახვევში რაიონის პოლიკლინიკა. პოლიკლინიკაში 9 ექიმი სხვადასხვა სპეციალობისა მოსახლეობის მკურნალობას ეწევა. აქვეა რენტგენის სხივების კაბინეტი, ფიზიკური-თერაპევტული და კბილის საექიმო კაბინეტები...

ასეთივე პოლიკლინიკა აქვთ რკინის გზის მოსამსახურეებს სადგურის გვერდით. წინად რომ ერთი ფერშალი იყო მხოლოდ, ეხლა აქაც 9 ექიმი სხვა და სხვა სპეციალობისა აკმაყოფილებს ავადმყოფების მოთხოვნილებას. აქვეა რენტგენის სხივების კაბინეტი, ფიზიკურ-თერაპევტიული და კბილის საექიმო კაბინეტები. ასეთივე ცალკე შენობაში მოწყობილია ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია. თვით სადგურზე ერთი სუფთა ოთახი დათმობილი აქვს, როგორც სხვა დიდ სადგურებში, ბავშთა და დედათა საცდელ ოთახს.

შენდება და მალე დამთავრდება დიდი საავადმყოფო...

იზრდება და ფართოვდება სტალინისი. ერთი მხრივ, სურამისკენ რომ პატარა ერთ სართულიანი სახლები მრავლდება, სოფელი ჭალა შეიერთა და ცხრამუხასაც აეპოტინა, მეორე მხრივ ქვეით, სადაც ახალი საყუდია განმარტოებული, ახალი ორსართულიანი ქვითკირის შენობები ელექტროფიკაციაზე მომუშავეთათვის რიგებათ იმართება. ეს იქნება ქალაქ სტალინისის ახლი დიდი ნაწილი. აქ ეწყობა ელექტროფიკაციის ქვესადგური, ელექტრომავალების საყუდიც აქვეა და ცოტა მოშორებით სოფ. ოსიაურისკენ აზნავთის საქაჩავი.

ეს ახალი ნაწილი, ახალი შენობებით მალე სოფ. ოსიაურს შეუერთება და ამნაირად სტალინისი 7—8 ვერსის მანძილზე გაზრდილი, საქართველოს შუა გულას დიდი ქალაქი შეიქნება.

მალე ახალი შენობებით გადაბმული ახალი საყუდი დაუხლოვდება რკინის გზის სადგურს. მაშინ კი ძველი სადგური ვეღარ ისადგურებს თუ მის ადგილზე არ აშენდება ახალი· ხოლო ამის ნიშნები უკვეა. უნდა აშენდეს ელექტრომავალების სადგური! პირველი, საბჭოთა კონსტრუქციის დიდი სადგური სტალინისში უნდა აღორძინდეს.

ახალი სტალინისის სადგური, ოთხი მიმართულებით რომ ელექტროს ფრთებს, გააგზავნოს,—ტფილისის, ბათომის, ბორჯომის და სურამისკენ,—უსათუოდ დადგება თავის სიმაღლეზე და საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე მდგარი—ის იქნება მაღალი, ახოვანი, მზიანი და ეშხიანი·..

სურამი. ივლისი—აგვისტო 1933 წ.

oooooooooooo

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო მელაძე

გაკვრით კლასიკოსებზე

I

ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე ათეული წლების წინ რევოლიუციონურ მარქსიზმის მედროშეებს საქართველოში შეუნელებელი ბრძოლის წარმოება უხდებოდათ ნაციონალ — დემოკრატების, მენშევიკების და სხვა პარტიების იდეოლოგიის წინააღმდეგ. ბრძოლა იყო პრინციპიალური და გადამწყვეტი. მარქსიზმის მედროშენი ამ ბრძოლაში, როგორც ყოველგან, გამარჯვებული გამოვიდენ „მარქსისტების ამ შედარებით სუსტი ჯგუფის, გამარჯვება აიხსნებოდა იმით, რომ ისინი სისწორით გამოხატავდენ ცხოვრების სინამდვილეს. ეს იყო ცხოვრების და სისწორის ლოზუნგი". (მახარაძე). მაგრამ ეს მდგომარეობა სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბრძოლა საბოლოოდ დამთავრდა, და არაა მოსალოდნელი მათი დამსხვრეული იდეების გავლენების გაძლიერება. ამის ფიქრი თავის მოტყვილება იქნებოდა. და ეს ასეც მოხდა. მოწინააღმდეგე კლასის ნარჩენები ერთხელ კიდევ ცდილობდენ უკანასკნელი გაბრძოლებას და ბოლშევიკურ იდეოლოგიის წინააღმდეგ შეუნელებელ ლაშქრობას. ამ გამოლაშქრების ფაქტები საკმაოდაა ჩვენში გამომჟღავნებული. ისინი აშკარად თუ მალულად იდეოლოგიურ ფრონტზე აწარმოებდენ ბრძოლას თავისებურ ფორმებში. „ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენ ბოლშევიკ-ლენინელებს იდეოლოგიურ ფრონტზე წარსულშიაც გვებრძოდენ, და როგორც ჩანს ახლაც გვებრძვიან იმ განსხვავებით, რომ წინად ისინი გვებრძოდენ ნაციონალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და მენშევიკების პარტიების სახელით, ახლა კი იმავე როლს წარმატებით ასრულებენ გარეგნულად, თითქოს როგორც ყოველივე პარტიის გარეშე მდგომნი". (ფ. მახარაძე).

ამხ. მახარაძე ზუსტ ახსნას იძლევა იმ მდგომარეობისას, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში, ეს გარემოება ძალზე შესამჩნევია ხელოვნების ყველა ფრონტზე და მათ შორის განსაკუთრებით ლიტერატურაში, როგორც სხვა დარგში ისე ლიტერატურაშიაც გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს. კლასობრივი ნტერი, როგორც აშკარად, ისე ნიღაბ აფარებული გამოდის მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ მარქსიზმის მიერ ამ რამოდენიმე ათეული წლების წინ დამარცხებული იდეოლოგიის აღდგენას და მის რესტავრაციას, ისინი ცდილობენ ლიტერატუ-

რის დარგში და განსაკუთრებით კლასიკოსების გაგების საკითხში ინტერპრეტაცია უყონ მარქსიზმს და გააგრძელონ ნაციონალისტურ პარტიების იდეოლოგიური ხაზი. ისინი ცდილობენ მტკიცედ და ურყევად დაიცვან არჩილ ჯორჯაძის და კიტა აბაშიძის რეაქციონური დებულებები, რომელიც მიმართული იყო მარქსიზმის წინააღმდეგ ჩვენს სინამდვილეში. მარქსისტების მიერ წარმოებული ბრძოლა არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, ილია ჭავჭავაძის და მისი სკოლის წინააღმდეგ „მოდისა“ და „ფორმალობის“ საკითხში კი არ იყო, არამედ ბრძოლა პრინციპიალური, ორ მოპირდაპირე კლასობრივ იდეოლოგიის შორის.

ყოვლად შეუძლებელი იყო შეთანხმებულიყო საკითხებში ილია ჭავჭავაძე და სხვები მარქსისტებთან იმ დროს, როდესაც თითეული მათგანის სამოქმედო პროგრამა სულ სხვა და სხვა იყო. ერთნი მოითხოვდენ ძველი ფეოდალური ყოფის შელამაზებას მისი შენარჩუნების მიზნით. მეორენი კი მთელი კატეგორიულობით მოითხოვდენ არსებული ყოფისა და წყობილების გარდაქმნას მისი ძირფესვიანად, განადგურების მიზნით.

მე-19 საუკუნეში ქართული საზოგადოების ქვედა ფენები მეტად საშინელ და უნუგეშო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ერთი მხრით რუსეთის ბიუროკრატიზმი და მეორე მხრით თავაშვებული და გახებივრებული თავად-აზნაურობა, აი ორი მაჯლაჯუნა, რომლებიც სასიკვდილო განაჩენს უმზადებდენ ღარიბ გლეხობას. ეკონომიურად დაბეჩავებული და პოლიტიკურად უფლება აყრილ გლეხობას არავითარი საშუალება არ ქონდა არსებობისათვის, ის იძულებული იყო მიემართა ბრძოლის აქტიურ ფორმებისათვის, როგორიც იყო მასიური აჯანყებები და მასიური გამოსვლები რუსეთის ბიუროკრატიზმისა და ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. გლეხთა ასეთ აჯანყებებით სავსეა მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი. გლეხობა ამ აჯანყებებში მუდამ დამარცხებული გამოდიოდა, მაგრამ ისინი აჯანყებებით აშკარა და ღრმა პროტესტს გამოთქვამდენ არსებულ წყობილების და არსებულ საზოგადოებრივ ფორმაციის წინააღმდეგ. თავად-აზნაურობისათვის გლეხობის ასეთი მდგომარეობა არავითარ სადარდო და სამწუხარო მოვლენას არ წარმოადგენდა. თუ რამდენად საშინელ და აუტანელ მდგომარეობაში იყო გლეხობა მაშინ, ამას ადასტურებს ბოდბისხევის გლეხების საჩივარი, სადაც ამბობენ: „ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უბედურება არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის დროსაც კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულების ფიცი მივეცით ხელმწიფეს, მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ველარ მოვითმინეთ და ავიშალენით. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით ვიხილეთ. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამაკაცი დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ წაავლებენ ხელს დედაკაცებს, ჩახდიდენ ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭრელებდენ. პური იყო ჩვენზე გაწერილი, კოდში ექვს აბაზს იძლეოდენ. მარტო გადატანაში ვაძლევდით თითო მანეთს, ასე რომ კოდზე აბაზი გვრჩებოდა. მაგრამ რადგან შიმშილობის გამო ჩვენი სამყოფიც არა გვქონდა პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად კოდსა... ცარცვა-გლეჯისა და ცემა-ტყეების გარდა, სული გაგვიმწარეს ქრთამების

აღებით. სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრავნიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო, მომჩივანს კარს არ გაუღებდენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახებდა. ბავშვებს პურს გლეჯდენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებს კიდებდენ, ხელმწიფეს რა სარფა ქონდა ჩვენი ასეთის დაწაოკება-დარბევისაგან? [1])"

ამ უბრალო ენით დაწერილ განცხადებაში გლეხობის მდგომარეობის საშინელი და უდიდესი ტრაგიზმი მოსჩანს. ზემოდ მოყვანილი სტრიქონები, საჩივრიდან დამახასიათებელია გლეხობის მაშინდელი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობისა. ისინი ასეთ საშინელ დევნას და აწიოკებას განიცდიდენ რუსეთის ბიუროკრატიზმისაგან. მეორე მხრივ კი ისინი იდევნებოდენ თავიანთ ბატონებისაგან. შრომა იყო მათი, — ნაშრომი კი სხვისი.

გლეხობის ასეთ მდგომარეობას ქართულმა მწერლობამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და მის შემდეგაც ეგ. ნინოშვილამდე, დ. ჭონქაძის გამოკლებით, გვერდი აუარა. ქართველ მწერლების უმრავლესობა თვითონაც პრაქტიკულ მემამულეებს და არისტოკრატებს წარმოადგენდენ, რომელსაც არაფრად არ ედარდებოდათ დაბალი გლეხის ცხოვრება. ასეთი იყო ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი და 60 წლების მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ. მწერლები.

დღემდე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გავრცელებულია ის აზრი, რომ ვითომდა ქართველ რომანტიკოსების ჯგუფი და „თერგდალეულები" ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, გლეხობის სასარგებლოდ. ეს აზრი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის და საერთოდ ფედერალისტებს ეკუთვნით. დებულება ძირშივე შემცდარია. ასეთი აზრი ჯერ კიდევ 90 წლებში და მის შემდეგაც ქართველ მარქსისტების მიერ, ამხ. ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით, რამოდენიმეჯერ იქნა უარყოფილი, მაგრამ დღესაც გამოჩნდა ისეთი ხალხი, რომლებიც მარქსიზმის მიერ სასიკვდილოდ განგმირულ ყოვლად გაკოტრებულ იდეოლოგიისა და რეაქციონურ მსოფლმხედველობის დამცველებად და კიტა აბაშიძის ფედერალისტურ ხაზის გამგრძელებლად გამოდიან. ამ ჯგუფს ეკუთვნის ქართველ კრიტიკოსების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა: ვ. კოტეტიშვილი, ვ. ხუროძე, კ. კაპანელი, თ. ბეგიაშვილი, მიხ. ზანდუკელი და სხვები. ეს ხალხი კიტა აბაშიძის და არჩილ ჯორჯაძის ღირსეული მემკვიდ"ეები არიან, მათი სამოქმედო პროგრამა იგივეა, რაც კიტა აბაშიძის და არჩილ ჯორჯაძის იყო. მათი მიზანია ბრძოლა მარქსისტულ გაგების წინააღმდეგ კლასიკოსების და საერთოდ ჩვენი ლიტერატურის ისტორისი საკითხებში.

როგორია მათი კლასობრივი პოზიციები? ეი საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა — წარსული ბრძოლების მარქსისტული პოზიციები დაცულია ამხ. ფ. მახარაძის ლიტერატურულ დოკუმენტებში და მათ სწორედ ამ დოკუმენტების წინააღმდეგ მიაქვთ იერიშე-

[1]) აქტები. ტომი 5—გვ. 61-62

ბი. სადავო საკითხებს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის და საერთოდ — „თერგდალეულების“ საკითხი და ქართველ რომანტიკოსების გაგება.

აღნიშნული კრიტიკოსების გამოსავალი წერტილია სუბიექტივიზმი და რაც მთავარია ეროვნული საკითხი. ისინი ყოველი ფაქტის და ლიტმოვლენის ახსნას ნაციონალურ საკითხით ცდილობენ. მათ მთელი ქართველი მწერლები ეროვნულ გმირებათ აღიარეს და სამშობლოსათვის ტანჯულ წმინდანებად გამოაცხადეს. ისინი საკითხების გადაწყვეტას უდგებიან არა იმ თვალსაზრისით, „რომ ადამიანთა ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა“, არამედ ეროვნული საკითხის თანდათანობითი განვითარებით და იკეტებიან ადგილობრივ ნაციონალიზმის ნაჭუჭებში. მათ მხედველობიდან გამოუშვეს ის, გარემოება, „რომ ახალმა ფაქტებმა გვაიძულა ხელახლა გადაგვეხედა მთელი ადრინდელი ისტორია, და აღმოჩნდა, რომ იგი სავსებით კლასთა ბრძოლების ისტორია ყოფილია, რომ ეს ერთი მეორის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი კლასები ყოველთვის თავიანთი ეპოქის საწარმოო და სააღებ მიმცემო ურთიერთობის, ერთი სიტყვით ეკონომიური ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს; მაშასადამე, ყოველი განსაზღვრული დროის საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა წარმოადგენს რეალურ საძირკველს, რომლითაც საბოლოო ინსტანციაში, აიხსნება საერთო ზედნაშენი თითოეული ისტორიული ეპოქის უფლებრივი და პოლიტიკური დაწესებულებებისა და აგრეთვე რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა წარმოდგენებისა. ამრიგად იდეალიზმი გაძევებულ იქნა მისი უკანასკნელი საფარიდან, ისტორიის შემეცნების დარგიდან, მოცემულ იქნა ისტორიის მატერიალისტური შემეცნება და აღმოჩენილი იქნა გზა, რათა ადამიანების შეგნება ახსნილიყო მათი ყოფიერებით, ნაცვლად იმისა, რომ მათი ყოფიერება მათი შეგნებით ახსნილიყო“. [1])

ზემოდდასახელებულ კრიტიკოსების მიერ მარქიზმის ეს მოთხოვნა ყოველი მოვლენის კვლევის დროს სრულიად მიჩქმალულია და, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, წინა პლანზე წამოწეულია საკვლევ საგნისადმი ნაციონალისტური მიდგომა და სუბიექტიური კრიტიკა.

ამ დებულებას საუკეთესოდ ადასტურებს ქართველ კრიტიკოსების ბრძოლა იმისათვის, რომ დაამტკიცონ ისეთ რეაქციონურ მწერლის, როგორიც გრ. ორბელიანია, გაორება, და დიდი პატრიოტობა; ბოლოს მათი თავგასულობა იქამდინაც მიდის, რომ ამტკიცებენ მის დემოკრატობასაც.

გრ. ორბელიანი შესახებ ასეთი აზრი არც ახალია და არც მათ ორგინალობას შეადგენს. ეს კიტა აბაშიძეს ეკუთვნის. ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ გრ. ორბელიანი წარმოადგენდა რუსეთის ბიუროკრატიზმის მარჯვენა ხელს და პრაქტიკულად იბრძოდა ხმლით ხელში ამბოხებულ გლეხების გასანადგურებლად. ქართულ რეაქციონურ კრიტიკას ამის მიჩქმალვა, უნდა. ისინი დღესაც იბრძვიან ამ აზრის დასამტკიცებლად რაც აშკარად მიმართულია ამავე საკითხის მარქსისტულ აზრის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს ამხ. ფ. მახარეძე.

---

[1]) ფრ. ენგელსი — „ანტი-დიურინგი“ — გვ. 9

ქართველ კრიტიკოსების ძველ თაობას არ უნდა გაიხსენოს გრ. ორბელიანის მოღვაწეობის ეს მხარე, რადგან მათი აზრით ეს შემთხვევითი ყოფილა გამოწვეული მის ცხოვრებაში, რომელიც ჩირქს ცხებს გრ. ორბელიანს, როგორც მწერალს და პოეტს. მათი აზრით ორბელიანი გაორებულია. ერთი არის ორბელიანი რუსეთის ბიუროკრატიულ აპარატის მოხელე და მეორე არის იგი როგორც შემომქმედი, რომელიც მატარებელია დემოკრატიულ იდეების. სწორედ ამ მდგომარეობით იყო გამოწვეული, როდესაც კიტა აბაშიძე სწერდა „ჩვენ აქ გრ. ორბელიანის ბიოგრაფიას თითქმის არც კი შევეხებით, არ შევეხებით იმიტომ, რომ ეს ბიოგრაფია ბევრს არაფერს გვეტყვის და გვასწავლის იმ საგნის შესახებ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა, ე. ი. მისი პოეზიის შესახებ. მისი ბიოგრაფია არავითარ ნათელს არ ფენს მის მწერლობას და წინააღმდეგ, ეს მისი ცხოვრების მატიანე გვარწმუნებს იმაში, რომ ხშირად, ძალიან ხშირად განსაკუთრებით ეს ჩვენს მწერლობის ისტორიაში ხშირია, მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრების შორის ხიდია ჩატეხილი და გარდუვალი უფსკრულია დამკვიდრებული. რა უნდა იყოს საერთო გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც რაც უნდა ვთქვათ. ძალიან მძლავრად ააღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზე ერთად ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთად ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემისა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა. აბა, მიბრძანეთ ერთი, რა არის საერთო ამ პოეტის შორის, რომლის ქნარით ნაზისა და მომხიბლავის მელოდიებით აღსავსე ჰანგებს აჟღერებდა და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომარის შორის, რომელსაც სხვა და სხვა მხარის მართველობის დროს „დრაკონის კანონები“ შემოიღო? აბა, რიღად შეგიძლიათ მოათავსოთ ერთ არსში მაღალ გრძნობიერი მგოსანი, რომელიც გულზვიად და გულგრილ სატრფოსაც კი გზას ულოცავს და ის გაშმაგებული სისხლის მსმელი მეომარი, რომელსაც თავისი სიმხეცით თავი მოსწონს. ლეკებთან ბრძოლის დროს, აი რა უცნაურის სისხლის მელნით აჭრელებს თავის წერილებს მახლობლებთან სარდალი თავადი გრ. ორბელიანი: ესა და ეს სოფელი „სულ მოვახნევინოთ ნიშნად სრულიად აოხრებისა, ამითი სისხლი დავლიოთო“, ან და „რატომ მეც მანდ (ომში) არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკების) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხლათაო“. და კიდევ უსაშინელესი: „ნელნელად თავებს ვაჭრევინებ (ქარობელქანში წესიერების დამრღვეველთ) და აქამდის გავაბედვინე, რომ თვითვე გამოაშკარავებით მოაქვსთ ჩვენთან თავები და ხელები ყაჩაღების“. ამის დამწერ კაცს, — განაგრძობს კიტა აბაშიძე — ვერ უნდა შესძლებოდა ვერც ერთი სტრიქონის დაწერა, რომელშიაც ადამიანური გრძნობა სჩანდეს. გრ. ორბელიანის პოეზია კი სავსეა ღრმა გრძნობებით და მაღალ აზროვნებით. გრ. ორბელიანის ბიოგრაფია, ისე როგორც, მისი გენიოსობით შემოსილი დისწულისა, მარტო იმას გვიმტკიცებს, რომ მწერალს, როგორც ეგრეთს, როგორც ღვთაებრივი ცეცხლის ჭურჭელს არაფერი არა აქვს საერთო და ან ძალიან ცოტა აქვს საერთო თავის გარეგან განსახულებასთან ჩვეულებრივ ბუნებასა და არსებასთან. ხანდისხან მწერალი სულ სხვა პოლუსზედა სდგას და კაცი ჩვეულებრივი, ამ

მწერლის ჩენჩხო სულ სხვა პოლიუსზედ, როგორც მაგ. გრ. ორბელიანი პოეტი და გრ. ორბელიანი სარდალი, მთავარ მართებელი... მაგრამ ეს საგანი ფრიად მძიმეა და მრავალმხრივი ლიტერატურის კრიტიკაში და ისტორიაში, და მას ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ. ის თხოულობს უფრო დიდ დაკვირვებას და განსჯას [1])

„ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ“ მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ურთიერთობას, — ასკვნის კიტა აბაშიძე, რადგან „ის თხოულობს უფრო დიდი დაკვირვებას და განსჯას“-ო. ყველაფერი გასაგებია. კიტა აბაშიძემ წამოაყენა დებულება გრ. ორბელიანის გაორების შესახებ. კ. აბაშიძეს ვერ წარმოუდგენია გრ. ორბელიანი ჩინ-მენდლებიანი და გრ. ორბელიანი მწერალი. კიტა აბაშიძისვე აზრით იგი უდიდესი პატრიოტია და ვახ. კოტეტიშვილის განცხადებით კი, „უნდა გვახსოვდეს ჩვენი პოეტი დიდი პატიროტია, მას უყვარს ყველა, მაგრამ სამშობლოს ყველას ანაცვალებს“-ო. [2]) ეს დებულება ძირშივე შემცდარია. გრ. ორბელიანს უყვარს არა მთლიანად მთელი სამშობლო, ამ შემთხვევაში საქართველო, არამედ საქართველო ფეოდალებისა, საქართველო თავად-აზნაურული და არა საქართველო მშრომელების. მართალია გრ. ორბელიანს ვახ. კოტეტიშვილი და სხვები დემოკრატად აცხადებენ, მაგრამ იგი, მიუხედავად ამისა მაინც რჩება როგორც გამხეცებული ჯალათი, ამბოხებულ გლეხების სისხლის მსმელი, რომელიც ხარობდა და მხიარულებდა მოჭრილ თავებით და ხელებით.

გრ. ორბელიანის შემოქმედება და მისი პრაქტიკული მუშაობა არა თუ წინააღმდეგობაშია, არამედ მათი დაშორებაც კი წარმოუდგენელია. გრ. ორბელიანი არა მარტო თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით იყო ვალდებული, რომ 1856 წ. 23 ნოემბერს ეკატერინე დადიანისათვის მიეწერა: „უმოწყალეო დაო ეკატერინეე!.. კნიაზ ბარიათინსკის დავხვდი დიდის ყოფით, ჩირაღდნები, შუშხუნები, ბალები, რეჩები, ისე როგორც შეეფერებოდა იმპერატორის ნამესტნიკს. ხალხმაც და ჯარმაც მიიღეს დიდის აღტაცებით“, არამედ თავის შემოქმედებაშიაც იმავე აზრის გამომსახველია. აი ვინ იყო გრ. ორბელიანი, აი ვის საქმეს აკეთებდა იგი. ამავე საქმეს ემსახურებოდა ის თავის შემოქმედებაში, გრ. ორბელიანი თავის პოემა „სადღეგრძელო“-ში სწერს:

ხელმწიფეე ჩვენო, (მიმართავს ნიკოლოზ I-ს კ. მ.)
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა,
მეფეთა ნენნი,
ერთგულნი მხნენი,—
ვ'ვამთ შენ სადღეგრძელოს მოწიწებითა.
თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლენ შენსა ივერსა!

---

[1]) კიტა აბაშიძე „ეტიუდები“ ტომი. 2 გვ. 33-34-35

[2]) ვ. კოტეტიშვილი „ქართ. ლიტ. ისტორია“ ტ. 1 გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო გვისპინე,
მეფეს მოჰფინე,
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ,
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად
მეფე გვიცოცხლე მრავალ ჟამიერ."

ვახ. კოტეტიშვილის აზრით ეს ადგილი ტექსტში ჩამატებულია. ეს აზრი ძირშივე შემცდარია. ეს ადგილი არა თუ ჩამატებულია, არამედ ტექსტის ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს. ყოვლად დაუშვებლად, ყოვლად მიუღებელად და ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს ისტორიის წინაშე ის ფაქტი, როდესაც ვახ. კოტეტიშვილმა გრ. ორბელიანის პოემიდან აღნიშნული ადგილი ამოიღო. კოტეტიშვილი სწერს: „სადღეგრძელოდან" გამოვტოვეთ ¦ნიკოლოზ I სადღეგრძელო. ხელთნაწერიდან მიუმატეთ რამოდენიმე ახალი ადგილი, რაც დაბეჭდილ ტექსტში არ არის, და გვგონია რომ საამისო უფლება გვქონდა, რადგან გამორჩენილ ლექსთა ადგილების ჩამატებას თვით ლექსთა კონსტრუქცია მოითხოვდა, რაშიც მკითხველიც დარწმუნდება. მეფის სადღეგრძელოს გამოტოვებას კი მოითხოვს როგორც პოემის ხასიათი, ისე ტექსტთა ანალიზიც, რის შესახებ უფრო დაწვრილებით წიგნის ბოლოშია საუბარი [1])

აი რას წერს კოტეტიშვილი წიგნის ბოლოში აღნიშნული საკითხის შესახებ: „ამ პოემის დედანი (ლაპარაკია „სადღეგრძელო"-ზე კ. მ.) არ არსებობს. ჩვენ დავემყარეთ პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემულ ტექსტს, როგორც დედანს, რადგან „ავტორისგან გასწორებულიაო" სწერს გამომცემელი. მხოლოდ ჩვენის მხრივ ტექსტში შევიტანეთ რამდენიმე არსებითი ცვლილება, უპირველეს ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ ჩვენ გამოვტოვეთ ე. წ. მეფის სადღეგრძელო შემდეგი მოსაზრებით: ეს ლექსი არ წარმოადგენს პოემის ორგანიულ ნაწილს. იგი შემდეგ არის ჩამატებული. და ჩამატებულია როგორც ერთგვარი სარეცენზიო ვიზა, პოემის გასატანად. ასეთი მსჯელობისათვის საბუთს გვაძლევენ პირვანდელი ვარიანტები, სადაც მეფის სადღეგრძელო არ არის" [2])

აქედან კოტეტიშვილის აზრით გამოდის, რომ გრ. ორბელიანი ებრძოდა არსებულ წყობილებას და სხვა და სხვა საშუალებებს მიმართავდა, რომ ცენზურისათვის გაეპარებინა რუსეთის ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო აზრები. სად არის მსჯელობის უბრალო ლოღიკაც კი? განა გრ. ორბელიანი იმდენად სულელი იყო, რომ თავის დასაკლავ დანას თვითონ ალესავდა? თუ რომ იგი რუსეთის ბიუროკრატიზმს შეებრძოლებოდა და გაილაშქრებდა, მაშინ ხომ დაეკარგებოდა ჩინები და ორდენები? თუ ეს ასე იყო, რატომ სჭიროდა გრ. ორბელიანს ცეცხლითა და მახვილით გაენადგურებია უსამართლობის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობა? თუ რომ გრ. ორბელიანი ისე დიდი პატრიოტი იყო საერთოდ ქართველი ხალხისა, როგორც ეს ვახტანგ კოტეტიშვილს და სხვებს

[1]) იხ. გრ. ორბელიანის ლექსების წიგნი გამომც. „ქართული წიგნი" 1928 წ. გვ. 7, რედაქტორის შენიშვნები.

[2]) იგივე წიგნი გვ. 180.

გონია, რატომ გაუძღვა წინ მილიციის რაზმებს 1841 წლის გურიის აჯანყების ჩასაქრობად? რატომ შეიღება გრ. ორბელიანმა თავისი ხელები გურულ გლეხების სისხლში? ისინიც ხომ ქართველები იყვნენ? მაგრამ კოტეტიშვილს და სხვებს, რომლებიც ასე საჯაროდ გამოდიან ყოვლად უსუსურ და უბადრუკ დებულებებით, უნდა ახსოვდეთ ერთი უტყუარი დებულება: საქმე არა ეროვნებაშია, საქმე არა ქართველობაშია, არამედ კლასობრივ პოზიციებში და კლასობრივ მსოფლმხედველობაში. გრ. ორბელიანი არც ისე გულჩვილი პოეტი გამოდგა, როგორც კიტა აბაშიძეს ეგონა, არც ისე დიდი პატრიოტია, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილს გონია და არც იმ მოხერხების კაცი, რომელიც თურმე ცენზურას რაღაც რაღაცეებს აპარებდა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. საიდან შეთხზა კოტეტიშვილმა ასეთი ლეგენდა ანდა ვინ მისცა მას უფლება, რომ თავიდან დადგენილ ტექსტიდან ამოაგდოს სწორედ ის ადგილები, რაც მის დებულებას არ ეთანხმება? განა ცხადი არაა ის ამბავი, რომ გრ. ორბელიანის ქებანს ნიკოლოზ პირველისადმი დისონანსი შეაქვს მისი პატრიოტობის საკითხში, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს კოტეტიშვილი და სხვები?. სწორედ ამ წერილიდან გამოდიან ისინი, როდესაც გრ. ორბელიანს მთელი ქართველ ერისათვის ტანჯულ გმირად აცხადებენ.

ყოვლად მიუღებელი, აშკარა ცილის წამება, საკითხის დაბნელება და უვიცობის საუკეთესო ნიმუშია, როდესაც ვარლამ ხუროძე სწერს „ქართველ მწერალს, რომელი წრიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არასოდეს არ დავიწყებია თავისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები: არისტოკრატი გრ. ორბელიანიც ისე წუხდა თავის ქვეყნის ბედზე, როგორც დემოკრატი ნინოშვილი. მართალია მისი მიდგომა და საზოგადოებრივი საკითხების გაგება სხვა და სხვა გვარის იყო, მაგრამ ის კი უტყუარი ფაქტია, რომ ორივეს აზრი საქართველოს სვებედის გარშემო ტრიალებდა. სამშობლო და მისი ინტერესები, ხალხი და მისი ცხოვრების უკეთეს პირობებში ჩაყენება,—აი ის ცხოველმყოფელი აზრები, რომელიც ყოველ წუთს ახსოვდა ქართველ მწერალს“ [1]).

ასეთ აზრებს აღშფოთების გარდა სხვა არაფრის გამოწვევა არ შეუძლია, სად მოიფიქრა ან როგორ ვ. ხუროძემ, როდესაც პირველი მარქსისტი მწერალი ეგ. ნინოშვილი გამოიყვანა იმავე მიზნისთვის მებრძოლად, რისთვისაც იბრძოდა რუსეთის ბიუროკრატიზმის მარჯვენა ხელი გრ. ორბელიანი. „თურმე ორივეს აზრი საქართველოს სვებედი ყოფილა“. თურმე ნინოშვილის საფიქრიც იგივე ყოფილა რაც ფეოდალ გრ. ორბელიანის, იმ ორბელიანის, რომელსაც სხვა არისტოკრატ მწერლებთან ერთად „ნამდვილ ცხოვრებასთან საერთო არა ქონდა რა“. (ფ. მახარაძე). ვ. ხუროძის მიერ ეს დავიწყებულია. ეს ავიწყდება ყველა მას, ვინც ამტკიცებს გრ. ორბელიანის დემოკრატობას. ეს აზრი შემთხვევითი არაა—ეს არა თუ მარტო კიტა აბაშიძემ წამოაყენა, არამედ მას დღეს თავგამოდებით იცავს როგორც კოტეტიშვილი, ისე ბეგიაშვილი, ხუროძე და სხვ. აი რას სწერს კიტა აბაშიძის ერთი ეპიგონი,—თ. ბეგიაშვილი: „მეცხრამეტე საუკუნე კი უაღრესად დემოკრატიზმის საუკუნეა. მრავალი რევოლუციები ამ საუ-

[1]) ვ. ხუროძე „ქართ. ლიტ. თემატიურად განხილვაა გვ. 221.

კუნეში, მართალია დამარცხებით თავდებოდენ ხოლმე, მაგრამ შეურყეველად ავრცელებდენ ძმობა ერთობ-ს, თავისუფლების და დემოკრატიზმის პრინციპებს. დემოკრატიზმის ტალღა საქართველოშიაც მოგორდებოდა, ხოლო ამ ტალღას გვერდს ვერ აუქცევდა თვით გრ. ორბელიანიც. მართლაც დიდი არისტოკრატი, და ფეოდალი, დიდი მოხელე, მრავალი ორდენით დაჯილდოვებული, რომელსაც ურყეევად სწამდა, რომ ადამიანთა კლასებად დაყოფა აუცილებელია, ხოლო ცხოვრების უპირატესობანი ფეოდალური კლასის ხელში უნდა იყოს, ერთ თავის ლექსში მუშისა და შრომის პროლეტარებს აყენებს და ისე მოხდენილად, რომ მკითხველი ავტორს თუ სოციალისტად არა, მემარცხენე ლიბერალად მაინც ჩათვლის [1]).

გრ. ორბელიანი სოციალისტად გამოაცხადეს, სოციალისტობის მანდატიც მისცეს, რომელმაც, თურმე, დიდებულად ასახა მუშისა და გლეხის მდგომარეობა. ეს სხვა რომ არა იყოს რა გრ. ორბელიანისადმი ცილის წამება და უპატივისმცემლობაა. ვის ესაჭიროება ეხლა, და ვისთვის არის სასარგებლო ასეთი მავნე აზრების გამოთქმა, მისი ცალკე წიგნად გამოცემა? ვინ უნდა დაიჯეროს გრ. ორბელიანის დემოკრატობა, მისი მემარცხენე ლიბერალობა? „თუ პუბლიცისტურ მწერლობას თავს დავანებებთ და ყურადღებას მივაქცევთ მაშინდელ პოეტებს და ბელეტრისტებს, აი რას შევამჩნევთ: ვერ ვიტყვით, რომ პოეტებისა და ბელეტრისტების რიცხვი მაშინ ჩვენში შედარებით მცირე ყოფილიყო, განსაკუთრებით ბელეტრისტებში. მაგრამ არც ერთ მათგანს ბატონ-ყმობის შესახებ ხმა არ ამოუღია: ეს საკითხი მათთვის არ არსებობდა. თავ. ალ. ჭავჭავაძე საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი ხანების გამომხატველი, ღვინოს და ქალებს უგალობს; თავადი გრიგოლ ორბელიანი ბუნების აღწერაში, ჰპოვებს სიამოვნებას; თავადი ვახტანგ ორბელიანი კი საქართველოს წარსულის მოგონებაში, რომელიც ამ მოგონების დროს ცრემლებს ღვრის. ამათ ლექსების კითხვის დროს თქვენ ერთხელაც არ მოგივათ იმის ფიქრი, რომ იმათ გარშემო რაიმე მწუხარებას ქონდა ადგილი.“ [2])

მაშ საიდან მოიტანა ბეგიაშვილმა ის ამბავი, რომ გრ. ორბელიანი მშრომელ მასებს ესარჩლებოდა „მგოსნის მიერ მუშის სურათი უნაკლოდ არის გადმოცემული, ხოლო ღარიბთა ფსიქოლოგია დეტალური სინამდვილით არის გადმოცემული“-ო [3]).

ამ შემთხვევაში მათ მხედველობაში აქვთ გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე“, რომელიც ლოღიკური გაგრძელებაა მისი დანარჩენი ლექსების იდეურ ხაზებისა. აპავე აზრს გამოსთქვამს აღნიშნული ლექსის შესახებ ვ. კოტეტიშვილი იგი სწერს: „ილია ჭავჭავაძის გავლენა საძრახისი არ არის, მაგრამ გვგონია რომ გრ. ორბელიანის ერთგვარი დემოკრატიზმის ჩანასახი ილია ჭავჭავაძემდეც არსებობდა, რაც გრ. ორბელიანმა თავის მუხამბაზში სთქვა:

---

[1]) თ. ბეგიაშვილი „ლიტ.—საუბრები“ გვ. 103.

[2]) ფ. მახარაძე „დ. ჭონქაძე და მისი დრო“ გვ. 85.

[3]) თ. ბეგიაშვილი „ლიტ. საუბრები“ გვ. 103.

—„ჩემს დარდებს ვინ ინაღვლებს, ვინ არის?
„ვის რა უნდა ლოპიანა ვინ არის-ო.

ეს ამონაკვნესი—განაგრძობს კოტეტიშვილი,—იმ სიტყვების დასაწყისია, რომელსაც შემდეგ მუშა ბოქულიძეს ათქმევინებს:

„სჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც
„არის სადმე სიმწარითა ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრ. ორბელიანი აქაც იმ დემოკრატიზმის გამგრძელებელია, რომელიც ალ. ჭავჭავაძემ შემოიტანა. მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეს უფრო მებრძოლ ტემპერამენტით აქვს წარმოდეენილი მომავალი თანასწორობა, გრ. ორბელიანის მუშა კი პასიური, ძველი ტრადიციებით შებორკილი პროტესტანტია. ამ განსხვავების მიზეზი კი ის იყო, რომ ალ. ჭავჭავაძე თავისით ამბობს, პირველი პირით გრ. ორბელიანი კი მუშას ალაპარაკებს, რომელიც იმ დროს ჩუმად გულში ჩაიტიროდა, და აქ, პოეტმა რეალიზმს არ ულალატა.[1])

ზემოდ ჩვენ სწორედ ამ დებულების საწინააღმდეგოდ ამხ. ფ. მახარაძის აზრი მოვიყვანეთ, რომელიც სავსებით ნათელს ხდის კოტეტიშვილის და სხვების იმ დებულების უსუსურობას, როცა ამტკიცებენ, რომ ვითომდა გრ. ორბელიანი მუშის ცხოვრებას ასახავს და სხვა. იმ დროს, როდესაც ამხ. ფილ. მახარაძის აზრით ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ვახ. ორბელიანის „ლექსების კითხვის დროს თქვენ ერთხელაც არ მოგივათ იმის ფიქრი, რომ იმათ გარშემო რაიმე მუუხარებას ქონდეს ადგილი“: თუ ეს მართალია, — და რომ მართალია, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — მაშ საიდან ტირის გრ. ორბელიანის ლექსებში ჩუმად თავის გულში მუშა? მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია, საქმე იმაშია, რომ ეს „ჩვენი“ კრიტიკოსები ისე გათამამდენ ალ. ჭავჭავაძე პროლეტარულ მწერლობის წინამორბედადაც გამოაცხადეს და შრომისა და თავისუფლებისათვის ენერგიულად მებრძოლ პოეტათაც აღიარეს. დაბნეულობა უკიცობა ამაზე შორს არ შეიძლება წავიდეს. მერე და ამ აზრს განა მარტო ერთი გამოსთქვამს, — არამედ ყველა ერთნაირად იმეორებს, თითქოს ერთმანეთიდან გადმოუწერიათო, ასეთი შთაბეჭდილება რჩება საბოლოოდ. თ. ბეგიაშვილი სწერს: „ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების დახასიათება სრული არ იქნებოდა, თუ მგოსნის ერთ მხარეს არ მივაქციეთ ყურადღება. მგოსანი თავის ლექსებში არა მარტო ლირიკოსია რომანტიულ იდეების, ნაღვლიანი მომღერალი, არამედ პოეტი მოქალაქეც, რომელიც არსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ პროტესტით გამოდის, ჰგმობს მონობის ყოველგვარ ფორმას, წოდებრივ განსხვავებას, ეკონომიურ ექსპლოატაციას და საერთოდ ყველას, ვინც „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ გამდიდრებული, უდარდელად ატარებს წუთი სოფელში თავის ცხოვრებას. მგოსანი კარგად გრძნობს, რომ ქვეყნად საშინელი ეკონომიური ექსპლოატაციაა გამეფებული, რომ არიან გამდიდრებულნი „განა რითა ძმაო? „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. მდიდრდებიან ისინი, ვინც მძლეველობენ, სიმართლის ყვავილსა

1) გრ. ორბელიანი „ლექსები“. გამომცემლობა ქართული წიგნი. 1928 წ. იხ. კოტეტიშვილის წინასიტყვაობა გვ. XXXVIII.

ფეხით ლახავენ გზაზედა, არ დაზოგავენ მზგავსთა თვისთა საკვლელად, ნაცარცვს გამორჩებიან და შეექცევიან, მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". პოეტს სწამს, რომ არსებული უთანასწორობა მოისპობა, ქვეყნად სიკეთე, ერთობა და თავისუფლება დამყარდება, „რომელნიც ამწარებენ ღარიბთა ცხოვრებას,—და—სთხოვთ, ურცხვად უსამართლოდ მონობას, მოელოდეთ მათთან თანასწორობას". ათავებს ამ სიტყვებით მგოსანი ლექსს, რომელსაც დიდი სიამოვნებით ხელს მოაწერდა სოციალისტური იდეებით გატაცებული პოეტიც კი" [1]).

ასეთივე აზრს გამოსთქვამს მიხ. ზანდუკელი. იგი სწერს: „ჩვენ როგორღაც დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ ალ. ჭავჭავაძის ასეთი უაღრესად სოციალისტური იდეები გამოეტარებინოს და ასე გამოესაზრდოებინოს თავის შინაგან სამყაროში და ასეთი გარკვეულობით განესახიერებინოს პოეტურ შემოქმედებაში" [2]).

ალ. ჭავჭავაძე სოციალისტურ იდეების მატარებელ მწერლად გამოაცხადეს, მათი აზრით იგი პირველი მწერალია, რომელიც შეეხო გლეხთა საკითხს და დაგმო ის წყობა, ის საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც გლეხობას ასეთ მდგომარეობაში აყენებდა. საკვირველია, თუ როგორ ბედავენ ეს „მირონცხებული" კალმოსნები ასეთი აზრების გამოთქმას, იმ დროს, როდესაც ჩვენ ხელთ მოიპოვება ამხ. ფ. მახარაძის მარქსისტული შეფასება ქართველ რომანტიკოსების შესახებ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავის შემოქმედებაში დასტიროდენ თავის სიკვდილისა და განადგურების გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება უაღრესად რომანტიულია, რომელიც თვალცრემლიანი იგონებს წარსულ დიდებას და უიმედოდ დასტირის მის თვალწინ მომაკვდავ საკუთარ კლასს, განა მისი ლექსი **„გოგჩის ტბა"** რომანტიკოსის გულის წუხილი არ არის? განა მისი „გოგჩის ტბა" — ფეოდალურ საქართველოს იდეალიზაცია არ არის? განა იგი გულამოსკვნით არ მისტირის წარსულს:

—„აქაცა მჯდარა ძალი მაღალსა ტახტსა ამაყად,
წყალობითა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა,
აქაც ულრღნიათ შურსა, მტრობას, გულები ხარბად,
ტრფიალნი აქაც შემსჭვალულან კვლავ ერთ მანერთთა.
ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილი ტაძრად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გვრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა,
დღეს ეს ნაქცევი სახიერად მაჩრდილებელი,
ხედავს თვის ქვეშე დამჩოქველთა ოდენ პირუტყვთა...

—

„აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, კიდევ ძმობილო?"

[1]) თ. ბეგიაშვილი „ლიტსაუბრები" გვ. 141—142.
[2]) მხ. ზანდუკელი „ახ. ქართ. ლიტერ. 1932 წ. გვ. 169.

აქ გარკვევით მოჩანს ღრმა პესიმიზმით შეპყრობილი არისტოკრატი, რომელიც დასტირის დიდებულ პალატების ნანგრევებს, სადაც წარსულში არისტოკრატია ცხოვრობდა განცხრომით და დღეს კი იგი ნგრეულია, [illegible] ბოლმით აცხადებს „აჰა ქალქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო, აჰა ჩვენსა მომავლისაც ნამდვილი ხატი“.

აქედან ადვილი გასაგებია მწერლის კლასობრივი ბუნება, ადვილი გამოსარკვევია მწერლის მსოფლმხედველობა, იგი ხედავდა რომ ძველი ქალაქები ინგრეოდა, რჩებოდა მხოლოდ ნაშთები, რადგან ეს იყო აუცილებელი ხვედრი და „ნამდვილი ხატი.“

აბა დაგვისახელონ ჩვენმა კრიტიკოსებმა ალ. ჭავჭავაძიდან ერთი ისეთი ფაქტი, სადაც მოსჩანს მისი ბრძოლა არსებულ წყობილების წინააღმდეგ. სადაც მტკიცდება მისი „სოციალისტობა“ ერთ რამეში შევთანხმდებით თუ ალ. ჭავჭავაძე „სოციალისტი“ იყო და ებრძოდა არსებულ უსამართლობას, მაშინ მას უნდა მიეღო ახალი ცხოვრება, რომელიც სავაჭრო კაპიტალიზმის სახით ვითარდებოდა ჩვენში და შებრძოლებოდა ფეოდალურ წყობილებას. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ეს ხომ ცხადია. რას ნიშნავს, როდესაც ალ. ჭავჭავაძე ამბობს „მე არ მივსდევ დროთა ცვალებადობას, მე ისა ვარ მარად და მარად“ თუ არა ?ას, რომ იგი მთელი თავისი ენერგიით და შესაძლებლობით ებრძოდა დროთა ცვალებადობას, და ყოველ პერიოდში უნდოდა დარჩენილიყო ფეოდალი, რომელიც სიკვდილამდე ენერგიულად და ურყევად დაიცავდა ფეოდალურ კლასს. განა ეს ფაქტი არაა იმის შემოქმედებაში?. განა მისი მთელი შემოქმედება ფეოდალიზმის დაცვა არაა? ამის შემდეგ კიდევ შეიძლება ლაპარაკი მის „სოციალისტობის“ შესახებ? სამწუხაროა, როდესაც ჯერ კიდევ ასეთი აზრები ოფიციალურად ქვეყნდება. აი ერთი ფაქტიც კოწ. კაპანელის შრომებიდან: „ყოველ შემთხვევაში პირველი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებას სხვათა შორის ახასიათებს სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა განცდა, გულწრფელი უარყოფა ჩაგვრისა და მტაცებლობის, იდეა თანასწორობისა და სამართლიანობის, შეიძლება ეს აიხსნება წმინდა ქართული, რუსთაველური სულის კეთილშობილებით, შეიძლება ალ. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში ალაპარაკებდა არა რომელიმე ევროპიელის სიტყვები, არამედ ავთანდილის კეთილშობილებით სავსე ანდერძი „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ანთავისუფლე მონები“. [1]) უფრო ზევით ამავე გვერდზე კაპანელი სწერს:—„დანამდვილებით ისტორიულად არ ვიცით, როგორ და რამ გამოიწვია ალ. ჭავჭავაძეში სურვილი შეხებოდა სოციალური უთანხმოების პრობლემას, შესაძლებელია, თვითონ მივიდა იმ იდეამდე საკუთარი განცდებით და დაკვირვებით, მაგრამ ევროპის გავლენას აქ, ცხადია, აქვს ადგილი, თუმცა ბაირონის გავლენაზე ლაპარაკი, შეუძლებელია, ვინაიდან ბაირონი მაშინ არ იყო ცნობილი თავის სოციალურ-ანარქიულ იდეებით. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ვიფიქროთ, გავლენა სენ-სიმონელების და თვით სენ-სიმონისა, რომელიც მაშინდელ ევროპაში, დიდ მოდაში იყო“.

---

[1]) კ. კაპანელი ქართ. სული ესტ. სახეებში გვ. 41

როგორც ვხედავთ, კაპანელის მიერ სოციალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი შოთა რუსთაველიცაა. თურმე ალ. ჭავჭავაძის დემოკრატიზმის საწყისები შ. რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანშია“, იმ ვეფხვის ტყაოსანში, რომელიც თავიდან ბოლომდე ფეოდალურ არისტოკრატიის საგალობელს წარმოადგენს.

კაპანელი ამითაც არ კმაყოფილდება და ალ. ჭავჭავაძეს აცხადებს სენ-სიმონის იდეების მატარებელ მწერლად. პირდაპირ გასაკვირია, ის ამბავი, თუ სად ცხოვრობს ეს ხალხი. მათ ვერ შეიგნეს ის ფაქტი, რომ გლეხობის საკითხზე სოციალ—უთანასწორობის შესახებ მე—19 საუკუნეში პირველად გარკვეული ხმა ამოიღო მხოლოდ დ. ჭონქაძემ, რომელიც იდეურად შეგვიძლია, დაუკავშიროთ მუშა მწერალ იოსებ დავითაშვილს და პირველ მარქსისტ მწერალს ეგნატე ნინოშვილს. აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ფ. მახარაძე: „ქართველი ინტელიგენცია, რომელიც მეტწილად თავად-აზნაურთა და ვაჭარ-მრეწველთა წრიდან იყო გამოსული, განუწყვეტლივ გოდებდა და მოსთქვამდა ქართული ენის, ქართული კულტურის დაცემაზე და მოსპობაზე, ეს მხოლოდ სიტყვით იყო, საქმით კი იგი ხელს უწყობდა გ ა რ უ ს ე ბ ი ს პოლიტიკას. მთელი ეს გოდება და ოხვრა-კვნესა მხოლოდ წარსულის განდიდებას შეიცავდა იმ წარსულის, რამაც ქართველი ერი მე-18 საუკუნის ბოლოს ლამის იყო დაღუპვის კარამდე მიიყვანა. გოდებდენ და მოსთქვამდენ არა იმაზე, თუ რა ტანჯვას და წამებას განიცდიდა მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი, არამედ იმაზე რომ საქართველოს თავისი საკუთარი მეფე აღარ ყავდა, ოღონდ ეს ძველი დრო აღედგინათ და მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ჭ ი რ ს აც წ ა ე ღ ო“. [1])

სერიოზული და დასაბუთებული ბრალდებაა მე-19 საუკუნის ქართველ ინტელიგენციის მიმართ წაყენებული. ასეთია მარქსისტული თეზისი მათი მოღვაწეობის შესახებ. ამის შემდეგ ჩვენ კრიტიკოსებს ყოფნით გამბედაობა ხმამაღლა გამოაცხადონ შ. რუსთაველი — დემოკრატად, ალ. ჭავჭავაძე — სოციალისტად და მთელი ჩვენი მე-19 საუკუნე—დემოკრატიზმის ხანად.

ამხ. მახარაძე სწორედ საკითხის ასეთი გაგების წინააღმდეგ ილაშქრებს, როდესაც ზემოდ დასახელებულ წერილში განაგრძობს: „ასე ფიქრობდა ქართული ინტელიგენცია გასული წლების სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში. ეს იმას ამტკიცებდა, რომ ინტელიგენცია სრულიად მოწყვეტილი იყო ქართველ მშრომელ ხალხს. მართალია, იგი ხშირად ლამაზი სიტყვებით მეტყველობდა, მას თითქოს კიდეც ებრალებოდა გლეხები, მაგრამ ეს სიბრალული გულწრფელი არ იყო, იგი გულის სიღრმიდან არ მოდიოდა, იგი ხელოვნური იყო. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროის საქართველოს სინამდვილეში ჩნდება სულ ახალი ნაკადი, პატარა ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელსაც დანარჩენ ინტელიგენციასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ეს ახალი ჯგუფი თვით მშრომელ ხალხიდან იყო გამოსული. ამ ჯგუფის სათავე ჩვენ შეგვეძლო დ. ჭონქაძიდან დაგვეწყო, მაგრამ დ. ჭონქაძე სრულიად განმარტოებით სდგას, როგორც ობოლი მარგალიტი, ძნელია მისი დაკავში-

[1]) ამხ. ფ. მახარაძე ჟურნ. „მნათობი“ № 3 1926 წ. „საქ. მე-19 ს.“ გვ. 200

რება 80-90 წლების ახალთაობასთან, რომელსაც ჩვენ ახალი ნაკადი ვუწოდეთ, მაგრამ სულიერად ჩვენ შეგვიძლია დ. ჭონქაძე მუშა-პოეტის იოსებ დავითაშვილის და ბელეტრისტ-პუბლიცისტის ეგნატე ინგოროყვას (ნიბრეველის) მეშვეობით დაუკავშიროთ იმ ინტელიგენციას, რომელიც მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებიდან მუშა კლასის რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა. აი, სწორედ ეს ინტელიგენცია იყო, რომ სწვდებოდა ხალხის გულსა და ხალხისათვის გასაგებ ეხით გამოხატავდა მის ჭირ-ვარამს. მხოლოდ აქედან იწყება ქართველი ხალხის, ქართველი მუშისა და გლეხის აღორძინება და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა; მხოლოდ აქედან იწყება ნამდვილი სახალხო ლიტერატურა და მწერლობა. აქამდე თუ ხალხისათვის კეთდებოდა და იწერებოდა რამე, ეს ხდებოდა ისე, რომ ამაში თვით ხალხი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა". [1])

ამხ. მახარაძის აზრით ეს ხალხი ახალი ნაკადი იყო, რომელმაც პირველად ჭონქაძის მეთაურობით მკვეთრად დასვა გლეხთა საკითხი და დაასურათა ბატონ-ყმობის საზიზღარ და საძაგელ ინსტიტუტის სურათები.

დ. ჭონქაძემ რევოლუციური ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მისი „სურამის ციხე"—პირველი ყუმბარა იყო, რომელიც მან გადმოისროლა ამ ინსტიტუტის შუა გულში. ყუმბარის გასროლა არ ყოფილა უშედეგო. დ. ჭონქაძის ოსმან აღა ნამდვილი რევოლუციონერია, რომელიც არა მარტო სიტყვით გამოდის ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, არამედ საქმითაც. ოსმან-აღას გზა ესაა ნამდვილი მებრძოლი რევოლუციური გზა. ოსმან-აღა დ. ჭონქაძის იდეების გამომხატველია. იგი აუჯანყდა თავის ბატონს, იგი გადაუდგა განზე ბატონ ყმობას. დაგმო იგი მთელი სისასტიკით და შეებრძოლა მას.

დ. ჭონქაძემ არსებულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად აირჩია არა პასივობისა და უმოქმედობის გზა, არამედ გზა ბრძოლისა, გზა მოძრაობისა. მარქსი სწერდა: „საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ წარმოაყენო იდეა, არამედ საქმე იმაშია, რომ მონახო ადამიანები, რომლებიც ამ იდეას პრაქტიკულად განახორციელებენო".. დ. ჭონქაძემ წამოაყენა იდეა არა მარტო ბატონ-ყმობის მოსპობისა არამედ მანვე მონახა ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ პრაქტიკულად განეხორციელებიათ ეს იდეა. მისი იდეის განმასახიერებელი იყო ოსმან-აღა და იგიც დაუზოგველად ებრძოდა ბატონ-ყმობას. ამ აზრის უარყოფას ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ბევრი ცდილობს, ისინი აშკარად თუ მალულად თავისებურ ფორმებში ცდილობენ დანიელ ჭონქაძის ისტორიულ როლის მიჩქმალვას, იმიტომ რომ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლობა უნდა მიაკუთვნონ არა ჭონქაძეს, არამედ ალ. ჭავჭავაძეს, ნიკ. ბარათაშვილს და შემდეგში ილია ჭავჭავაძეს და საერთოდ „თერგდალეულებს". აი რას სწერს მაგ. თედო ბეგიაშვილი: „მოთხრობიდანვე (ლაპარაკია „სურამის ციხეზე" კ.მ.) ლოლიკის აუცილებლობით გამომდინარეობს რომ ამ მდგომარეობის გამო ყმებს უნდა ებრძოლათ, მაგრამ როგორ, რა მეთოდებით, ეს მხატვრულმა ლიტერატურამ ვერ აღნიშნა. ოსმან-აღას საქციელიც, მართალია გმირული, მაგრამ ბო-

[1]) ფ. მახარაძე იქვე გვ. 261.

ლოს პასიური ბრძოლის ნიმუში უფრო არის. ოსმალეთში გაქცევის და ამით თავის გადარჩენის შემდეგ ოსმან-აღას არაფერი გაუკეთებია ბატონ-ყმობის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის, პირიქით, რაღაც მისტიციზმში ჩავარდა და თაისი „ცოდვის“ მოსანანიებელი საშუალებას ეძებდა“.[1])

ყოველივე ამით მათი მიზანია ამტკიცონ, რომ დ. ჭონქაძემ მოგვცა მხოლოდ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არა აქტიური მებრძოლი, არამედ პასიურები. სწორედ ამითაა გამოწვეული ბეგიაშვილის ასეთი შემცდარი მოსაზრება დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ ერთად-ერთ მთავარ მომქმედ პირის ოსმან-აღას შესახებ.

ოსმან-აღა თავის ხალხის დაბალი ფენის წარმომადგენელია. მან იძია შური თავის ბატონებზე. მან ამოწყვიტა ბატონის ოჯახი, „მაგრამ მე არ მესმოდა მათი ხვეწნა, სისხლისაგან გამწარებულმა მე დავაკალ დედა შვილსა“. აცხადებს ნოდარი (შემდეგში ოსმან-აღად წოდებული კ. მ.) ეს არ არის უბრალო თამაში ხანჯლით, არამედ „აი, ამას ქვია შურისძიება. მაგრამ აქ ერთი კაცის შურის ძიება როდია, აქ მთელი თაობის, მთელი ხალხის შურის ძიებაა გამოხატული. აქ იგი მარტო თავისთვის კი არ იძიებს შურს, იგი სამაგიეროს უხდის იმ შეურაცყოფის, მწუხარება და ტანჯვისათვის, რასაც ერთი წოდება მთელი საუკუნის განმავლობაში უსამართლოდ აყენებდა მეორე წოდებას. ამიტომ ხალხის თვალში ეს შურის შაძიებელი სრულებით დამნაშავებად არ ითვლებიან და ყოველთვის შველიდენ, რომ ისინი არ დაეჭირათ და სამართალში არ მიეცათ“[2]).

აქედან უკვე გარკვეულია ის ამბავი, რომ ოსმან-აღას მოქმედება არის არა მარტო მისი კერძოდ, როგორც ოსმან-აღას შურის ძიება, არამედ შურის ძიება იმ მასისა და იმ ფენისა, რომელშიაც დაიბადა და აღიზარდა ის. ამ აზრს ამხ. ფ. მახარაძე იმავე წიგნში უფრო მკვეთრად და გარკვევით აყალიბებს, იგი სწერს: „რაც შეეხება ოსმან-აღას, ჩვენ არ გამოუდგებით აქ დაწვრილებით მისი ხასიათის განხილვას, რადგან ეს განმეორება იქნებოდა იმის, რაც ჩვენ ზევით ვთქვით მის შესახებ. ვიტყვით, მხოლოდ, რომ ოსმან-აღა ნამდვილი ხორცშესხმული ადამიანია, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო მაშინ ქართლელი გლეხკაცის შვილი. მისი თვითეული მოქმედება, თვითეული ნაბიჯიც კი შესანიშნავი სისწორით არის აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული. ერთი სიტყვით „ოსმან-აღას მოქმედებაში არ არის ისეთი რამ, რაც მის ბუნებას, მის ძირითად ხასიათს ეწინააღმდეგებოდეს“[3]).

განა ამის შემდეგ დაჭირდებათ ქართველ კრიტიკოსების ერთ ჯგუფს მტკიცება იმისი, რომ ჭონქაძე პირველი იყო, რომელმაც ააფრიალა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლი დროშა? განა ამის შემდეგ მათთვის ნათელი არ უნდა გახდეს ის ამბავი, რომ ჭონქაძის ოსმან-აღა ხანჯლით ხელში, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა ბატონის მთელი ოჯახი, თვით დაბეჩავებულ ხალხის სულიერ განწყობილების მაჩვენებელი არის? მე ვფიქრობ, ყოველივე ამის შემ-

---

[1]) თ. ბეგიაშვილი—ლიტ. საუბრები გვ. 192-93.

[2]) ფ. მახარაძე—„დ. ჭონქაძე და მისი დრო“. გვ. 108.

[3]) იგივე წიგნი—გვ. 124.

დეგ ქართულ ლიტერატურაში არ უნდა დაისვას საკითხი ისე, როგორც დღემდე ხდებოდა, მაგრამ არის ისეთი ხალხი რომლებიც „მოიმარქსისტებენ". ამ „მარქსისტობის" სამოსელში ისევ ძველი იდეოლოგიაა გახვეული და ებრძოლებენ კიტა აბაშიძის მებრძოლ ფედერალისტურ ხაზს. ასეთ ჯგუფს ეკუთვნის დოცენტი მიხ. ზანდუკელი, რომელმაც 1932 წ. გამოსცა წიგნი „ახალი ქართული ლიტერატურა"-ს სახელწოდებით. წიგნში ჯერჯერობით გარჩეულია ქართველი რომანტიკოსები. ჩვენ ვფიქრობდით, რომ იმის შემდეგ რაც საქართველოში ამხ. ფ. მახარაძის მეთაურობით ფართო ბრძოლა გაიმართა სოციალურ-ფედერალიზმის წინააღმდეგ, ზანდუკელი მოახდენდა თავის მსოფლმხედველობის გადასინჯვას და უფრო მეტ სერიოზულობით მოეკიდებოდა საკვლევ ობიექტს. ჩვენი კრიტიკოსების საუბედუროდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს — ისინი ყოველთვის თავიანთ წიგნებით, როგორც მეცნიერული ნაშრომის პრეტენზიებით გამოდიან, მაგრამ ყოველივე ეს პრეტენზიათ რჩება და ხელში კი არა თუ მეცნიერული არამედ ზერელედ შეფასებული ფაქტები გვრჩება. ასევე შეგვიძლია ჩვენ ვილაპარაკოთ მიხ. ზანდუკელის ახალ წიგნზე, რომელიც კლასიკოსების საკითხში წარმოადგენს მარქსიზმის ვულგარიზაციას[1]).

მიხ. ზანდუკელი კ. აბაშიძის ეპიგონს წარმოადგენს, მიხ. ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა" ნაციონალ-დემოკრატიზმისა და სოც. ფედერალიზმის გაშლილი აპოლოგიაა თავიდან ბოლომდე. წიგნის შესავალში ავტორა აცხადებს პრეტენზიებს იმისას, რომ იგი საკითხების გადაწყვეტას მარქსისტული მეთოდით უდგება, მაგრამ ყოველივე ეს სურვილად დარჩა და ძველი კრიტიკის ტრადიციებმა კი თავისი გაიტანა. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენთვის შემდეგის გამორკვევა: როგორ გაარჩია მიხ. ზანდუკელმა ქართულ რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლები და მათ შორის პირველად ყოვლისა ნიკ. ბარათაშვილი, როგორია მისი მსოფლმხედველობით და რა სთქვა მან ახალი ამ საკითხში. აი კითხვები, რომლებიც ინტერესს არ არიან მოკლებული. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დღემდე გაბატონებულია ის აზრი, რომ ქართველი რომანტიკოსები აქტიური მებრძოლები იყვნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ და გამოხატავდენ მთელი ერის გოდებას და მის ჭირვარამს. ისინი დემოკრატები იყვნენ, მათ შემოქმედებაში ჩანდა „სოციალისტობა" და თავიანთ მხატვრულ ფაქტებით იბრძოდენ გლეხობის საჭირბოროტო საკითხისათვის. დემოკრატიულ იდეების გამომხატველ პირველ მწერლად აღიარებულია ალ. ჭავჭავაძე, შემდეგ გრ. ორბელიანი და ბოლოს ყველაზე აქტიურ მებრძოლ მწერლად და რევოლუციონერად აცხადებენ ნიკ. ბარათაშვილს. ასეთ აზრების უსუსურობა ჩვენ ზემოდ დავამტკიცეთ, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ მოგვიხდება მათი აღნიშვნა რადგან მ. ზანდუკელი ნიკ. ბარათაშვილის შესახებ სხვა კრიტიკოსებთან შედარებით ახალ ტრაქტატებით და „ორიგინალურ" თეორიებით გამოდის.

---

[1]) სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის, რომ მ. ზანდუკელი გ. ორბელიანის გაგებ-ს საკითხში ძირითადშივე განსხვავდება კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილის და სხვ. იგი ამ შემთხ. უფრო სწორ პოზიციებზე დგას. კ. მ.

ზანდუკელიც სწერს „ბარათაშვილის მწუხრი სულის ტანჯვა, მისი „თავგანწირული“ ძიება, იმისი „თავდავიწყებითი“ უილაჯო ბრძოლა ბედთან — ცოცხალი გამოძახილია იმ ობიექტიური პირობებისა, რომელშიაც მთელი ქართველი ხალხი და მათთან თვით მგოსანიც მოექცა. ნ. ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი სარკეა იმ უილაჯობისა და უიმედობისა, იმ სევდა-ნაღვლისა და გაუნელებელი კაეშანისა, იმ სიცარიელისა და დაცემისა, რომელთაც ქართველი ხალხის, განსაკუთრებით მისი ბრწყინვალე წოდების სინამდვილეში დაისადგურეს. ნ. ბარათაშვილის პოეზია ცოცხალი და მკვეთრი განსახიერებაა მთელი ეპოქის ტრაგედიისა“. [1])

მთელი ეპოქის ტრაგედიაზე ლაპარაკი ზედმეტია, ზედმეტია ისიც როდესაც ზანდუკელს გონია, რომ ბარათაშვილი მთელი ქართველი ერის „ცოცხალი სარკეა“, რომელიც ზუსტ ასახვას იძლევა მაშინდელ საზოგადოების უიმედო და უილაჯო ცხოვრების. ზანდუკელის მიერ სავსებით მიჩქმალულია ბარათაშვილის კლასობრივობა, მიჩქმალულია იმიტომ, რომ ბარათაშვილი ‘ას აღიარებული ყავს მთელი ქართველი ერის სულიერ ტრაგედიის ამსახველად. ზანდუკელს ავიწყდება ის, რომ ერთი მწერალი არ შეიძლება მთელი ერის წუხილის გამომხატველი იყოს, რადგან თვით ცნება ერი არ ნიშნავს განყენებულ აბსტრაქტიულ მოვლენას, რომელიც კლასობრივ დიფერენციაციის გარეშე იდგეს. ეს ქართველი ერი ამ შემთხვევაში 19 საუკუნის, რომლის შესახებაც ზანდუკელი ლაპარაკობს, ხომ შესდგებოდა სხვადასხვა კლასობრივ ფენებისაგან. ხომ იყვნენ იქ მდიდრები და ღარიბები, არისტოკრატები და ყმები, ნუთუ ბარათაშვილი ყველა ამას ერთნაირად უმღერდა. .ნუთუ ბარათაშვილის შემოქმედება უდიდესი საგალობელია ყმებისა და გლეხებისა, ან და ნუთუ მართლა ისეა საქმე როგორც ზანდუკელი ფიქრობს: „ნ. ბარათაშვილის შემოქმედება უაღრესად სუბიექტიურია, მაგრამ ის ვერ ეტევა ვიწრო წოდებრივ ჩარჩოებში და თავის დარღვეული წოდების სევდა-კაეშანს ქართველი ხალხის იმ ეპოქის ცხოვრების სევდად გარდაქმნის. ამიტომ მისი პოეზია უშუალო, საშინელი ტკივილებით აღსავსე აღსარებაა არა მარტო პოეტისა, არა მარტო მისი ვიწრო წრისა თუ წოდებისა, არამედ მთელი ქართველი ერისა... მაგრამ ნ. ბარათაშვილის მთლიანი შემოქმედების ახსნა და გაგება მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო წოდებრივი ხასიათით და მისი მხოლოდ ვიწრო წოდებრივ, თუ კლასიურ ზღუდეებში განხილვა მართებული არ იქნება“ [2]).

აქ ზანდუკელი აყენებს ბარათაშვილის შემოქმედების ზეკლასიურად განხილვის თეორიას. მისი აზრით ბარათაშვილის შემოქმედების განხილვა „კლასობრივ ზღუდეებში“ მართებული არ ყოფილა. ასეთ აზრს მარქსისტულ აზრთან არავითარი საერთო არა აქვს, რადგან თუ გვინდა ჩვენ გამოვარკვიოთ მწერლის შემოქმედების ნამდვილი ბუნება, იგი უნდა განვიხილოთ იმ საზოგადოებრივ ყოფაში, რომელსაც ეკუთვნის და იმ კლასობრივ ზღუდეებში, რომელშიაც იშლება მისი შემოქმედება.

---

[1]) მ. ზანდუკელი—ახალი ქართ. ლიტ. გვ. 226 გამ. 1932.

[2]) მიხ. ზანდუკელი ახ. ქართული ლიტერატურა გვ. 228.

მიხ. ზანდუკელი მარქსიზმის ამ მოთხოვნას უარყოფს. მას გაინია, რომ ბარათაშვილის შემოქმედება ცილდება კლასობრივ საზღვრებს. საინტერესოა ახსნას ზანდუკელმა სად მიდის მისი შემოქმედება კლასობრივ ზღუდეების გარეშე? ნუთუ შეიძლება რომელიმე მწერლის გარჩევა, მისი შემოქმედების ნამდვილი ბუნების გამორკვევა კლასობრივობის გარეშე? ცხადია არა. ეს ყველასათვის უტყუარი ჭეშმარიტება „მარქსისტ“ ზანდუკელისათვის გაურკვეველი და უცნობია.

აშკარად შემცდარია მისი სხვა მოსაზრებებიც ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მ. ზანდუკელის გარჩევა ბარათაშვილის შემოქმედებისა ძალზე ზერელე და დაუსაბუთებელია. ამ ზერელობის შედეგია, როდესაც ზანდუკელი სწერს: „ჩვენ გვგონია ბარათაშვილის კაეშნიანი ჩანგი მარტო მომაკვდავი, ამოვარდნილი კლასის ტრაგედიის გამომჟღავნება კი არ არის, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრების მთელი ეპოქისა, რომელიც ცხოვრებას და სიცოცხლეს მოწყურებული ახალ გზას ეძებდა, „ბედს“ ებრძოდა და ამ ბრძოლაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გამოუვალ მოჯადოებულ რკალში მოემწყვდა“ [1]).

ზანდუკელი აქაც იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ნ. ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში მთელ 19 საუკუნის ხალხის მდგომარეობას გამოხატავსო. ჩვენი აზრით ეს დებულება შემცდარია, იმიტომ, რომ ბარათაშვილს არასდროს თავის შემოქმედებაში მშრომელი ხალხი და საერთოდ დაბალი ფენა არ გახსენებია.

მისი შემოქმედება გამოხატავდა ფეოდალურ არისტოკრატიის მსოფლმხედველობასა და დაცემულობის განწყობილებებს. განა ამ განწყობილების მაჩვენებელი არაა მისი ლექსები „სულო ბოროტო“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“, „სული ობოლი“ და სხვა?

ჩვენ კრიტიკოსებს და ამ შემთხვევაში მიხ. ზანდუკელს ყოფნით იმდენი გამბედაობა, რომ განაცხადოს: „ჩვენი მგოსანი თავისი მდიდარი ინტუიციის საშუალებით ამ სოფელს იქით გრძნობს სხვა, ახალ ქვეყანას, ახალ ცხოვრებას, აწინდელის გამგრძელებელს. ამ ახალ ცხოვრებას მისი „განწირული სულისკვეთება“ ერთგვარ მსხვერპლად „გზად დახიდად“ უნდა დაედოს. მას სწამს, „რომ გზა უვალი“, მის მიერ ასეთი მსხვერპლით „თელილი“... მოძმეს სიძნელის გზისას გაუადვილებს“ და მოუმზადებს მას ნიადაგს „შავ ბედთან“ საბრძოლველად“ [2]).

მიხ. ზანდუკელს ნიკ. ბარათაშვილი მებრძოლ და პერსპექტივის მწერლად გამოყავს, რომელიც თურმე ფიქრობს, რომ „მოძმეს სიძნელე გზისა გაუადვილოს“. აქედან ნიკ. ბარათაშვილი სხვა რომანტიკოსებთან შედარებით უფრო აქტიური მებრძოლი პოეტია არსებულ წყობილების წინააღმდეგ.

---

[1]) მიხ. ზანდუკელი „ახალი ქართ. ლიტერატურა“ გვ.22 9—30.

[2]) მიხ. ზანდუკელი—ახალი ქართული ლიტერატურა. გვ. 251.

ეს აზრი ძირშივე შემცდარია, რადგან ნიკ. ბარათაშვილი არის არა მომავლის, არა პერსპექტივის მწერალი, არამედ წარსულის, რომელიც ფეოდალურ საქართველოს დიდებას მისტირის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ის არის სწორი და მართებული, როდესაც ნიკ. ბარათაშვილს რესპუბლიკანურ იდეების მწერლად თვლიან. აი რას სწერს ზანდუკელი „ასე თუ ისე რესპუბლიკანური იდეების თესლი მრავალია, სუსტი, მაგრამ მაინც ფაქტია. ეს ადგილი პოემისა (ლაპარაკია „ბედი ქართლისა"-ს შესახებ კ. მ.) აშკარად გვეუბნება განმათავისუფლებელი მოძრაობა ქროლვის გავლენას ბარათაშვილზე. ეს გავლენა ბარათაშვილზე შეიძლება აიხსნას დასავლეთ ევროპის რევოლუციათა ტალღების შორეული ყურებით. მართალია, ადგილობრივი პრესა თითქმის არ არსებობდა, მაგრამ ბარათაშვილმა რუსული კარგად იცოდა და ალბად თვალყურს ადევნებდა რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებას და ლიტერატურას. მაგრამ ჩვენის აზრით უფრო სწორი და მართებული იქნებოდა ეს მოვლენა „დეკაბრისტების" შეთქმულების გავლენით აიხსნას: დეკაბრისტებს ბარათაშვილი იცნობდა იმდენად, რამდენადაც მათ შესახებ მთელი რუსეთი ლაპარაკობდა. ამას გარდა, როგორც ირკვევა, ნ. ბარათაშვილი დაახლოებული იყო სოლომონ დოდაშვილთან. ეს უკანასკნელი პეტერბურგში სწორედ ამ წლებში სცხოვრობდა და უმაღლეს სასწავლებელში ამ წელში სწავლობდა. ცხადია, დოდაშვილი დეკაბრისტებს კარგად იცნობდა და თავის ახალგაზრდა ნიჭიერ მეგობარს მათ იდეებსაც გააცნობდა. ცნობილია, რომ დეკაბრისტებში იყო ორი მიმართულება კონსტიტუციონალური და რესპუბლიკანური. შესაძლებელია ამ რესპუბლიკანური იდეების გავლენა ნ. ბარათაშვილმა სხვა რომელიმე გადმოსახლებული დასჯილი დეკაბრისტის გავლენითაც მიიღო. სამწუხაროდ, ამ მეტად საინტერესო ფაქტის გამოსარკვევად შესაფერი ბიოგრაფიული ცნობები და მასალები ჯერ არ მოგვეპოება. ამ საკითხის გამორკვევისათვის საჭიროა სათანადო მასალის შეკრება და შემდეგ გულდასმით მისი შესწავლა. შესაძლებელია, სხვათა შორის, ამ განმათავისუფლებელი და რესპუბლიკანური იდეების გავლენით აიხსნებოდეს ბარათაშვილის იმ დროისათვის ახალი ცხოვრების და დროის მიერ წამოყენებული იდეა" [1]), როგორც ზემოდ აღვნიშნავდით მიხ. ზანდუკელის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს აკლია დასაბუთება.

სწორედ ამ დაუსაბუთებლობის შედეგია ის აზრი, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ. იქ ადვილი შესამჩნევია შემდეგი: „შესაძლებელია", „შეიძლება" „გააცნობდა" და სხვა საეგებო დებულებები. განა დასაჯერებელია ბარათაშვილის რესპუბლიკანელობა და დეკაბრისტების იდეების გაზიარება იმ დროს, როდესაც მას თავის შემოქმედებაში ერთხელაც არ დაუძვრია ხმა ბატონ-ყმობის და გლეხობის მაშინდელ მდგომარეობის შესახებ?

ზანდუკელი და სხვა კრიტიკოსები ბარათაშვილის რესპუბლიკანელობას ამტკიცებენ მისი პოემა „ბედი ქართლისათი", იმ დროს, როდესაც აღნიშნულ პოემაში არაფერი ამის მსგავსი არ არის. განა დასაჯერებელია ის ამბავიც, როდესაც ზანდუკელი ფიქრობს, რომ ბარათაშვილი ახალ ცხოვრებისათვის აქ-

[1]) მიხ. ზანდუკელი „ახალი ქართული ლიტერატურა" გვ. 261-62.

ტიური მებრძოლი იყოო ან და ის, როდესაც ზანდუკელი სწერს: „ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედება დაჯამება შეიქნა არა მარტო მაღალი, განწირული წოდების ფსიქო-იდეოლოგიისა, არამედ მთელი ეპოქისაც. მასში ასახულია ქართველი საზოგადოების ის მტკივნეული ძიებანი ახალი ცხოვრების გზის გამოსანახავად, რომელიც ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწვავედ იყო აშლილი და გამოსავალს ეძებდა. ამ ნიადაგზე ნიკ. ბარათაშვილის უაღრესად პესიმისტურ შემოქმედებაში დაბუდებულია აგრეთვე გამოსავალი, პოეტის სურვილია ცხოვრებასთან კავშირი არ გასწყვიტოს, მომავლისაკენ წავიდეს, რომ მსხვერპლის განწირვით „თვისა“ მოძმეს სიძნელე გზისა გაუადვილოს“. ამით არის გამოწვეული ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ტენდენციები რეალიზმისა, სინამდვილეში შეიჭრას, გაუგოს მას არსებული ბრუნვის წესი.“ [1])

თურმე ბარათაშვილის შემოქმედებაში მოცემულია ქართველი ხალხის მტკივნეული „ძიებანი“ არსებულ უკეთესმართ ცხოვრებიდან თავის დასაღწევად, ამას მიხ. ზანდუკელი სწერს მაშინ, როდესაც ამავე საკითხებთან დაკავშირებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ამბ. ფილიპე მახარაძე ამბობს: „მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული მწერლობა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, არ არსებობდა. იყო მელექსეობა, იყვნენ საკმარისად დიდი ნიჭის მქონე პოეტები, მაგრამ ისინი უმღეროდენ სილამაზეს ან სიყვარულს; უკეთეს შემთხვევაში იგონებდენ საქართველოს ძველ დიდებას, სწუხდენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვას და სხვა, მხოლოდ ნამდვილ ცხოვრებასთან საერთო არა ჰქონდათ რა, ასეიები იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვები ამ ხანას ეკუთვნის პოეტი ნიკ. ბ. ბარათაშვილიც, მაგრამ სიყვარულის პოეზიიდან იგი შორსა სდგას. მისი პოეზიაღრმაა, მას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, პოეტი სწუხს თავის სამშობლოს ბედზე, გამოსთქვამს თავის შეხედულებას, სიკვდილ სიცოცხლეზე და სხვ. მაგრამ მას არ აწუხებს მისი თანამედროვე გლეხობის გაჭირვება და ტანჯვა, და ეს არის ბარათაშვილის ნაკლი!“ [2])

ამ. მახარაძის მიერ მაშინდელი მდგომარეობის და ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების ზუსტი ახსნაა მოცემული, ჩვენი კრიტიკოსები მარქსისტულ აზრს კლასიკოსების საკითხში არავითარ ანგარიშს არ უწევენ და თავიანთ შემცდარ და ყოვლად აბსურდულ კონცეპციებით გამოდიან. აბსურდობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ის ფაქტი, როდესაც ზანდუკელი ამტკიცებს რომ ერთი მხრით ბარათაშვილი თავს დასტიროდა ფეოდალურ არისტოკრატიას და მეორე მხრივ გამოხატავდა დაბალი ფენის სულიერ განწყობილებასო. ასეთი აზრები შემთხვევითი არაა. მას აქვს გარკვეული მეთოდოლოგიური საფუძვლები და ეს საფუძვლები კი იმაში მდგომარეობს, რომ მიჩქმალონ კლასიკოსების შემოქმედე-

[1]) მიხ ზანდუკელი „ახალი ქართ. ლიტ. ისტორია“ გვ. 268.

[2]) „მნათობი“ 1926 წელი № 3 ფ. მახარაძე „საქართველო მეცხამეტე საუკუნეში“ გვ. 203

ბის კლასობრივობა, მიჩქმალონ მათი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოების ქვედა ფენებისადმი და ისინი წარმოგვიდგინონ ყოვლად უცოდველად, სპეტაკად და მამულისათვის თავდადებულ გმირებად.

უსათუოდ ამით უნდა აიხსნას მიხ. ზანდუკელის მიერ ბარათაშვილის იმ სახით შეფასება, როგორც მის წიგნშია მოცემული.

ჩვენ ყოვლად შემცდარად და დაუსაბუთებლად მიგვაჩნია აგრეთვე ზანდუკელის შემდეგი აზრი ბარათაშვილის შესახებ. „მიუხედავად ამისა ბატონ-ყმობაზე მსჯელობა რუსეთშიც მისი საზოგადოების მოწინავე ნაწილშიც კი კანტი-კუნტით ისმოდა. საქართველოში ამ მხრით სრული იგნორირება იყო. ნ. ბარათაშვილის დროს ბატონ-ყმობის შესახებ ჩამი ჩუმიც არ ისმოდა. ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაშიც ეს საკითხი ხელუხლებელია. მაგრამ აწ არსებული ცნობილი დოკუმენტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, ის პირველია, რომელიც გლეხკაცის საკითხს მეტად შეუმჩნევლად ეხება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე შორეული ზრუნვა აფიქრებს და ტანჯავს. ა. ირას სწერს ზაქარია ორბელიანს: „Душа твоя ищет пищи новой, дух твой стремится к большой деятельности, сценам более сильным, более патетическим. И пока он достигнет своего назначения, ему скучно, грустно... Углубись в себя и тогда, — уверившись что гром славы, звук оружия не имеют уже для твоего слуха магического значения, — оставь службу, заимись имением. И это другая— слова сделать счастливым своих крестьян, оставленных до сих пор без господина-попечителя. Иначе, Захарий, помни что и в жизни счастливого земледельца нет для тебя покоя“.[1])

მოჰყავს რა მიხეილ ზანდუკელს ბარათაშვილის აღნიშნული წერილი, ასკვნის: „ფრიად საგულისხმიერო წერილია. აქ ნ. ბარათაშვილში ჩვენ ვსჭვრეტთ მონანიე აზნაურის ტკივილებით შემსჭვალულს მოქალაქეს, რომელმაც მტკივნეულად იგრძნო ვალდებულება „უცროსი ძმისადმი“ და ამ ვალდებულების მოხდის გარეშე სულიერი სიმშვიდის მოპოება არ მიაჩნია“ [2]). თურმე ზანდუკელის აზრით, ბარათაშვილი აღნიშნულ წერილში ეხება „გლეხ-კაცის საკითხს შეუმჩნევლად და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე შორეული ზრუნვა აფიქრებს და სტანჯავს“. თურმე, იგივე ზანდუკელის აზრით ბარათაშვილი პირველია, რომელმაც გლეხკაცობის საკითხს შეეხო, და ამის დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავს ის წერილი, რომელიც ბარათაშვილმა მისწერა ზაქარია ორბელიანს. ამ წერილში არსად არ სჩანს გლეხკაცის საჭირბოროტო საკითხზე ლაპარაკი

---

[1]) ნ. ბარათაშვილის 1844 წ. 15 აპრილის წერილი: „შენი სული ახალ საზრდოს ეძებს, შენი სული მიისწრაფის უფრო დიდ ბიღწევებისაკენ, უფრო ძლიერი, უფრო პათეტიკური სცენებისაკენ. და სანამდის ის თავის დანიშნულებას მიაღწევდეს, ის მოწყენილია, დანაღვლიანებული!.. ჩაღრმავდი შენს თავში, და მაშინ დარწმუნებული, რომ დიდების განგაშსა და იარაღის ჩხარუნს შენი სმენისათვის უკვე აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, დაანებე სამსახურს თავი და მამულის მოვლას მიჰყევი ხელი. ეს სხვა გვარი დიდებაა—გააბედნიერო შენი გლეხკაცობა, რომელიც აქამდის დატოვებულია უპატრონოდ— უზრუნველად. სხვა გზით, ზაქარია, გახსოვდეს, რომ შენ მიწადმოქმედების ბედნიერ ცხოვრებაში შენთვის სიმშვიდე არ იქნება.

[2]) მიხ- ზანდუკელი „ახალი ქართული ლიტერატურა“ გვ. 263

თუ მხედველობაში არ მივიღებთ წერილიდან შემდეგ ადგილს: „მამულის მოვლას მიჰყავი ხელი, და ეს სხვაგავარი დიდებაა, გაბედნიერო შენი გლეხკაცობა, რომელიც აქამდის დატოვებულია უბატონოდ და უზრუნველად.“ აქ ბარათაშვილის მიერ გარკვეული სამოქმედო პროგრამაა წამოყენებული. იგი, არა თუ არ ეხება გლეხობის საკითხს და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავს, არამედ მას ვერ წარმოუდგენია გლეხი — კაცი თავადის ადგილ-მამულში მუშაობდეს უბატონოდ. ბარათაშვილი აქ ერთხელ კიდევ აყენებს იმ დებულებას, რომელიც გავრცელებული იყო მაშინდელი საზოგადოების მაღალ წრეებში ბატონისა და ყმის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ბარათაშვილი აქ აყენებს ბატონსა და ყმას შორის მამაშვილურ ურთიერთობის საკითხს. ზანდუკელი ამ მდგომარეობას გლეხობაზე გამოსარჩლებად სთვლის. საკითხის ამგვარად გაგება და ახსნა არის აშკარა სიბლაგვე, პოლიტიკურ უცოდინარობის გამომჟღავნება და კრიტიკულ სიმახვილის უქონლობა.

თუ რომ ბარათაშვილი ასეთ „დემოკრატიულ“ აზრებს იცავდა, როგორც ეს ზენდუკელს ჰგონია, თუ იგი მართლა გლეხობის საჭირბოროტო საკითხზე ფიქრობდა, მაშინ რით ავხსნათ ის ფაქტი, როდესაც ნიკ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს 1841 წლის გურიის აჯანყების ჩაქრობის გამო საპასუხო წერილში სწერს: „საყვარელო გრიგოლ, შენი წიგნი მოიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ, დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. — მაინთ თქვენ და აქეთ ანდრონიკოვი (იგულისხმება ოს გლეხთა აჯანყების სისხლში ჩამხრჩობი ანდრონიკოვი) მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა გაიგდო მთელს მხედრობაში, თორემ შენ თითონ შეიტყობ დაწვრილებით, მითამ როდის და რაში არ ვყოფილვართ კარგნი! მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, სავინოვისა და გურამოვისა, რადგან შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ, შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი. ხუმრობა ხომ არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას, შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა“. [1])

ყველასათვის ცნობილია გურიის აჯანყების გრანდიოზული შინაარსი ამ აჯანყებაში გლეხობა პირველად გამოვიდა ორგანიზაციულად, პირველ რიგში არა რუსეთის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, არამედ ბატონყმობის მოსასპობად.

გურიის გლეხობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ისინი ებრძოდენ უსამართლობას და არ ზოგავდენ თავიანთ თავს. გრ. ორბელიანი კი, რომელსაც „დემოკრატების“ მანდატი მისცეს ქართველ კრიტიკოსების ერთმა ჯგუფმა ამ აჯანყების წინააღმდეგ წინ მიუძღოდა მილიციის რაზმს და რუს მოხელეებთან ერთად ცეცხლის ალში ხვევდა აჯანყებულ გურულების კარ-მიდამოს.

ნიკ. ბარათაშვილის წერილი თავისთავად ლაპარაკობს შესახებ იმისა თუ რა აზრისა იყო იგი აჯანყებაზე. იგი აქებს და ადიდებს აჯანყების ჩაქრობაში

---

[1]) ნ. ბარათაშვილი თხზულებათა კრ. ტფილისი 1922 წ. გვ. 94-95

აქტიურ მონაწილე ჯალათებს — არღუთინსკის, საგინოვს და ბოლოს, თავის ბიძას გრ. ორბელიანს.

ნიკ. ბარათაშვილი გურიის აჯანყებას გურულ გლეხობის უბედურობას უწოდებს. მას ეს აჯანყება მიაჩნია შეცდომად და ამართლებს იმ ჯარების ხელმძღვანელების მოქმედებას რომლებმაც სისხლის მორევები დააყენეს გურიის ტერიტორიაზე.

იგი გრ. ორბელიანს აღტაცებით მიმართავს: „შაბაშმკლავთა და განკარგულებათა თქვენთა". მიხ. ზანდუკელისათვის გასაგები უნდა იყოს თუ როგორ ეხმარებოდა ბარათაშვილი გლეხთა საკითხს და თუ როგორი პერსპექტივებს უსახავდა იგი მათ.

ამხ. ფილიპე მახარაძე ამავე საკითხზე უფრო ამომწურავ პასუხს იძლევა. იგი სწერს: „პოეტი (ნიკ. ბარათაშვილი კ. მ.) ვეღარ დაუკვირდა თანამედროვე ცხოვრებას, ვერ შეიგნო ამ ცხოვრების ჭირ-ვარამი, ვერ გაიგო მაშინდელი ყმების მწარე ბედი... ამნაირად ბარათაშვილის პოეზიამაც გვერდი აუარა მაშინდელ ძირითად საჭირბოროტო კითხვას ბატონყმურ ურთიერთობას, ერთი სიტყვაც არ გვამცნო, თუ რა შეხედულების იყო ამ საგანზე ქართული პოეზიისერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.[1])

ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ მიხ. ზანდუკელს კიდევ დასჭირდება მტკიცება იმისა, რომ ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში არ შეხებია გლეხთა და საერთოდ ყმების საკითხს? ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ არ იქნება მათთვის გარკვეული ბარათაშვილის უდიდესი რომანტიკოსობა, რომელიც იბრძოდა ფეოდალურ საქართველოს გადასარჩენად?

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ დებულებებს იმის შესახებ, რომ ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედება ბრძოლისა და პერსპექტივისაა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ქართველ კლასიკოსების შეფასების საქმეში ჩვენმა კრიტიკამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომ ყოველი მოვლენა საბოლოო ანგარიშში შეაფასოს საწარმოვო ძალთა განვითარებით.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველა მათ, რომლებიც ცდილობენ მარქსიზმის შირმად გამოყენებას, ასეთი შემთხვევები არის ქართულ კრიტიკაში და იგი საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს. მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის სადარაჯოდან შეუნელებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მარქსიზმის ვულგარიზაციის და მისი დამახინჯების წინააღმდეგ. ეს კითხვა ჩვენს წინაშე ეხლა მთელი სიმწვავით ისმება, რადგან მომაკვდავ კლასის ნარჩენების იდეური გავლენა ჯერჯერობით კიდევ შესამჩნევია, ისინი ჯერ კიდევ სავსებით არ არიან განიარაღებული, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ. ზანდუკელი მარტო არ არის, არამედ აქვე არის მთელი ნაციონალისტ-კრიტიკოსებისა, რომლებიც ისევ ენერგიულ და შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებენ კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვა ფედერალისტების რეაქციონური იდეოლოგიის გასაცოცხლებლათ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

[1]) ფ. მახარაძე—დ. ჭონქაძე და მისი დრო—გვ.85-86

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჭეიშვილი

ჰერგარტ ჰაუპტმანი

ვენური სოციალდემოკრატიული გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგი“ იუწყება: „ჰერგარტ ჰაუპტმანი, გლეხთა ომის და „ფეიქრების“ აჯანყების პოეტი, თანდანობით ეგუება ჰიტლერის რეჟიმს და ჰკარგავს ყოველგვარ გრძნობას ღირსებისა და თავმოყვარეობისასო, რაც არ შეიძლება გამართლებულ იქნეს არც მოხუცებულობის დაუძლურებით ან ქვეყნის ვითარების სრულის უცოდინარობით. ის ფაშისტურ ყაიდაზე ხელის აწევით ესალმება ჰიტლერიანელებს, ეტმასნება რა ფაშისტურ ბარბაროსებს საპატიო სტუმრის სახით. ჰაუპტმანის ეს გარდაქმნა იწყება დეპეშით, რომელსაც ის უგზავნის მუსოლინს. ამ შემთხვევაში ეს თითქოს წმინდა წყლის პოეტი მოქმედებს, როგორც გამოცდილი დიპლომატი. ის პირდაპირ როდი გადავიდა ჰიტლერის მხარეზე. მან არჩია ეს მოვლილი გზა, პირველი ნაბიჯის გადადგმა იტალიის დიქტატურის მიმართ, რომ შეემზადებინა მსოფლიო აზრი თავისი მეტამარფოზისათვის. შემდეგ მან გამოიყენა მსახიობ ვერნერ კრაუზის შუამავლობა. ვერნერ კრაუზმა ჰიტლერს წარუდგინა ჰაუპტმანის ერთ-ერთი პიესა—„საზეიმო წარმოდგენა 1913“. და ჰიტლერმა ის მიიღო, როგორც მე-III იმპერიის საზეიმო წარმოდგენა. ამ დღიდან საქმე გაჩარხული იყო, ახალი პატრონის მიერ მფარველობა მხცოვან მწერლისა უზრუნველყოფილ იქმნა. ჰაუპტმანის შეეძლო გამოსულიყო თავის საფარიდან და შეტევაზე გადასულიყო. და აი ბერლინიდგან გვატყობინებდენ: ,,ნაციონალ-სოციალისტური პრესა ირონიით აღნიშნავს ჰერგარტ ჰაუპტმანის მონაწილეობას მოიერიშე რაზმების ზეიმზე, რომელიც გაიმართა ჰიდენზეეში, სადაც ჰაუპტმანი ატარებდა ზაფხულს. ეს დღესასწაული გაიმართა ჰორს ვერსელის ხსოვნის აღსანიშნავად. დღესასწაულზე წაკითხულ იქნა მრავალი ლექსი, სხვათა შორის, ჰაუპტმანის ერთი პროლოგი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანელ—ნაციონალ-სოციალისტების ჰიმნის „ჰორსტ ვერსელის“ შესრულებისას ჰაუპტმანი, ისე როგორც სხვა დამსწრეები, იძლეოდა ფაშისტურ სალამს ფეხზე ადგომით, ჰიტლერიანელების ყაიდაზე“.

ნაციონალ-სოციალისტური გაზეთები ამ ფაქტს სამართლიანის სარკაზმით აღნიშნავენ.

„ეს იყო სანახაობა, ღირსი ღმერთებისა“—სწერენ გაზეთები—„დემოკრატიის პოტენტატების ვარსკვლავის მონაწილეობა. მოიერიშე რაზმების ზეიმზე და ძის მიერ ჰიტლერიალურ სალამის მიცემა“. მაგრამ სხვები კი,—დასძენს

ავსტრიულ სოციალ-ფაშისტების ორგანო,—რისთვისაც ჰერგარტ ჰაუპტმანი უფრო მეტი იყო, ვიდრე ბებერი მხდალი მაიმუნი, პირს მიიბრუნებენ ამ სპექტაკლისაგან მწუხარების და ზიზღის გრძნობით. ჰერგარტ ჰაუპტმანი მოკვდა. მისგან არაფერი დარჩა, თუ არა ლანდი, რომელიც ღირსი არ არის ატაროს მისი სახელი".

გასაოცარი და განსაცვიფრებელია ის უტიფრობა, როდესაც ავსტრიულ სოციალ-დემოკრატიული ორგანო, რომელიც სრულიად არ გაუკვირვებია იმ გარემოებას, რომ მათი გერმანული თანამოძმეები, ველსები, კიუნსტლერები და სხვები არა თუ მიწაზე გაინართხენ ფაშისტურ ჩექმის წინ, არამედ აქტიურად მოამზადეს ნაციონალ-სოციალისტების გაბატონება გერმანიაში, განცვიფრებაში მოჰყავს ჰაუპტმანის ფერისცვალებას.

ვინ აოის ჰერგარტ ჰაუპტმანი, როგორი განვითარების გზა განვლო მან თავის შემოქმედებაში, როგორ მიაღწია მან თავის „განვითარების" ამ უკანასკნელ ეტაპს.

ჰერგარტ ჰაუპტმანი, როგორც დრამატურგი, ერთობ ცნობილი ფიგურა იყო ჩვენში. ერთ ხანად, 1905 წლის და მის მომდევნო პერიოდში ჰერგარტ ჰაუპტმანი, ჰერმან ზუდერმანი და ჰენრიკ იბსენი ყველაზე პოპულიარული დრამატურგები იყვნენ ჩვენში, მათ შორის პირველი ორი ჩვენს სახალხო სცენაზე, მუშათა თეატრებში და ჩვენს პროვინციალურ სცენაზე.

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? არის ან იყო ჰერგარტ ჰაუპტმანი მძაფრი სოციალურ პროტესტის, რევოლიუციონური ბრძოლის და აჯანყების პოეტი? რა თქმა უნდა, არა.

ჰ. ჰაუპტმანის დრამები სამის ჯგუფისაა: ოჯახური დრამები—„ობოლი სულნი", „ავადმყოფი ხალხი", „კოლეგა კრამპტონი"; სოციალური დრამები: „ფეიქრები", „მზის ამოსვლის წინ", „მეეტლე გენშელნი"; ფანტასტიური და სიმბოლისტური დრამები—„ჰანელე მატერნის ზეცათ ამაღლება", „საბრალო ჰენრიხი", „ჩაძირული ზარი". სოციალური და ოჯახური დრამები ეკუთვნიან ჰაუპტმანის შემოქმედების პირველ პერიოდს, როცა ის გვევლინება ნატურალისტურ მიმდინარეობის მებაირახტრედ და ყველაზედ ნაყოფიერ შემომქმედ ფიგურად ამ მიმდინარეობაში. ამ პერიოდში ის, ისე როგორც მთლიანად ეს თაობა გერმანელ ნატურალისტებისა, რომლებიც 80-იან და 90 იან წლების გასწვრივ გერმანიის მსწრაფლი სამრეწველო აღორძინების ხანაში გამოვიდენ სამწერლო ასპარეზზე, ყველაზე ახლო უდგას თანამედროვეობის სოციალურ პრობლემატიკას.

ამ ნატურალისტურ „შტურმ-უნდ-დრანგის" ერთ-ერთი ბელადთაგანი არნო ჰოლცი მათ წინამორბედ პსევდო-რეალისტების თაობას, რომლებიც ნატურალისტ პოეტებს უსაყვედურებდენ, რომ მათი ლექსები გაზეთის მოწინავე წერილებს უფრო გავს, ვიდრე ლირიულ აღმაფრენის პროდუქტებსო, გამომწვევად უპასუხებდა: „წინასწარმეტყველს, მუდამ უკან მჭვრეტს, მუდამ წარსულში მაძიებელს, უხილავ კერპთა შუქით თვალებ-ახვეულს, ამ დროის რა ესიის? თანადროული იყავ, პოეტო, თანადროული თავით ფეხამდე".

და ამ თანადროულობის მოთხოვნილებაში ნატურალისტი მწერლები გულისხმობდენ არა მარტო გამალებულ ინდუსტრიალიზაციის ეპოქის მხატვრულ აღქმას, არამედ იმ სოციალურ უკუღმართობების მწერლობის ყურადღების ცენტრში მოქცევას, რომელიც მას თან სდევდა. ამ ახალი ეპოქის მაჯის ცემამ, რომელშიაც შემტევი სამრეწველო კაპიტალის წინ სრბოლასთან ერთად მოისმოდა მასთან ორგანიულად დაკავშირებული მუშათა გამანთავისუფლებელ ბრძოლის ზეაღსვლის ტალღის გუგუნი, გაიტაცა არა მარტო წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ახალი თაობა, არამედ ზოგი თვით ძველ გენერაციის მწერლობის წარმომადგენლებისგანაც. ასე, მაგ. კ ი რ შ ბ ა ხ ი, ვ ი ლ დ ე ბ რ უ ხ ი, ბ ლ ა ი ტ რ ო ი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელებმა მალე გაიმიჯნეს თავი ახალგაზრდებისაგან და განაცხადეს, რომ მათ ამ „ლირიკულ რევოლიუციასთან" საერთო არაფერი აქვთ. ნატურალისტურ მწერლობას ამ პირველ, დასაწყის პერიოდში ახასიათებს ერთგვარი შეტევითი ხასიათი, ისინი თავის თავს „უახალგაზრდავეს გერმანიის" წარმომადგენლებს უწოდებენ, და თავისი მოძრაობა ესმით როგორც ახალი, მორიგი „შტურგ-უნდ-დრანგი" გერმანულ ლიტერატურაში, რომელიც შემდგომში, მე-20 საუკუნის პირველი ათწლედის დასასრულს, ასე მკვეთრად გამოამჟღავნა ექსპრესიონიზმმა.

ამ შეტევითმა ხასიათმა ნატურალისტების, ამ ახალთაობის შემოქმედების გამომწვევმა ტონმა შექმნა ილიუზია მათი რადიკალიზმის და თვით რევოლიუციონერების შესახებ. შემდეგმა განვითარებამ ცხადყო, რომ ეს მოჩვენებითი რადიკალიზმი ისევე ფუყე და უხერხემლო იყო, როგორც თვით მისი მატარებელი სოციალური შუა-ფენა წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ეს ის პერიოდია, როცა ჰერგარტ ჰაუპტმანი, ისე როგორც ბევრი სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ბანაკიდან გამოსული მწერალი, მუშათა კლასის მოძრაობის ზეაღსვლის პერიოდში აჰყვა ამ მოძრაობას, რომ შემდგომში ზურგი შეექცია მისთვის და საბოლოოდ მსხვილ ბურჟუაზიის ბანაკში გადასულიყო. ამ მისმა რყევამ და ქანაობამ მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის შექმნა ილიუზია, რომ იმისი შემოქმედების განვითარების მრუდე წარმოადგენდა შემხებს პროლეტარიატის გამანთავისუფლებელ ბრძოლისას.

ჰერგარტ ჰაუპტმანი, როგორც ავტორი „ფეიქრები"-სა, ბურჟუაზიულ საზოგადოების მიერ ჩაქოლვილ იქმნა როგორც სოციალდემოკრატიის ბანაკში გადასული დრამატურგი-პროპაგანდისტი. ასეთივე ბედი ეწია ბევრ სხვა თანამედროვეობის სოციალურ პრობლემატიკაზე მომუშავე რომანისტებს და ლირიკოსებს. „ფეიქრებმა" იმ დროს იხილეს სცენის სინათლე, როცა გერმანელი სოციალდემოკრატია ჯერ კიდევ საბოლოოდ არ შემდგარიყო გამცემლობის გზაზე, როცა მას ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაეკარგნა პროლეტარიატის ავანგარდის სახე, როცა მას რეაქციონურ რეჟიმთან მძიმე ბრძოლების ატანა უხდებოდა. გასაგებია, რომ ამ პიესამ, რომელიც სილეზიელ ხელოსან ფეიქრების საშინელ გაჭირვებას და სიდუხჭირეს აღწერდა, რამაც ეს ყოვლის ამტანი, მონური მოთმინების მქონე ხალხი ამბოხებამდის მიიყვანა, მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, და ის რეაქციონურ ბურჟუაზიულ პრესის მიერ სოციალ-დემოკრატიის სააგიტაციო პიესად იქნა მონათლული.

მან ყალყზე დააყენა მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებრივობა. ცნობილ ბურჟუაზიულ კრიტიკოსმა ლანდსბერგმა წამოისროლა ლოზუნგი—„ძირს ჰაუპტმანი“! პოლიციის მინისტრმა ფონკლერმა პრუსიის ლანდტაგში ამ დრამის წინააღმდეგ გაილაშქრა, როგორც ბუნტარულ, რევოლიუციურ პიესის წინააღმდეგ. მისი დადგმა აკრძალულ იქნა გერმანულ სცენაზე. მან პირველად პარიჭის „თავისუფალ სცენაზე“ იხილა რამპის შუქი, სადაც მას დიდად გაუმარჯვდა. ეს პიესა მხოლოდ 1894 წელს იქნა დაშვებულ ბერლინის „თავისუფალ სცენაზე“ და „გერმანულ თეატრში“. მაგრამ ამის შემდეგაც დაუსრულებელმა დევნამ და შევიწროებამ, სისტემატიურმა აკრძალვებმა, მსოფლიო რეკლამა შეუქმნეს ამ პიესას. მსოფლიოში სცენა არ დარჩენილა, რომ ეს პიესა არ დაედგა. მაგრამ იყო განა მართალი ბურჟუაზიული პრესა, როცა „ფეიქრებს“ სოციალდემოკრატიის სააგიტაციო პიესად სახავდა? იყო მართალი პოლიციის მინისტრი ფონკლერი, როცა ილაშქრებდა ამ დრამის წინააღმდეგ, როგორც რევოლიუციურ ბუნტარულ, სახელმწიფო გადატრიალების მომზადებულ დრამის წინააღმდეგ? იყო განა მოცემული ჰაუპტმანის „ფეიქრებში“ ამდენი პროტესტი ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ? რა თქმა უნდა არა. თავის დროზე ფრანც მერინგმა საკმაოდ გამოამჟღავნა მსხვილი კაპიტალის წისქვილის ქვების შორის მოქცეულ წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სოციალურ სიდუხჭირეზე მოთქმის და წუწუნის, მის რადიკალურ ფრაზის ნამდვილი ფასი, და ეს შეფასება ამ საზოგადოებრივ შუაფენის შემდგომმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა.

თვით ჰაუპტმანმა, როცა ის „ფეიქრების“, ირგვლივ ამტყდარ სკანდალის გამო იძულებული გახდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, განაცხადა, რომ ეს მუშათა გაჭირვების და აჯანყების დრამა სრულიად არ წარმოადგენს მასების მოწოდებას აჯანყებისაკენ, რომ ეს არის მხოლოდ „სოციალურ თანაგრძნობის დრამა“, რომ ის მხოლოდ გაფრთხილებას წარმოადგენს მაღალი კლასებისათვის, რომ მათ ყურადღება მიაპყრან ღარიბთა გაჭირვებას. ამ დრამას ავტორის განზრახვითაც უნდა შეესრულებინა მონომეტრის ფუნქცია, რომელიც უჩვენებდა კაპიტალისტთა კლასს, რომ ქვაბი მეტი ორთქლის ატანას ვერ გაუძლებდა და გასქდებოდა.

„ფეიქრების“ სიუჟეტად ჰაუპტმანმა აიღო ისტორიული ფაქტები: „ფეიქრების“ აჯანყება ელენსბურგში, სილეზიაში 1844 წელს მაგრამ გადმოიტანა ის თანამედროვეობის პირობებში. აჯანყების დღიდან დრამის დაწერამდის (1893 წელი) სილეზიელ ფეიქრების მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც. სილეზიელ ფეიქრების მდგომარეობის საკითხი ამ პერიოდში მთელი გერმანულ საზოგადოების ცენტრში იდგა, მასზე ძალიან ბევრსა სწერდენ და ამ პრობლემის აქტუალობამ დიდად შეუწყო ხელი დრამის გამარჯვებას. გარდა თავისი პირადი გამოცდილებისა (ჰაუპტმანი თვითონ სილეზიელია და მისი წინაპრები ფეიქრები იყვნენ) და პრესის მასალებისა მან გამოიყენა ერთ სახელმწიფო მოხელის, ვინმე ციმმერმანის მიერ შეგროვილი მასალები სილეზიელ ფეიქრების ყოფის და მათი აჯანყების შესახებ 1844 წელს. ჰაუპტმანი არსად არ სცდილობს ფერების შერბილებას, მაგრამ სილეზიულ ფე-

იქრების ყოფა, მათი სიღარიბე და სიდუხჭირე იმდენად განუზომელი იყო, რომ არ შეიძლებოდა მისი საკმაოდ შავბნელ ფერებში დასახვა.

თვით სახელმწიფო მოხელის ციმმერმანის ოფიციალურ ანგარიშში მათი მდგომარეობა უფრო უნიღაბოდ და შეულამაზებლად იყო ნაჩვენები, ვიდრე ჰაუპტმანის დრამაში. ორნახევარი საუკუნის მანძილზე გაჭიმულმა ტანჯვა-წამებამ არა-ადამიანურ ყვლეფისა და ჩაგვრის პირობებში მოქცეულ სილეზიელ ფეიქრებისამ, მიიპყრო ჰაინეს ყურადღებაც, რომლის შესახებ მან დასწერა თავისი წყევით და პროტესტით აღსავსე ლექსი „სილეზიელი ფეიქრები"—ახშფოთება და პროტესტი, რომელიც ჩაქსოვილი იყო „სუდარაში", რომელსაც სილეზიელი ფეიქრები ქსოვენ ძველ გერმანიისათვის.

ჰაუპტმანის დრამაში ეს წყევა და პროტესტი შეიცვალა უნიათო ნოთქმით და გოდებით, უნიათო წუწუნით სილეზიელ ფეიქრების შავბნელ ბედზე. ჰაუპტმანს ამოძრავებდა სოციალურ თანაგრძნობის გრძნობა სილეზიელ ფეიქრების უმწეო მდგომარეობის მიმართ, მაგრამ, ამ თანაგრძნობის იქით ის არ მიდიოდა. მისი კრიტიკა ფაბრიკანტების გულქვაობისა და არა-ადამიანურ ექსპლოატაციისა არასოდეს არ გადადის პროტესტად, ბრძოლად თვით იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ამ არა-ადამიანური ექსპლოატაციის შესაძლებლობას ჰქმნის.

ნატურალისტურ „შტერმ უნდ დრანგის" კრიტიკა კაპიტალისტურ საზოგადოების შიგნით მოცემულ სოციალურ უკეთმართობათა, არის თვითკრიტიკა კაპიტალისტურ კლასის შიგნით—წარმოებული „უმცროსი ძმის", წვრილი ბურჟუა ინტელიგენტის მიერ, კრიტიკა წარმოებული მის წვრილ ბურჟუაზიულ მეშჩანურ თვალთახედვის ქვეშ.

ამავე წრის პოეტი ოსკარ იერშკე თავის ლექსებში იძლევა მუშათა უბნების და სიდუხჭირის გულშეძზარავ სურათებს. მაგრამ რა დასკვნები გამოაქვს მას აქედან?

განა ის მოუწოდებს კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მსხვერპლთ ბრძოლისაკენ მჩაგვრელების და მყვლეფელების წინააღმდეგ? სრულიადაც არა. მას არცა სწამს და არც უნდა იწამოს პროლეტარიატის საკაცობრიო მისია. საზოგადოების ხსნისა ერთის კლასის მიერ მეორე კლასის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა და მასზე აღმოცენებულ სოციალურ უკეთმართობებისაგან. ის თვით ბურჟუაზიულ სამყაროში ეძებს ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტას. ის მიმართავს გაფრთხილებით „ზემომდგომ ათი ათას უმდიდრეს"—მსხვილი კაპიტალისტების ხროვას, ურჩევს მათ მეტი გულმოწყალეობის გამოჩენას მშრომელთა ფართო მასების სიდუხჭირის მიმართ.

ეს სოციალური „თანაგრძნობა" ინტელიგენტური, უნიათო წუწუნი მშრომელი მასების დუხჭირი ყოფის შესახებ, წუწუნი, რომელიც სხვა ვერაფერში ჰპოვებს თავის გამოხატულებას, თუ არა თავისთავის გვემასა და დამდაბლებაში, დამახასიათებელია ჰაუპტმანის დრამის „ობოლი სულნი"-ს გმირებისათვის—იოგანეს ფოკერატი, რომელსაც თავისი თავი ერთ დროს რადიკალად და საზოგადო მოღვაწედ წარმოედგინა, თავისთავს საყვედურებით სტანჯავდა იმისათვის, რომ ცხოვრობს კარგად მოწყობილ სახლში, კარგად სჭამს და სვამს, ში-

შით და კრძალვით უთმობს გზას ყველა მუშას, გულისცემით უვლის იმ სახლებს, რომლებზედაც ისინი მუშაობენ, სურდა დაერიგებინა თავისი ქონება რომ სიღარიბესა და გაჭირვებაში ეცხოვრნა. მართალია, მისი ოპტიმალიზმის მარაგი არც ისე მნიშვნელოვანი გამოდგა. ის ეუბნება თავის ახალგაზრდობის თანამებრძოლს—„თქვენ ჩემო მეგობრებო, მუდამ გაჰყვიროდით რადიკალურ ფრაზებს, მე კი ერთხელ და სამუდამოდ გითხარით, რომ მე ამაში თქვენი ამხანაგი არა ვარ. ამიტომ გავხდი მე კომპრომისის ადამიანი". მაგრამ კომპრომისის ადამიანია თითქმის ყველა ეს წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტი, რომლებიც ადვილად იკურნებიან თავის ახალგაზრდურ გატაცებისაგან, და კვლავ იძირებიან მეშჩანურ ჭაობში, რომლისგან ამოხტომას ისინი ფუჭად ლამობენ. ყველა ამ უნიათო ინტელიგენტისთვის, რომელიც თავისი თავი რადიკალად და საზოგადო მოღვაწედ წარმოუდგენია, საჭიროა რაიმე გულშემზარავი სურათი კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა, რომ საკვები მისცეს თავის რეფლექსიას. ამავ დრამის გმირი ბრაუნი აღშფოთებაში მოყავს გარშინის მოთხრბის „მხატვრების" იმ ადგილს, სადაც ის აღწერს მუშების მდგომარეობას, რომელიც ორთქლის ქვაბების ქარხანაში მუშაობენ. ეს მუშები, რომელთაც ქვაბების შიგნით უხდებათ მუშაობა, ჩვეულებრივად ჩაქუჩების გამუდმებულ რახარუხისაგან სმენას ჰკარგავენ. იმათ ყრუებს ეძახიან. „აი ზის ის ჩემ წინ ქვაბის ბნელ კუთხეში, სამად მოხრილი, ძონძებში გახვეული, დაღლილობისაგან ქანც გაცლილი ადამიანი. გაჭარხალებულ სახეზე ღვარად ჩამორეცხს ოფლი" მოგვითხრობს ავტორი. მაგრამ ბრაუნში ეს მოვლენები აპატიის და ნიღილისტური განწყობილებების ზრდას იწვევს და სხვა არაფერს. მას აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამოაქვს, რომ მან თავი უნდა დაანებოს მხატვრობას. ვინაიდან—„ამჟამად არსებობს ბევრი რამ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მხატვრობა და ლიტერატურა ერთად აღებული". მაგრამ ამ უფრო მნიშვნელოვანისათვის საბრძოლველად ფუყე და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტს, რომელიც, ყოველგვარ თვითგვემის მიუხედავად, ასე შეყვარებულია თავის თავზე, და რომელიც ყოველთვის ვნებით ფორმაში დაუსრულებლად აბრუნებს თავის „მე"-ს, არ გააჩნია ძალა და გამტანობა.

ეს პერიოდი სოციალური უკეთესმართობის მტკივნეულად შემცნობისა ჰაუპტმანმა გამოიარა თავის ახალგაზრდობაში, თავის საბუნებისმეტყველო შტუდიუმის დასრულების შემდეგ იენაში. ჰაუპტმანი ჰამბურგიდან მიემგზავრება ისპანიაში და აქედან იტალიაში. მას არ იტაცებს ნახული ადგილების ეკზოტიკა—ბარსელონა, ნიაპოლი კაპრი, რომი მასზე თავზარდამცემ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ის აღშფოთებულია საშინელი სიღარიბით, სიბინძურით, რომელშიაც ცხოვრობენ აქ ფართე მასსები, მას არა სცხელა ამ ძონძების და სიღატაკის რომანტიკისთვის. ამ მოგზაურობის შედეგად დაწერილ პოემა „პრომეთიდების" ბედში ის პოეტებს ახასიათებს, როგორც „ისტორიის ცრემლებს". ამ სოციალურ თანაგრძნობის შესახებ, როგორც მწერლის მთავარ მამოძრავებელ ძალაზე ის სწერს ერთ თავის 1884 წელში დაწერილ ლექსში „ღამის მატარებელი":

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გსურს ისწავლო, პოეტო, საღმრთო სიმღერა,
ყური მიუგდე მაღაროში წერაქვის ხმას.
ზურგი აქციე მოციმციმე თავბრუ მხვევ ჰანგებს,
მიჰყე მანქანის შეუწყვეტელ მაჯისა ცემას...
თანაგრძნობით სიყვარულით გატაცებული ძირს დაიხარე ლარიბთ გულისკენ,
რაც მან მოგითხრას კრძალვით ტირილით,
ის გადაშალე ზენს სიმღერებში.

ფეიქრების პიესაში აჯანყება ჰაუპტმანის მიერ განცდილია, როგორც ლოკალური, იზოლატიური, ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებული გამოსვლა მოთმინება-დაკარგულ ადამიანებისა, აჯანყებულებს არ გააჩნიათ არავითარი პერსპექტივა, მათ არ იციან, თუ საბოლოოდ რისთვის იბრძვიან. ჰაუპტმანი არსადა ცდილობს სილეზიელ ფეიქრების ბედი დაუკავშიროს მუშათა კლასის ბედს, როგორც მთლიანის ბედს და ფეიქრების აჯანყება, როგორც ერთ-ერთი მომენტი მუშათა კლასის ბრძოლისა, გადაიყვანოს პროლეტარიატის ბრძოლაში კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევად.

— „ფეიქრები" უძლიერესი და ამავე დროს უკანასკნელი დრამა იყო ჰაუპტმანის სოციალურ დრამების სერიიდან. ამის შემდეგ ის სწერს ისტორიულ დრამას „ფლორიან გაიერს" (1896), სადაც იძლევა გლეხურ რევოლიუციის სურათს მეთექვსმეტე საუკუნეში. მაგრამ ამ დრამამ, მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ჰაუპტმანმა მასზედ გასწია და რომელშიაც მან სცადა ნატურალისტურ დრამის ხერხების ისტორიულ მასალაზე გამოყენება, სრული ფიასკო განიცადა. ერთის მხრივ ამ მარცხმა და მეორეს მხრივ მეოთხმოცდაათიან წლების მეორე ნახევარში წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წრეებში მომხდარ გარდატეხამ, ძვრებმა ინტელიგენციის იმ ფენაში, რომელიც მე-70 და 80 წლებში სოციალურ შუა ფენებისათვის დამახასიათებელ რყევას განიცდიდა სოციალიზმსა და ინდივიდუალიზმს შორის და რომელმაც ამ დროისთვის საბოლოოდ ზურგი აქცია მუშათა კლასის მოძრაობას, საერთოდ თანამედროვეობის სოციალურ პრობლემატიკას, ნატურალიზმს როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება, ახლოს მისდგომოდა ამ თანამედროვეობის საკითხებს, აიყოლია ჰერგარტ ჰაუპტმანიც. მრუდე, რომელსაც აღწერს ჰერგარტ ჰაუპტმანის შემოქმედება, დამახასიათებელია ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის დამოკიდებულებისთვის მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ ბრძოლისადმი.

უმეტესი ნაწილი ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა მეოთხმოცდაათიანე წლების მეორე ნახევარში საბოლოოდ მოსწყდება მუშათა კლასის მოძრაობას და ნეორომანტიზმის და სიმბოლიზმის დროშის ქვეშ საბოლოოდ გადადის მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურად.

ეს სახეცვლილება, რომელიც მე-80-ნე წლებიდან მოყოლებული მე-90-ნე წლებამდე განიცადა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მწერლებმა, თვალსაჩინოდ არის მოცემული ნატურალისტ ლირიკოსთა ერთ დაჯგუფების ევოლუციაში, რომელიც თავმოყრილი იყო „თანადროულ ლირიულ ანთოლოგიის" ირგვლივ (1884). და რომელთა შორის აღსანიშნავია ძმები ჰ ა რ ტ ე ბ ი, ა რ ნ ო ჰ ო ლ ც ი, კ ა რ ლ ჰ ე ნ კ ე ლ ი და სხვ. ზოგიერთ ამათგანს ჩვენ ზემოდ შევეხეთ.

ამ „სოციალური თანაგრძნობის“ პოეტთა ლირიკული ბუნტი და მისი თანდათანობითი დაცხრობა მკვეთრ, სამანიფესტო პროგრამულ ფორმებში მოცემულია ამ თაობის ყველაზედ უფრო პროდუქტულ პოეტში, კარლ ჰენკელის შემოქმედებაში. მის კრებულებში (1894-1890) მოცემულია მთელი ამ თაობის განვითარების სურათი. ზემოდ დასახელებულ ანთოლოგიის წინასიტყვაობაში კარლ ჰენკელი სწერდა: „ამ წრის მწერლებზე, რომელთაც ეს წიგნი აერთიანებს, ემყარება მომავლის პოეზია, მნიშვნელოვანი ლიტერატურა იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენ გვესმის“.

ჰენკელსაც აწუხებს ჰაუპტმანის „ობოლი სულნი“-ს გმირის, მხატვარ ბრაუნის პრობლემატიკა. ის ეკითხება თავის თავს: არის თუ არა ეხლა საერთოდ სიმღერის დრო? მოითხოვს თუ არა ცხოვრება, სოციალურ სიდუხჭირის ხანა— პოეტებს? „უამებს განა მილიონებს შენი სიტყვა წყლულს. აწყნარებს მათს კვნესას“? ეკითხება ის თავის თავს და თვითვე უპასუხებს—„არა, იმათ სიმწრის ოფლი სდით, სისხლს არწყევენ მაშინ, როცა შენ მღერი“.

ის გრძნობს აგრეთვე წინააღმდეგობას თავის ბურჟუაზიულ წარმოშობისა და პროლეტარიატის პოეტის მოწოდებას შორის. მას სურს, რომ ის ყოფილიყოს სილარიბესა და გაჭირვებაში შობილი, გაჭირვების შვილი.

„ოი, ვაებავ, რომ სიდუხჭირის ჰანგზე იმღერდე
და თვით არ იყო სიდუხჭირის ღვიძლი და შვილი,
აღმაფრენის დროს ფრთა მოგიტყდება,
თუ შენ არა ხარ მასში შობილი“.

მის ლექსებში იშლება გულშემზარავი პანორამა გაუსაძლის სიდუხჭირისა, რომელიც მეფობს მუშათა უბნებში: მუშის ოჯახის ტრაღედია, უფროსი ქალიშვილები მეძავეობით პოულობენ ლუკმა პურს, მამა სცემს პატარა ბავშვს იმისათვის, რომ მან დღის განმავლობაში ცოტა ფული მოიმათხოვრა და აპოთეოზში, როცა პოეტის მიერ გამართულ სიყვარულის და სათნოებისკენ მომწოდებელი ფსალმუნი გაისმის, ალკოგოლიკი ქმარი იჩოქებს თავის ცოლის წინაშე.

ამავე კრებულში ის იძლევა გილზენკირხენის გაფიცვის სურათებს.

მის ლექსებში მოისმის თვით სოციალურ რევოლიუციის წინასწარ მეტყველობის ჰანგები.

მაგრამ ეს სოციალურ სიდუხჭირის პოეტი, რომელსაც იმდროინდელი კრიტიკა უსაყვედურებდა, რომ ის ლირიკის ნაცვლად გაზეთის მოწინავე წერილს და გალექსილ სოციალურ სტატისტიკას და დოლაბის რახარუხს იძლევა მე-90 წლების დასაწყისი ხვდება იმ საერთო გარდატეხის გავლენის ქვეშ, რომელიც საერთოდ განიცადა წვრილ ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ ამ ხანაში. ამ მობრუნებას ასახავს მისი კრებული „ამზელრუბენი“. 1890 წელს ის, ჰაუპტმანის გმირი ფოკერტივით, ერთის ხელის დაკვრით იკურნება ახალგაზრდულ-რადიკალურ გატაცებებისაგან და გამოსამშვიდებელ სიმღერას უძღვნის თავის თანამედროვე მწერლებს. „უახალგაზრდეს გერმანიიდან“.

„უახალგაზრდეს გერმანიას ჩვენ ვუსურვებდით წინსვლას. დღეს კეთილს“.
მე კი ვიხევი მშვიდ საყუდულში, უკან პოსტებზე.

მასსა ვერას ქმნის. თუ ხერხემალი გაგაჩნია და გული მტკიცე,
მიჰყე შენ შენს გზას. მარტოობაში გახდები მძლავრი.

ზოლას თაყვანის მცემლებს, რომელთა რიცხვს ის წინედ ეკუთვნოდა, ის უსაყვედურებს, რომ მათთვის რძის შეჭამანდი ლირიკაა, და ... ეროტიკა. მოწინავე, თანადროულ, მომავლისაკენ თვალმიპყრობილი პოეზიისაგან აქ არაფერი რჩება: „ხალხის ბელადი“ ამბობს ის.—არა ეს მოსასხამი მე არ მიხდება. პოლიტიკისთვის მე არ შემწევს გამბედაობა და სითამამე. მე ჩემს ლექს გავსდევ, მას ვანვითარებ და მასთან ჩემს თავს. რაც ჩემ ბუნებისათვის უცხო არის, მე თავს ვანებებ. თანაგრძნობის გრძნობა აჟღერებდა ჩემს ქნარს, თხზავდა ჩემს ლექსებს გაჭირვებასა და სიღატაკეზე. ჩემი საკაცობრიო სიმღერები სულის მაღალი სწრაფვის შედეგი იყო. ეხლა კი მორჩა. პარტიულ ბრძოლის დავიდარაბისათვის უკვე მკვდარი ვარ, პატივმოყვარეობა მე ვერ გამიტყუებს პოდიუმზე. ჩემში ქვეყანა არ დაჰკარგავს დიდ აგიტატორს. რაც გსურთ, მიყავით, ჩამომაღრჩვეთ, თქვენი—ხმალი, ჩემი—კისერი“.

მას ეხლა უკვე რცხვენია კიდეც იმ პათოსის, რომლითაც ის სამართლიანობის შესახებ ღაღადებდა, „კაცი ისეთი პატარა ხდება, როცა ყოველდღე გუნდრუკსა უკმევს—ადამიანს მიკრობის ჭეშმარიტების კულტს.“

აგიტატორის მოსასხამს ის სცვლის ნიცშესებურ ზეკაცის ტოგაზე, მას სურს იაროს „საკუთარის გზით, წმინდა ყოფის გზით“.

ის თავს ანებებს კაცობრიობის სამსახურს:—„რაც სულ შენია, საკუთრივ შენი, მით კვებე შენი ლექსი. შენ წინ წაუძეხ, შენს თავს, დეე, სხვებმა თავის თავს თვით მოუარონ. მას მხოლოდ ერთი ნატვრა აქვს: იყოს თავისუფალი, თავისუფალი თვით „თავისუფლებისაგან“: „ჩემო ლოზუნგების დროვ, შენ გაიარე, მარტოობას, თავდავიწყებას სული ესწრაფვის,—ის პოეტის ნაზ ვნებებში ეძიებს კმაყოფილებას.“

ამ მიმდინარეობამ აიყოლია ჰერგარტ ჰაუპტმანიც, რომელსაც, მისის გმირების მსგავსად, მუდამ ახასიათებდა უხერხემლობა და მერყეობა. ჰაუპტმანი—ეს ზოლას თაყვანის მცემელი, თანამიმდევრო მეცნიერულ რეალიზმის, ნატურალიზმის მებაირახტე გერმანიაში გაჰყვა ნეორომანტიზმის, სიმბოლიზმის საერთო მდინარეობას. მის ნაწარმოებებში თითქმის სავსებით ქრება ინტერესი აქტუალურ სოციალურ პრობლემებისადმი. სოციალური ტენდენციები მისი პირველი დრამების, რომლებიც უმისოდაც უფრო სანიტიმენტალურ-ფილანტროპიულ ხასიათს ატარებს, ერთის ოვალის დახამხამებაში ორთქლდება და მის ადგილს იჭერს რომანტიულ ოცნების, მირაჟების სამყარო.

ერთგვარ გადასავალ საფეხურს, ტრამპლინს ნატურალიზმიდან სიმბოლიზმში ჰაუპტმანისათვის წარმოადგენს დრამა-სიზმარი „ჰ ა ნ ნ ე ლ ე“ ან, როგორც მას თავდაპირველად ერქვა— „ჰანელე მატერნის ზეცად ამაღლება“.

ზღაპრების ციკლს ამ დრამამ, რომელიც წარმოადგენს ჰერგარტ ჰაუპტმანის მობრუნებას ნატურალიზმიდან ნეორომანტიზმისაკენ, გზა გაუხსნა ავტორს ბერლინის საიმპერატორო სცენისაკენ. ამ პიესამ ჰაუპტმანი შეარიგა ბურჟუაზულ ლიტერატურას. მან ჰაუპტმანისაკენ გული მოუბრუნა მთელ იმ რეაქციო-

ნურ ბანაკს, რომელიც მასზე გულმწყრალად იყო მისი სოციალური დრამებისათვის. მან მას მოუპოვა გრილპაცერის პრემია.

ფონს ამ დრამისას, ისე როგორო წინანდელი სოციალურ დრამებში („ფეიქრები", „მეეტლე გენშელი") წარმოადგენს პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ წრეების სიღარიბე და სიდუხჭირე. მუდმივ გაჭირვებისაგან გამხეცებულ, ლოთ მამის კალატოზის მატერნის ცემით და შევიწროებით თავმოძულებული ობოლი გოგონა ჰანნელე გადასწყვეტს თავის დახრჩობას. მაგრამ მას სიკვდილისაგან გადაარჩენს ტყის მცველი და სოფლის მასწავლებელი. აქაც მოცემულია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პირობებში აღმოცენებული ზნეობრივი გაველურება პიროვნების, ლოთობა და მხეცური დესპოტიზმი, ჩაგვრა ოჯახის შიგნით, რომელშიც, როგორც წყლის წვეთში, ასახულია ის სოციალური უკუღმართობანი, რომლის არტახებში მოქცეულია ოჯახი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ცხოვრების ამ ბნელ მხარეების ასახვისას ჰაუპტმანი არ ღალატობს თავის ნატურალისტურ წერის მანერას. მაგრამ პირველსავე სცენებში მკითხველი უკვე გრძნობს იმ დიდ გარდატეხას, რომელიც მოხდა მწერალში.

თუ დრამაში „მ ზ ი ს ა მ ო ს ვ ლ ი ს წ ი ნ" ჰაუპტმანს აინტერესებდა არა მარტო ამ სოციალურ უკუღმართობის ბნელი კანვა, როგორც ფონი დრამატიულ კვანძის გაშლისათვის, არამედ მიზეზები, რომლებიც იწვევს ლოთობას, ზნეობრივ დაქვეითებას და ადამიანის გამხეცებას კაპიტალისტურ ექსპლოატაციის პირობებში. ის აქ სავსებით ჰკარგავს ინტერეს ამ მიზეზის ძიებისადმი. თუ ბერიკა სოციალ-დემოკრატი ლოტი „მზის ამოსვლის წინ" ტირადებს ისვრის იმ მილიონ „შეუსაბამობათა" მიმართ, რომელთა რკალში მოქცეულია ბურჟუაზიული საზოგადოება—იმ „შეუსაბამობის" წინააღმდეგ, რომ ის, ვინც შრომობს და ოფლსა ღვრის, სიმშილითა კვდება, მაშინ როცა ზარმაცი ფუფუნებაში ცხოვრობს, იმის წინააღმდეგ, რომ მშვიდობიანობის დროს მკვლელობის ჩადენისათვის კაცსა სჯიან, ომიანობის დროს კი მას ხოტბას შეასხამენ.

„ჰანნელეშიც" მოცემულია იგივე მსხვერპლი ცხოვრების „შეუსაბამობათა", სიბნელის, სიმხეცის და ლოთობის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შედეგს უზომო კაპიტალისტურ ექსპლოატაციისას, ტრაღედია პროლეტარის ბავშის, განაწამების ნაცემ-ნაბეგვის, რომელიც თვითმკვლელობაში ეძებს ხსნას თავის აუტანელ მდგომარეობიდან. მაგრამ ამ შემთხვევაში ჰაუპტმანი აღარ ისვრის ტირადებს ამ ცხოვრების შეუსაბამობის შესახებ. პირიქით, იმ სერაფიმულ—მისტიურ აღფრთოვანებაში, რომელიც მოცემულია ანგელოსების ხორალში და ქრისტეს გამოსვლაში სცენაზე, რომლებიც მალამოდ ევლებიან პროლეტარი ბავშის ნატანჯ—ნაგვემ სულს ქრება ყოველგვარი პროტესტი ცხოვრების უკუღმართობის ძიმართ, რომლებმაც საბრალო ბავში სასოწარკვეთილებამდის მიიყვანეს.

საიმპერატორო—თეატრის აუდიტორიას ცოტათი ეჩოთირა სცენაზე ქრისტესი და ანგელოსების გამოყვანა. ზოგმა ამაში ეკლესიის სიწმინდის შელახვა დაინახა. ამ საკითხის გადასაჭრელად წარმოდგენაზე გაგზავნეს სპეციალური რეცენზენტი—კარის პასტორი ფრომელი. მაგრამ გაიძვერა კრელიკალი კარგად

მახვდა, რომ ისეთი მწვავე სოციალური პრობლემის გადაჭრა, როგორიც არის კაპიტალისტებისათვის ჩაგრულთა და გაყვლეფილთა ყურმოჭრილი უსიტყვო დამორჩილება, მათთვის ქრისტიანულ რელიგიის მორალის—მოთმენის და „თავის ჯვრის ზიდვის“ ქადაგება—იმ ქვეყნად გაცისკროვნების და გაბრწყინვების იმედით, ყველა ამ ამოცანებისთვის დასაშვები იყო არა თუ ქრისტეს და ანგელოზების, არამედ თვით მამალმერთის და მთელი მისი ამალის ზეციდან ჩამოყვანა. რასაკვირველია, რომ პასტორი ფრომელი სპეკტაკლით აღტაცებული დარჩა.

ამ წარმოდგენის შემდეგ იწყება ჰაუპტმანის ტრიუმფალური სვლა გერმანიის სცენაზე. თუ ბურჟუაზიული პრესა მისი სოციალური დრამებისთვის მას ჯვარს აცვამდა და მას სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდისტად ნათლავდა, ამის შემდეგ იწყება ჰაუპტმანის კანონიზაცია. ის ხდება წამყვანი ფიგურა გერმანულ დრამატურგიაში. მას აჯილდოებენ გრილპარცერის და ნობელის პრემიით. გზა, რომელიც ამ მხრივ გაიარა ჰაუპტმანმა, წააგავს მრავალ სხვა გერმანელ ნატურალისტების, მაქს კრეცერის, პენკელის და სხვათა გზას. მაქს კრეცერი, გერმანელ ზოლად მონათლული, რომელიც თავის პირველ სოციალურ რომანში, „ოსტატ ტიმპეში“ იძლევა მსხვილ მრეწველობის განვითარებასთან წვრილ ხელოსნების უთანასწორო და უაზრო ბრძოლის სურათს, და რომელიც თავის შემდგომს რომანებში „მოტყუილებულებში“ და „გადაგვარებულებში“ ნატურალისტურ ზედმიწევნილობით ასახავს პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ წრეების უსაშველო სიდუხჭირეს და გაჭირვებას, თავის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში რომანში „ქრისტეს ხილვა“ ეგოისტ და ათეისტ სოციალ-დემოკრატ მუშას უპირისპირებს მუშას, რომელიც მზად არის ყოველგვარი დამცირება და შევიწროება მოითმინოს. „რომ მოთმინებითა და თავმდაბლობით ზიდოს თავისი ჯვარი“.

თუ თავის შემოქმედების პირველ პერიოდში ჰაუპტმანი ცნობილია როგორც „ფეიქრების“ ავტორი, მეორე პერიოდში მას უფრო „ჩაძირულ ზარის“ ავტორად იცნობენ. „ჰანნელე“ იყო პირველი დრამა-ზღაპარი, რომელშიც სინამდვილის რელიგიულ მისტიკასა და ფანტასმაგორიასთან აღრევა მოცემულია, როგორც შიმშილითა და გვემით განაწამებ პროლეტარ ბავშვის ბოდვა-სიზმარი, რომელიც ისევ რეალისტურ სცენით ბოლოვდება. „ჩაძირულ ზარში“, ამ ჰაუპტმანის დასრულებულ სიმბოლისტურ დრამაში, ხალხური ფანტაზიის სამყაროდან ნასესხები პერსონაჟები: ალები, კუდიანები, ტყის ჭინკები, ქონდრის კაცები და სხვ. მოცემულია როგორც სიმბოლიური პერსონიფიკაცია იმ ლაღი, თავისუფალი ბუნებრივი საწყისისა, რომელსაც ჰაუპტმანი უპირისპირებს მეშჩანურ გარემოცვას, რომელთანაც უხდება ბრძოლა დრამის მთავარ გმირ ოსტატ ჰენრიკს.

პირველ პერიოდში მოცემულ სოციალურ წინააღმდეგობათა ადგილს იჭერს დაპირისპირება ინდივიდუმსა და იმ მეშჩანურ გარემოცვის შორის, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და ბრძოლა, ძირითადი სოციალური უკუღმართობის მიმართ; ექსპლოატატორების მიერ მშრომელთა ფართე მასების ეკონომიურ და უფლებრივ ჩაგვრის მიმართ ის საკვანძოთ კარგავს ინტერესს. „ჩაძირულ

ზარის“ გმირი ოსტატი ჰენრიხი მზით გასხივსონებულ ტაძრის აგებაზე ოცნებობს, რომლის სამრეკლოდან უნდა გაისმას „დავიწყებული ჯადოსნური ჰიმნი, სიმღერა სამშობლოს და ოქროს ბავშობის, სიყვარულის ტკბილი სიმღერა“, რომელიც საიდუმლოდ ჟღერს ყველასათვის ზღაპრულ სამყაროდან.

ფეიქრების „სისხლის სამსჯავროს“ სიმღერის ადგილს იჭერს ელინისტურ მზიურობის და სიცოცხლის კულტით შეზავებული მისტიურ რელიგიურ პათეტიკა. „ჩაძირული ზარი“ იბსენის სიმბოლიური დრამის „ბრანდის“ გავლენის ქვეშ არის დაწერილი. ნიცშეანური ზეკაცის კულტი, იბსენის მიერ გერმანიიდან გატანილი და მოდერიზებული, შერბილებული გერჰარტ ჰაუპტმანის ისევ შემოაქვს თავის შემოქმედებაში, იბსენის გავლენის კვალს ატარებს ჰაუპტმანის ბევრი სხვა დრამები, მაგრამ ჰაუპტმანის ინდივიდუალიზმი მაინც სხვა არის, ვიდრე ნიცშეს ზოოლოგიური მგლური კაცი-ჭამია ინდივიდუალიზმი, ქებათაქება ღონიერ მუშტის ბასრი ეშვების და კლანჭების, ხოტბა ომის, იმ ხანაში სწორედ აღორძინების პერიოდში მყოფ იმპერიალიზმის სიმბოლო სარწმუნოებისა. „ფიქრები“ს და „მზის ამოსვლის წინ“-ს ავტორი ერთბაშად ვერ გადავიდოდა ამ ზოოლოგიურ ინდივიდუალიზმის, შოვინიზმის და მილიტარიზმის პოზიციებზე. თუ ნეორომანტიზმი მთლიანად წარმოადგენდა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მობრუნებას მსხვილ ბურჟუაზიის სამსახურად, გერჰარტ ჰაუპტმანი თავის რომანტიულ პერიოდშიც წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის პოზიციებიდან ებრძვის თავის მეშჩანურ გარემოცვას. „ჩაძირულ ზარის“ მთავარი გმირი ოსტატი ჰენრიხი ნიცშეანელია მხოლოდ განსაზღვრულის მნიშვნელობით. მის გმირს არ გააჩნია იბსენის ბრანდის გამტანობა და მოუდრეკლობა. მას არ შესწევს ძალა, რომ თავის მიზანს „ბოლომდის“ მიჰყვეს, მას ხშირად ხელიდან უვარდება სამუშაო: „ოჰ ღმერთმა უწყის,—ამბობს ის, მოვისმენ თუ არა ოდესმე ძახილს—აღსრულდა, აღსრულდა ყველაფერი,—ოჰ დავიქანცე მე, დავიქანცე. დეე, ეშმაკმა დაასრულოს ეს ჯოჯოხეთური სამუშაო, მე კი პოსტანში დავიწყებ ფუგნას, დავთესავ სტაფილოს და კარტოფილს. ვსვამ, ვჭამ, მოვილხენ, მერმე მოვკვდები“.

ჰაუპტმანსაც, მის გმირის მსგავსად, არ გააჩნია ძალა და უნარი ბოლომდე მიყვეს ერთ იდეალს, სიმბოლიზმის იდეალს. სიმბოლიზმის ბანაკში გადასული ის ვერასოდეს ვერ თავისუფლდება ცთუნებისაგან კვლავ დაუბრუნდეს ნატურალისტურ წერის მანერას.

პოზიტიურ რელიგიის, მის ოფიციალურ მსახურების მოწინააღმდეგე, დარვინის თაყვანისმცემელი, ქრისტიანულ ასკეტიზმის მოწინააღმდეგე და ჰაინესებურ ელინიზმის მზიურ ხორციელობის მქადაგებელი, („მწვალებელი სუანიდან“ და სხვ.), ის ვერასოდეს ვერ თავისუფლდება რელიგიურ მისტიკის ბურუსისაგან. (ემანეულ კვინტი და სხვ.).

მშვიდობიანობის ურბპატრიოტულ, შოვინისტურ განწყობილების მოწინააღმდეგე და მქადაგებელი, რომლის სატირას წარმოადგენს 1913 წელში დაწერილი პიესა „1913 წლის საზეიმო წარმოდგენა“, კარიკატურა 1913 წლის განთავისუფლების გმირებზე, ის იმპერიალისტურ ომის ატეხისას, სწერს შოვინისტურ განწყობილებით აღსავსე „ო, ჩემო სამშობლო“ ქვეყანას, მიმართავს

რომენ როლანს ღია წერილით, რომელშიაც ის „როგორც ნამდვილი გერმანელი, დგება უკანასკნელ ჯარისკაცის გვერდით. 1918 წლის რევოლუციის შემდეგ ის კვლავ უახლოვდება სოციალისტ ფაშიზმის ბანაკს, ხდება შეიდემანნოსკეების და ებერტის დემოკრატიის რეპრეზენტეტიული მწერალი (საცა ერდო მაღალია, მეც იმისი მაყარია.) რომ შემდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს თანდათანობით ფაშიზაციის პირობებში აჰყვეს ამ ტალღას და დასასრულ სოციალ-ფაშიზმთან ერთად საბოლოოდ გადაბარგდეს ფაშისტურ ბანაკში.

ჰ. ჰაუპტმანის შემოქმედება დამახასიათებელია მთელ იმ ლიტერატურულ გენერაციისათვის, რომელთან ეოთად ის გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ერთ-ერთი ლიტერატურული ბელადი, მეშჩანურ ყოფის მსოფლშეგრძნობის მწერალი, ფუყე და მერყევი, როგორც ეს სოციალური შუაფენა მთლიანად, რომელიც თავის შემოქმედების დასაწყისში მიუახლოვდა მუშათა გამანთავისუფლებელ მოძრაობას, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ზურგი ექცია მისთვის და მსხვილი ბურჟუაზიის ბანაკში გადასულიყო. ადვილად გასაგებია რომ ამ მომთაბარე ლიტერატურულმა ფიგურამ, ადვილად შეეთვისა ბურჟუაზიის დიქტატურის ყველა სახეცვლილებას, როგორც შეიდემანნოვეების დემოკრატიის სამოთხეს, ისე ჰიტლერის მესამე იმპერიას.

oooooooooooo

მწერლის ტრიბუნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი.

როგორ ვმუშაობ*

ამ თემაზე—მწერლის მუშაობაზე—ზოგი მწერალი მთელ ტომს დასწერდა. იგი ძალიან ფართეა და რთული. მას ორი მხარე აქვს: ტეხნიკური და ფსიქოლოგიური. წერის მარტოოდენ ტეხნოლოგია არც იმდენად საინტერესოა, ხოლო შემოქმედების ფსიქოლოგია ძალიან ძნელიც არის და მოსაწყენიც. იგი იმიტომ არის ძნელი, რომ შემოქმედების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება—ისიც ექსპერიმენტალური!—არც კი არსებობს, ხოლო რაც არსებობს—მეტისმეტად ცვალებადია, დაუდეგარი და ჭრელი. შემაძრწუნებელია ის დრო, როცა ვინმე ვივი—სექტორი პოეტს ან კომპოზიტორს კეფაზე ახალნაირ აპარატს მიადებს და მისი აზრებისა და ლანდების სურათს გადაიღებს. თუმცა—გულმშვიდად იყავით, ხელოვანნო ასეთი დრო არასოდეს არ დადგება, იმიტომ, რომ ის აპარატი მონადირესავით დააფრთხობს ნადირს—აზრს, ხიბლს, სახეს, ვინაიდან შემოქმედება და სიყვარული თანაბრად გაურბიან მეტიჩარა მეთვალყურეს.

მაგრამ რადგან შემოქმედებაც და მისი ფსიქოლოგიაც მაინც არსებობს, ამიტომ ზოგი ვინმესთვის სასარგებლო იქნება ცალი თვალით მაინც ჩაიხედოს იმ იდუმალ კოლოფში, სადაც რომანი, პოემა, ოპერა, სურათი ან ქანდაკება მზადდება.

ბედნიერია ვინც თავისი გზა ჭაბუკობის დროსვე იპოვა. მამა-ჩემი სოფლის მეურნე იყო და მეც ამ ხელობისთვის მამზადებდა. აგრონომიამ რვა წელიწადი წამართვა. მამა-ჩემი რომ გარდაიცვალა, სკოლის დირექტორმა დამიბარა და მითხრა: „თქვენ აგრონომად არ გამოდგებით, ამიტომ გირჩევთ სხვა ხელობა აირჩიოთ, მაგალითად ტელეგრაფისტობა. როგორ მოგწონთ? მშვენიერი საქმეა". მეც დავეთანხმე და აგრონომობას თავი დავანებე. მაგრამ არც „მშვენიერი საქმე" მიკისრია. მე სხვა რამე მაწვალებდა. მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, ნამდვილად კი წერას და ლიტერატურის შესწავლას შევუდექი და იმ დღიდან ჩემს მწვალებელს აზრებსა და სურათებს ქაღალდზე ვღვრიდი. მართალია, მხატვრულ შემოქმედებას მალე დავანებე თავი და თითქმის ოც წელიწადს ვდუმდი, მაგრამ ამას გვერდს აუხვევ. ავტობიოგრაფია სხვა დროისთვის იყოს.

იმ დროს მწერლობაში „საწყალი კაცი" იკალათებდა და მეც მიმიზიდა. ერთხელ ბაზარში მათხოვარა დავინახე—ჯუჯა, უბადრუკი, მუნჯი, მასხარა. დიდხანს ვსდიე და ვუთვალთვალე. მერმე საღამოს შვიდ საათზე ჩავუჯექი და

*) წერილი იბეჭდება დისკუსიის წესით. ავტორის მთელ რიგ მოსაზრებებს რედაქცია არ იზიარებს. დისკუსიის წესითვე მომავალში ჟურნალი ადგილს დაუთმობს სხვა მწერლების სტატიებსაც ანალოგიურ თემაზე. რედაქცია.

მეორე დღეს თორმეტ საათზელა ავდექი. ასე დაიბადა „ჩანჩურა“. ეს მოთხრობა ორჯერ გადავწერე და „ცნობის ფურცლის“ რედაქციას მივუტანე, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ მწერალთა ოჯახში შემიყვანა.

ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოჰყვა („უპატრონო“, „თავდავიწყება“, „მეჩექმე გაბო“, „კურკას ქორწილი“) და ეს მოტივი—დაჩაგრული და უბედური—ოცი წლის დუმილის შემდეგაც მრავალჯერ გავიმეორე, შეუძლებელია არ განმეორებულიყო, ვინაიდან მწერლისთვის სიბრალული და თანაგრძნობა იგივეა რასაც თითები წარმოადგენს ოსტატ მეჩონგურესთვის.

იმ დროს—ჩემი მწერლობის პირველ ხანაში—ერთი მოტივიც გამოჩნდა: „ეშმაკის ქვა“ გუსტავ ლებონის „ბრბოს ფსიქოლოგიამ“ დამაწერინა, ხოლო „ხალხის სამართალს“ სურათი ჩემივე თვალით ვნახე ცხინვალში.

რა მასალა უფრო მშველის—ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი თუ ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალცალკე კი არც ერთი. ყველაზე უფრო სახიფათო მწიგნობრული მასალაა. თავისუფალი შემოქმედების მაგიერ ბრმა მიმბაძველობა გამოვა. დაკვირვება ერთ დროს კულტად მქონდა გადაქცეული და ძალიანაც დამეხმარა. პროზაიკოსისთვის იგი ფრთებს უდრის, უამისოდ ვერ გაფრინდება. შესაძლებელია მან ხალასი ფსიქოლოგიური რაიმე დაწეროს, მაგრამ ის ვერ შეჰქმნის ცოცხალ ტიპს, ვერ დაგვიხატავს პეიზაჟს, ვერ დაგვანახვებს სულიერ-უსულო საგნების ურთიერთობას, ე. ი. ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას. მისი დანიშნულება კი სწორედ ეს არის და სხვა არაფერი. მან უნდა გვაჩვენოს და დაგვანახოს (მწერალი სახეებით აზროვნობს, ხელოვნება შედედებული ბუნებაა), ხოლო მსჯელობა, აღწერა და საუბარი სხვებს უნდა დაუთმოს. ვისაც დაკვირვების მარაგი არა აქვს, ის ვერც ვერაფერს გვაჩვენებს.

დაკვირვება და ავტობიოგრაფია განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. განცდილი და საკუთარი თვალით ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სულიერი უსულოს. ადამიანის ორი მესამედი სითხეა, ხოლო ერთი მესამედი ცხიმია, ცილა, კირი, შაქარი და რკინა. მაგრამ ეს ელემენტები რომ შეაერთოთ, ადამიანი მაინც არ გამოვა. ჰომუნკულმა და პერპეტუმ-მობილემ ასი-ათასობით გააგიჟა მეცნიერიც და არამეცნიერიც, ხოლო ნაძალადევად მოგონილმა მასალამ ამდენივე „მწერალი“ დაასამარა და ზოგი უდავოდ დიდი მწერალიც დაამარცხა. ცოცხალ ადამიანს სითხეც აქვს, რკინაც, კირიც და კიდევ ის „რაღაცა“, რაიც „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ყველას შეუძლიან რაღაც ამბავი მოიგონოს, მაგრამ თუ მას ეს „რაღაცაა“—განცდილი და ნანახი თან არ ახლავს, უსულო ფაბულა და ხერხები იმ თილისმურ ქმნილებად ვერ გადაიქცევა, რომელიც თვითონაც ჰფეთქავს, ჯადოსნობს და ჩვენც გვათრთოლებს და გვაჯადოებს. მაგრამ ნუ გგონიათ თითქოს ეს ყოფილიყოს უმთავრესი და საკმარისი. უკლებლივ ყველას გადაჰხედია რაღაც ამბავი, რაღაც განუცდია და რაღაც უნახავს. მაგრამ ყველა მწერლად არ ივარგებს. მწერალს და საერთოდ შემომქმედს ბევრი ისეთი რამე სჭირდება, რაც უკვე იცის მეცნიერებამ, და ერთი ისეთი რამეც (ნიჭი, „რაღაცა“), რაიც ჯერჯერობით უძლეველია და მიუგნებელი.

ერთი მხრივ მე ბედნიერი მწერალი ვარ: ძალიან ბევრი მივლია მინახია, განმიცდია და გამიგონია, ამიტომ ავტობიოგრაფიული დულაბი (დაკვირვებაც და ჩახაწერებიც მისი ნაწილია) საკმაოდ მომეპოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნაც არა კმარა. მარტო მწიგნობრულ განათლება მცოდნეს გამოიყვანს, მაგრამ განათლებულ მწერალს ვერ შეგვიმზადებს. მარტო ცოდნა, ნამეტან კი დიდი ცოდნა მწერალს ზოგჯერ ხიფათსაც უმზადებს. ტენი სწერს: „პოეტისთავის, ძალიან სახიფათოა თავის ხელობის ზედმიწევნით ცოდნა, რადგან ის პოეზიაში ხელოვანი კი არა, ხელოსანი იქნება". იგივე აზრი ტენზე უფრო ადრე გეოთემ გამოსთქვა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მარტო წიგნი და კარჩაკეტილობა პატიმრობას უდრის მეთქი მწერალმა, ნამეტან კი პროზაიკოსმა, ბევრი უნდა იმოგზაუროს, რათა ყველაფერი ნახოს, განიცადოს, გაიგოს, მოისმინოს და შეისრუტოს, თორემ ვისაც ბევრი არა მიულიარა, ის ბევრს ვერც მოგვცემს.

პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგია, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა. მაგრამ პორტრეტის დახატვა არა კმარა. მწერალი მას თავისებურად გარდაქმნის, ზოგ რამეს მიუმატებს, ზოგსაც დააკლებს და ი'ალეთ ვინმეს გამოიყვანს, რომელიც კიდეცა ჰგავს დედანს და არცა ჰგავს. ასე იქმნის სინტეტური ტიპი. „ჩ ა ნ ჩ ურ ა" ცოცხალი ვნახე მეთქი. ვნახე მ ე ჩ ე ქ მ ე გ ა ბ ო ც, კ ურ კ ა ც, ლ ა მ ბ ა ლ ო ც, ყ ა შ ა ც, ა ბ დ ულ ა ც. კ ვ ა ჭ ი მრავალჯერ შემხვედრია, ჩემთვისაც გაუკრავს მას კლანჭი. ის ნარევი ტიპია.

ჯ ა ყ ო სულ სხვანაირად წარმოიშვა. 30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა — ბრგე, ბანჯვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული, მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინჟ. ფიდო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო: ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიართვა.

— გამარჯვება, ჯაყო!
— კნეინას გახლავარ.
— რასა იქმ, როგორა ხარ?
— ძალიან კარგად ბძანდები, შენი წირი მე.
— ცოლშვილი როგორა გყავს?
— სულ კარგათა ხართ, გენაცვალე.
— რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?
— თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.
— როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
— მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! მიუგო ნაყმევმა.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი.

Гარსენას ტიპის ასახვის დროს ჩემი ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე მედგა თვალწინ. ღვთისავარი პაპაჩემი ანდრო ბურნაძეა. ლაცაბიძე თავადი მელიქიშვილის მზარეული სანდროა. მოგონილი ტიპი მშრალი გამოდგა. ტიპიდან გადმოღებულს კი მეტი სიცოცხლე ეტყობა.

მეკითხებით, პირველ იმპულსს რა გაძლევსთ, — გაგონილი ამბავი დაკვეთა, სახე თუ სხვა რამეო? გიპასუხებთ: ერთიც, მეორეც, მესამეც. „თავდავიწყება“ (ეკა) სვ. ყიფიანმა მიამბო, „ტყის კაცი“ — პაოლო იაშვილმა, „ორი განაჩენი“ — შოთა დადიანმა, „მართალი აბდულაჰ“ — სანდრო შანშიაშვილმა, „თეთრი კურდღელი“ — პროფ. ასათიანმა. სხვებისგანაც ბევრი რამე მოვისმინე და აქაიქ რომანებსა და მოთხრობებში გავფანტე. ყველას და ყველაფერს ვერ მოვიგონებ. წესად დავიდე და დღემდე ვასრულებ: თითქმის ყოველდღე რაღაც უნდა ჩავიწერო — სიტყვა, სახე, თქმა, ამბავი, წვრილმანიც და მსხვილმანიც ზოგი ყურმოკლულია ზოგი თვალმოკრული და ზოგიც მოგონილი. ეს მასალა — გაგონილი და მოგონილი — შემოქმედების ლაბორატორიაში იხარშება, მუშავდება და ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს ხოლმე.

როდის ვმუშაობ? მაშინ ვმუშაობ როცა გარემოება ხელს მიწყობს, შემოდგომა და ზამთარი სჯობია გაზაფხულსა და ზაფხულს, ხოლო დღე მირჩევნიან ღამეს. ღამით აზრიც და გრძნობაც ფორიაქიანია, შფოთიანი, მოუსვენარი, დღისით კი დინჯია, ნათელი, დაწმენდილი და მოსვენებული. ჩემი ნატვრა ის არის, რომ დღისით ვწერო, ღამით ვიკითხო და რამდენიმე დღეში მხოლოდ ერთხელ გამოვიდე ქუჩაში. ეს ნატვრა თითქოს არ ეგუება ზემონათქვამს — მწერალმა ბევრი უნდა იმგზავროს. ის ნიადაგ ცხოვრების შუაგულში უხდა ტრიალებდეს მეთქი. ეს რჩევა იმ მწერალს შეეხება, ვინც მასალას აგროვებს, ვისაც აუზში წყალი აკლია, ხოლო ვისაც საკმაოდ დაუგროვდა იგი, ის შინ უნდა იჯდეს და მანამდე მუშაობდეს, სანამ არ დაიცლებოდეს.

ღამით დანაწერის რითმი უფრო სწრაფია და მაღალი, მაგრამ ამავე დროს სახიფათოც არის და მავნებელიც. ზოგჯერ ღამე გამიტეხია, სამაგიეროდ მეორე დღეს აღარ ვვარგებულვარ. გმირთა სახე ლოგინში ჩაგყვება, გჯიჯგნის, მწურავს, გაწამებს. ტვინი მომართული საათვით მუშაობს, აღარ გემორჩილება, ვიღაც თუ რაღაც ტყვედ გიპყრობს და ცოცხივით დაგათრევს. ჯანსაღი შრომა მხოლოდ დღისით შეიძლება, ვინაიდან დღისით შენ თვითონ იმორჩილებ იმ ვიღაცას — ქვეშეცნობილს — და მტკიცე ხელით მიგყავს იგი, როგორც გამოცდილ მხედარს თავგამწევი ცხენი, ღამით კი აღვირი მიშვებულია და გიჟი ცხენი უგზოუკვლოდ გაბორიალებს.

რამდენ საათს ვმუშაობ? საუბედუროდ მტკიცე წესის შემოღება შეუძლებელი გახდა. უმეტესად 6-8 საათს ვმუშაობ, ზოგჯერ 1-2 საათს, ზოგჯერ კი 10-12 საათიც მიმუშავია,

თვეში საშუალოდ $1^1/_2$ თაბახამდე დამიწერია.

წერის დროს გასაბრუებელს არა ვსვამ. მხოლოდ პაპიროსს ვეწევი, დღეში 15-18 ცალს.

ოდესღაც ფანქრით ვწერდი. მალე შემძაგდა. მას აქეთ მელანს ვხმარობ. შემიძლიან საწერ მანქანაზე რაიმე წერილი დავწერო. რომანის ან მოთხრობის დაწერა კი ვერც კი წარმომიდგენია. ერთხელ დაწერილი რამდენჯერმე უნდა წავიკითხო, ზოგი უნდა წავშალო, შევასწორო, ჩავურთთ, სიტყვასა და წინადადებას ალაგები შეუნაცვლო, ეს კი საწერ მანქანაზე ან ძალიან ძნელია, ან ყოვლად შეუძლებელი.

წესად არა მაქვს დადებული, რომ ყველა რომანი და მოთხრობა უეჭველად გადავწერო. გადაწერილია თითოჯერ „ჩანჩურა", „ეკა", „ტყის კაცი", „აბდულაჰ" და ზოგი ალაგი ზოგი რომანის და მოთხრობისა. სამაგიეროდ ბევრ დროს ვანდომებ შესწორებას, მაგ-ად „არსენა" დედანში 4-5-ჯერ შევასწორე, და თუ მანქანაზე გადაბეჭდილი და 2-3 კორექტურაც ვიანგარიშეთ, ეს რომანი 7-8-ჯერ მექნება წაკითხული და შესწორებული. საერთოდ კი ის, რაც უფრო მეტად მაკმაყოფილებს, უფრო მეტ დროსაც მახარჯვინებს.

ძალიან სახიფათოა წინასწარი შეზღუდვა მწერლისა ზომის მხრივ. „აბდულაჰ"-სთვის 700 სტრიქონი მომცეს. ჩავეტიე და მგონი არც წავაგე. უწინ „მნათობს" წინასწარ გადავადებინებდი ხოლმე 2-3 ფორმას, ან ცოტა მეტს, ან ცოტა ნაკლებს, და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგებოდი მოთხრობის წერას, არც გადავამეტებდი და არც დავაკლებდი. ასე დავწერე „ორი განაჩენი", „ოქროს კბილი", „ფინჯანი", „ქურდი" და „მესამე". ამ მოთხრობებს არა წაუგიათრა, ან ცოტა წააგეს, მაგრამ ვგრძნობ, რომ „მესამე" დავაგონჯე: რომანის თემას ხელფეხი შევაკვეცე და მოთხრობის კალაპოტში ჩავეჭედე. „არსენაც" ნაწილ-ნაწილ იწერებოდა ამავე დროს იბეჭდებოდა. არავის არ ვურჩევ ამგვარი ხერხის გამეორებას.

მაქვს თუ არა წინასწარი გეგმა? ეს მეტად საინტერესო საკითხია. ადრე-ვე ვიცი, რომ ჩემი პასუხი ზოგს ძალიან გაუკვირდები. ამ მხრივ შემომქმედის ორნაირი ტიპი არსებობს. ერთ მათგანს, სანამ წერას დაიწყებდეს, უკვე მთელი რომანი აქვს აზრად დაწერილი, ან ქაღალდზე აქვს გაწვრთვნილი ჯარივით გაწყობილ-დალაგებული, მეორე კი ისე მიუჯდება საწერ მაგიდას, რომ მკაფიოდ თვითონაც ვერ ხედავს დასაწერად განზრახულ ამბავს, სახეს, ტიპს იდეას. ყოველივე ეს ჯერ ბუნდოვანია, მოძრავია, განყენებულია. მე მეორე ჯგუფს ვეკუთვნი. რამდენჯერმე მიცდია გეგმის შედგენა, მაგრამ მალე მიღალატნია, დამვიწყებია, დამიხევია. გეგმა წერის დროს მუშავდება. მას ჩემი გმირები და ფაბულის განვითარების პროცესი ამუშავებენ. სანამ წერას შევუდგებოდე, ბინდბუნდად ვხედავ ამბავის ღერძს, მთავარ იდეას და რამდენიმე გმირს. შემდეგ ეს ბინდი თანდათან იფანტება და ყველაფერს თანდათან ეფინება შუქი: ნივთი ხელშესახები ხდება, სახე მიახლოვდება, სურნელი მატულობს, თვალი უკეთ სჭრის და თითქოს ხუთივე გრძნობა იღვიძებს, მახვილდება და გამალებით მუშაობს. სადღაა მაშინ გეგმა და წინდაწინვე დალაგებული სქემა! გეგმა იმიტომ ინგრევა, რომ იგი მხოლოდ მშრალი გონების ნახელავია, წერის დროს კი „ორნი არიან, ძმანი არიან". გონება და გუმანი ყოვარივით მუშაობენ ხელიხელჩაკიდებულნი და ორგანიულად შედუღებულნი. მათ თავის გზით

მიჰყავთ მოთხრობა და წინანდელ გეგმისგან მხოლოდ მცირე ნაწილსღა სესხულობენ.

ყველაზე უფრო ძნელია მოთხრობის დაწყება. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რითმს, კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა. ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება, სტილისა და რითმის შეცვლა, ძნელიც არის და სახიფათოც, ამიტომ მე დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს. რუსები ამბობენ, მოზვერს ერთბაშად სტაცე ხელი რქებშიო. ძეც კარგახანს ვუტრიალებ მოზვერს, და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ უცბად დავწვდე რქებში და აღარ მოვადუნო.

დასასრული სიძნელის მხრივ დასაწყისს არ ჩამოუვარდება. ადვილი არ არის უკანასკნელი წერტილის დასმა. ეს ლურსმანი ყველაზე უფრო ღრმად უნდა იქნეს ჩარჭობილი. ავტორი ყველა მკითხველზე უფრო ულმობელი და ჟინიანი მკითხველია და ამიტომ ის თვითონვე უნდა იყოს დასასრულის კმაყოფილი.

რაზე უფრო ვამყარებ სახეს, სმენაზე თუ თვალზე? უწინ ეს კითხვა სადავო არ ყოფილა. მხოლოდ ფორმალისტებმა და სიმბოლისტებმა წამოაყენეს იგი და პირველობა სმენას მიაკუთვნეს. ყველა გენიოსი მწერალი ჯერ სახეს და აზრს ხედავდა და მხოლოდ მერმეღა უფარდებდა მას მუსიკალურად გამართულ ფორმას. მხატვარი ღვიძლი ძმა არის მწერლის, კომპოზიტორი კი მეორე რიგის ნათესავია, მეორე რიგის დამხმარეა. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ სიმბოლისტებმა, და ნამეტან კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა დიდი ზიანი მიაყენეს პროზას. ბელი და მისი მოწაფენი სიტყვების კომპოზიტორები არიან და არა ცხოვრების მხატვარ-ამსახველნი. მათ ნაჭარბევად გაიმახვილეს სმენა და თითქმის სულ მოხუჭეს თვალები. ანდრე ბელი სწერს: „მე ჩემს თავს კომპოზიტორს ვამსგავსებ, რომელიც ტექსტს ეძებს რათა სამუსიკო თემა სალიტერატურო სუჟეტურ თემად გადააქციოს“, და ეს რომანტისტი ლამობს თავის რომანი ბეთჰოვენის სიმფონიის ჰანგს შეუფარდოს. ამრიგად მან მხატვრული სახე მოახლედ დაუყენა მუსიკალურ ბგერას. ასე ააყირავეს ბელიმ და მისმა შეგირდებმა საუკუნოებით განმტკიცებული ჭეშმარიტება, რომელმაც ბუნების ლალატის გამო სასტიკად იძია შური: ისინი უკვე დამარცხებულნი არიან და მალე დადგებ ის დროც, როცა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსიღა გაიხსენებს მათს უნაყოფო ნოვატორობას.

რუსული ენა მუსიკალობის პრინციპის გაბატონებას ოდნავ მაინც შეეგუა, ქართული სინტაქსი კი გატყდა დაგონჯდა. რითმის პრიმატი ზოგ მწერალს აწერინებს: გამალებული მოიწევდა სოფლისაკენ მდინარე დიდი... ეხურა გუმბათი ლაჟვარდი დედამიწას მწვანეს... კაცი მაღალი იყო გაჯავრებული და თავის ცოლს ემუქრებოდა... შეშინებულს გამზადებულს წასასვლელად ჯერ არ ეცალა (ავტორს სურდა პირუკუღმა აზრი გამოეთქვა: წასასვლელად გამზადებული იყო და სხვა რამისთვის ჯერ არ ეცალაო). მუსიკალობის იგივე პრიმატი არავითარ ანგარიშს არ უწევს ლოღიკურ მახვილს და ამიტომ ხშირად ამახინჯებს აზრს. მაგ-ად, ავტორი სწერს: „ვენახში გუშინ შეპარულიყო დათვი“. მახვილი „გუშინ“-ზე მოდის, მოთხრობის კონტექსტიდან კი სჩანს, რომ იგი „დათვს“ ეკუთვნის, ამიტომ ეს წინადადება ასე უნდა დაწერილიყო: „გუშინ ვენახში დათვი შეპარულიყო“. ან კიდევ: „მამაჩემი ქალაქში წავიდა“—„ქალაქ-

ში მამაჩემი წავიდა“: ეს ანბანური მაგალითები იმიტომ დავასახელე, რომ „მუსიკოსები“ ამასაც უგულველჰყოფენ და არა მარტო სახეს, არამედ ელემენტარულ ლოლიკასაც კი ღალატობენ.

მიუხედავად ამისა მუსიკალობა ყოველ ხეირიან პროზაში, ხატვრულსა, პუბლიცისტურსა და მეცნიერულშიც მოიპოვება. იგი ორგანიულად არის მასში ჩაქსოვილი და მასთან ერთად შედუღებული. ლექსისებური რითმი მხოლოდ ლექსისთვის არის სავალდებულო. რითმიული პროზით ადვილად დაიწერება მინიატურა, მცირე სურათი, თუნდ მოთხრობაც (გაიხსენეთ ლექსი პროზად), მაგრამ მოსაწყენი ერთფეროვანი რითმი მონუმენტალურ პროზას ამძიმებს, ჰკრუნჩხავს, ამღვრევს და კითხვას აძნელებს. ლექსსა და მინიატურაში მეტრი უცვლელია, საერთოდ პროზაში და რომანში კი ცვალებადია, გაუზომელია და არავითარ ნორმებს არ ემორჩილება. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს პროზაში რითმი ზედმეტი ყოფილიყოს. პირიქით, მე მას საპატიო ალაგს ვაკუთნებ, მაგრამ ყველაფერს თავის ზომა და ალაგი უნდა ჰქონდეს. პროზის რითმი უთვალავია. ერთიდაიგივე სურათის ან ამბავის აწერა ათ მწერალს დაავალეთ და ათნაირ რითმს მიიღებთ. სურათის ხასიათი შესცვალეთ და რითმიც შეიცვლება- სულ სხვადასხვანაირი რითმით არის დაწერილი ჩემი ჩანჩურა და ტყის კაცი, თავდავიწყება და მართალი აბდულაჰ, ლამბალო და ფინჯანი. ამათუ იმ რომანის ცალცალკე სურათებსაც თავიანთი რითმი მოეპოვებათ. გაიხსენეთ თუნდაც ჯაყოს ხიზნები? დასასრული, ანცანგალა და გოგონა (იქვე). ან გაზაფხულის დილა (იქვე), ან სხვადასხვა სურათები თეთრი საყელო-სი და არსენა მარაბდელი-სა (იხ. დამატებანი).

მე უკვე ვთქვი, ჩემს ხელნაწერს რამდენჯერმე ვკითხულობ მეთქი. ამავე დროს, რა თქმა უნდა, მუსიკალურ წყობასაც ყურს ვადევნებ და, თუ რამე მეხამუშა, ხმამაღლა ვკითხულობ და ვასწორებ.

ადვილი გასაგებია რას უნდა გრძნობდეს ადამიანი როცა დიდ საქმეს ამთავრებს და როცა თვითონვე ჰგრძნობს, რომ მისი ნახელავი ხეირიანი რაღაც გამოვიდა. უკანასკნელი წერტილის დასმა მონის უღლის დამსხვრევას ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შემომქმედი ამ უღელს ერთგვარი სიამით და სიხალისით მიათრევს. მე ცხოვრების უმადური არა ვარ. ჩემს გზაზე ჭირიც მინახავს და ბედნიერიც ვყოფილვარ. მაგრამ იშვიათად მიგრძვნია ისეთი მძაფრი სიხარული, რომელიც ვიგრძენი ზოგი ჩემი მოთხრობისა და რომანის დასრულების გამო (ჩანჩურა, თავდავიწყება, მეჩექმეგაბო, ტყის კაცი, აბდულაჰ, თეთრი საყელო, არსენა მარაბდელი). უცნაურია: ყველაზე მეტი დავა ჯაყოს ხიზნებმა გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილ ბალღად გადავიქეცი, რომელსაც გაუძლისი ბედნიერება დაატყდა. ველარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ველარც ჩემი ცოლშვილი მცნობდა.

ვცვლი თუ არა პირვანდელ ტექსტს ახალი გამოცემის დროს? უეჭველად, აუცილებლივ ვცვლი, ე. ი. ხელახლა ვასწორებ. ჯერ არცერთი ჩემი ნაწარმოები შეუსწორებელი არ გამიგზავნია სტამბაში.

მეკითხებით, რანაირ გავლენას ახდენს თქვენზე კრიტიკაო. ძალიან მეჩოთირება, მაგრამ მაინც გიპასუხებთ. ბერძენთა ფილოსოფოსმა ზენონ ელეველმა სთქვა: ჩემი მოძმეთა კილვა რომ არა მწყინდეს, არც მათი ქება გამახარებდაო.

მხოლოდ ფლიდი არ გაიზიარებს ამ აზრს. სრული სიმართლეა, მაგრამ ქებაც არის და კილვაც, კრიტიკაც არის და კრიტიკოსიც. მე იმ თავითვე საკმაოზე მეტი ქება მხვდა იმდროინდელი კრიტიკოსებისგან (ზანგი, კ. აბაშიძე და სხ.), მაგრამ არც მაშინ დამსხმია თავბრუ და არც ბოლო ხანებში, გავუწარებივარ მკილავ რეცენზენტებს. ჩემი ხნის კაცს დროის მიერ სულიერი იმუნიტეტი აქვს აცრილი და კრიტიკოსი აგრე ადვილად ვერ შეარყევს მას. მე მხოლოდ მართალსა და გულწრფელ კრიტიკას ვუწევ ანგარიშს და მხოლოდ მას ვემორჩილები. მაგრამ რა არის სიმართლე? ვინ არის გულწრფელი და ვინ არა?

კმარა, თორემ აქ ისეთი ბნელი და უსაზღვრო ასპარეზი იწყება, რომ ამაზედაც ერთი ან რამდენიმე ტომი დაიწერება. ზოგჯერ კი მგონია, რომ ყველა წიგნი, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს, ბოლოსდაბოლოს ამ თემაზე და მხოლოდ ამაზეა დაწერილი.

ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს. თუნდ გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება.

გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამავიწყა ქართული, რომ საყველპუროც ძლივსლა მესმოდა. მაგრამ როცა გადავწყვიტე მწერლობისთვის მომეკიდნა ხელი, ქართულ წიგნს შევეკედლე, ზედიზედ სამი ზაფხული გავატარე ქართლში, მივიწყებულიც აღვადგინე და ახალიც მრავლად შევიძინე. მას აქეთ ამ სისტემას მაშინაც კი არ ვუღალატე, როცა ხანგრძლივ ჩამოვშორდი მხატვრულ პროზას. ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და სერთოდ კლასიკოსები — აი ჩემი ყოველდღიური ენობრივი ულუფა. განუწყვეტელი ვარჯიშობა — აი წინდი ყოველგვარი ხელობის გამარჯვებისა. ლექსიკის მუდმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ხალხური ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის. მეტსაც ვიტყვი: თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის მუდამ აჯობებს ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭიერ მწერალს.

ზოგს პარადოქსად ეჩვენება, მაგრამ მაინც ვიტყვი: მწერალი გაზეთს მხოლოდ გაკვრით უნდა ათვალიერებდეს. ქართული მკითხველი განსაკუთრებულ პირობებშია. მას არ გააჩნია მუდმივი წყარო ქართული წიგნებისა და ამიტომ სანამ ახალი საკითხავი წიგნი გამოვიდოდეს, ის საგაზეთო ქართულით იკვებება. ეს ქართული კი ძალაუნებურად ღარიბია, მოუქნელი, ბნელი და ერთფეროვანი. ამგვარი ქართულის კითხვა — ვარჯიშობას მე მირჩევნიან ლექსიკონი და ვისრამიანი ვიკითხო.

ამ სისტემას ნამეტან მაშინ ვასრულებ ხოლმე მტკიცედ, როცა მოთხრობას ან რომანს ვწერ. სანამ წერას შეუდგებოდე, კარგა ხანს აღარც უცხო ენაზე დაწერილ წიგნს ვეკარები. მიზანიც გასაგებია: ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე გადმომაქვს.

ნაპოლეონი ამბობდა, ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერმე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული.

oooooooooooo

ბიბლიოგრაფია

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

გ. ნატროშვილი.

პანტ. ჩხიკვაძე. „რომანტიული ამგავი".

სასულგამი 1933 წ.

ფორმალისტური კონცეპცია, რომლის მიხედვითაც სიუჟეტები მარადიულად დაიარებიან ქვეყნიდან ქვეყანაში, საუკუნიდან საუკუნეში ყოველგვარ სოციალ-ეკონომიურ განსაზღვრულობათა გარეშე — არაა ჭეშმარიტი და სრულებით არ ეთანხმება ფაქტებს. უმეტეს შემთხვევებში მგზავსება ერთი მწერლის სიუჟეტისა მეორე ქვეყნის მწერლის სიუჟეტთან — ხსენებულ ქვეყნების სოციალ-ეკონომიური მგზავსებით აიხსნება. რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ მწერალი სიუჟეტს იღებს სინამდვილიდან და არა მხატვრული რომანებიდან. მაგრამ ეს კი უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულნი მიმდინარეობანი, რომელნიც კვდებიან ერთ ეპოქაში, მომავალში ხშირად ისევ ცოცხლდებიან. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ისტორია თავის მოძრაობის ჟამს აკეთებდეს წრეებს და ისევ უბრუნდებოდეს პირვანდელ გამოსავალ წერტილს. არა. აქ განვითარება დიალექტიკის მიხედვით ხდება, ეს აზრი ნათლად მტკიცდება რომანტიზმის მაგალითზე. რევოლიუციონური რომანტიზმი ფეხს იდგამს და მკვიდრდება ჩვენს ლიტერატურაში. ეს მიმართულება ძველადაც არსებობდა; შემდეგ მე-XIX საუკუნის რეალიზმის და ნატურალიზმის ეპოქამ ის უარყო. ერთი მოვლენის უარყოფას თან მოსდევს უარყოფის უარყოფაც. რომანტიზმის უარყოფა ლიტერატურის ისტორიაში ნიშნავდა მის დიალექტიკურ მოხსნას, ე. ი. შენახვასაც. ყოველი მოვლენა „მოხსნილია ე. ი. ერთ და იმავე დროს დაძლეულიც და შენახულიც. მოხსნილი (დაძლეული) — ფორმის მიხედვით, შენახული (დაცული) — მისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით" (ფრ. ენგელსი); ასეთია კანონი ცხოველმყოფელი დიალექტიკისა. ეს კანონი გულისხმობდა, რომ რომანტიზმი ისევ აღსდგებოდა; და მართლაც, პროლეტარული მწერლობა დღეს აცოცხლებს და ისევ აღვივებს რევოლუციონური რომანტიზმის ტრადიციებს. ასეთია თვით ეპოქის მოთხოვნილება. ვინც იცნობს ლიტერატურის ისტორიას, იმისთვის ნათელია, რომ ძველად რომანტიზმი და რეალიზმი ხან ებრძოდა ერთი — მეორეს, ხან უკავშირდებოდა; დღეს ჩვენს სინამდვილეში ეს ორი სტილი დიალექტიურად ერთიანდება. საერთოდ, რეალიზმი მხოლოდ მაშინ ითქვიფებოდა რომანტიზმში, როდესაც ეს უკანასკნელი რეაქციონური არ იყო. რეაქციონური რომანტიზმი და რეალიზმი — შეუთავსებელი ცნობებია. შატობრიანის რომანტი-

ზმთან შეუთავსებული და შეუძლებელი იყო ყოველგვარი სწორი შემეცნება სინამდვილისა, ხოლო ჟორჟ ზანდი თავის შემოქმედების ერთ პერიოდში ნათლად გამოხატავდა რეალიზმის და რომანტიზმის მთლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქართულ ლიტერატურის პრაქტიკაც იძლევა ახალი რომანტიზმის მკვეთრ ნიმუშებს. ამ მიმართულების სულისკვეთებითაა გაჟღენთილი „რომანტიული ამბავი“ ჩხიკვაძისა. მაგრამ რომანტიზმის გარდა სხვა მხრივაც არის საინტერესო ეს მოთხრობა. ის ძალზე პრობლემატიურია. მასში ყურადღებას იქცევს ტრაგედიის საკითხიც. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიულ განვითარების ვრცელ მანძილზე საზოგადოებრივი აზროვნების მიერ წამოყენებულ პრობლემებს ყოველთვის ორგვარი გადაჭრა ეძლეოდათ. ყოველი ახალი აზრი, რომელიც სუბიექტიურად მოწოდებული იყო იმისთვის, რომ ზეგავლენა დაეჩნია ცხოვრებისათვის და იდეიიდან ის ხორც შესხმულ სინამდვილედ გადაქცეულიყო — ან მარცხდებოდა ან მიაღწევდა თავის ნიზანს. პირველი სახის ხვედრი — დამარცხება — ტრაგედიის სიმაღლემდე ადიოდა. ამ მხრივ ისტორია მაგალითებით მდიდარია· ცხოვრება ყველაზე უფრო საუკეთესო პოლემიკოსია. მას გაუნადგურებელი არ დარჩენია არცერთი ჯიუტ ფაქტებსა და მოწინავე აზრებთან მებრძოლი და მოკამათე. იდეა, რომელიც წინ მიიწევდა ბრძოლისკენ, რევოლუციისკენ, სოციალიზმისკენ — იმარჯვებდა და იმარჯვებს, ხოლო ვისაც ისტორიის უკან შებრუნება უნდა — ისინი საჩუქრად დონკიხოტობის დაფნის გვირგვინებს იღებდენ.

ლიტერატურის ისტორია ყოველთვის უფრო მეტი ინტერესით და გულმოდგინებით მოეკიდება ისეთ მწერლებს, ვინც ახალ სიტყვას ამბობენ თავის თანამედროვეებზე უფრო ადრე; ამ მხრივ, ჩვენის აზრით, რომანტიზმის და ტრაგიკული კატეგორიის დარგში საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“. ტრაგედიის ჟანრის ყველა თანამედროვე უარმყოფელის პირველი და, შეიძლება ითქვას, ერთად-ერთი არგუმენტი არის შიში, გამოწვეული იმით, რომ ტრაგედია იქნებ არ შეეფარდებოდეს ჩვენს დროსაო, მაგრამ აქ უბრალო გაუგებრობა და ფაქტებში ჩაუხედაობაა. ეს ადამიანები ვერ მიმხვდარან, რომ ახალი ტრაგედია არ იქნება ფატალიზმის და უიმედობის მსოფლმხედველობა, არამედ ის გაჟღენთება ოპტიმისტური სულით. ეს დებულება განსაკუთრებით ნათელჰყო ამხ. ა. ლუნიჩარსკიმ. ამ ახალი ჟანრის შექმნაში რუსულ ლიტერატურაში, დრამამ დაასწრო ყველა ჟანრებს (ვს. ვიშნევესკის — „ოპტიმისტური ტრაგედია.“). ხოლო ქართულ ლიტერატურაში—ბელეტრისტიკამ. („რომანტ. ამბავი“).

ბრძოლა ბუნებასთან—მთავარი ცენტრი იყო ტრაგედიისა წინად, ეს ძველის ძველი და იმავე დროს მარად ახალი საკითხი—დღეს სულ სხვანაირად გადაიჭრა. სოციალისტურმა ადამიანმა დაიმორჩილა ბუნება. ჩხიკვაძის მოთხრობის მთავარი გმირი, სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც სოციალიზმის სახელით ებრძვიან და იმორჩილებენ ბუნებას, აქცევენ მას ადამიანის ყურმოჭრილ მონად. აღწევს თუ არა მიზანს, ანხორციელებს თუ არა თავის ოცნებას ხანდაველი? ანხორციელებს მშვენივრად, მიხი საქმე ერთი უდიდესი გამარჯვებაა სოციალიზმისა და ამ მხრივ პერსპექტივა ნათელია. მწერალი მხატ-

ვრულ სახეებში, გვიჩვენებს, რომ „არ არსებობს ისეთი ციხე—სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოს“. ხანდაველის პროექტი იმარჯვებს, გვირაბის გაყვანა წარმატებით დასრულებულია. მაგრამ თავის საქმის [illegible] დროს, ბუნებასთან ბრძოლის უკანასკნელი ბარიერთან ხანდაველი იღუპება. მაგასადამე, ეს არ არის საზოგადოთ **იდეის** ტრაგედია, პირიქით—სოციალისტური იდეა ზეიმობს თავის გამარჯვებას, მოთხრობაში ნაჩვენებია ერთი პიროვნების ტრაგედია, აღმოცენებული თავის საქმეში ეჭვის შეტანის ნიადაგზე. ეს ფსიქოლოგიური კრიზისი აიხსნება ხანდაველის ბუნებით. მოთხრობაში ხანდაველი თვითმკვლელობას მიმართავს და ამავე წუთში მას ტყვიას ესვრის ერთ-ერთი მუშა. ეს ტყვია ხვდება არა ხანდაველის იდეას, არა ხანდაველის კლასს, არა მეცნიერებას, არამედ იგი შედეგია მხოლოდ შეცდომის და გაუგებრობის. ხანდაველის ტრაგედია სწორედ იმაშია, რომ მასა ჰგონია (და ის სცდება, რომ ასე ფიქრობს), თითქოს თავის და უნებურად ჩამორჩა სოციალიზმის ტრიუმფალურ სვლას, თითქო მან შეცდომა ჩაიდინა, თითქოს მისი ინტელექტუალური ძალები ვერ ამაღლდენ სოციალისტურ მეცნიერების და მშენებლობის სიმაღლემდე. როგორც ვხედავთ, ხანდაველი სცდება თავის თავის შეფასებაში.

ვიწრო გაქანების ადამიანები ძალიან ხშირად ივიწყებენ თავის შეცდომებს იმისთვის, რომ ახალი შეცდომები დაუშვან. ხანდაველს კი არ შეუძლია თავის შეცდომების დავიწყება. ეს პასუხისმგებლობის გრძნობა დადებითი მხარეა. ბოლო მისი უარყობითი მხარეა თვითმკვლელობა, რაც სულმოკლეობას ამჟღავნებს, ამჟღავნებს მტკიცე ნებისყოფის უქონლობას. მით უფრო გაუმართლებელი, საწყენი და დასაგმობი ამისი თვითმკვლელობა, რომ მას ობიექტიურად ამისი მიზეზი არ ჰქონდა, ბოლო სუბიექტიურმა შეცდომამ აქამდე მიიყვანა. მკითხველისთვის აშკარაა, რომ აქ პიროვნული ტრაგედიაა და არა იდეიური.

მოთხრობის გმირი ხანდაველი ბოლომდე ვერ დარჩა კარგ კომუნისტად. მან კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა; ბოლშევიკის ბუნებაში კლასის გმირული სული იმდენად ძლიერად სუნთქავს, იმდენ ძალას აძლევს მას, რომ ყველა ისინი თვითმკვლელობას ცივად და ზიზღით უცქერიან. თუმცა ხანდაველს სანტიმენტალურ რომანის გმირის მსგავსად სიყვარულის ნიადაგზე არ მოუკლავს თავი, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს მის საქციელს. ჩხიკვაძის მოთხრობა ნათლად აშუქებს, რომ თვითმკლელობა უაზროა იქ, სადაც ადამიანი იმორჩილებს ბუნებას.

* * *

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ანტიური ბედის კერპები მილეწ-მოლეწა, მას შემდეგ, რაც მან შესწყვიტა მსხვერპლის შეწირვა ღმერთებისათვის და თავის წინაშე წამოაჩოქა ის ბუნება, რომლის წინაშე გუშინ თითონ მუხლებზე ფორთხავდა — მან იმავე დროს ახალი გზა მისცა საკუთარ გრძნობებს და ფიქრებს, ამიტომ მიეცა რომანტიზმსაც ახალი აზრი. ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მან ადამიანის ოცნებას, რომელიც წინად ზღაპრებში ეძებდა გამოსავალს — რეალობისკენ გაუკვალა გზა და მისი მიმართულებაც შესცვალა. ეს ნათლად სჩანს „რომანტიულ ამბავიდან“ მწერალმა ეს სატრანსპორტო თემა-

ტიკა ჩვენი ეპოქის ფილოსოფიურ სიმაღლის ცენტრში აიყვანა. რეაქციონურ რომანტიკოსს მომავალი არ აინტერესებს, მას სძულს ხვალინდელი დღე. რევოლიუციონური რომანტიკოსი კი გაჟღენთილია სოციალისტური ოპტიმიზმით; ეს რომანტიზმი წითელი ხაზივით გასდევს ჩხიკვაძის მოთხრობას. მოთხრობის მთავარი გმირი—ხანდაველი—ღვიძლი შვილია ღარიბი გლეხკაცობის, გაჭირვებით აღზრდილი. „წვერულვაში ისე დავიმშვენე, — ამბობს ხანდაველი, — რომ ერთხელ არ გამიხარია, არ ავნთებულვარ ბავშური აღტაცებით. თოთხმეტი წლის უკვე ვგრძნობდი ქვეყნის სიმძიმეს და რიკტაფელობიას ნაცვლად ცხოვრების ავკარგზე ვოცნებობდი.“

ხანდაველი ბავშვობაში მოჯამაგირედ ჰყავდა კულაკ მუსელიანს, მოთხრობაში გაკვრით დახასიათებულია ეს კულაკიც; დამაჯერებელადაა მოთხრობილი ხანდაველის ბავშვობა, როდესაც ის უკვე ოცნებობდა მაღალ მთებზე ასვლის შესახებ, მას უნდოდა სწავლა, მაგრამ ძველმა ცხოვრებამ როგორც მთელი კლასის ახალგაზრდობა, ისე ხანდაველიც დიდხანს ამყოფა ცოდნას და მეცნიერებას მოწყურებული და ეს წყურვილი მხოლოდ რევოლიუციამ მოუკლა მას.

სამთამადნო ფაკულტეტზე შესვლის შემდეგ ებადება ხანდაველს იდეა გვირაბის გაყვანის შესახებ. სათანადო ორგანოებში მისმა პროექტმა გაიმარჯვა, პროექტიც განხორციელდა წარმატებით.

მწუხარება და სიხარული ერთად აგვირგვინებს ფინალს, ამ ორი გრძნობის შეერთება და მოხუცი მიტროს მიერ სალამურის ნაღვლიანი ჰანგის გამოცვლა, პირველი მატარებელი — კიდევ უფრო ამლერებს შთაბეჭდილებას. ეს სურათები მოთხრობაში გამოხატავენ შრომის ძლიერებას, მხატრულად ნათელყოფენ რომ ვერაფერი ვერ გაუმკლავდება მუშათა კლასის გმირულ საქმიანობას. მოთხრობის დადებითი მხარეც სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩხიკვაძემ შესძლო სოციალისტური მშენებლობის ერთი მხარის სწორი მხატრული ასახვა, მან მოიმარჯვა რომანტიზმის მეთოდი; პროზაში ეს ჯერ ჩვენში კიდევ ახალი მოვლენაა. ამიტომ, რასაკვირველია, ჩხიკვაძის მოთხრობასაც აქვს ნაკლები, ძირითადში კი მოთხრობა თავისი მხატვრული და იდეიური რაობით ამაღლებულია რევოლიუციონური რომანტიზმის დონემდე.

oooooooooooo

კულტურის მატიანე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. ულენტი.

აკად. ნ. მარრი.

(აკად. ნ. ი. მარრის 45 წლის მეცნიერული მუშაობისა და 25 წლის აკადემიის წევრობის იუბილეის გამო).

„იმედია, რომ იაფეტურ ენათმეცნიერების მზე-სიმართლე სავსებით ამობრწყინდება მსოფლიო მეცნიერების ცის კამარაზე“

ამას წერდა აკად. მარრი ათი წლის წინად. ეს სტრიქონები ნათლად ლაპარაკობენ თავის თავის სიმარჯვეზე დარწმუნებულ ბუმბერაზ მეცნიერზე. ეს სტრიქონები ჩვენს წინ აყენებს მეცნიერ რევოლუციონერს, რომელსაც ღრმად სწამს თავისი ახალი მეცნიერული აზრის უდიდესი მომავალი. ეს სტრიქონები ლაპარაკობენ მეცნიერზე, რომელიც ამსხვრევს ყოველგვარ ემპირიზმის ვიწრო ჩარჩოებს და საკითხს მსოფლიო მასშტაბით აყენებს. ეს ასეც მოხდა.

აკად. მარრის მეცნიერული მუშაობის 45 წლის თავი ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების ბრწყინვალე გამარჯვებაა, რომლის ავტორი, შემქმნელი და განვითარებელი აკად. მარრი გახლავთ.

აკად. მარრის მიერ განვლილი 45 წლის მეცნიერული შემოქმედების გზა არის უდიდესი ნგრევისა და შენების ნაბიჯები მეცნიერებაში. ეს თითქმის ნახევარ — საუკუნოვანი მეცნიერული შემოქმედების მანძილი სულ მუდამ ახალ და ახალ ჭეშმარიტებების ძიების წლებია: „მეცნიერს სჭირია ომი კი არა, შრომა წყნარი, უხმაურო, მაგრამ შეუწყნარებელი, ცხარე, შანთსავით გახურებული შრომა: რაც დასადნობია — დადნეს, რაც სიმტკიცეს მქონია, რკინეულსავით ბრძმედში გამოვლილი ჭეშმარიტებად უნდა გაიჭედოს“.— წერს აკად. მარრი.

აკად. ნ. მარრი თავისი პირველი მეცნიერული სიტყვით ლახვრის დამცემი შეიქმნა იმ მეცნიერთათვის, რომლებიც „წ მ ი ნ დ ა დ ა შ ე უ ბ ღ ა ლ ვ ე ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო თ ე ო რ ი ი ს ს ა ხ ე ლ ი თ, შ ე ჩ ვ ე უ ლ ი ა ზ რ ე ბ ი ს დ ა ვ ა თ ე ლ ი ლ ი გ ზ ე ბ ი ს ბ ე რ წ ი მ ო ს ა რ ჩ ლ ე ნ ი გ ა ხ დ ე ნ“.[1])

ახალი ენათმეცნიერების მესაჭის — აკად. ნ. მარრის — მეცნიერული მუშაობის პერიოდი იწყება იმ დროიდან, როდესაც ენათმეცნიერების დარგში ე. წ. ინდოევროპეიზმს საკმაოდ დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. ინდოევროპეიზმის საფუძველ-მდებლების მიერ შემოფარგლული იყო რასიულად გან-

---

[1]) აკად. ნ. მარრი. რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება. 1923 წ. გვ 12 (ხაზი ჩვენია ს. ულ.)-

სხვავებული „კეთილშობილ“ რამოდენიმე ენათა ოჯახი და ინდოევროპულ ენათა ნიადაგზე ჩამოყალიბებული იყო მათი სამუშაო ერთად-ერთი მეთოდი — შედარებით, კომპარატიული, მეთოდი. საკმაოდ იყო დამუშავებული ენის თეორიული საკითხებიც იდეალისტური მსოფლმხედველობით, ინდოევროპეისტმა ასეთი კორიფეების მიერ, როგორებიც იყვნენ: ᲰᲣᲛᲑᲣᲚᲢᲘ, ᲑᲝᲞᲞᲘ, ᲒᲠᲘᲛᲘ და სხვა.

ინდოევროპეისტულ ენათმეცნიერების წარმოშობა და აყვავება ბურჟუაზიული კლასის მოძრაობა-გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და ამიტომ ბუნებრივიც არის, თუ ის ბოლომდე დარჩა მის სამსახურში და მის ინტერესების დამცველად თავისი ბურჟუაზიული თეორიებით.

ინდოევროპეიზმმა კვლევაძიების ცენტრში დააყენა ე. წ. „კეთილშობილ“ ერების ენები, რომლებსაც გააჩნდა ძველი მწერლობითი მემკვიდრეობა.

ინდოევროპეისტული ენათმეცნიერება სანსკრიტულ, ინდური, ენის შესწავლაზე, აღმოცენდა და მის შედარებით ისეთ ენებთან, როგორც იყო: ბერძნული, ლათინური და გერმანული ენები. სანსკრიტული ენით დაინტერესება წმინდა იმპერიალისტურ პოლიტიკის ნიადაგზე იყო თავდაპირველში გამოწვეული, აღმოსავლეთის, ამ მდიდარი ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლის ნიადაგზე.

ინდოევროპეისტების კვლევაძიების კომპეტენციის გარეშე დარჩა ცოცხალი მცირე ერების ენები, რადგან, ინდო-ევროპეისტ ენათმეცნიერების აზრით, მათ არავითარი საერთო არ ჰქონდათ „კეთილშობილ“ „კულტურულ“ ერების ენებთან.

ისეთი ენა, როგორიც იყი ქართული, რამოდენიმედ შეიქმნა მათი ყურადღების ღირსი, მაგრამ მეცნიერები ვერ შეთანხმებულიყვენ — ქართული ენა რომელიმე ოჯახისათვის მიეკუთვნებიათ. ბოლოს, ქართულ და მის მონათესავე მეგრულ-ჭანურ-სვანურ ენებზე გამოითქვა ასეთი აზრი: ესენი წარმოადგენენ ისეთ ენათა გადანაშთს, რომელიც ოდესღაც უნდა არსებულიყო, მაგრამ მისი არსებობა-კი არავინ იცოდა.

ქართულ ენის მიმართ საკითხის ასეთ დაბნევაში ისიც თამაშობდა დიდ როლს, რომ ყველა მათთვის ქართული ენის ბუნება მიუწვდომელი და გაუგებარი იყო. — აი, ასეთი ენათმეცნიერული ტრადიციები იყო მომზადებული, როდესაც აკად. ნ. მარრი იწყებს მეცნიერულ მუშაობას.

1888 წელს აკად. მარრი, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი, გაზეთ „ივერიაში“ ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. ამ წერილის ძირითადი დებულება შემდეგი იყო: „ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურ ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოვებული ხსენებულ ენებთან, რამდენადაც ის ენები ურთიერთ შორის და, ჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრულ-ჭანური, ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთი მამა-მთავრის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტურ ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს“ [1]

---

[1]) იხ. კრებული „По этапам раз. яфет. теории“ გვ. 4.

ამ საკითხზე ოცი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად 1908 წ. გამოდის აკად. ნ. მარრის კაპიტალური შრომა: „Основныя таблицы к граматике древне—грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с сенитическими". ამ შრომაში აკად. მარრმა ფაქტური მასალით დაამტკიცა ის აზრი, რომელიც ოცი წლის წინად გამოსთქვა, ე. ი. სემიტურთან ნათესაობა ქართული ენისა. აღნიშნული შრომით აკად. მარრმა შუქი მოჰფინა ქართული ენის და კერძოდ ქართული ზმნის რთულ ბუნებას. არსებითად ეს იყო აკად. ნ. მარრის მიერ პირველი ნაბიჯი ენათა ერთიან გლოტოგონიურ პროცესისაკენ, რომლის ფარგლები შემდგომ გაიშალა და განვითარდა.

იაფეტური თეორია თანდათან გაიზარდა და იაფეტურ ენათა სისტემის შესახებ მოძღვრება, გადაიქცა მსოფლიოში არსებულ ენათა მოძღვრებად.

აკად. მარრმა, წინალმდეგ ინდოევროპულ სკოლისა, კვლევა-ძიების ცენტრში დააყენა ის ცოცხალი ენები, რომლებიც ინდოევროპულ ფილოლოგიური კვლევა-ძიების ღირსიც ვერ ვამხდარიყვნენ. ამის შესახებ აკად. ნ. მარრი წერს: „იაფეტური ენათ-მეცნიერება არის თეორია, უპირველეს ყოვლისა, დღემდე მეცნიერებიდან განდევნილ ცოცხალ ენებისა". [1])

ამდენად ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება ისე, როგორც მისი ავტორი, თავიდანვე ინტერნაციონალურ იდეიის მატარებელი შეიქნა და დაუნდობელი მებრძოლი ვიწრო ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელურ შოვინიზმის წინააღმდეგ.

აკად. მარრმა გაუსვა ხაზი იმ აზრს, რომ ხალხური ცოცხალი ენები უფრო მეტი სიძველის მატარებლები არიან, კიდრე რამოდენიმე ათასი წლის ლიტერატურული ძეგლების მქონე ენები. ამ შემთხვევაში საკითხი ენობრივ ფაქტებისადმი ახალმა მეთოდოლიგიურმა მიდგომამ გადაწყვიტა.

აკად. მარრის მეცნიერული გზა, მიტომ არის სწორი მეცნიერული გზა, რომ ის ყოველთვის ფაქტებიდან მიდის თეორიისაკენ და არა თეორიიდან ფაქტებისაკენ. ამას აღნიშნავს პოკროვსკიც.

ახალ ენათ-მეცნიერებას საფუძვლად უდევს არა „თეორია", არამედ მასიური ხალხური ენა. ამ მდიდარი სხვადასხვა ენობრივი ფაქტების კარნახით აღმოაჩინა, სწორედ, აკად. მარრმა—ენის განვითარების ძირითადი კანონები. აკად. მარრის ენათმეცნიერული შეხედულებებიც ამიტომაც არის მტკიცე მეცნიერული ღირებულების მქონენი.

მთავარი კიდევ ის გახლავსთ, რომ ეს მეცნიერული აზრები მოგონილი არ არის და არც დამუშავებულია კაბინეტში, როგორც ამას მისი ავტორი აღნიშნავს: „ჭეშმარიტი სინამდვილეა ის, რომ ყველა ჩემი შემოქმედებითი ენათმცოდნეობის იდეები არიან შედეგი არა კაბინეტში მუშაობისა, არამედ ჩნდებოდენ და ვითარდებოდენ უშვალო კავშირში გარემო ბუნებასთან და ადამიანებთან ქუჩებში, მოედნებზე, უდაბნოებში და ზღვებზე, მთებში და ტრამა-

[1]) იხ. აკად. მარრის წინასიტყვაობა კრებულში, „По этапам раз. яфет. теории" გვ. VI (ხაზი ჩვენია ს. ჟ.)

ლებში, მინდვრებთან და წყაროებთან, ცხენზე და ვაგონში, ყველგან, მხოლოდ არა კაბინეტში" [1])

ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების დაბადების კერა, მისი ავტორის განცხადების თანახმად, პეტერბურგია, ის განვითარდა პეტროგრადში და უკანასკნელი განვითარებული და ჩამოყალიბებული სახე ლენინგრადში მიიღო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიეცა მას საშვალება თავისი ძირითადი დებულებების გაშლისა და განვითარების. ის მოწაფეები, რომლებიც აკად. მარრს გვერდში ედგნენ პეტერბურგსა და პეტროგრადში ღებულობდენ მონაწილეობას იაფეტური თეორიის განვითარებაში, აღარ აღმოჩნდენ „ლენინგრადელები". ახალი საენათმეცნიერო თეორიას გაემიჯნენ საბოლოოდ. გახდნენ მსხვერპლი „თავბრუ დამხვევი ნაციონალისტური რომანტიზმის" (აკად. მარრი).

ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების მეთოდი თავდა პირველში იგივე ფორმალურ შედარებითი მეთოდი იყო, რაც ინდოევროპეისტიკას გააჩნდა. მაგრამ აკად. მარრმა, ენობრივი ფაქტების განვითარებაში შესწავლით, ენობრივი მასალების მატერიალური კულტურის ისტორიასთან და საერთოდ საზოგადოებრივ ფორმაციასთან დაკავშირებით, სიმძიმის ცენტრი ენის იდეოლოგიაზე გადაიტანა. ამდენად პირვანდელი ფორმალური მეთოდი თანდათან ხდება მატერიალისტურად. აკად. მარრმა გარკვეული ენათმეცნიერული კვლევა-ძიებითი გზის გავლის შემდეგ, შესძლო ახალი ენათმეცნიერება მარქსიზმის რელსებზე გადეყვანა და არა ერთბაშად.

დღეს დიალექტიკურ მატერიალისტური მეთოდოლოგიის შეგნებული გამოყენება ხდება ახალ ენათმეცნიერებაში და ამდენად მან უდიდეს შედეგებსაც მიაღწია.

აკად. მარრმა ახალი მეთოდით ენათმეცნიერებაში უდიდესი რევოლუცია მოახდინა. ენათმეცნიერება შემოაბრუნა უფსკრულის პირიდან და გადაარჩინა იგი დაღუპვას. ენათმეცნიერება გამოვიდა კრიზისიდან და მიეცა ფართო განვითარების გზა. ამაშია აკად. მარრის ბუმბერაზობა, როგორც უდიდეს რევოლუციონერის მეცნიერის მისი მეცნიერული შემოქმედების 45-წლის თავზე. აკად. მარრი წერს: „დღემდე მეცნიერთა განკარგულებაში არ არის ნამდვილი მეთოდი. არის მხოლოდ ფორმალური მეთოდი და ეს კი არ არის მეთოდი, არამედ ეს არის გარეგნული ფრაგმენტალური დაკავშირება ფაქტებისა და არა მეთოდი შინაგანი ანალიზისა, გენეტიური ფაქტორების გარკვეულ მოვლენებისა" [2]).

აკად. მარრმა დაუნდობელი ბრძოლით გამოაშკარავა ინდოევროპეისტულ ენათმეცნიერების თეორიების ბურჟუაზიული არსება, როგორიც არის: „რასიული თეორია", „მიგრაციული თეორია", „წმინდა მეცნიერების" თეორია, „პრა ენისა" და „პრაკულტურის" თეორია და სხვა.

---

[1]) ს.ხ. აკად. მარრი „ჩემი ავტობიოგრაფია" ქართული მწერლობა 1927 წ. № 6—7 გვ. 217

[2]) Н. Я. Марр. Расселение языков и народов и вопрос о прородине турецких языков." Жур. „Под знамением марксизма" 1927 г. № 6 стр. 24.

აკად. მარრმა ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ არ არსებობს არავითარი რასიული კულტურა ისე, როგორც არ არსებობენ რასიულად განსხვავებული ენები. არსებობენ მხოლოდ კულტურათა სისტემები, ისე როგორც [illegible] ენათა სისტემები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან სამეურნეო ფორმათა და საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლასთან დაკავშირებით. ამ სისტემების ძველი და ახალი ფორმები ისე არა ჰგვანან ერთმანეთს, როგორც არა ჰგავს ქათამი კვერცხს, რომლისგანაც ის იშობა. ამით საბოლოოდ ნადგურდება ე. წ. რასებად დაყოფა ერებისა და ენების. ამით ხაზი გაუსვა ენათა ერთიან გლოტოგონიურ პროცესს და მასში ენათა სხვადასხვა სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან განვითარებისადა მიხედვით. ზოგს განვითარების უმაღლეს საფეხურამდე მიუღწევიათ, როგორიც არის ინდოევროპიული (პრომეთეული) ენები და ზოგი განვითარების უფრო დაბალი საფეხურზე იმყოფებიან, როგორიცაა იაფეტური სისტემის ენები. ინდოევროპული ენები იმავე იაფეტურ სისტემის ენებიდან არიან გამოსულნი, მხოლოდ მათ, განვითარების მაღალ სტადიამდე მიუღწევიათ.

ენათა ერთიან გლოტოგონიურ პროცესის აღნიშვნით უკვე გაირღვა ის კედელი, რომელიც ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა აღმართეს აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის. ეს კედელი აკად. მარრმა ააფეთქა. ერთიანი გლოტოგონიური პროცესის აღნიშვნით საკითხი მსოფლიო მასშტაბით დადგა. არ არსებობს არც ერთი ენა მსოფლიოში, რომელიც ამ ერთიან გლოტოგონურ პროცესის გარეშე განვითარებულიყოს.

აკად. მარრმა დასვა ენის წარმოშობისა და მისი კანონზომიერ განვითარების საკითხი. ენის ბ უ ნ ე ბ ი ს საკითხი მისთვის მთავარი შეიქმნა. ამით კი ენათმეცნიერება დადგა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე.

აკად. მარრმა დასვა დედაენის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და დამუშავების საკითხი, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებელია იმისათვის, რომ ერთი მხრით გავერკვეთ იმ ენობრივ მოვლენებში, რომლებიც ჩვენს გარშემო იშვება და მეორე მხრით, რომ დავეუფლოთ დედა-ენის მომავალს და დავსახოთ მისი მომავალი განვითარების გზები. აი, რა სირთულით ისმის საკითხი ახალი ენათმეცნიერების ძირითად პრინციპებიდან გამოსვლით. მაგრამ ეს არის სწორი, ჭეშმარიტი, გზა. ამ პრინციპიდან გამოსვლით განსაზღვრა ახალმა ენათმეცნიერებამ ენათა მომავალ განვითარების ბედი, იმ ენათა, რომელთა უნიფიკაციაც უნდა მოხდეს თვისობრივად განსხვავებულ, ახალი ტიპის ენაში.

ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების უდიდესი მონაპოვარი გახლავთ სემანტიკა და პალეონტოლოგია. სემანტიკაზე და პალეონტოლოგიაზე ინდოევროპეიზმიც ლაპარაკობდა, მაგრამ ეს სულ სხვა სემანტიკა და პალეონტოლოგიაა. მეტყველების პალეონტოლოგია საუცხოო საშვალებაა დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგიის ენობრივ ფაქტებზე მიყენებისათვის. პალეონტოლოგია არის სწავლა ენის სტადიებსა და მისი კანონზომიერ ორი მომენტის შესახებ: შინარსისა და ფორმის[1]) პალეონტოლოგიური მეთოდის უაღრესი მოთხოვნილებაა ისტორიზმის პრინციპი. აკად. მარრი წერს: „ეხლა ტერმინი, უპირველეს

[1]) Н. Я. Марр. Язык и современность გვ. 30.

ყოვლისა, უკავშირდება არა განსაკუთრებულ ტერიტორიალურ რაიონს, არამედ კაცობრიობის მეტყველების განვითარების განსაკუთრებულ სტადიას"[1]).

ინდო-ევროპეიზმს ენის ფორმალური, ბგერობრივი, მხარე აინტერესებდა და არა ენის იდეოლოგიური მხარე. ამიტომაც შეიქმნა ინდო-ევროპეიზმის კვლევა-ძიების საგნად ფონეტიკური კანონები და მისი ფიზოლოგია. მაგრამ ინდოევროპეიზმს გამორჩა მხედველობიდან სემანტიკური კანონები. აკად. მარრი წერს: „მათვის (ინდოევროპეისტებისათვის ს. ჟ.) არსებობს ფონეტიკური კანონები ბგერითი მოვლენის, მაგრამ მათ არა აქვთ სემანტიკური კანონები, კანონები ამა თუ იმ აზრის აღმოცენებისა, კანონები მეტყველებისა და მისი ნაწილების გააზრიანებისა"[2]) (ხაზი ჩვენია ს. ჟ.).

ახალ ენათმეცნიერებაში ძირითადი მნიშვნელობისაა სემანტიკა. ძირითადია სემანტიკური კანონების შეგნება, თუ გვინდა გავიგოთ მშობელი და წარმოშობილ სიტყვათა ურთიერთობა. სიტყვის სემანტიკური კანონების შეგნებით კვლევა-ძიების ცენტრი ენის იდეოლოგიაზე გადიდის ენის აზროვნებასთან დაკავშირებით . ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე და აზროვნება არ არსებობს ენის გარეშე. ამ შემთხვევაში იგულისხმება რომ ბგერით ენას წინ უსწრებდა ხელის ენა, რომელსაც აზროვნების განვითარების განსაზღვრული სტადია შეესაბამებოდა. ენა და აზროვნება ერთდაიმავე დროს არიან წარმოშობილნი წარმოების პროცესში. მათი განვითარება წარმოადგენს ბრძოლის პროცესს ურთი-ერთ შორის, მათი წინააღმდეგობა იხსნება ენის დამარცხებით, მისი ცვალებადობით. წამყვან როლს ყოველთვის აზროვნება თამაშობს. მაგრამ ენა, როგორც რთული ზედნაშენი თავის მასალაში ინახავს აზროვნების წარსულ სტადიებს. ენობრივ მასალაზე ათარგულ-აზროვნების განვითარების სტადიებს მეტყველების პალეონტოლოგია ააშკარავებს.

ენაში, რომ ცვლილება მოხდეს, ამისათვის საჭიროა ცვლილება მოხდეს უპირველეს ყოვლისა აზროვნებაში, მის ტექნიკაში. ეს უკანასკნელი თავის მხრივ კი დამოკიდებულია საზოგადოებრივ ფორმაციის განვითარებასა და საწარმოო ურთიერთობაზე. აი, ამ პროცესს როგორ ახასიათებს აკად. მარრი: „საქმე ენის სისტემებისა და ტიპების მუტაციურ ხასიათის ძირითად ცვლილობათა წყაროშია; ეს წყარო არა გარეგნულია, მასიური გადასახლება, არამედ ღრმად შინაგანი, რევოლუციონური მოძრაობები, რომლებიც მატერიალურ ცხოვრების, თვისობრივად ახალ წყაროებიდან, თვისობრივად ახალ ტეხნიკიდან და თვისობრივად ახალ სოციალურ წყობიდან გმომდინარეობენ. ჩვენ შედეგად მივიღეთ ახალი აზროვნება და მასთან მეტყველების, აგებულებაში ახალი იდეოლოგია, ბუნებრივია, მისი ახალი ტექნიკა, აქედან სხვადასხვა ენების სისტემები[3]) (ხაზი ჩვენია ს. ჟ.).

---

[1]) Н. Я. Марр. Карфаген и Рим გვ. 393.

[2]) Н. Я. Марр. Язык и Мышление გვ. 28.

[3]) Н. Я. Марр. Постановка изучения об языке в мировом масштабе и обхазский язык

აკად. მარრმა ხაზი გაუსვა ენის სოციალურ ბუნებასა და მის კლასიურობას, რამდენადაც ენა ხელოვნურია, შექმნილი ადამიანთა კოლექტივის მიერ წარმოებისა და ურთი-ერთობის პროცესში. მატერიალური კულტურის ისტორია ის წყალგამყოფია, რომელიც ანსხვავებს ადამიანებს ცხოველებისგან. ადამიანების ბუნებასთან დამოკიდებულება შვალობითია მატერიალური კულტურის საშვალებით. აკად. მარრის ძირითადი დებულებები კიდევ უფრო მტკიცე და ურყევია იმდენად, რამდენადაც მან ენისა და აზროვნების საკითხები დაუკავშირა მატერიალური კულტურის ისტორიის. აკად. მარრი წერს: „სანამ არ იყო მატერიალური კულტურა, წარმოება და საწარმოო ურთიერთობა, ენაც არ შეიძლება არსებულიყო“ [1])

ენისა და აზროვნების საკითხების გადასაჭრელად მატერიალური კულტურის ისტორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აკად. მარრი წერს: „Вопрос о мышлении и его технике и, следовательно, об языке и его технике, и вопрос о материальной культуре и ее технике неразрывно связаны друг с другом; когда обращаемся к истории, то получается три единство“ [2]).

ჩვენ ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების ძირითად დებულებებზე და მიღწევებზე სიტყვას არ გავაგრძელებთ ადგილის უქონლობის გამო [3]). მხოლოდ უკანასკნელად დავსვამთ ერთ საკითხს. ეს საკითხი ინდოევროპეიზმის მემკვიდრეობის შესახებ. ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება ინდოევროპეიზმის საშოში დაიბადა, მასთან ბრძოლაში გამოიბრძმიდა და დავაჟკაცდა. ინდო-ევროპეიზმი ერთ დროს თამაშობდა პროგრესიულ როლს, რომლის გარეშე არც ახალი ენათმეცნიერება გვექნებოდა. ინდო-ევროპეიზმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია და უკანასკნელად თავისი მეთოდოლოგიის წყალობით გამოუვალ ჩიხში შეიჭრა

ახალი ენათმეცნიერება თავის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ინდოევროპეიზმის უარმყოფელი, მომხსნელი შეიქმნა. აკად. მარრმა ენათმეცნიერებას დაუსახა ახალი ფართო განვითარების გზა. ახალი ენათმეცნიერება სინთეზს აკეთებს იმისას, რაც დღემდე გაკეთებულია ენათმეცნიერებაში. დღეს ენათმეცნიერული მემკვიდრეობის დამუშავებით კიდევ უფრო ღრმავდება ენათმეცნიერული თეორიული საკითხები, დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე.

ამ ახალი მეცნიერების ავტორის 45 წლის მეცნიერული შემოქმედების წლის თავი უდიდესი გამარჯვების იუბილეია. ამ ახალი მეცნიერების მომავალი პერსპექტივები მისი ავტორის კიდევ უდიდეს გამარჯვებებზე ლაპარაკობენ, როგორც უდიდეს მეცნიერ რევოლუციონერზე მსოფლიო მასშტაბით.

29. X 33 წ. ტფილისი.

oooooooooooo

[1]) Н. Я. Марр. К. Бакинской дискусии о яфет. и марксизм 1932 г. გვ. 41.

[2]) Н. Я. Марр В тупике ли история матер. культ. გვ. 5.

[3]) ამის შესახებ იხ. ჩვენი წიგნი „აკად. ნ. მარრი და ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“

შინაარსი № 10-11

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ი. ლისაშვილი—კადონა (მოთხრობა)	3
გ. ლეონიძე—მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა (ლექსი)	26
მარ. გარიყული—ანარეკლი (მოთხრობა)	27
ვარ. რუხაძე —ჩვენი ეპოქა (ლექსი)	54
არ. ჯაჯანაშვილი—ნაგერალი (რომანი)	56
ზ. დოლიაშვილი—მოდიან ლეგიონები (ლექსი)	83
გ. ბააზოვი—ფეთხაინი (რომანი)	84

ადამიანები და ფაქტები

დ. ხულიაშვილი—ორი ძალა (ნარკვევი)	127

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

კ. მელაძე—გაკვრით კლასიკოსებზე	153
ა. ჰეიშვილი—ჰაუპტმანი	176

მწერალთა ტრიბუნა

მ. ჯავახიშვილი—როგორ ვმუშაობ	189

ბიბლიოგრაფია

გ. ნატროშვილი—პ. ჩხიკვაძე—,,რომანტიული ამბავი“	197

კულტურის მატიანე

ხ. ულენტი—აკად. ნ. მარრი	201

oooooooooooo